# განათლება

რედაქტორი: თემურ ჯაგოდნიშვილი
თანარედაქტორი: რაფაელ გუსმან ტირადო

# GANATLEBA

Georgian Technical Unicversity
Georgian Academy of Education Sciences

Editor: Temur Jagodnishvili
Coeditor: Rafael Guzman Tirado

№ 4 (35) 2021

ISSN 2346-8300

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

# განათლება

# GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

4(35)
2021

# განათლება

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით

(ოქმი №7)

№ 4(35), 2021 წელი

**რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**თანარედაქტორი რაფაელ გუსმან ტირადო** — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

**რედაქტორის მოადგილე - ზურაბ ჩაჩხიანი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**სარედაქციო კოლეგია:**

**ლია ქათამაძე** — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ლია მენთეშაშვილი** — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

**ანზორ აბრალავა** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ირაკლი გაბისონია** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**გიორგი გაგოშიძე** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

**გელა ყიფიანი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ელისაბედ ხახუტაშვილი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ივანე ჯაგოდნიშვილი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ვახტანგ მაღრაძე**— პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ზურაბ გამეზარდაშვილი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ლია მეტრეველი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**თამარ ბონდარენკო** — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**თეა ცომაია** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**თამარ ხოხობაშვილი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ნიკო ჯავახიშვილი** — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**დავით გოცირიძე** — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**გიორგი ხუხუნი** — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ირჟი კლაპკა** — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

**ტომას შმიდტი** — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)

**სესილია ოდე** — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

**გალინა ტროფიმოვა** — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი)

რედაქცია: თემურ ჯაგოდნიშვილი

რაფაელ გუსმან ტირადო

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

**სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები**

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

**web-გვერდი:** https://gtu.ge/Journals/newsletters/

ელ-ფოსტა: **ganatleba2018@gmail.com**

**ISSN 2346-8300**

# GANATLEBA

**International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)**

№ 3(34), 2021

**Editor – Temur Jagodnishvili,** Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

**Coeditor – Raphael Guzman Tirado –** Professor, University of Granada (SPA)

**Sub-editor – Zurab Chachkhiani,** Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

**EDITORIAL BOARD:**

**Lia Katamadze** – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University
**Lia Menteshashvili** – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences
**Anzor Abralava** – Professor, Georgian Technical University
**Irakli Gabisonia** – Professor, Georgian Technical University
**Giorgi Gagoshidze** – Professor, Georgian Technical University. Full member of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician
**Gela Kipiani** – Professor, Georgian Technical University
**Elisabeth Khakhutashvili** – Associate professor, Georgian Technical University
**Ivane Jagodnishvili**– Professor, Georgian Technical University
**Vakhtang Magradze** – Professor, Georgian Technical University
**Zurab Gamezardashvili**– Professor, Georgian Technical University
**Lia Metreveli**– professor, Georgian Technical University
**Tamar Bondarenko** – Associate professor Georgian Technical University
**Tea Tsomaia**– professor, Georgian Technical University
**Tamar Khokhobashvili** – Professor, Georgian Technical University
**Niko Javakhishvili** – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
**David Gothsiridze** – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
**Giorgi Khukhuni** –Professor, Lingvistic University of Moscow
**Jiri Klapka** – professor, Karlos University (CZE)
**Tomas Schmidt** – Professor, University of Bern (SUI)
**Cecilia Ode** – University of Amsterdam (NED)
**Galina Trophimova** – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS)

**Editor office: Temur Jagodnishvili,**
**Raphael Guzman Tirado**

**Technical editor: Asmat Pipia**

**The authors are responsible for the accuracy of the facts in the article**

**Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU**
**TEL.: (032) 236 57 07**
**web-said's adress: http://gtu.ge/Journals/newsletters**
**e-mail: ganatleba2018@gmail.com**

**ISSN 2346-8300**

## შინაარსი

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 წლისაა


**უცხოური ენების დეპარტამენტი** ........ 9

### განათლების მეცნიერებანი

*თინათინ იაშვილი, ნინო თავზარაშვილი*
**პედაგოგების პროფესიული განვითარება** ........ 11

*ნატალია ჭყონია, თამარ ქოჩორაძე*
**სასკოლო განათლების შეფასების პოლიტიკა** ........ 14

*ივანე ჯავოდნიშვილი, მარინე ბერძენაძე*
**მობინგი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მისი პრევენცია** ........ 20

*ჟანეტა კილასონია*
**უმაღლესი განათლების მიზნები და სოციალური უთანასწორობა** ........ 24

### ჟურნალისტიკა

*მარიამ კუკულაძე*
**მედია-ვიქტიმიზაცია** ........ 30

*თამრიკო მულაძე*
**სხეულის ენაზე და პოლიტიკოსები** ........ 35

*ნინო ნატროშვილი*
**ეფექტიანი მედიაკონვერგენციის ასპექტები „გარდიანის“ მაგალითზე** ........ 39

*სოფიკო კვანტალიანი, თეონა ყოჩიაშვილი*
**ქვეყნის იმიჯის ფორმირების ასპექტები ბრიტანულ პრესაში** ........ 43

*ია ჩარკვიანი*
**ლიდერის ფოტოს სემიოტიკური ანალიზი** ........ 52

### ფილოლოგია

*მურმან თავდიშვილი*
**„არცთუ მეყვისი ვამეყ-ვისი“ და მათი საიდუმლო** (წერილი მეორე) ........ 57

*თამარ მებუკე*
**თხრობითი სივრცე მხატვრული ლიტერატურის ჰიპერტექსტში** ........ 63

### საერთაშორისო ურთიერთობები

*გვანცა აბესაძე*
**ევროკავშირის პოლიტიკური მექანიზმების გავლენა პარტნიორ სახელმწიფოებთან ურთიერთობებზე** ........ 69

*გიორგი ბერძენიშვილი*
**მიგრაციული კრიზისი, როგორც ევროსკეპტიციზმის მიზეზი** ........ 75

*სალომე ფიფია*
**2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ისტორიულ-პოლიტიკური ანალიზი ..................... 83**

*თორნიკე ოქროპილაშვილი*
**მსოფლიო უსაფრთხოების გამოწვევა: რუსული ექსპანსიონიზმი................................................ 91**

## ეკონომიკა და ბიზნესი

*ნინო ხმიადაშვილი, ნანა ახალაია*
**სასტუმრო პერსონალის როლი სასტუმრო მომსახურების ხარისხის განსაზღვრისათვის ................97**

*გრიგოლ ლილუაშვილი, დავით ნარმანია*
**რეგიონალური ეკონომიკური უსაფრთხოებ და ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა ....................101**

## სოციალური მეცნიერებები

*ლიზა ამილახვარი*
**ტერორიზმის ფსიქოლოგიის აქტუალური პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური პრობლემები ................110**

*ნოდარ აბესაძე*
**მართლმადიდებლობა და თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი**
**იდენტობის ფორმირება.............................................................................................................116**

*ომარ გოგიაშვილი, როინ ვარშანიძე*
**ქართველი მუჰაჯირების ზოგიერთი საკითხისათვის ....................................................................122**

*ფრიდონ გონაშვილი*
**ქართველი ახალგაზრდები, როგორც სამოქალაქო საზოგადოების**
**შემადგენელი ნაწილი და მათი როლი ქვეყნის განვითარებაში ...............................................126**

*ნანა ბეგაშვილი*
**კულტურული სოციალიზაციის ასპექტები ......................................................................................131**

*ნანა ბოკუჩავა*
**დიმიტრი უზნაძე რელიგიური აღზრდის შესახებ..........................................................................135**

*ლელა ბუსხრიკიძე*
**შეიარაღებულ კონფლიქტებში დაზარალებულ ქალთა დაცვის საერთაშორისო**
**მექანიზმები .................................................................................................................................140**

*ნანა ბღარაშვილი*
**საარჩევნო სისტემების მიმოხილვა ............................................................................................ 147**

*სოფიო მამესწარაშვილი*
**ძალადობის ფორმები და შესაძლო ნეგატიური შედეგები.........................................................156**

*ირინა მელქაძე*
**„დისტანციური სწავლების“ გამოწვევები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში .........................159**

*ირინა ცერცვაძე*
**ხარისხის მასტერკლასი ..............................................................................................................163**

## CONTENTS


GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY – 100 YEARS OLD

**Department of Foreign Languages** ........ 9

EDUCATION SCIENCES

***Tinatin Iashvili, Nino Tavzarashvili***
*Teacher Professional Development* ........ 11

***Natalia Tchkonia, Otar Kochoradze***
*School Education Evaluation Policy* ........ 14

***Ivane Jagodnishvili, Marine Berdzenadze***
*Mobbing in higher education institutions and its prevention* ........ 20

***Janeta Kilasonia***
*Goals of higher education and social inequality* ........ 24

JOURNALIZM

***Mariam Kukuladze***
*media-victimization* ........ 30

***Tamriko Muladze***
*Body language and politician* ........ 35

***Nino Natroshvili***
*The aspects of effective Media Convergence: The example of The Guardian* ........ 39

***Sophiko Kvantaliani, Teona Kochiashvili***
*The aspects of image formation in the British press* ........ 43

***Ia Charkviani***
*Semiotic analysis of a leader's photo* ........ 52

PHILOLOGY

***Murman Tavdishvili***
*“Neither one nor the other (Mekvisi) Vamek-Visi” And their secret* ........ 57

***Tamar Mebuke***
*ACSII characters and the UNICODE standard* ........ 63

INTERNATIONAL RELATIONS

***Gvantsa Abesadze***
*Impact of EU political mechanisms on relations with partner countries* ........ 69

***Giorgi Berdzenishvili***
*Migration crisis as a cause of Euroscepticism* ........ 75

***Salome Pipia***
*Historical-political analysis of the 2008 Russia-Georgia conflict* ........ 83

***Tornike Okropilashvili***
*The Challenge of World Security: Russian Expansionism* ........ 91

**ECONOMICS AND BUSINESS**

***Nino Khmiadashvili, Nana Akhalaia***
*The role of hotel staff in determining the quality of hotel service* ........ 97

***Grigol Liluahsvili, Davit Narmania***
*Regional Economic Security and Cross-border Cooperation* ........ 101

**SOCIAL SCIENCES**

***Liza Amilakhvari***
*The actual political-psychological problems of the psychology of terrorizm* ........ 110

***Nodar Abesadze***
*Orthodoxy and the formation of a modern Georgian state identity* ........ 116

***Omar Gogiashvili, Roin Varshanidze***
*For some issues of Georgian Muhajirs* ........ 122

***Pridon Gonashvili***
*Georgian youth as an integral part of civil society and*
*their role in the development of the country* ........ 126

***Nana Begashvili***
*General aspects of cultural socialization* ........ 131

***Nana Bokuchava***
*Dimitri Uznadze about religious upbringing* ........ 135

***Lela Buskhrikidze***
*International mechanizms for the protection of women in armed conflict* ........ 140

***Nana Bgarashvili***
*Overview of Electoral Systems* ........ 147

***Sophio Mamestsarashvili***
*Determinative factors of juvenile delinquency* ........ 156

***Irine Melkadze***
*Challenges of "distance learning" in the Georgian educational space* ........ 159

***Irina Tsertsvadze***
*Quality Masterclass* ........ 163

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 წლისაა

## უცხოური ენების დეპარტამენტი

1992 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჰუმანიტერული სპეციალობების შემოღების მიზნით შეიქმნა ინგლისური ენის სპეციალური სწავლების კათედრა. კათედრის ხელმძღვანელად მოწვეული იქნა პროფ. ნუგზარ სიხარულიძე. შექმნის პირველი დღიდანვე კათედრაზე დაიწყო არა მხოლოდ ინგლისური ენის ინტენსიური სწავლება, არამედ შეიქმნა ჰუმანიტარულ-ტექნიკური სწავლებისა და სპეციალისტების მომზადებისათვის საჭირო ისეთი სპეციალობები, როგორებიცაა „მთარგმნელი რეფერენტი“, „სახელმწიფო მოხელე“, „ქალაქის მენეჯერი“ და „ტურიზმი“. შემდგომში, გარდა მთარგმნელი-რეფერენტისა დანარჩენი სპეციალობები ცალკე კათედრების სახით გამოიყო, ხოლო ყველა უცხოური ენა გაერთიანდა ჯერ ერთ კათედრად, ხოლო შემდეგ დეპარტამენტად პროფ. ნ. სიხარულიძის ხელმძღვანელობით, სამივე დონის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სახით.

პარალელურად 1994 წელს სტუ-ს ბაზაზე განხორციელდა მნიშვნელოვანი მრავალწლიანი საგრანტო პროექტი, პირველად საქართველოში, სახელმწიფო მოხელეთა მომზადების ქართულ-ამერიკული ინსტიტუტის სახით (IPA) შედგომში (GIPA). ამერიკულ მხარეს წარმოადგენდა აშშ-ს სახელმწიფო მოხელეთა ეროვნული აკადემია (NAPA) ხოლო ქართულს-ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტები პროფ. ნ. სიხარულიძის ხელმძღვანელობით, რომელიც ამავე დროს ამ ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. იმის გამო, რომ ასეთი სახის სპეციალისტების მომზადება საქართველოში ახალი წამოწყება იყო, მთელი პროფესურა დაკომპლექტდა ამერიკელი პედაგოგებით და სწავლა მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე. ინსტიტუტმა მრავალი პროექტი განახორციელა. მათ შორის ტექნიკური ხასიათისაც, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის შენობის აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, ხოლო სხდომათა დარბაზი - ხმის მიცემის ელექტრონული ქსელით.



დეპარტამენტის პროფსორ-მასწავლებლები

დღეს დეპარტამენტი ატარებს საუნივერსიტეტო პროფილს. უცხოური ენების B1 და B2 დონეების სწავლების გარდა. ახორციელებს უცხოური ენების სწავლებას (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული) საინჟინრო და ტექნიკური სპეციალობების მოთხოვნათა შესაბამისად, პროფესიული მიმართულებებით. გარდა ამისა, თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, რაც სპეციალისტებისგან უცხოური ენის ცოდნის გარდა მოითხოვს მის გამოყენებას აქტიური ზეპირი და წერითი კომუნიკაციისათვის არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დეპარტამენტმა მოამზადა და ახორციელებს საქმიანი კომუნიკაციის საფუძვლების სწავლებას როგორც

თეორიული, ასევე პრაქტიკული შემადგენლებით. პარალელურად დამუშავდა და ხორციელდება ტექნიკური თარგმნის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსი, რაც კურსდამთვრებულებს საშუალებას აძლევს მიიღონ ყველა სახის ინფორმაცია და გამოიყენონ



დეპარტამენტის პროფსორ-მასწავლებლები

თავიანთ საქმიანობაში არა მხოლოდ პირადი, არამედ თარგმნის საშუალებით, საყოველთაო მოხმარებისათვის. ასევე უცხოელ პარტნიორებს თუ საზოგადოებას გააცნოს როგორც პირადი, გუნდური თუ კორპორატიული სახის ინფორმაცია ქართულიდან უცხო ენაზე გადატანით, მაღალ კვალიფიციურ დონეზე.

ყველა არსებული სასწავლო კურსის განხორციელება ხდება მაღალკალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების მიერ, რომლებიც დასაქმებული არიან დეპარტამენტში. გარდა სასწავლო პროცესისა, დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები ჩაბმული იყვნენ მთარგმნელობით საქმიანობაში. უნივერსიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, ითარგმნა მრავალი წიგნი და სტატია როგორც უცხოური ენიდან ქართულზე, ასევე ქართულიდან უცხოურ ენაზე.

# განათლების მეცნიერებანი

# EDUCATION SCIENCES

## პედაგოგების პროფესიული განვითარება

*თინათინ იაშვილი, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ნინო თავზარაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

განათლება დაუსრულებელი პროცესია. ეს არ ჩერდება ხარისხის მიღებისა და კარიერის დაწყების შემდეგ. უწყვეტი განათლების საშუალებით, კარიერაზე მოაზროვნე პირებს შეუძლიათ მუდმივად გააუმჯობესონ თავიანთი უნარები და გახდნენ უფრო დახვეწილი სამუშაოს შესრულებაში. განათლების ადმინისტრირების სფეროში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლებლის ადმინისტრატორებმა წაახალისონ მასწავლებლები, განაგრძონ პროფესიული განვითარება, არა მხოლოდ მათი სტუდენტებისთვის სწავლის საუკეთესო შედეგების უზრუნველსაყოფად, არამედ უფრო ეფექტური და კმაყოფილი მათი სხვადასხვა ასპექტში.

როდესაც პედაგოგები აღმოაჩენენ სწავლების ახალ სტრატეგიებს პროფესიული განვითარების გზით, მათ შეუძლიათ დაბრუნდნენ კლასში და შეიტანონ ცვლილებები ლექციების სტილში და სასწავლო გეგმებში, რათა უკეთ მოერგოს მათი სტუდენტების საჭიროებებს. თუმცა, ამ ცვლილებების შეფასება რთულია, რადგან ისინი, როგორც წესი, ეტაპობრივად ხორციელდება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მათ უფრო ეფექტურს ხდის მათ პრეზენტაციებსა და კურსის შეფასებაში, აცნობს მასწავლებლებს მიწოდების ახალ მეთოდებს, შეფასების სტილებს და ჩანაწერების შენახვის სტრატეგიებს.

კლასში წარდგენის დროს გატარებული საათების გარდა, მასწავლებლების დროის უმეტეს ნაწილს უთმობენ მოსწავლეთა შეფასებას, სასწავლო გეგმის შემუშავებას და სხვა დოკუმენტაციას. პროფესიული განვითარების ტრენინგს შეუძლია დაეხმაროს მასწავლებლებს, უკეთესად დაგეგმონ თავიანთი დრო, ეს საბოლოოდ მასწავლებლებს უფრო ეფექტურს ხდის და მათ დამატებით დროს აძლევს მოსწავლეებზე ფოკუსირებისთვის და არა დოკუმენტებზე.

სტუდენტები ელიან, რომ მასწავლებლები იყვნენ საგნის ექსპერტები იმ მიმართულებით,რასაც ასწავლიან. ეს ნიშნავს, რომ მასწავლებელს უნდა შეეძლოს უპასუხოს ნებისმიერ კითხვას, რომელსაც სტუდენტი დაუსვამს. პროფესიული განვითარების პროგრამებს შეუძლიათ მასწავლებლებს საშუალება მისცეს, გააფართოვონ ცოდნის ბაზა სხვადასხვა საგნობრივ სფეროებში. რაც უფრო მეტ პროფესიულ განვითარებას განიცდის მასწავლებელი, მით უფრო მეტ ცოდნას და დარგის ცოდნას იძენს იგი.

საკვანძო სიტყვები: განათლება, კარიერა, პედაგოგების კვალიფიკაცია, სწავლება, ახალი მეთოდები, სტუდენტები, ტრენინგები.

**შესავალი**

მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები პირდაპირ კავშირში არიან მაღალი ხარისხის განათლებასთან.

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით მასწავლებელმა უნდა იცოდეს პედაგოგიკის ძირითადი პრინციპები, აუცილებელია გათვითცნობიერებული იყოს თუ როგორ უნდა გამოიყენოს თავისი ცოდნა სწორედ, რათა სტუდენტებთან უმაღლეს შედეგზე გავიდეს. სწავლების თეორიების ნაწილში

აუცილებელი მოთხოვნაა, რომ მასწავლებელი გარდა პედაგოგიკის კურსისა ფლობდეს სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ორიენტირებული იყოს თითოეული სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე. სტანდარტი მკაცრად განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებელის ვალდებულებებსა და მისი უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას. კერძოდ: მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს პროფესიული განვითარებისა და თვითშეფასებისათვის, იყენებდეს სხვადასხვა საშუალებებს და რესურსს, ეცნობოდეს ტექნოლოგიურ სიახლეებს და ინოვაციებს, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას, თანამშრომლობდეს დამსაქმებლებთან, სასწავლებლის ადმინისტრაციისა და სოციალურ პარტნიორებთან.

**ძირითადი ნაწილი**

საქართველოში დაბალია დაფინანსების ოდენობა განათლებაზე, მეცნიერებაზე,ჯანდაცვასა და კულტურაზე, ქვეყანაში ბოლო ათი წლის განმავლობაში განთლებაზე საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 2.9% იხარჯებოდა ამ მიმართულებით, როცა ევროპაში ეს მაჩვენებელი 6%ია. საქართველოს რეიტინგი მსოფლიოს 153 ქვეყანას შორის 119-ე ადგილი იყო. განათლების, მეცნიერებისა და პროფესიული მომზადებისათვის სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2017 წლის განმავლობაში გამოყოფილმა სახსრებმა ამ უკანასკნელის 10.9% შეადგინა (მათ შორის პროფესიულ განათლებაზე 3,04%), საშუალოდ ევროპის ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი კი 11.0-12.0%-ს შორის მერყეობს.

ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს რომ ზოგადად განათლებასა და განსაკუთრებით პროფესიულ განათლების სისტემის ხარისხს უპირატესად (70% და მეტი) მასწავლებლების მომზადების დონე და კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი განსაზღვრავს. მასწავლებლები და ტრენერები არა მარტო ხელს უწყობენ პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე მოდერნიზირებისა და რეფორმირების პროცესს, არამედ შეუძლიათ უზრუნველყონ მაღალი ინოვაციური განვითარება. სწორედ ამიტომაა, რომ ბოლო წლებში მასწავლებლების, ტრენერების მომზადების დონისა და კომპეტენტურობის ხარისხი ევროკომისიის მუდმივი ყურადღების ცენტრშია და იგი „ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის სტრატეგიულ მიზნად მიიჩნევა“ [European Commission. COM (2010)

მასწავლებელთა განათლებისა და ტრენინგის საწყისი პროგრამებმა უნდა მისცეს შესაძლებლობა (მომავალ) პროფესიული განათლების მასწავლებლებს განავითარონ საჭირო პედაგოგიური და პროფესიული უნარ-ჩვევები, საბაზისო, ციფრული და რბილი უნარ-ჩვევებთან ერთად. არსებობს მრავალი ინიციატივა პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის ძლიერი პედაგოგიური უნარების გასაუმჯობესებლად. რამდენიმე ქვეყანა უზრუნველყოფს მიზანმიმართულ ფინანსურ მხარდაჭერას, რათა დაეხმაროს მომავალ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ისარგებლონ მასწავლებელთა საწყისი განათლება და ტრენინგიის (ITET) პროგრამით. საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებებმა უნდა განაახლონ კურიკულუმი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, ითანამშრომლონ პროფესიული განათლების დაწესებულებებთან, რათა შესთავაზონ მასწავლებელთა პრაქტიკული ტრენინგი და განავითარონ კვლევა და ინოვაციები პედაგოგიურ მიდგომებში. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის შესაძლებლობების შეთავაზება ინდუსტრიაში, განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც არ აქვს ინდუსტრიის გამოცდილება.

პროფესიული განათლების მასწავლებლებს ასევე სჭირდებათ ტრენინგზე წვდომა მასწავლებლის პროფესიაში შესვლის შემდეგ, რათა უზრუნველყონ მათი უნარები და ცოდნის განახლება.იმისათვის, რომ გაიზარდოს მონაწილეობა პროფესიულ განვითარებაში (PD), ქვეყნებმა უნდა განიხილონ ჩართულობა და კოორდინაცია მრავალ დაინტერესებულ მხარესთან, რათა ხელი შეუწყონ ტრენინგს და მონაწილეობას, მათ შორის პროფესიული განათლების დაწესებულებების, მასწავლებელთა და სკოლების ქსელები, ადგილობრივი კომპანიები, უნივერსიტეტები და სხვა შესაბამისი ასოციაციები. ეფექტური და მოქნილი მასწავლებელთა საწყისი განათლებისა და ტრენინგის პროგრამების შემუშავება პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის დარგის ცოდნისა და პედაგოგიური უნარების გასავითარებლად და პროფესიული განვითარების შესაბამის შესაძლებლობებში მონაწილეობის გაზრდა.

**დასკვნა**

პროფესიული განათლების მასწავლებლებს ასევე სულ უფრო მეტად სჭირდებათ თავიანთი სტუდენტების ციფრული და რბილი უნარების

განვითარება, რადგან ისინი სულ უფრო მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. ამისათვის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს ამ უნარების განვითარებას. მათ ასევე უნდა ჰქონდეთ ძლიერი ციფრული უნარ-ჩვევები, რომ შეძლონ ახალი ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში და შეინარჩუნონ ტემპი ტექნოლოგიურ სიახლეებთან სამუშაო ადგილზე.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. QUEENS UNIVERSITY OF CHARLOTTE-THE IMPORTANCE OF PROFESSIONAL DEVELOPMENT FOR EDUCATORS
2. საქსტატიhttps://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
3. ჯანდაცვის სტატისტიკა- www.mof.ge; (2011-2015):1
4. S. McGrath, J. (ed.) (2019), The importance of VET teacher professionalism: An Australian case study, Springer.
5. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფციის პროექტი
6. კვირკველია ე.-პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების კვლევა


## Teacher Professional Development


***Tinatin Iashvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Nino Tavzarashvili, PhD student***
***Georgian Technical University***



### Summary

Education is a never-ending process. It doesn’t stop after earning a degree and starting a career. Through continuing education, career-minded individuals can constantly improve their skills and become more proficient at their jobs. In the field of K-12 education administration, it is particularly important for school administrators to encourage teachers to pursue professional development, not only to ensure the best learning outcomes for their students but also to be more effective and satisfied in various other aspects of their work.

When educators discover new teaching strategies through professional development, they are able to go back to the classroom and make changes to their lecture styles and curricula to better suit the needs of their students. However, these changes are hard to evaluate because they are typically implemented gradually. Professional development for teachers makes them more efficient in their presentations and course evaluations by exposing educators to new delivery methods, evaluation styles and record-keeping strategies.

In addition to the hours spent presenting in the classroom, much of teachers’ time is spent on student evaluations, curriculum development and other paperwork. Professional development training can help teachers to become better at planning their time and staying organized. This ultimately makes teachers more efficient and gives them extra time to focus on students rather than the paperwork.

Teachers and trainers need continued professional development to keep both sets of professional expertise up-to-date and improving – and to maintain a balanced dual identity. For the first pedagogical aspect, this may involve learning new approaches to formative assessment, new ways of using technology to ensure inclusive approaches to teaching or reflecting on their practice through peer observation. For the second, this may involve learning to use latest technological advances in the workplace, or developing understanding of new pressures facing their industry due to, for example, globalisation. There are various challenges teachers and trainers face in prioritising continued professional development when faced with the numerous pressures of college life.

# სასკოლო განათლების შეფასების პოლიტიკა

*ნატალია ჭყონია, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*თამარ ქობჩაძე, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ას წელზე მეტია მსოფლიო ფიქრობს სასკოლო განათლების უნივერსალურ ხელმისაწვდომობაზე. ტექნოლოგიური ინოვაციების ეპოქაში ცვალებადი, არასტაბილური სამყაროსთვის საჭიროა მთლიანი საგანმანათლებლო პროცესის რესტრუქტურიზაცია. საზოგადოებას საკუთარი მიზნების ფორმულირება, სხვადასხვა საშუალებებისა და რესურსების თავმოყრა და საკუთარი თავის გონივრული მიმართულებით განვითარება მხოლოდ ადეკვატურ შეფასებაზე დაფუძნებული განათლების გზით შეუძლია. განათლება სოციალური პროგრესისა და გარდაქმნის ფუნდამენტური მეთოდია. თანამედროვე სამყაროს მართვას კი მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება შეძლებს, რომელსაც შესწევს უნარი სწორად შეაფასოს არა მხოლოდ განვლილი გზა, ისტორიის გადმოსახედიდან, არამედ მიმდინარე პროცესებიც.

ქართულ სინამდვილეში XXI საუკუნე მკაცრი გამოწვევებით შემოვიდა: ახლანდელ თაობას, მტკივნეულ, მაგრამ ამასთანავე საინტერესო და მეტად საპასუხისმგებლო დროში მოგვიწია ცხოვრება. დღეს ჩვენივე ხელით პროექტდება და შენდება ჩვენი და ჩვენი შვილების ისტორიული ნავსაყუდელი, სადაც უნდა დავპატიჟოთ მომავალი თაობები. საერთაშორისო გლობალიზაცია საქართველოს ცხოვრების ყველა ასპექტში და ფორმირებადი ქართული საზოგადოება პირისპირ დგანან. რთულია ამ სწრაფადცვალებადი პროცესების მყისიერი შეფასება, თუმცა მის გარეშე წარმოუდგენელია ვუპასუხოთ კითხვას: ვინ ვიქნებით ხვალ, შეძლებს კი ქართული სახელმწიფო დაიმკვიდროს მყარი ადგილი გლობალურ სამყაროში?! საზოგადოების ცოდნის მიღების პროცესის შეფასება განათლების საყოველთაო მართვის მძლავრი ინსტრუმენტია, მისი მეშვეობით შეიკრიბება ინფორმაცია განათლების შინაარსისა და სწრაფადცვალებად რეალობასთან ადაპტაციისთვის ნაციონალურ და საერთაშორისო კონტექსტში. საჭიროა შემუშავდეს და დაინერგოს სკოლის შეფასების მკაფიო და მრავალფეროვანი კრიტერიუმები, რათა ზოგადი განათლების ყოველ საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საგანმანათლებლო სისტემას მიეცეს არა მარტო შედეგების,

არამედ პროცესის მონიტორინგისა და განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირების შესაძლებლობა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ოქროს შუალედის მოძიებას განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის პროცესში და საქართველოს ზოგადი განათლების ჰარმონიზაციას უმაღლესი განათლების პრინციპებთან.

საკვანძო სიტყვები: ზოგადი განათლება, განმავითარებელი შეფასება, ერთიანი ეროვნული გამოცდები (ეეგ), ავტორიზაცია.

**შესავალი**

საკაცობრიო გამოცდილებით, განათლება მეცნიერებისა და ხელოვნების ყველაზე სრულყოფილ ერთობას ქმნის, სკოლა კი არა მხოლოდ ინდივიდთა მწვრთნელია, არამედ ის საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირების გეზისმიმცემი და მონაწილეა. ამდენად უმნიშვნელოვანესია სკოლის მოსწავლეთათვის თანაბარი შესაძლებლობების შესაქმნელად გამოიძებნოს რეგულირების ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც სასწავლო დაწესებულებები უზრუნველყოფილნი იქნებიან ინფორმაციით საკუთარი მუშაობის ეფექტურობასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა ადეკვატური შეთავსების თაობაზე, როგორც ნაციონალურ, ისე რეგიონულ დონეზე.

**ძირითადი ნაწილი**

მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მ. ყაუხჩიშვილის და დ. უზნაძის სკოლები ავითარებდა სწავლა-აღზრდის მოწინავე იდეებს. როგორც სწავლა, ასევე, სკოლის მართვა, ეფუძნებოდა ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და მეცნიერულად დამტკიცებულ პრინციპებსა და სწავლების ინოვაციურ მეთოდებს. სკოლა პრიორიტეტად ისახავდა მოსწავლის ინდივიდუალობის გათვალისწინებას, მოსწავლეთა ემოციურ აღზრდას, ესთეტიკისა და ხელოვნების სწავლებას. დღევანდელი გადასახედიდანაც კი ყოველმხრივ (მართვის და სწავლების

თვალსაზრისით) ინოვაციური და პროგრესული იყო მარიამ ყაუხჩიშვილის („ქართველი მონტესორის“ [1]) და დიმიტრი უზნაძის სკოლები. მათ ინოვაციურ და პროგრესულ ასპექტებს შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია უნიშნო სწავლების/შეფასების სისტემა. მათი აზრით, ნიშნებით შეფასება დაბრკოლებას უქმნიდა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის „ნდობისა და სიყვარულის ატმოსფეროს შექმნას“ (უზნაძე, 1915). [2] იგი მასწავლებლებს სთავაზობდა შეფასების განსხვავებულ ფორმატს, სადაც ისინი თავის რვეულებში ინიშნავდნენ ინფორმაციას მოსწავლეთა წარმატება-წარუმატებლობის შესახებ და თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომით (რაც მაშინდელი სისტემისთვის სრულიად უცხო იყო) გაანალიზების საფუძველზე აძლევდნენ რეკომენდაციებს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. (განმავითარებელი შეფასება)

სასწავლო მიზნები, რომელთაც მისდევდა უზნაძისა და ყაუხჩიშვილის სკოლა, 21-ე საუკუნეშიც მეტად აქტუალურია. დღეს განათლება საზოგადოების არათუ უკეთესი ხარისხით ცხოვრების, არამედ გადარჩენის პირობაა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ პროცესის პარამეტრების გაკონტროლება.

2019 წლის 19 ნოემბერს გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) საქართველოში და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), საქართველოს განთლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად, გამართა კვლევის პრეზენტაცია: „შეფასებები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში“.[3]

კონტექსტის განხილვის შემდეგ OECD-მ თავის ანგარიშში[4] შეაფასა საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები, მათ შორის სასკოლო სისტემა უნივერსიტეტამდე. ასახა დაინტერესებულ მხარეთა პოზიციები და შემოგვთავაზა ქვეყანაზე მორგებული პოლიტიკის კონკრეტული რეკომენდაციები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებული მტკიცებულებებისა და გამოცდილების საფუძველზე.

მიმოხილვამ გამოავლინა, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა საგანმანათლებლო შედეგების თვალსაზრისით, თუმცა ეს პროგრესი საქართველოში მოსახლეობის ყველა ჯგუფს თანაბრად არ შეეხო: მოსწავლეები ქალაქად უსწრებენ თანატოლებს სოფლად; სოციალურ-ეკონომიკურად პრივილეგირებული მოსწავლეები უსწრებენ თავიანთ სოციალურად დაუცველ თანატოლებს; ხოლო, ის მოსწავლეები, რომლებიც შინ ქართულად ლაპარაკობენ, უსწრებენ თავიანთ თანატოლებს, რომელთა მშობლიური ენა ქართული არ არის. სავალდებულო განათლებაში მონაწილეობა გაიზარდა, თუმცა ბევრი მოსწავლე ტოვებს განათლებას საბაზო და საშუალო საფეხურებს შორის. ამავე ორგანიზაციის მიერ ჩვენი ქვეყნის მიმართ გაწეული რეკომენდაციებით ზოგად განათლებაში შეფასების შიდა სისტემა უნდა განვითარდეს იმისთვის, რომ გამოავლინოს დაბალი და უთანასწორო მიღწევების სფეროები და გადაჭრას ეს გამოწვევები. კერძოდ, მოსწავლეთა შეფასებამ უფრო ზუსტად უნდა განსაზღვროს მოსწავლის მიღწევები, უნდა შემუშავდეს და განვითარდეს სკოლის შეფასების ჩარჩო, რათა სისტემას მიეცეს სკოლების მონი ტორინგისა და მათი შედეგების განმავითარებელ შე დეგებთან დაკავშირების შესაძლებლობა.

ერთ-ერთი რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს ერთი გამოცდის მოდელისთვის მომზადების საჭიროებაზე, რომელშიც ერთი ტესტის საშუალებით მოხდება განათლების საშუალო საფეხურის დასრულების დადასტურება და ასევე მოსწავლეთა შერჩევა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩასარიცხად. (მიმოხილვა ეყრდნობა OECD-ის რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს საქართველოს ზოგადი განათლების, მათ შორის სასკოლო სისტემის საერთაშორისო პერსპექტივიდან შეფასებას და გვთავაზობს ანალიზს რომელიც რელევანტურია საქართველოს განათლების პოლიტიკისათვის.)

მსოფლიოში განათლების ინდექსი სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლებით განისაზღვრება. სტატისტიკური მონაცემები ყოველწლიურად გვაწვდის ინფორმაციას იმ სახელმწიფოების რეიტინგზე, რომლებიც მსოფლიოში წამყვან პოზიციებს იკავებენ მიწოდებული განათლების დონის მიხედვით. არ არსებობს ქვეყნების სია, რომელიც გვთავაზობს ცალსახად საუკეთესო ან ყველაზე ცუდ განათლებას. იმის დასადგენად, თუ რომელ ერებს აქვთ საუკეთესო განათლების სისტემები ორგანიზაციები, სამეცნიერო ცენტრები და პუბლიკაციები იყენებენ სხვადასხვა მაჩვენებლებს (მაგ: წერა-კითხვის და რაოდენობრივი მსჯელობის უნარები ან დამამთავრებელი კურსის მაჩვენებელი და ა.შ.)

შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც მიემართება ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე - სწავლის პროცესზე, მეორე მხრივ, სწავლის ხარისხის გაკონტროლებაზე - სწავლის შედეგზე. ამიტომ გამართული შეფასების სისტემა განვითარებულ ქვეყნებში ხარისხიანი

განათლების მართვის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია და საგანმანათლებლო სტრუქტურების ცენტრალურ საყრდენად მიიჩნევა. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასებები მოსწავლეთა/სტუდენტთა სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია, ხოლო შიდა სასკოლო/საუნივერსიტეტო თუ ცენტრალიზებული შეფასებები მიემართება სწავლის ხარისხის გაკონტროლებაზე - სწავლის შედეგზე. იგი წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების საფუძველს, როგორიც არის მოსწავლეების კლასიდან კლასში გადაყვანა, სწავლის ეტაპის დამამთავრებელი სერტიფიკატის გაცემა, შემდეგ საფეხურზე სწავლების გაგრძელების უფლების მოპოვება და ა. შ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ზოგადი განათლების დამთავრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და უნივერსიტეტში მიღების მრავალგვარი პროცედურა არსებობს. ერთიანი ეროვნული გამოცდები (ეეგ) საქართველოში პირველად 2005 წელს ჩატარდა და მის უმთავრეს მიზანს უნივერსიტეტებში მისაღებ სისტემაში ღრმად ფესვგადგმული კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა წარმოადგენდა. უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებული მისაღები გამოცდების სისტემა ცენტრალიზებულად ჩატარებულმა სტანდარტიზებულმა ტესტირებამ ჩაანაცვლა.

2005 წლიდან არაერთხელ შეიცვალა გამოცდების რაოდენობა, მინიმალური კომპეტენციის

ცხრილი1. მსოფლიოს ქვეყნებში უნივერსიტეტში მიღების სისტემების ტიპოლოგია [5].

| | |
|---|---|
| 1-ლი ტიპი: სკოლის გამოსაშვები გამოცდები | |
| მხოლოდ გამოსაშვები გამოცდის ქულა | ავსტრია, საფრანგეთი, ირლანდია, ეგვიპტე |
| გამოსაშვები გამოცდის ქულა და ზოგიერთი უნივერსიტეტის მიერ დაწესებული დამატებითი მოთხოვნები, ან გამოცდა | იტალია, ესტონეთი, სლოვენია |
| გამოსაშვები გამოცდის ქულა და სააპლიკაციო პორტფოლიო | გაერთიანებული სამეფო |
| რეგიონული გამოცდის შედეგი და სასკოლო შეფასება | ავსტრალია |
| მე-2 ტიპი: უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები | |
| მხოლოდ ცენტრალური მისაღები გამოცდები ქულები | ჩინეთი, ირანი, რუსეთი |
| მისაღები გამოცდის ქულები სასკოლო შეფასებასთან კომბინაციაში | თურქეთი, ესპანეთი |
| მხოლოდ საუნივერსიტეტო გამოცდების ქულები | არგენტინა, პარაგვაი |
| საუნივერსიტეტო გამოცდები სასკოლო შეფასებასთან | ერთად ბულგარეთი, სერბეთი |
| მე-3 ტიპი: სტანდარტიზებული უნარების ტესტი | |
| სტანდარტიზებული უნარების ტესტი, ან სასკოლო შეფასება | შვედეთი |
| სტანდარტიზებული უნარების ტესტი სასკოლო შეფასებასთან და აპლიკანტის პორტფოლიოსთან კომბინაციაში | აშშ |
| მე-4 ტიპი: რამდენიმე გამოცდის კომბინაცია | |
| ცენტრალიზებული სტანდარტიზებული გამოცდა, პლიუს უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებული გამოცდები | იაპონია, საფრანგეთი (grandes ecoles) |
| ცენტრალიზებული გამოცდა, უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებული გამოცდები და სკოლის შეფასება | ბრაზილია |
| ცენტრალიზებული სასკოლო გამოცდის შეფასება და უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებული გამოცდა | ფინეთი |
| სტანდარტიზებული სკოლის გამოცდები და სტანდარტიზებული უნარ-ჩვევების ტესტი | ისრაელი |
| სტანდარტიზებული სკოლის გამოცდები, სტანდარტიზებული უნარ-ჩვევების ტესტი და დამატებითი კრიტერიუმები | აშშ-ის ზოგიერთი შტატი |
| სტანდარტიზებული უნარების ტესტი და სტანდარტიზებული საგნობრივი მისაღები გამოცდები | საქართველო |
| მე-5 ტიპი: მიღება გამოცდის გარეშე | |
| სკოლის მიმდინარე შეფასების საფუძველზე | ნორვეგია, კანადა |
| პორტფოლიოს საფუძველზე | ზოგიერთი უნივერსიტეტი აშშ-ში |

ზღვრები, სახელმწიფო გრანტის გაცემის წესი, ტესტების სტრუქტურა, შინაარსი, გამოცდების ორგანიზების წესები. 2010-11 წლიდან დაინერგა ცენტრალიზებული სასკოლო გამოსაშვები გამოცდები რომლის საფუძველზეც გაიცემოდა საშუალო განათლების ატესტატი.

ზოგადად, ტესტები შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: კრიტერიუმზე დაფუძნებული, რომელიც აფასებს მოსწავლის მიღწევებს წინასწარ განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებაში და ნორმაზე დაფუძნებული, რომლის მიზანია ერთმანეთს შეაჯიბროს მონაწილეები. ასეთი ტიპისაა, მაგალითად, აშშ-ში ზოგადი უნარების ტესტები (SAT). კრიტერიუმზე დაფუძნებულ ტესტს ძირითადად სერტიფიკატის გასაცემად იყენებენ, ხოლო ნორმაზე დაფუძნებულს - საუკეთესოების შესარჩევად. სასკოლო გამოსაშვები გამოცდები, რომლებიც ბევრ ქვეყანაში ტარდება, ძირითადად კრიტერიუმებზეა დაფუძნებული, ხოლო ეეგ - ნორმაზე დაფუძნებულია.

ორივე ტიპის - სასერტიფიკატო და სასელექციო ტესტი ერთად ძალიან იშვიათად ტარდება. ჩვენი ქვეყანა იყო ერთადერთი სადაც, როგორც მისაღები, ისე გამოსაშვები გამოცდები ცენტრალიზებულად ტარდებოდა (ცხრილი1).

საქართველოში არსებული გამოცდების სისტემის კრიტიკოსები ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ შემდეგ საკითხებზე:

- გამოცდების რაოდენობა და ამით გამოწვეულ სტრესი მოსწავლეებში
- სწავლის პროცესის საგამოცდო ტესტებზე ორიენტირება
- ტესტების (განსაკუთრებით სკოლის გამოსაშვები გამოცდების) ფოკუსირება ინფორმაციის რაოდენობაზე და არა გააზრებაზე
- სკოლის როლის შესუსტება
- სტუდენტების შერჩევის პროცესში უნივერსიტეტების მინიმალური ჩართულობა.

2018 წელს საქართველოს განათლების სექტორში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული შეფასების სისტემების ანალიზის შედეგად ორგანიზაციის ექსპერტებმა დასკვნეს, რომ საქართველოში არსებული გამოცდების სისტემა (როდესაც სტანდარტიზებულად ტარდებოდა როგორც სკოლის, ასევე უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები) არაეფექტური იყო და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გადახედვას საჭიროებდა. სპეციალური კვლევებისა და შესაბამისი კონსულტაციების საფუძველზე მომზადდა ცვლილებები, რომლის შედეგად 2019 წლიდან მოიხსნა სასკოლო გამოცდები. რეფორმის ავტორები განსაკუთრებულ აქცენტს უნივერსიტეტების ავტონომიის გაფართოებაზე აკეთებდნენ: უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია როგორც გამოცდის დამატება, ასევე ამა თუ იმ მიმართულების პრიორიტეტებიდან გამომდინარე, თითოეული საგამოცდო საგნისთვის ბარიერის განსაზღვრა. მისაღებ გამოცდებს კი ისევ ცენტრალიზებული ფორმით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს. ამდენად, რეფორმის შედეგად მივიღეთ ქართული სასკოლო სისტემის ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი - შეფასების სისტემის არარსებობა: არ გვაქვს სკოლის ინდივიდუალური ვალდებულებებისა და მხარდაჭერის გამართული სისტემა, რომელიც სკოლებს გაუჩენს მოტივაციას, რომ მაღალი ხარისხის განათლება მისცენ მოსწავლეებს და დაეხმარება ამ კუთხით არსებული პრობლემების გადაჭრაში. ხარისხის მოთხოვნას სკოლების მიმართ მხოლოდ დეკლარატიული ხასიათი აქვს. სახელმწიფო და საზოგადოება ითხოვს სკოლისგან მაღალი ხარისხის განათლებას თუმცა ხარისხის, ანუ განათლების პროცესისა და ამ პროცესის შედეგის კონტროლის მექანიზმები სკოლის დონეზე არ არსებობს. ტარდება კვლევები, ადგილობრივი თუ საერთაშორისო შეფასებები, რომლებიც სწავლობს სისტემის მიერ ნაწარმოებ შედეგებს, მაგრამ არ გვაქვს ობიექტური ინფორმაცია თუ რა ხდება კონკრეტულ სკოლაში. შესაბამისად იძლევა თუ არა კონკრეტული სკოლა რაიმე შედეგებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილ მიზნებთან მიმართებაში უცნობია.

OECD-ს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის თანახმად, საქართველოში მართებული იქნება 5-10 წლის ვადაში ისეთი სკოლის გამოსაშვები გამოცდების დანერგვა, რომლის შედეგების გამოყენებაც შესაძლებელი იქნება უნივერსიტეტში. მათი რეკომენდაციით, ასეთი გამოცდების რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს (3, ან 4), უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო გეგმას და ფართო კომპეტენციებს ზომავდეს

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა აბსოლუტური უმრავლესობის მოსაზრებით, ორი ტიპის ტესტის - სასერტიფიკატო და სასელექციო ტესტების - გაერთიანება შესაძლებელია, თუმცა სარისკოა, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება გამოცდამ ვერც ერთ მიზანს ვერ მიაღწიოს. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მოდელს არჩევენ, რომელთაგანაც არც ერთი არ არის იდეალური და მუდმივი კრიტიკის ობიექტია.

ქართული კანონმდებლობის თანახმად, ქვე-

ყანაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი - ავტორიზაცია, რომელსაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს. ავტორიზაციის მიზანს წარმოადგენს დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება და მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. საქართველოს ყველა სკოლაში დებულებით გათვალისწინებულია სამი სტანდარტი: საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასება. სკოლებს შესაბამისი ეტაპების გავლის შემდეგ 6 წლის ვადით ენიჭებათ/ან არ ენიჭებათ საქმიანობის უფლება. „საჯარო სკოლების ავტორიზაციის ვადა რიგი რეალური მიზეზების გამო 2026 წლამდე [6] გადავადდა, ხოლო სახელმწიფოს დაევალა მათი ეტაპობრივი ავტორიზაცია." რაც შეეხება კრიტერიუმებს, ავტორიზაციის სტანდარტების ანალიზისას ადვილად შესამჩნევია, რომ იგი ორიენტირებულია ფორმალურ შეფასებაზე და იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას, რაც პროცესსაც ფორმალურს ხდის. ხარისხის განვითარების ცენტრის ვებგვერდზე ზოგად განათლების საკითხებისგან განსხვავებით, უმაღლეს და პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით მუდმივად ქვეყნდება სიახლეები და კონკრეტული აქტივობები. აშკარაა, რომ ქართული სკოლა ჯერ კიდევ არაა აღჭურვილი შეფასების ქმედითი ინსტრუმენტებით.

**დასკვნა**

ხარისხიანი განათლება გულისხმობს მრავალფეროვნებას და არა ადამიანების ერთ ყალიბში ჩამოსხმას. ყველას ერთსა და იმავე გამოცდისთვის თუ მოვამზადებთ, მაშინ ვკარგავთ მოსწავლეების პიროვნულ განვითარებას. იმისათვის, რომ სკოლამ განათლების უკეთესი ხარისხის უზრუნველყოფა შეძლოს მნიშვნელოვანია, შეიცვალოს ხარისხის ორიენტირები: მოსწავლეს უნდა დაუფასდეს, ფართო ერუდიცია, ყოველდღიური და მრავალწლიანი მუშაობა, გამოცდილება, ნებისყოფა და ა.შ. სანამ განათლების ხარისხის მთავარი საზომი მხოლოდ მისაღები გამოცდების შედეგები იქნება, სასკოლო განათლების სისტემა ვერ გახდება მაღალი ხარისხის განათლების მიმცემი. უკეთესი იქნება, შეფასების სისტემა ნაკლებად ცენტრალიზებული იყოს და ჩარიცხვებისას უნივერსიტეტებს მეცეთ მრავალფეროვანი კრიტერიუმების შერჩევის მეტი შესაძლებლობა. გამოცდა იყოს ერთ-ერთი და არა ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი უმაღლესებში მიღების დროს. დანარჩენი შეიძლება იყოს უნივერსიტეტების მიერ დაწესებული კრიტერიუმები: სკოლაში მიღებული შედეგები, სკოლის გარეთ მიღებული გამოცდილება, მიღწევები და ა.შ. რეფორმის სხვადასხვა მოდელებს შორის ყველა პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, გონივრულია ყურადღების გამახვილება პოგროუს (Pogrow) გაფრთხილებაზე: „ის ინოვაციები უძლებს დროს, რომელიც თავისი არსით ძლიერ სტრუქტურულია, ადვილად ექვემდებარება მონიტორინგს, ან ქმნის ახალ მხარდამჭერებს" [7].

ამდენად, უმნიშვნელოვანესია ზოგადი განათლების მწყობრი და მიზანზე ორიენტირებული შეფასების სისტემის შექმნა, რომლის უქონლობაც ჩვენი სასკოლო განათლების უმთავრესი ნაკლია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. სკოლის მართვა 2021-2 http://mastsavlebeli.ge/wpcontent/uploads/2021/07/SKOLIS-MARTVA-2021-2.pdf
2. სკოლის მართვა 2021-1 http://mastsavlebeli.ge/wpcontent/uploads/2021/03/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%901.pdf
3. OECD-ის ანგარიში 2019 https://clck.ru/YzkSv
4. OECD-ის მიმოხილვა განათლებაში შეფასებისა და ატესტაციის სისტემების შესახებ https://clck.ru/TPrim
5. სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში2019. კვლევის ანგარიში მომზადებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის კვლევის ავტორი: ლელა ჩახაია კვლევის ასისტენტი: ლიკა ზაალიშვილი გვ.52 https://clck.ru/Yzn6J
6. ახალი განათლება. სკოლების გადავადებული ავტორიზაცია და ახალი სტანდარტი, რომელიც დიფერენცირებულ მიდგომებს ითვალისწინებს. 30 იანვარი, 2020, 19:04 https://clck.ru/Yzkzx

7. ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლაში. მეშვიდე გამოცემა https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/lideroba-da-administrireba-skolashi-richard-gortoni-judi-a.-alstoni-petra-i.-snoudoni.pdf გვ.285
8. N13, 2017. Naec.ge ზოგადი განათლების პრობლემები გვ.5-9 https://naec.ge/uploads/postData/Jurnal/N13/1.pdf

## School Education Evaluation Policy

***Natalia Tchkonia, PhD student***
***Georgian Technical University***

***Otar Kochoradze, Professor***
***Georgian Technical University***

### SUMMARY

For over a hundred years the world has been thinking about creating universal accessibility for school education. In the age of technological innovation, the unstable world needs to restructure the whole educational process. The society can formulate it's own goals, gather different means and resources and develop itself in a reasonable direction only through sufficient evaluation. Education is a fundamental method of social progress and transformation.The modern world can only be managed by a progressive society which has the ability to accurately assess the past, from the perspective of history and the current processes as well.

In the reality of Georgia , the XXI century came with severe challenges: the current generation, had to live in a painful, but also interesting time, which demands responsebility from them. Today we are designing and building our and our children 's historical basis, where we must invite future generations. International globalization is in all aspects of Georgian life and the Georgian progressing society. It is difficult to instantly evaluate these rapidly changing processes, but without this it is impossible to answer the question: who will we be the future , will Georgia be able to establish a solid place in the global world?! Evaluation of the public knowledge is a powerful tool for managing education system.

This can gather information about the meaning of education and the adaptation for the unstable reality, in a national and international context. We need to create and implement clear and diverse evaluation for schools. This will enable the system to connect to the outcomes and also monitoring the process and developing evaluation at each level of general education (primary, basic, secondary). Accordingly, the middle ground between decentralization and centralization will be found and the national system of general education will be harmonized with the principles of higher education.

keywords: General education, Developmental Assessment, Unified National Examinations (UNE), Authorization.

# მობინგი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მისი პრევენცია

*ივანე ჯაგოდნიშვილი, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*მარინე ბერძენაძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებელთა შორის მობინგის გამოვლენის მიზეზები და ფორმები. წარმოდგენილია აღნიშნული მოვლენის მიზეზების ძირითადი ტიპები და სამუშაო ადგილებზე ფსიქოლოგიური ტერორის (ჰორიზონტალური, ვერტიკალური, "სენდვიჩის მობინგი" და ინსტიტუციური) განხორციელების მექანიზმები. გამოვლენილია მობინგის ძირითადი კონცეპტუალური ნიშნები უნივერსიტეტში, ტიპური ვერბალური და არავერბალური ტექნიკა. ყურადღება გამახვილებულია მობინგის შედეგებზე არა მხოლოდ ცალკეული თანამშრომლის, არამედ მთლიანად უნივერსიტეტისთვის. მოცემულია უნივერსიტეტის მენეჯმენტისთვის ფსიქოლოგიური ტერორის პრევენციისა და, ასევე, მსხვერპლის მდგომარეობიდან გამოსვლის ზოგადი რეკომენდაციები მობინგის ობიექტებისთვის.

ბოლო ათეული წლების განმავლობაში საქართველოში მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმები, ზოგიერთი უნივერსიტეტის სტატუსის ცვლილება, მრავალსაფეხურიან სწავლებაზე გადასვლის პარალელურად მასწავლებელთა დატვირთვის შემცირება ზევრ სასწავლო დაწესებულებაში ფსიქოლოგიური კლიმატის გამწვავების მიზეზი გახდა. ინოვაცია თითქმის ყოველთვის კონფლიქტურია, ის არღვევს ორგანიზაციაში არსებულ ბალანსს. კოლეგებს შორის (ჰორიზონტალური) მობინგის პრობლემა, რომელიც ადრე უფრო დამახასიათებელი იყო სკოლებისთვის, აქტუალური გახდა საქართველოს უნივერსიტეტებისთვისაც, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონცენტრირებულია გაცილებით მაღალი პიროვნული, მოტივაციური, განათლებული და კულტურული ადამიანური რესურსი.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში უნივერსიტეტების ზოგიერთ მასწავლებელთა თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია არა მხოლოდ სამუშაო საათების დატვირთვის შემცირების, არამედ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ რეალური საფრთხე, პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი მუდმივად სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება. არსებული მდგომარეობა მათგან მაღალ ადაპტაციურ პოტენციალს მოითხოვს.

მობინგ სიტუაციის გაჩენის საერთო გარეგანი ნიშანია დაპირისპირებული მხარეების სოციალური ურთიერთქმედებისას თვითკონტროლის დაკარგვა, რაც შეიძლება გამოიხატოს შიშით, ბრაზით, სუსტსულოვნებით (ტირილით), ეჭვიანობით. მასწავლებელს არ აქვს რესურსი წარმოქმნილი ფრუსტრაციის დასაძლევად, რაც იწვევს ფსიქოლოგიურ დარღვევებსა და ფსიქოსომატურ დაავადებებს. იმედგაცრუება გადადის ღია აგრესიაში. მასწავლებელი ხშირად ვეღარ ახერხებს თავისი საქმის ხარისხიან კეთებას. შიში და ეჭვები ტანჯავს არა მხოლოდ მობინგის მსხვერპლს, არამედ თანამშრომლების ჯგუფსაც, რომლებიც ჩვეულებრივ ნეიტრალურ პოზიციაში რჩებიან. კათედრის პერსონალი სრულიად ფსიქოლოგიურად არასტაბილური ხდება, რადგან ენერგიას ხარჯავს დეპარტამენტის არა თანამედროვე სამეცნიერო და საგანმანათლებლო წარმატებაზე, არამედ მობინგთან გამკლავებაზე.

მობინგი არა მხოლოდ უნივერსიტეტის იმიჯს და რეპუტაციას ლახავს, არამედ სტუდენტების მიერ ცოდნის მიღების პროცესს აფერხებს.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებელი, მობინგი, პროფესიონალიზმი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფსიქოლოგიური ტერორი.

## შესავალი

მობინგს, როგორც დექსტრუქციულ ქცევას, ადგილი აქვს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, რაც ვლინდება თანამშრომელთა მიზანმიმართულ დევნაში, დამცირებაში, ღირსებისა და რეპუტაციის შელახვაში. შედეგად მობინგის ობიექტების პროფესიული კომპეტენციის დონის ქვეითდება, ყალიბდება ფსიქოლოგიური დარღვევები, ფსიქოსომატური დაავადებები.

მობინგის ბიოლოგიური ფესვები არსებობისათვის ბრძოლაშია. ეს არის აგრესია გადარჩენისთვის, რომელიც იგი განსაკუთრებით მწვავდება მომატებული კონკურენციისას.

უმაღლესი განათლების მოდერნიზაცია, რომელიც მიმდინარეობს ეკონომიკური კრიზისის ფონზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან მოითხოვს ფინანსური სახსრებისა და თანამშრომლების შემცირებას. ეს ერთ-ერთია, რამაც განაირობა განათლების სფეროში შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსი. სამუშაოს შესანარჩუნებლად ადამიანთა გარკვეული კატეგორია მიმართავს ქცევის დესტრუქციულ ფორმებს, რომლებიც პროვოცირებულია ინტერპერსონალური ურთიერთ-ქმედების სუბიექტების სურვილთა, მოტივაციათა, ინტერესთა, ღირებულებათა და შეფასებათა დაჯახებით. აღნიშნულის შედეგად იწყება უნივერსიტეტის თანამშრომელთაგან პოლარიზებული ჯგუფების წარმოქმნა. ეს პროცესები განსაკუთრებით გამოკვეთილია. შრომის არასწორი ორგანიზებისას.

### ძირითადი ტექსტი

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა შესაძლებელი გახადა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობინგის მრავალ მიზეზთაგან ორი ძირითადის გამოყოფა :

1) სტრუქტურული-ორგანიზაციული, რომელიც არაეფექტური საკადრო პოლიტიკის, შრომის არაეფექტური ორგანიზების შედეგია;

2) სოციალურ-ფსიქოლოგიური, რომელიც გამოწვეულია სოციალური ადაპტაციის სირთულეებით, განსხვავებული პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებით, სოციალური განსხვავებით, სამსახურის დაკარგვის შიშით, კარიერულ ზრდასთან დაკავშირებული პრობლემით, შურით, პატივმოყვარეობით, სხვის ხარჯზე საკუთარი თვითშეფასების გაუმჯობესების სურვილით. მობინგი შეიძლება გამოწვეული იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების დაძაბული და მძიმე ფსიქოლოგიური ატმოსფეროთი.

მობინგის მიზანია თანამშრომლის ან კოლეგის ფსიქოლოგიური წონასწორობიდან გამოყვანა. მობინგის შედეგად მსხვერპლის ჯანმრთელობა ილახება. ნერვულ ნიადაგზე ვითარდება დაავადებები, ჩნდება სოციალური არასრულფასოვნების შეგრძნება. მობინგი ზემოქმედებას ახდენს არამარტო ინდივიდზე, არამედ უნივერსიტეტზეც. თანამშრომელთა შრომის პროდუქტიულობა ქვეითდება, რადგან მათი დრო და ენერგია ფსიქოტერორის განხორციელებასა და, მეორე მხრივ, თავდაცვაზე იხარჯება. 1991 წელს, ბრედი ვილსონმა ჟურნალ Workforce Magazine–ში აღნიშნა, რომ "ფსიქიკური ტრავმა, რომელიც თანამშრომელმა მიიღო მობინგის შედეგად, დამსაქმებლისთვის უფრო დამანგრეველი ფაქტორია, ვიდრე ყველა სხვა სტრესი ერთად აღებული"[1].

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობინგი შეიძლება გამოვლინდეს ფსიქოტერორის განხორციელების ოთხი ძირითადი მექანიზმის საშუალებით:

1) ჰორიზონტალური - კოლექტივის ან მისი რომელიმე ჯგუფის მხრიდან კოლეგაზე განხორციელებული მობინგი, რომელსაც ხშირად უნივერსიტეტის ახალ თანამშრომლებთან მიმართებაში ახორციელებენ ისინი, ვინც დიდი ხანია ამავე დაწესებულებაში მუშაობენ. ეს შეიძლება განპირობებული იყოს სასწავლო საათებით დატვირთვის გადანაწილებით.

2) ვერტიკალური - მობინგი ხელმძღვანელსა და თანამშრომელს შორის:

ა. ზევიდან ქვევით - ბოსინგი, როდესაც ხელმძღვანელი ახორციელებს მობინგს დაქვემდებარებულზე;

ბ. ქვევიდან ზევით - სტაფინგი, როდესაც დაქვემდებარებული ახორციელებს მობინგს ხელმძღვანელზე.

ვერტიკალური მობინგი უნივერსიტეტში ყველაზე ხშირად ხდება მაშინ, როცა ჩნდება კონკურენტის მოშორების სურვილი, რათა გაათავისუფლოს გზა კარიერული კიბის ზედა საფეხურზე ასასვლელად.

3) "სენდვიჩ მობინგი"- ზეწოლა როგორც დაქვემდებარებულების, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან ხორციელდება. ასეთ მობინგს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საშუალო სტრუქტურული ერთეულების (დეპარტამენტის უფროსი, მისი მოადგილე) ხელმძღვანელენი განიცდიან, რადგან, ერთი მხრივ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც მისი ადგილის დაკავებაზე ოცნებობენ, მეორე მხრივ, უფრო მაღალი რანგის ხელმძღვანელები შიშობენ, რომ შესაძლოა, მათი ადგილი დაიკაონ კარიერული კიბის მათთან შედარებით დაბალ, მაგრამ ახლო საფეხურზე მდგომებმა.

ჩავატარეთ ონლაინ კვლევა სოციალური ქსელის „ფეისბუქის" მეშვეობით. Googl-ის გამოკითხვის სისტემის საფუძველზე დახურული და ღია კითხვებისგან შევადგინეთ კითხვარი, რომელი სხვადასხვა ჯგუფებში განვათავსეთ. კითხვარს კვლევის ეთიკის სრული დაცვით, ანონიმურად, საკუთარი სურვილით უპასუხა 18-დან 70 წლამდე

1 Brady-Wilson, C. (1991) US businesses suffer from workplace trauma, Personnel Journal, July 1991, 47–50.

385 ფეისბუქ მომხმარებელმა. აქედან 100-მა მამაკაცმა (25, 9%) და 285-მა ქალმა (74,1%).

რესპონდენტთა 35,2% აღნიშნავს, რომ მის მიმართ ზედმიწევნით 6 თვის მანძილზე ადგილი ჰქონია არავერბალურ ვერტიკალურ მობინგს ხელმძღვანელობის მხრიდან; 4,0%-ს უჭირს პასუხის გაცემა. ვერბალური ვერტიკალური მობინგის მსხვერპლად თავს მიიჩნევს 28,4%, ხოლო პასუხის გაცემა უჭირს 8,6%-ს. ჰორიზონტალურ ვერბალურ მობინგს ადგილი ჰქონია გამოკითხულთა 24,7%-ში, 5,9%-ს უჭირს პასუხის გაცემა. არავერბალურ ჰორიზონტალურ მობინგს ადგილი ჰქონია 21,4%-ში, პასუხის გაცემა უჭირს 6,8%-ს. კითხვაზე, რომრლ სფეროშია მობინგი გამოხატული, პირველ ადგილზე აღმოჩნდა განათლების სფერო (160), მეორეზე - ჯანდაცვა (100), მესამეზე - ძალოვანი სტრუქტურები (41). საგულისხმოა, რომ შვედი ფსიქოლოგის ჰ. ლეიმანის კვლევის მიხედვით, მობინგი უფრო ხშირია განათლებაში, ვიდრე პროფესიული საქმიანობის სხვა სფეროებში [Leiman, 1996].

**დასკვნა**

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, მობინგს შეუძლია უნივერსიტეტის ეფექტური საქმიანობა შეაფერხოს. უნივერსიტეტების ხელმძღვანელებს ზოგჯერ არ აქვთ გაცნობიერებული მობინგის ზეგავლენა შრომის ნაყოფიერებაზე - მობინგისგან არამარტო ობიექტები და დაწესებულება ზარალდება, არამედ სტუდენტებიც, რომლებმაც პროფესორ-მასწავლებლებისგან ცოდნა მაქსიმალურად უნდა მიიღონ.

მობინგის შედეგების პრევენცია რთული ამოცანაა, რომელიც მოითხოვს დროულ და კონსტრუქციულ გადაწყვეტილებებს უნივერსიტეტის ძალაუფლების მთელ ვერტიკალზე.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია:**

- უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ეთიკის კოდექსის შემუშავება, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად დაუშვებელი იქნება მობინგი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კორპორატიული კულტურის უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა; სანქციების დაწესება მობინგისთვის.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პირადი მაგალითით უნდა ავლენდეს იდეალური ქცევის სტანდარტებს და ამაზე ამახვილებდეს პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღებას;
- ახალი თანამშრომლის კოლექტივში შესვლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ მისი მიღების სისტემის ჩამოყალიბება; ადმინისტრაციის მხრიდან მობინგის ნებისმიერი მცდელობის მუდმივი მონიტორინგი და სწრაფი აღკვეთა.
- მობინგს არ ექნება ის ეფექტურობა, როგორი ეფექტურობის იმედიც აქვს სუბიექტს, თუ ობიექტის სიმწიფე განისაზღვრება ისეთი ინტეგრაციული მახასიათებლით, როგორიცაა პროფესიონალიზმი. პროფესიონალიზმს შეუძლია უზრუნველყოს პიროვნების სტაბილურობის შენარჩუნება გარემოს მავნე ზემოქმედების წინაშე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Zuschlag, B. Mobbing: bullying at workplace
2. https://books.google.ge/books?id=4KrRzxPnEqYC&lpg=PA3&dq=Meyers%20Grosses%20Taschenlexikon%20%20mobbing&pg=PP1#v=onepage&q=Meyers%20Grosses%20Taschenlexikon%20%20mobbing&f=false. seen [12.04.2021]
3. Leymann H. Mobbing and psychological terror at workplaces // Violence and Victims. 1990. N5.P.19–125
4. Hoel H., Cooper C. Destructive conflict and bullying at work // Extracts of study report compiled for Launch of the Civil Service Race Equality Network (September, 2001) http://www.bollettinoadapt.it/old/files/document/19764Destructiveconfl.pdf seen [14.05.2021]
5. Knorz, C/Zapf, D. (1996) mobbing: At the workplace. Guide for Workshps and organisation psychology. Stutgart: Publisher for applied psychology.
6. Einarsen S., Hoel H., Zapf D., Cooper C. (ed.) Bullying and Emotional Abuse in the Workplace. International perspectives in research and practice. London: Taylor & Francis e-Library, 2004.
7. Neuberger, O. (1994) mobbing: Playing badly in organisations. Mnich, Rainer Hampp Publisher.
8. Kolodey K. 2007, Mobbing. Psychoterror in the workplace and methods to overcom from it / translation from German, Humanitarian Center.

## Mobbing in higher education institutions and its prevention

***Ivane Jagodnishvili, Professor***
***Georgian Technical University***

***Marine Berdzenadze, PhD student***
***Georgian Technical University***

**SUMMARY**

The article analyzes the causes and forms of psychological terror of professors-lecturers of all educational records. Presented basic types of objective and subjective (social and personal) reasons for mobbing in the educational environment and the mechanism of psychological terror at work places (horizontal, vertical) » Basic conceptual features of mobbing in universities, typical verbal and non-verbal admissions. Basic attention is paid not only to the consequent mobbing but also to the individual partner, but also to the university as a whole. These are the general recommendations for the leadership of the University after the pre-opening psychological terror, and also after the rehabilitation I suffered.

Reforms of higher education in Georgia in recent decades, changes in the status of some universities and the removal of hard-working teachers in parallel with the achievement of a multi-faceted education have exacerbated the psychological climate in many schools. Innovations almost always contradict each other, they upset the balance in organizations. The problem of equal (horizontal) mobbing, which was early in the school, has become topical and for Georgian universities, it is not possible to see that in the higher education system, the education of the educated is mediocre.

Widespread intrusive admission of awkward situations mobbing's pursuit of self-control in social interactions against anti-combatants, which can cause fear, anger, resentment. The teacher does not have the resources to overcome the disappointment of driving, which leads to psychological disorders and psychosomatic illnesses. Frustration escalates into open aggression. Teacher does not have to do quality work. Fear and suspicion follow not only the victim mobbing, but also a group of associates, who usually remain in neutral positions. The collective coffee industry becomes psychologically completely unstable, the energy of coffee is not of modern scientific and educational success, but of the fight against mobbing.

Mobbing not only spoils the image and reputation of the university, but also interferes with the process of acquiring knowledge by students.

Keywords: Higher education institution, Mobbing, Psychological terror, Professionalism, Teacher.

# უმაღლესი განათლების მიზნები და სოციალური უთანასწორობა

*ჟანეტა კილასონია, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის უმაღლესი განათლების მიზნები და მისი გავლენა საზოგადოებაზე. უმაღლესი განთლების შესახებ მსჯელობისას მნიშვნელოვანია კონტექსტის გათვალისწინება, რადგან მისი ინსტიტუციური და პოლიტიკური დინამიკა განსხვავდება, დროისა და პოლიტიკური რეჟიმების მიხედვით.

უმაღლესი განათლების სისტემის ეფექტურობა პირველ რიგში განისაზღვრება იმით, თუ რამდენად პასუხობს იგი გარემოში არსებულ მოთხოვნებს. თემატური ანგარიშებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს, რომ სამუშაო ბაზრისა და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ტენდენციების კოორდინაციისთვის რამოდენიმე სტრატეგიული ამოცანაა მნიშვნელოვანი: პირველი ამოცანაა სამუშაო ბაზარზე ადამიანური რესურსის მიწოდებისა და ამ რესურსზე მოთხოვნის ბალანსის უზრუნველყოფა. [3] მეორე ამოცანაა უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდა. [6]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა უმაღლესი განათლების როლის გაზრდაა სოციალური მობილობისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

უმაღლესი განათლება, თანამედროვე კვლევების თანახმად, უფრო მაღალი ანაზღაურებისა და დასაქმების საწინდარია. ფორმალური განათლების ამ საფეხურის ხელმისაწვდომობა, შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

სტატიაში უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე თანასწორობისა და ინკლუზიურობის მიღწევის გზით, მსჯელობისას ძირითადად ევროპული საგანმანათლებლო სისტემაზე ხდება ფოკუსირება, ხაზგასმულია უმაღლესი განათლების თანამედროვე მიზნები, კრიტიკული მოსაზრებები, განათლების პოლიტიკის შექმნაზე ზემოქმედი ფაქტორები.

ევროპაში და ზოგადად დასავლურ სამყაროში მსჯელობა უმაღლესი განათლების მიზნების შესახებ მიმდინარეობს სოციალური უთანასწორობის ფაქტორის გათვალისწინებით, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის, მუდმივი ზრდის-თვის.

სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ მიმდინარე პოლიტიკის ფოკუსირებამ შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პოლიტიკაზე უმაღლეს სასწავლებლებში გამოიწვია მზარდი კონკურენცია, რომელიც ამ სოციალური ინსტიტუტს გარდაქმნის ჩვეულებრივ ბაზარად, სადაც მიღწევები და ხარისხი განიხილება, როგორც ვალუტა, რომელიც შეიძლება გარდაიქმნას საბაზრო ღირებულებად.

განათლება გახდა ინსტრუმენტი ეკონომიკური პროგრესისთვის, რომელიც შორდება თავდაპირველ როლს, რომელიც გულისხმობს ადამიანური განვითარების უზრუნველყოფას. შედეგად, უმაღლესი განათლება ძალიან ძვირდება და მაშინაც კი, თუ პოლიტიკა ღიაობისკენ არის მიმართული, პრაქტიკაში ყველას მაინც არ აქვს შესაძლებლობა, რომ მიიღოს უმაღლესი განათლება.

სწორედ ეს პროცესი აფერხებს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას. ჰიბრიდულ მოდელზე გადასვლა, სადაც უმაღლესი განათლების შინაგანი მიზანი და მისი ინსტრუმენტული მიზანი თანაბრად არის აღიარებული, პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა განიხილონ, როგორც გზა, რათა შექმნან თანასწორობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სისტემები, რაც ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბების საწინდარია.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, სოციალური უთანასწორობა, ჰიბრიდული მოდელი.

**შესავალი**

მსოფლიოში ყველა თანხმდება რომ უმაღლესი განათლება მსოფლიოს და საზოგადოების განვითარების მნიშნელოვანი განმსაზღვრელია, რომელიც კვლევისა და ინოვაციის გზით ხელს უწყობს ახალი ცოდნის შეძენას და კომპეტენტური სამუშაო ძალის შექმნას. [1]

ბოლო წლების განმავლობაში უმაღლესი განათლების სისტემა ევროპასა და მსოფლიოში უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება. [2]

უმაღლესი განათლების სისტემის ხელმისაწ-

ვდომობის ზრდის ტენდენცია ეფუძნება იდეას, რომ მეტი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი სარგებლის მომტანია ინდივიდებისა და საზოგადოებისათვის, როგორც ეკონომიკური ისე სოციალური თვალსაზრისით. [3]

ჩვენი საზოგადოება ტრანსფორმაციას განიცდის, ევროპის დემოგრაფიული პროფილი იცვლება, ტექნოლოგიური განვითარება, გაციფრულება და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებასა და სამუშაოზე, შესაბამისად იზრდება ახალი უნარების საჭიროება. ამ კონტექტში, სოციალური უთანასწორობა და განსხვავებულობა არის ცხარე კამათის საგანი, და განათლების ხელმისაწვომობა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა, მათ შორის უმაღლესი განათლება, გახდა უმაღლესი პრიორიტეტი ევროპისთვის და მთელი მსოფლიოსთვის, რომ არავინ დარჩეს განათლების მიღმა.

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში ევროპულ დონეზე სხვადასხვა პოლიტიკური ვალდებულებები იქნა მიღებული უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდისთვის, რომელიც მიიღწევა თანასწორობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფით, დაწყებული 2015 წლის ევროკავშირის ქვეყნების პარიზის დეკლარაციით, მოქალაქეობისა და საერთო ღირებულებების ხელშეწყობის შესახებ განათლების გზით. ეს ასევე აისახა 2015 წლის ერევანის კომუნიკეში და 2018 წლის ბოლონიის პროცესის პარიზის კომუნიკეში. [5]

### ძირითადი ნაწილი

ევროკავშირის პოლიტიკის კონტექსტში უმაღლესი განათლების მიმართლებით სოციალური თანასწორობის საკითხმა და ინკლუზიუროამ ასევე მოიპოვა მნიშვნელობა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. 2017 წელს ევროკომისიამ ეს თემა ასახა უმაღლესი განათლების განახლებულ დღის წესრიგში, ამავე დროს, იგი გახდა ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ნაწილი.

გლობალურ დონეზე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) მიღებული 2015 წელს 193 ქვეყნის მიერ, რომლებიც მიზნად ისახავს სიღარიბის დასრულებას, პლანეტის დაცვას და კეთილდღეობის უზრუნველყოფას 2030 წლისთვის, [4] იძლევა უფრო ფართო პერსპექტივას, სადაც სოციალური კეთილდღეობა თამაშობს მთავარ როლს მდგრადობის კონცეფციაში. აქ მჭიდრო კავშირია განათლებასა და უთანასწორობის შემცირებისადა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სპეციფიკურ მიზნებს შორის, უფრო ფართო მიზნის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოს ხარისხიან განათლებას ყველასთვის და შესაბამისად, უზრუნველყოფს ღირსეულ სამუშაოს. განათლება ასევე განიხილება, როგორც ჯანმრთელობის, სამოქალაქო და კულტურული მონაწილეობის ხელშემწყობი. თუმცა ამ ეტაპისთვის, მხოლოდ რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ განახორციელა რეალური ცვლილებები სისტემის დონეზე უმაღლეს განათლებაში სოციალური უთანასწორობისა და ინკლუზიის ხელშეწყობის მიზნით. მათ შორისაა ავსტრია, ირლანდია, ნიდერლანდები, შვედეთი და ხორვატია, რომელმაც დაიწყო ეროვნული სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება.

თანასწორობისა და ინკლუზიურობის მიმართულებით კვლევები გახდა სტრატეგიული საკითხი რიგი უნივერსიტეტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რაც გავლენას ახდენს სწავლასა და სწავლებაზე, ინსტიტუციონალურ კულტურაზე. ბევრმა მიიღო ზომები ახალი გზების მოსაძებნად, რათა ტრადიციულად ნაკლებად წარმოდგენილ ადამიანებს საშუალება მისცენ იპოვონ თავიანთი ადგილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. [5]

### უმაღლესი განათლების მიზნები და სოციალური უთანასწორობა

დასავლურ საზოგადოებაში მიიჩნევა რომ განათლება არის ჩვეულებრივი ინვესტიცია და მთავარი მიზეზი რის გამოც ადამიანი ხარჯავს დროსა და ფულს განათლების მისაღებად არის მოსალოდნელი დასაქმება და მაღალი ანაზღაურება. აღსანიშნავია რომ განათლების ერთიერთი ცნება, განმარტავს, რომ განათლების მიზანია „ადამიანების აღჭურვა ისეთი უნარებით, რომ მათ შეძლონ თავისუფალი, ავტონომიური არჩევანის გაკეთება“.[7] შესაძლოა არსებობდეს ეკონომიკური საფუძველი, რომელიც ეფუძნება ამ ინდივიდუალურ არჩევანს, მაგრამ შინაგანი ცნება იძლევა უფრო სუბიექტურ მოტივაციას, რომელზეც აუცილებელ გავლენას არ ახდენს ეკონომიკური გარემოებები.

უმაღლესი განათლების კულტურისა და ტრადიციების მიხედვით განსხვავებული მოდელები ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ სინამდვილეში, უნივერსიტეტები მთელ მსოფლიოში მიჰყვებიან ჰიბრიდულ მიდგომას, სადაც ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები თანამშრომლობს ერთმანეთთან. თუმცა, არის უნივერსიტეტები, რომლებიც ჯერ კიდევ ატარებენ კონკრეტულ

ტრადიციას და გარკვეულწილად ეს მიდგომა განასხვავებს მათ ყველა დანარჩენისგან.

გლობალიზაციის შედეგად, განათლების და განსაკუთრებით უმაღლესი განათლების მიწოდების გზა ევროპაშიც და დანარჩენ მსოფლიოში, როგორც ჩანს, მიჰყვება ერთიან გზას, მიუხედავად აშკარა განსხვავებებისა კულტურაში, სოციალურ და ეკონომიკურ სისტემებში, ასევე დამწერლობის სისტემებში. ტარდება შესაბამისი ლიტერატურის ინტერდისციპლინარული და კრიტიკული სინთეზი, სადაც წარმოდგენილია ორი პოზიცია, რომლებიც მეტწილად განიხილება, როგორც კონკურენტი: ინსტრუმენტული, რომელიც განიხილავს უმაღლეს განათლებას, როგორც ჩვეულებრივ ინვესტიციას შრომის ბაზარზე განსაკუთრებული ფინანსური შემოსავლით, და უფრო შინაგანი, რომელიც უმაღლეს განათლებას, როგორც ძირითადად სოციალური სარგებლის მომტანს ისე ხედავს. თეორიული მეტოქეობა აშკარაა, რადგან წინა მიდგომით უმაღლესი განათლება შრომის ბაზრის გარდაუვალი საკუთრებაა და, შესაბამისად, ძირითადი ეკონომიკური ნეოლიბერალური რეჟიმის განუყოფელი ნაწილი, მაშინ როცა ეს უკანასკნელი ვერ ხედავს ლოგიკურ კავშირს უმაღლეს განათლებასა და შრომის ბაზრის მიზნებს შორის და, შესაბამისად, შინაარსი და სწავლისა და ცოდნის შეძენის მიზანი განათლებაში და კონკრეტულად უმაღლეს სასწავლებლებში არ უნდა იყოს ბაზარზე ორიენტირებული ან მხოლოდ კონკრეტული ეკონომიკური რეჟიმების ფუნქციებთან შესაბამისობაში მოყვანა. საგანმანათლებლო სისტემები და განსაკუთრებით მათი უმაღლესი საფეხურები თანამედროვე საზოგადოებების გაერთიანებული ნაწილებია და, შესაბამისად, თეორიები და პრაქტიკები უნდა უნდა უწყობდნენ ხელს კეთილდღეობის მოტანას საზოგდოებისთვის.

საღი აზრი კარნახობს სოციალურ თეორიებსა და პრაქტიკებს შერიგებისკენ და არა მეტოქეობისკენ. შინაგანი და ინსტრუმენტული მიდგომა ფაქტობრივად ავსებენ ერთმანეთს. ასეთი შეხედულება შეიძლება იყოს ინფორმირებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით უფრო თანასწორი და ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემების შესაქმნელად. მიუხედავად იმისა რომ უმაღლეს განათლებაში ჩარიცხვის მაჩვენებლები მუდმივად იზრდება ბოლო წლების განმავლობაში და ევროპაში პოლიტიკა მიმართულია ფართო მოსახლეობისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაფართოებისკენ [8].

პოლიტიკის შემქმნელებს ძალიან უჭირთ უმაღლეს სასწავლებლებში ღიაობისკენ მიმართული ჩარჩოს შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ყველასათვის თანაბარ შესაძლებლობებს უმაღლესი განათლების მისაღებად, ძირითადად მოსახლეობის არათანაბარი შესაძლებობების გამო, რომლებზეც მიმართულია პოლიტიკა. ასეთი მოსახლეობა მოიცავს ინდივიდებს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნიკური, თანდაყოლილი შესაძლებლობების, გონებრივი შესაძლებლობების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჯგუფების, ისევე როგორც ადამიანები, რომლებსაც აქვთ ძალიან განსხვავებული სოციალური ვალდებულებები და შესაბამისად, თითოეული ჯგუფის ინტერესები ეწი-ნააღმდეგება ერთმანეთს, რაც პოლიტიკის შემუშავებისათვის რთულ ამოცანას წარმოადგენს. [9]

დარგში მომუშავე მეცნიერების მოსაზრებებს თუ დავეყრდნობით ნაწილი ამტკიცებს, რომ ინსტიტუციური მიზნები ყოველთვის არ ემთხვევა სტუდენტების მოლოდინებს. უმეტეს შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ უფრო პრაგმატული და ინსტრუმენტული გაგება უმაღლესი განათლებისა, პირველრიგშიესაა,უკეთანაზღაურებადიდამაღალი ხარისხის სამუშაო. [10] ასევე მათივე მტკიცებით სტუდენტები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დროს უმეტეს შემთხვევაში არ აღწევენ რეალურ პროგრესს კრიტიკულ აზროვნებასა და რთული პრობლემების გადაჭრაში. [11]

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ისინი, ვინც აცხადებენ, რომ ეძებენ გარკვეულ „ღრმა მნიშვნელობას" უმაღლეს განათლებაში, უფრო კარგი აკადემიური მოსწრება აქვთ, იმათთაან შედარებით ვინც უნივერსიტეტს ინსტრუმენტული კუთხით აფასებს. [12]

ეს დასკვნები ეჭვქვეშ აყენებს უმაღლეს განათლებაში ინსტრუმენტული შეხედულების მართებულობას, რადგან როგორც ჩანს ისინი ვინც შინაგანად მოტივირებულია მიიღოს უმაღლესი განათლება, უკეთესად ასრულებენ უმაღლეს განათლებას და ასევე მოგვიანებით უფრო სარგებლის მომტანები არიან შრომის ბაზარზე. მაშასადამე, პრაქტიკაში, თეორიული მეტოქეობა შინაგან და ინსტრუმენტულ მიდგომას შორის საკმაოდ დიალექტიკური გზით მოქმედებს, სადაც სოციალურ აქტორებს შორის ურთიერთქმედება მიდის კონვერგენციისკენ, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის შემქმნელები ამახვილებენ ყურადღებას ინსტრუმენტულ შეხედულებაზე.

ზოგის მტკიცებით ნეოლიბერალიზმის პრეტენზიების მიუხედავად, ზოგადად საგანმანათ-

ლებლო სისტემების გლობალიზაცია ზრდის განათლების ხარისხს, [13] მრავალრიცხოვან კვლევებში არის მნიშვნელოვანი დასკვნები, რომლებიც აჩვენებს, რომ უმაღლესი განათლების გაფართოება ხდება ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად. ერთნი ნაბიჯით წინ წავიდნენ ალტერნატიული გადაწყვეტის შეთავაზებით, რომელიც ხაზს უსვამს საგანმანათლებლო სისტემების დეცენტრალიზაციას, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს განათლების ხარისხს და მის მიწოდებას ყველასათვის ვისაც სურს უმაღლესი განათლების მიღება. ისინი მოითხოვენ რადიკალური სტრუქტურული რეფორმის განხორციელების საგანმანათლებლო სისტემების მთელ მსოფლიოში, სადაც ურთიერთობა სხვადასხვა სოციალურ თემებსა და სახელმწიფოს შორის დაფუძნებულია სოციალურ სამართლიანობაზე და არა ძალაუფლებაზე. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდამ შეიძლება შექმნას სერთიფიკატების/დიპლომების ინფლაცია, რაც გამოიწვევს მათ სერიოზულ დევალვაციას შრომის ბაზარზე. ეს ეხება დიპლომის კონცეფციას, სადაც შრომის ბაზარი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხი სამუშაოს წინაპირობაა და, შესაბამისად, აიძულებს ინდივიდებს, მიიღონ დიპლომი მხოლოდ სამუშაოს მიღების მიზნით. [14;15]

ამ ვითარებამ შეიძლება შექმნას მაღალი კონკურენტუნარიანი სერთიფიკატების/დიპლომების ბაზარი, უმაღლესი განათლების ხელმისავდომობის ზრდის პირობებში.[16]

დიპლომებისა და კრედიტების ინფლაციის კონცეფცია ფართოდ განიხილება მრავალი მეცნიერის მხრიდან, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ფორმალური განათლების როლს და უნარების შეძენის სარგებლიანობას და ყურადღებას ამახვილებენ ისეთ უნარებზე, რომელთა შეძენაც შეუძლებელია ფორმალური განათლების მეშვეობით და რომელიც მიიღება ძირითადად სამუშაო და ცხოვრებისეული გამოცდილებით, ასევე არაფორმალური სწავლით. ეს უნარები არის კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია რთული სიტუაციების მართვასთან ან პიროვნულ მახასიათებლებთან, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გაუთვალისწინებელი სიტუა-ციების მოსაგვარებლად. [17]

**დასკვნა**

უმაღლესმა განათლებამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სწრაფად დაიწყო გაფართოვება. ახალი ტექნოლოგიების გამოჩენა და მუდმივი ლტოლვა განვითარებისკენ უბიძგებს ადამიანებს უნარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნისკენ, რაც თავის მხრივ მოითხოვს კიდევ უფრო მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალას. ევროპაში უმაღლესი განათლების პოლიტიკის მიზნები ფოკუსირებულია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე. ხელმისაწვდომობის გაზრდა განიხილება, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად. თუმცა, ასეთი პოლიტიკის განხორციელება რთულია, ძირითადად ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და უკვე მყარად გამჯდარი სტიგმისა და სტერეოტიპების გამო. უმაღლესი განათლება ძვირდება დროთა განმავლობაში, და ხელმიუწვდომელს ხდის დაბალი შემოსავლის მქონდე ადამიანებისთვის, რაც თავისთვად ეწინაარმდეგება განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის პოლიტიკას.

უმაღლესი განათლების მიზანსა და მის როლთან დაკავშირებით თანამედროვე საზოგადოებებში დღემდე მიმდინარეობს დებატები, რომელსაც აქვს ძლიერი პრაქტიკული და პოლიტიკური შედეგები. დებატების დროს იკვეთება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიული პოზიცია. ძირითადი შეხედულება, რომელის მიხედვითაც უმაღლესი განათლების მთავარი მიზანია დაეხმაროს ინდივიდებს, გაზარდონ თავიანთი შემოსავალი და გაიმყარონ პოზიცია შრომის ბაზარზე. მეორეს მხრივ, შინაგანი ცნება ფოკუსირებულია მისი მიზნის გაგებაზე ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური მოსაზრებებით. ამ კონცეპტუალური ჩარჩოს მიხედვით, ინდივიდუალური კრეატიულობის გაძლიერება და ემანსიპაცია ეწინააღმდეგება თანამედროვე ინსტიტუციურ პარამეტრებს, რომლებიც დაკავშირებულია ძალაუფლებასთან, დომინირებასთან და ეკონომიკურ მსჯელობასთან. ამ კონფლიქტს შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანების აღქმაზე უმაღლესი განათლების მიზნის შესახებ, რამაც თავის მხრივ შეიძლება გავლენა მოახდინოს სოციალური ურთიერთობებსა და როლებზე.

მაგრამ მიუხედავად იმისა რომ ეს ორი თეორიული პოზიცია განიხილება ურთეთსაწინააღმდეგოდ, მნიშნელოვანი აქცენტი შეგვიძლია გავაკეთოთ ჰიბრიდულ მიდგომაზე, რაც გულისხმობს ამ ორი მიდგომის ერთად გამოყენებას, ერთის მხრივ, ინსტრუმენტული პერსპექტივის გამოყენებას, უმაღლეს განათლების ხელმისაწვდო-

მოზის ზრდას, განსაკუთრებით საზოგადოების ყველაზე დაუცველ წევრებზე ფოკუსირებას, შეუძლია შეამსუბუქოს შემოსავლის პრობლემები და სოციალური უთანასწორობა. განათლების ინსტრუმენტულ შეხედულებას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი როლი, თუ ის ორიენტირებულია დაბალშემოსავლიან სოციალურ კლასებზე, რადგან ის შეიძლება გახდეს შემოსავლის უთანასწორობის შემსუბუქების მექანიზმი. მეორეს მხრივ, არსებობს სხვა არამატერიალური სარგებელიც, როგორიცაა კეთილდღეობის ზოგადი დონის გაუმჯობესება, ან აქტიური დემოკრატიისა და მოქალაქეობის გაძლიერება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების მიზნებიც მოვიდეს შესაბამისობაში. [18]

შეუძლებელია განათლების გამიჯვნა მისი სოციალური კონტექსტიდან. ჩვენ, როგორც ადამიანები, ვიღებთ ცოდნას, მთელი ცხოვრების მანძილიზე. ჩვენ მუდმივად ვვითარდებით და გარდავიქმნებით სოციალურ გარდაქმნებთან ერთად, რომლებიც ჩვენს გარშემო ხდება. ინდივიდის ტრანსფორმაცია მუდმივ ურთიერთქმედებაშია სოციალურ გარდაქმნებთან. ფორმალური სწავლება დღესდღეობით აპათიურ ამოცანად იქცა, სადაც სწავლასთან რეალური ჩართულობა არ ხდება, მაშინ როცა მისი ძირითადი აქტორები აღმზრდელები, ოჯახები და სტუდენტები, დიდწილად გათიშულია ერთმანეთთან. აღმზრდელები, ფორმალურად ასრულებენ მოვალეობას, რომელსაც სასწავლო გეგმები კარნახობს, ოჯახების მთავარი საზრუნავია შვილების საგანმანათლებლო მიღწევებისთვის საბაზრო ღირებულების მინიჭებაა, იმ სერტიფიკატით, რომელიც თითქოს სურს შრომის ბაზარს, ხოლო სტუდენტები ყურადღებას აქცევენ ყველაფერს რეალური ცოდნის გარდა, ძალიან ცოტა თუ ზრუნავს მის ხარისხზე და ასევე მის პრაქტიკულ გამოყენებაზე.

ვიწრო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების გამო მუდმივად მზარდი სოციალური უთანასწორობის დასაძლევად, ჩვენ გვჭირდება რადიკალური გადასვლა იმ პოლიტიკისკენ, რომელიც გულისხმობს რომ განათლება, გარდა ინსტრუმენტისა, არის შესაძლებლობა თავისუფლებისაკენ, კულტურული რეალიზაციისა და სოციალური ტრანსფორმაციისაკენ. პრაქტიკული თვალსაზრისით, შეიძლება გამოყენებულ იქნას რეალური წარმატებული მაგალითები, რომლებზეც პოლიტიკის შემქმნელებმა მთელი მსოფლიოდან უნდა დაიწყონ მეტი ყურადღების მიქცევა, და უნდა დაივიწყონ ვიწრო და სტერილური ინსტრუმენტალიზმი, რომელმაც ვერ შეძლო სოციალური უთანასწორობის დაძლევა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. trends 2010: a decade of change in European Higher Education by andrée sursock & Hanne Smidt;
2. Eurostat, 2020; https://rb.gy/cxzbio;
3. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით; https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/ganatlebis-politika-5.pdf;
4. მდგრადი განვითარების მიზნები. https://sdg.gov.ge/main;
5. Diversity, Equity, and Inclusion in European Higher Education Institutions; Results from the INVITED project; Anna-Lena Claeys-Kulik, Thomas Ekman Jørgensen, Henriette Stöber Editorial board: Carme Royo & Hélène Mariaud November 2019;
6. Social Inclusion Policies in Higher Education: Evidence from the EU; Overview of major widening participation policies applied in the EU 28 A. Kottmann, J.J. Vossensteyn, R. Kolster, A. Veidemane, Zs. Blasko, F. Biagi, M. Sánchez-Barrioluengo 2019;
7. Bridges D (1992) Enterprise and liberal education. J Philos Educ 26(1):91–98;
8. Bowl M (2012) The contribution of further education and sixth-form colleges to widening participation [Online] York: Higher Education Academy. Available at: http://www.heacademy.ac.uk/resources/detail/WP_syntheses/Bowl;
9. Formative evaluation of the National Scholarship Programme: summary of year one findings submitted to HEFCE by CFE and Edge Hill University;
10. Chang SS, Stuckler D, Yip P, Gunnell D (2013) Impact of 2008 global economic crisis on suicide: Time trend study in 54 countries. Br Med J 347:1–15;

11. Arum R, Roksa J (2011) Academically adrift: Limited learning on college campuses;
12. Equality in higher education: statistical report 2019; https://www.advance-he.ac.uk/knowledge-hub/equality-higher-education-statistical-report-2019;
13. Apple M (2001) Comparing neo-liberal projects and inequality in education. Comp Educ 37(4):409–423
14. Solon G (1999) Intergenerational mobility in the labor market. Handbook of labor economics 3(Part A):1761–1800;
15. Dore R (1976) The diploma disease: Education, qualification, and development. Allen & Unwin, London;
16. Brown P (2003) The opportunity trap: Education and employment in a global economy. Eur Educ Res J 2(1):141–179;
17. Collins R (1979) Credential society: Historical sociology of education and stratification. Academic Press, New York;
18. Brennan J (ed) (2004) The social role of the contemporary university: contradictions, boundaries, and change. In: ten years on changing education in a changing world. Center for Higher Education Research and Information, Open University Press, Maidenhead, UK, p 23–54; Bowles S, Gintis H (2002) Schooling in capitalist America revisited. Social Educ 75(1):1–18;

## Goals of higher education and social inequality

***Zhaneta Kilasonia, PhD student***
***Georgian Technical University***

### SUMMARY

As its institutional and political dynamics vary according to time and political regimes. The effectiveness of a higher education system is primarily determined by how well it meets the requirements of the environment. Analysis of thematic reports and scientific literature shows that several strategic objectives are important for coordinating the development trends of the labor market and the higher education system:

The first objective is to ensure the supply of human resources in the labor market and the balance of demand for these resources. [20] The second objective is to increase the compliance of higher education graduates with competencies in the market, structural changes in the economy pose new challenges for Europe, as relevant skills are needed for economic development. Another important objective is to increase higher education's role to ensure social mobility and social equality, access to this level of formal education should therefore be provided for vulnerable groups. [6]

The article focuses on increasing access to higher education through equality and inclusiveness, focusing mainly on the European education system, highlighting the modern goals of higher education, critical thinking, and factors influencing education policy-making.

In the Western world, the goals of higher education are being debated, taking into account the factor of social inequality, access to higher education, for constant growth.

The article suggests that the current policy focus on labor market-oriented policies in higher education has led to growing competition to transform this social institution into a normal market, where achievements and quality are seen as a currency that can be converted into market value.

Education has become a tool for economic progress, moving away from its original role of ensuring human development. As a result, higher education becomes very expensive, and even if the policy is open, not everyone has the opportunity to get a higher education.

Above mentioned process hinders the growth of access to higher education. Moving to a hybrid model, where the intrinsic and instrumental purpose of higher education is equally recognized, policymakers should take into consideration it as a way to create more inclusive and equitable education systems, which is a prerequisite for building a prosperous society.

# ჟურნალისტიკა

# JOURNALIZM

## მედია-ვიქტიმიზაცია

*მარიამ კუკულაძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ვიქტიმიზაცია საკმაოდ რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ, ემოციურ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ვიქტიმიზაციის პროცესში შესაძლებელია მსხვერპლის ხელახალი ვიქტიმიზაცია. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლი ხშირად არამხოლოდ უშუალოდ დამნაშავის, არამედ საზოგადოების ან/და რეალურად მის დასახმარებლად არსებული სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ ზარალდება, მათ შორის მედიის. შესაბამისად, გამოიკვეთა ვიქტიმიაზაციისა და მედიის ურთიერთმიმართების საკითხების შესწავლის აუცილებლობა. ამ თვალსაზრისით ყურადღება გამახვილდა მედიისა და მედიის მიერ გამოწვეული სოციალური რეაქციების როლზე ვიქტიმიზაციის პროცესში; მსხვერპლად ქცევის ან/და მსხვერპლად ხელახლა ქცევის შიშზე; მედიის როლზე დანაშაულის პოპულარიზაციაში ან პოპულარიზებული დანაშაულის კონკრეტული ინდივიდის განცდებამდე დაყვანაში და ა.შ. ვიქტიმიზაციისა და მედიის ამ და სხვა არაერთი ასპექტის ურთიერთმიმართების კვლევის პროცესში გამოიკვეთა სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულ ვიქტიმიზაციის ხუთ კატეგორიასთან ერთად, მედია-ვიქტიმიზაციის ვიქტიმიზაციის ცალკე კატეგორიად გამოყოფის აუცილებლობაც. ამ მოსაზრებით ავტორი განიხილავს ვიქტიმიზაციის კატეგორიებს (პირველადი ვიქტიმიზაცია; მეორეული ვიქტიმიზაცია; ეკოლოგიური ვიქტიმიზაცია; ტერორისტული ვიქტიმიზაცია; ვიქტიმიზაციის 3 ფაქტორი) და მედიის განმსაზღვრელ როლს მათთან მიმართებით. საკითხის შესწავლისა და გამოტანილი დასკვნების საფუძველზე ავტორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან მედიას, როგორც ძალაუფლების მქონე სისტემას, შეუძლია განაპირობოს დანაშაულის „ემოციური ხასიათი", ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი, გაავრცოს შიში, წარმოქმნას რეალური და არარეალური საფრთხის შეგრძნებები, მსხვერპლად ქცევის ან მსხვერპლად ხელახლა ქცევის შიში, დაუცველობის განცდა და ა.შ. ამიტომ შესაძლებალია მისი ცალკეული ინდივიდისა თუ საზოგადოების ვიქტიმიზაციის წყაროდ მოაზრება, და რაც მთავარია, სამეცნიერო მიმოქცევაში მედია-ვიქტიმიზაციის ვიქტიმიზაციის ცალკე კატეგორიად შემოტანა. მედია-ვიქტიმიზაციის დამოუკიდებელ კატეგორიად არსებობა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი და საჭირო. იგი ხელს შეუწყობს ვიქტიმიზაციის თეორიული საფუძვლების უკეთ გააზრებას, ვიქტიმიზაციის პროცესის სრულყოფილ შესწავლასა და ანალიზს, დანაშაულის პრევენციის გზების დასახვას.

საკვანძო სიტყვები: ვიქტიმიზაცია, მედია-ვიქტიმიზაცია

### შესავალი

ვიქტიმიზაცია სოციალური ფენომენია. იგი საკმაოდ რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელიც უაროფით გავლენას ახდენს ადამიანის კეთილდღეობაზე, მის ფიზიკურ, ემოციურ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და მას ძალადობის მსხვერპლად აქცევს. ვიქტიმიზაციის მრავალმხივობას, ერთის მხრივ, მისთვის და-

მახასიათებელი გაუმჟღავნებლობა, დამალვა, სირცხვილი განაპირობებენ, ხოლო მეორეს მხრივ ის, რომ მსხვერპლში მომხდარის მიმართ საკუთარი დანაშაულის შეგრძნება და სირცხვილის გრძნობა ჩნდება. ასევე, თანდათან ხდება მსხვერპლის სტიგმატიზაცია და მისი ხელახალი ვიქტიმიზაციის შესაძლებლობა იზრდება. ვიქტიმიზაციის პროცესში ხშირად მსხვერპლი არამხოლოდ უშუალოდ დამნაშავის, არამედ საზოგადოების ან/და რეალურად მის დასახმარებლად არსებული სხვადასხვა ინსტიტუტის მიერაა დაზარებული, მათ შორის მედიის [1].

მედიის როლი ვიქტიმიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია. მედიის მიერ წარმოქმნილი სოციალური რეაქციები იწვევს მსხვერპლის პასიურობას, დანაშაულზე რეაგირების უუნარობას, მსხვერპლად ქცევის ან/და მსხვერპლად ხელახლა ქცევის შიშს [2; 3]. მედიის როლი იმითიცაა მნიშვნელოვანი, რომ ვიწრო სოციალურ წრეში არსებული დანაშაული (მაგ; ძალადობრივი დანაშაული) საზოგადოების საყოველთაო განსჯისა და განხილვის საგნად შეუძლია აქციოს, რაც დანაშაულის პოპულარიზაციას იწვევს და პირიქით, პოპულარიზებული დანაშაული ერთ კონკრეტულ ინდივიდამდე და მის განცდებამდე შეუძლია დაიყვანოს. პროცესი იმდენად რთული და მრავალმხრივია, რომ იკვეთება მედიავიქტიმიზაციის კატეგორიის შექმნისა და ცალკე კატეგორიად გამოყოფის საჭიროება. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ცნობილია ვიქტიმიზაციის ხუთი კატეგორია: პირველადი ვიქტიმიზაცია, მეორეული ვიქტიმიზაცია, ეკოლოგიური ვიქტიმიზაცია, ტერორისტული ვიქტიმიზაცია, „ვიქტიმიზაციის 3 ფაქტორი". ქვემომდებარე ნაშრომში მათ მედიასთან ურთიერთმიმართებით განვიხილავთ. ჩვენი მიზანია, ვიქტიმიზაციის კატეგორიების ანალიზის შედეგად დადგინდეს მედია-ვიქტიმიზაციის კატეგორია და იგი ვიქტიმიზაციის ცალკეულ კატეგორიად განისაზღვროს.

## ძირითადი ნაწილი

### ვიქტიმიზაციის კატეგორიები

**პირველადი ვიქტიმიზაცია** სპეციალურ ლიტერატურაში დამნაშავესა და დაზარალებულს შორის პირველ ურთიერთქმედებად განიხილება. იგი იწვევს მსხვერპლის ფიზიკურ, ფსიქიკურ, მატერიალურ, მორალურ და სხვა სახის ზიანს [4]. პირველადი ვიქტიმიზაციის პროცესში მედია ე.წ. **სისხლიან „წითელ" დანაშაულს „ყვითელ"** ამბად გარდაქმნის [5]. მოვლენას მედიისა და საზოგადოების ყურადღების, ინტერესისა და განსჯის საგნად აქცევს, რაც დანაშაულში მონაწილე პირების მეორეულ ვიქტიმიზაციას იწვევს[6] .

მედიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **მეორეული ვიქტიმიზაციის პროცესში**. მედია დანაშაულში მონაწილეთა მიმართ ავლენს სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებებს; ხშირად გვევლინება გამომძიებლის, ფსიქოლოგის, მოსამართლის, დამცველის როლში; არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, აყალიბებს საზოგადოებრივ განწყობებს, გამოაქვს წინასწარი განაჩენი, რაც გავლენას ახდენს სასამართლო პროცესზე [7]. აქედან გამომდინარე, მედია ხელს უწყობს დანაშაულის პოპულარიზაციას, რაც იწვევს ხელახალ ვიქტიმიზაციას. აღსანიშნავია, რომ **მეორეული ვიქტიმიზაციის** პროცესში ჩართულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფი და ინსტიტუტი [8].

**ეკოლოგიური ვიქტიმიზაცია** წარმოადგენს ეკოლოგიური დანაშაულებრივი საქმიანობით გამოწვეულ ვიქტიმიზაციას და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს როგორიცაა: ბუნებრივი რესურსები, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, სიღარიბე, მიგრაცია და სხვ. [9; 10].ეკოლოგიური ვიქტიმიზაცია მასშტაბურია. მედია ეკოლოგიური ვიქტიმიზაციის პროცესში შეიძლება ხელს უწყობდეს გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელებას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით აქტიური ქმედებების მობილიზებას, მაგრამ შეიძლება ეკოლოგიური დანაშაულის დაფარვისა და არასწორი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში საპირისპირო შედეგების მომტანიც იყოს და ხელს უწყობდეს ეკოლოგიური ვიქტიმიზაციას.

მასშტაბური დანაშაულის შედეგად გამოწვეული კიდევ ერთი ვიქტიმიზაციის კატეგორიას **ტერორისტული ვიქტიმიზაცია** წარმოადგენს. ამ საკითხთან მიმართებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მედიის მნიშვნელობა. ა. მილერი მედია სისტემისა და ტერორიზმის ურთიერთობას უწოდებს „დამოკიდებულებას" [11], რომელიც ჯ. თუმანის აზრით, „ღრმად გამჯდარი „პრობლემაა", რადგან მედიაზე მანიპულირებით ტერორისტებმა შეძლეს თავიანთი მიზნების წინ წამოწევა და გაშუქება; მანიფესტებისა და განცხადებების საშუალებით მსოფლიო საზოგადოებაზე საკუთარი რიტორიკისა [12] და ძალადობრივი ვიქტიმიზაციის გზით საყოველთაო შიშის გავრცელება[13]. მედიის მხრიდან ტერორიზმის გაშუქებას სხვა დანაშაულისგან განსხვავებით უფრო მეტი ერთ-

გვარი დრამა გააჩნია[14], აგრეთვე მას ყოველთვის ეძლევა ახლისა და ემოციურის გაშუქების საშუალება, რაც საზოგადოების ინტერესს იწვევს [15].

ვიქტიმიზაციის კიდევ ერთ კატეგორიას **„ვიქტიმიზაციის 3 ფაქტორი“** წარმოადგენს, რომელიც "რუტინული აქტივობის თეორიიდან" გამომდინარეობს. თეორიის ავტორების ლ. კოენისა და მ. ფელსონის თანახმად, დანაშაულის ჩადენისთვის აუცილებელია პირის მსხვერპლად ქცევის სულ მცირე სამი ფაქტორი და მათი კონკრეტულ დროში თანხვედრა: 1. დანაშაულის ჩადენის მოტივაცია; 2. კონკრეტული სამიზნე; 3. დანაშაულის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი დამცველის/დამცავის არ არსებობა [16]. მედიას აქვს საკუთარი ინტერესები, მოტივაცია; ყავს სამიზნე და ხშირ შემთხვევაში არ არსებობს ე.წ. მცველი. ამგვარად, მედია არაპირდაპირი გზით წარმოქმნის მაყურებლისთვის მნიშვნელოვან ამბავს, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს და იგივდებოდეს ამა თუ იმ ინდივიდის პირად გამოცდილებასა და გრძნობებთან. ამგვარი სტრატეგიით მედია საზოგადოებასა და დანაშაულში მანაწილე პირებს შორის ამყარებს გარკვეულ ემოციურ კავშირს და ასევე ახდენს დანაშაულის მონაწილეთა ხელახალ ვიქტიმიზაციას და საზოგადოების ვიქტიმიზაციის შიშს[17].

## მედია-ვიქტიმიზაცია

მედია მოქმედებს როგორც ძალაუფლების მქონე სისტემა, დანაშაულს მატებს „ემოციურ ხასიათს“, აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს, თესავს და ავრცელებს შიშს, რეალური და არარეალური საფრთხის შეგრძნებებს, რაც ისეთ სოციალურ რეაქციებს წარმოქმნის, რომლებიც ხელს უწყობენ მსხვერპლად ქცევის ან მსხვერპლად ხელახლა ქცევის შიშს, მაგალითად, დაუცველობის განცდას [18]. დანაშაულის მიმართ შიში ხშირად უფრო „რეალურია“, ვიდრე თავად დანაშაული[19].

„ვიქტიმოლოგიის საერთაშორისო კვლევის“ თანახმად, ვიქტიმიზაციის საფრთხე უფრო დაბალია, ვიდრე ვიქტიმიზაციის შიში[20]. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული არაერთი კვლევა აგრეთვე ცხადყოფს, რომ მედიის მიერ დანაშაულის ხშირი და მასშტაბური გაშუქების შედეგად წარმოიქმნება „დანაშაულის ტალღები“ [21], რის შედეგადაც საზოგადოებაზე ზემოქმედება და დანაშაულის მიმართ შიში მძაფრდება. მედია დანაშაულის აღწერისა და საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის იყენებს მთელ რიგ სიტყვებსა და გამონათქვამებს: „ტრაგიკული“, „საშინელი“, „კოშმარული“, „შოკისმომგვრელი“, „ბედის ირონია“, „სამართლიანად დაისაჯა“ და ა.შ. რომელთაც შიშის განცდის გამოწვევის გარდა, საზოგადოების პროვოცირება შეუძლიათ. მათივე გამოყენებით მედია დანაშაულის გადაჭარბებულ დრამატიზებას ახდენს. ყოველივე ეს იწვევს საზოგადოებაში უკვე არსებული შიშის კიდევ უფრო გაძლიერებას [21], ხშირ შემთხვევაში მეორეულ და ხელახალ ვიქტიმიზაციას. სამწუხაროდ, მედია, რომელიც დანაშაულთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდების ძირითადი წყაროა, საზოგადოებას დანაშაულის ფენომენის ფაქტორების სიღრმისეულ გააზრებასა და შესაძლო ვიქტიმიზაციასთან გამკლავებაში კი არ ეხმარება [22], არამედ ახდენს ხელახალ ვიქტიმიზაციას.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვიქტიმიზაციის კატეგორიების განხილვისა და მათი მედიასთან ურთიერთმიმართებების გააზრების შედეგად გამოიკვეთა მედიის როლი ვიქტიმიზაციის/ხელახალი ვიქტიმიზაციის პროცესში. მედია იწვევს სოციალურ რეაქციებს, ხელს უწყობს მეორეულ, ხელახალ ვიქტიმიზაციას და ვიქტიმიზაციის შიშს. მას აქვს ის რესურსი, რომ ვიწრო სოციალურ წრეში მომხდარი დანაშაული საყოველთაო განსჯისა და განხილვის საგნად აქციოს ან დაიყვანოს კონკრეტული ინდივიდის ემოციურ დონემდე და შეგრძნებებამდე. იგი შეიძლება გახდეს დიდი სოციალური რყევების საფუძველი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ მედია-ვიქტიმიზაციის ვიქტიმიზაციის ცალკეულ კატეგორიად გამოყოფის საჭიროება მნიშვნელოვანია. რაც ხელს შეუწყობს ვიქტიმიზაციის ფენომენის თეორიული საფუძვლების უკეთ გააზრებას და პრაქტიკული თვალსაზრისით ვიქტიმიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. ასევე, დანაშაულის პრევენციის გზების დასახვას და საზოგადოების ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებას.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Κουράκης, Ν. Το δικαίωμα του πολίτη στην ασφάλειά του 2000. http://www.niotho-asfalis.gr/na/meletes10.pdf.
2. Αλεξιάδης, Σ. Εγκληματολογία, Αθήνα-Θεσσαλονίκη. Σάκκουλας 2004.
3. Ζαραφωνίτου, Χ. Ο φόβος του εγκλήματος, Αθήνα-Κομοτηνή. Σάκκουλας 2002.
4. შალიკაშვილი,მ. კრიმინოლოგია.მესამე გამოცემა. მერიდიანი,თბილისი 2017.
5. Πανούσης, Γ. ΚΑΘ'ΥΠΕΡΒΟΛΗΝ Χρήσεις&Καταχρήσεις, νομικη βιβλιοθηκη, 2008.
6. International Journal of Criminal Justice Sciences (IJCJS) ISSN: 0973-5089 Vol 2 (2): Secondary Victimization of Children by the Media: An Analysis of Perceptions of Victims and Journalists. 2007.
7. Dowler, K., Fleming, T.,Muzzatti, S. L. Constructing Crime: Media, Crime, and Popular Culture. Canadian Journal of Criminology and Criminal Justice, 48, 6, ProQuest Central 2006. http://www.zinedine.id.au/uploads/1/0/1/9/10195960/_crime_media_and_popular_cuture.pdf.
8. Barrick K., Kevin, J., Strom, N. Richardson.University of North Carolina, USA. 2017.
9. White, R. Crimes Against Nature. Environmental Criminology and Ecological Justice. 2008.
10. Hall, M. Environmental Victims. Challenges for Criminology and Victimology in the 21st century. University of Maribor, 2012.
11. Miller,A,H.Terrorism the Media and Law. New York, Transational publishers, 1982.
12. Yang, F. R.E, Ostman. After September 11: Public Concern Over Threat, Foreign Policy Attitudes, and Decisions on Going tu War, in N. Chitty, R.R Rush and M.Semanti (eds). Studies in Terrorism. Media Scholarship and the Enigma of Terror, Penang: Southbound Penang, 2003.
13. Tuman,J.S.Communicating Terror:The Rhetorical Dimensions of Terrorism.Thousand Oaks, CA:SAGE Publications, 2003.
14. Danilovic, N., Manojlovic, R. Criminology and Victimology Typology Aspects of Terrorism. Megatrend University, 2013.
15. Hoffman, B.Inside Terrorism. New York, Columbia University Press, 2006.
16. Cohen, L., E. Felson, M. Social change and crime rate trends: A routine activities approach. American Sociological Review, 1979. https://www.sascv.org/ijcjs/neeti.html?fbclid=IwAR0GJhijObJz4kRqOnFuQaKCmMJX7TfcAMCYStQEhD_Io8Mw9VK6PnHNAWg.
17. Van, G,B.The constructionist Approach tu framing:Bringing Cutture back in.Journal of Communication, 2007.
18. Mulley, K. Victimized by the Media.2001. https://www.crimeandjustice.org.uk/sites/crimeandjustice.org.uk/files/09627250108552963.pdf?fbclid=IwAR19M_X-jg9P2JuUI2_acTjfz674sSZEQUgdM1YEdZnPtGJRP-Oy3Jk8Elw.
19. Παπαθεοδόρ ου, Π.Θ. Δημόσια ασβάλεια και αντεγκληματική πολιτική. Νομική βιβλιοθήκη, 2005.
20. Αρτινοπούλου,Β.,Μαγγαάς, Α. Θηματολογία και όψεις θηματοποίησης. Νομική βιβλιοθήκη, 1996.
21. Βρύζας,Κ. Ο εντυπωσιασμός στα Μέσα Μαζικής Ενημέρωσης, στο Επιθεώρηση Κοινωνικών Ερευνών, 1986.
22. Λαμπροπούλου, Ε. Κοινωνικός έλεγχος του εγλήματος. Παπαζήσης, 1994.

## media-victimization

***Mariam Kukuladze, PhD student***
***Georgian Technical University***

**Summary**

Victimization is a social phenomenon, a complicated and diverse process that has a negative influence on human's physical, emotional and psychological state. In the process of victimization, a victim may undergo a new process of victimization. It is important to mention that a victim may be violated not only by the offender but by society or by different institutions that are created to assist them, including the media. Thus, we can see the necessity of studying the issues of victimization and media interaction. In this concern, attention was paid to the role of media and the social reactions caused by media; fear of being victimized, or being victimized again; the role of media in the popularization of crime, or popularized crimes particular individuals emotions, etc. In the process of researching this and some other aspects of victimization and media interaction, it became clear that it is necessary to identify media victimization as a separate category apart from to 5 already identified categories of victimization in the scientific literature. In this regard, the author considers the categories of victimization (initial victimization; secondary victimization; ecological victimization; terroristic victimization; three factors of victimization) and the defining role of media in connection with them. The author states that because media, as a system possessing power, can determine the “emotional character" of crime, form the public opinion, spread fear, create a feeling of real and unreal danger, fear of being victimized or being victimized again, feeling of insecurity, etc. That's why it is possible to identify media as the source of victimization of individuals or society and what's most important to identify media victimization as a separate category in science. Existing of media victimization as an independent category is important both in theoretical and practical concerns. It will encourage a better understanding of the theoretical basics of victimization, a comprehensive study of the victimization process and analysis, prevention of crime.

Key words: Victimization, media-victimization.

# სხეულის ენა და პოლიტიკოსები

*თამრიკო მულაძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ნაშრომში საუბარია იმის შესახებ თუ რა მნიშვნელობა გააჩნია არავერბალურ კომუნიკაციას, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია გავიგოთ პოლიტიკოსები და ზოგადად ადამიანები რამდენად გულწრფელები არიან. სტატიაში განხილულია ბილ კლინტონის სხეულის ენა და ის სატელევიზიო დებატები, სადაც ერთმანეთის პირისპირ იდგნენ დონალდ ტრამპი და ჰილარი კლინტონი. ასევე, გიამბობთ პრინცესა დიანაზე , რომელიც არ ყოფილა პოლიტიკოსი , თუმცა მაინც მოახერხა მსოფლიოში უარვი ადამიანის გული დაეპყრო.

ადამიანის ამოცნობის საუკეთესო საშუალება „სხეულის ენის" კარგად ფლობაა. გარკვეული მიზეზების გამო, როდესაც ვცრუობთ ჩვენივე „სხეული" გვამხელს. თუმცა, ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფმა შეძლო შეესწავლა საკუთარი სხეულის ენა და მით უფრო იგი სხვებზე ზემოქმედებისთვის გამოეყენებინა. ამ ადამიანთა დიდ ნაწილს კი დღეს პოლიტიკოსები წარმოადგენენ.

სტატიაში განხილული მაგალითების საშუალებით ჩვენ გავიგებთ, როგორ მანიპულირებენ ისინი ჩვენზე სიტყვის თქმის გარეშე. შეიძლება ხშირად ვერც კი გავაცნობიეროთ რომ პოლიტიკოსები ჩვენზე გავლენას ახდენენ საკუთარი სხეულის საშუალებით.

თქვენი სახის გამომეტყველება , ჟესტები, პოზა და ხმის ტემბრი კომუნიკაციის მძლავრი იარაღია. ამ ნაშრომში მოცემულია, თუ როგორ უნდა წაიკითხოთ და გამოიყენოთ სხეულის ენა სახლში თუ სამსახურში, რაც დაგეხმარებათ უკეთესი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

სხეულის ენა: ჟესტები, მოძრაობები და მანერები არის ის რისი საშუალებითაც არავერბალურ კომუნიკაციას ვამყარებთ სამყაროსთან. უმეტესად სხეულის ენა სიგნალებია, რომლებსაც სხვებისგან ვიღებთ და ინტერპრეტაციის გაკეთება უკვე ქვეცნობიერად ხდება.

ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სხეულის ენა განზრახ იყოს გამოყენებული. ამასთან, არავერბალური ნიშნები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას იმისთვის, რომ განზრახ გააკონტროლონ თუ როგორ აღიქვამენ სხვა ადამიანები. პოლიტიკოსები ამ არავერბალური მანიპულაციის ექსპერტები არიან.

საკვანძო სიტყვები: სხეულის ენა, პოლიტიკოსი, ჟესტები, პოზა, ხმის ტემბრი, კომუნიკაცია.

**შესავალი**

თქვენი არავერბალური კომუნიკაციის ნიშნებს: მოსმენის, გამოხედვის, მოძრაობისა და რეაგირების მიხედვით შეუძლია აგრძნობინოს თქვენს თანამოსაუბრეს რამდენად გულწრფელი ხართ მასთან. როდესაც ჩვენი არავერბალური სიგნალები ემთხვევა ჩვენს ნათქვამს ეს ყველაფერი იწვევს კომუნიკაციის დროს ნდომას , თუ პირიქით ხდება მაშინ შეიძლება საუბარი დაიძაბოს და იგრძნობოდეს უნდობლობა.

თუ გსურთ გახდეთ კარგი კომუნიკატორები პირველრიგში უნდა შეძლოთ საკუთარი „მანერების" შესწავლა , ხოლო შემდეგ სხვების.

საინტერესოა გავიგოთ როგორ მანიპულირებენ ჩვენზე პოლიტიკოსები სიტყვის თქმის გარეშე. ეს არის ის, რასაც ისინი არ გვეუბნებიან , პოლიტიკოსები დიდ დროს ხარჯავენ არჩევნებში. როდესაც ისინი ატარებენ საარჩევნო კამპანიებს ცდილობენ თავიანთ ოპონენტებზე ცილისწამებით შიში დათესონ ამომრჩევლებში. ჩვენ ამ ტაქტიკას შევეჩვიეთ და უმეტეს დარამატულ პოლიტიკურ რეკლამებში შეგვიძლია გავარჩიოთ სიცრუე და სიმართლე. ამასთან, რაც შეიძლება ვერ გააცნობიეროთ არის ის რომ უკვე ათეული წლებია პოლიტიკოსები მანიპულირებენ სხვა იარაღით: „მათი სხეულებით". მათი საიდუმლო „ სხეულის ენაშია".

**ძირითადი ნაწილი**

ბილ კლინტონს აქვს აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლის ათწლეულობით გამოცდილება. ჩვეულებრივ მოკვდავებსაც კი შეუძლიათ დაესესხონ მას და დიდი შთაბეჭდილება მოახდინონ გარშემომყოფებზე. დღეს, ადამიანები მიუხედავად თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებისა მას აღიარებენ როგორც ნებისმიერი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო მოსაუბრეს.

სიტყვის ძრითადი ტექნიკა რომელსაც კლინტონი იყენებს მსმენელის მოსაჯადოვებლად შეგიძლიათ თქვენც გამოიყენოთ, რაც საბოლოოდ თქვენი მსმენელების რაოდენობას გაზრდის და

დაგეხმარებათ პრეზენტაციის უნარების გაუმჯობესებაში.

აქ მოცემულია მისი სამი ძირითადი „ძლიერი იარაღი“:

1.მან იცის როდის უნდა გაჩერდეს და წავიდეს. კლინტონი საუბრისას ხაზს უსვამს ისეთ ფრაზებს რომელიც ინფორმაციას აზუსტებს და საბოლოოდ ამომრჩეველს კარგად ამახსოვრდება.

მას არ ეშინია ე.წ. „მკვდარი ჰაერის“. ხშირად იყენებს საუბრის დროს პაუზებს, რაც მის ინფორმაციას უფრო შთამბეჭდავს და დამაჯერებელს ხდის.

2.მისი საუბარი სინქრინიზებულია მის ჟესტებთან. კლინტონის წარმატების ერთ-ერთ საიდუმლო მისი ხელებია. მკალვების ფართო და ღია მოძრაობა ხელმისაწვდომობისა და ნამდვილობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობლად იგი ხშირად იყენებს საუბრისას გაშლილ ხელებს, რომელიც პალმას მოგვაგონებს. იგი ასვე ხშირად ფარავს მკერდს ხელებით, რაც მის სიტყვებს აძლიერებს და მისთვის უფრო ახლობლურს ხდის. ისევე, როგორც ადრეულ წლებში მისი საჩვენებელი თითი საუბრისას ერთ-ერთი ხშირი ჟესტია, ამით ის გვეუბნება რომ ავტორიტეტულია და დარწმუნებულია თავის სიტყვებში.

3. ეს არის ის, თუ როგორ ამბობს იმას , რაც უნდა რომ თქვას.

ბილ კლინტონზე საუბრის დროს აუცილებლად უნდა შევეხოთ მონიკა ლევინსკის საქმეს და იმას თუ როგორ იყენებდა სხეულის ენას ამერიკის პრეზიდენტის ხალხისა და კონგრესისი წინაშე. ამ საკითხთან დაკავშრებით განვიხილოთ კლინტონის ინტერვიუს არავერბალური კომუნიკაცია, რომელიც ჯეიმს პეტერსონმა ჩაწერა.

ამ სურათზე აღბეჭდილია, როდესაც ის ამბობს სიტყვა "კონსტიტუცია" ("მე ვფიქრობ, რომ მე სწორად მოვიქეცი. მე დავიცავი კონსტიტუცია", 1: 37–1: 40),იგი კვეთს ფეხებსა და ხელებს. რამდენიმე ადამიანს გაუკვირდება იმის ცოდნა, რომ ეს მნიშვნელოვნად იცავს თავდაცვით აზროვნებას. მართალია, შესაძლებელია ამ არავერბალურ პოზაში მჯდომმა ადამიანი იგრძნოს სიცივე - თუმცა პრეზიდენტი ამ შემთხვევაში საკმაოდ დაუცველად გამოიყურება და ნაკლებ ნდობას იწვევს ადამიანებში.

ინტერვიუს დროს, როდესაც ის საუბრობდა საკუთარ ოჯახზე და მათ ბოდიშს უხდიდა მისი სხეული ნამდვილად სხვა რამეზე მიგვანიშნებდა. კადრში კარგად ჩანს, როგორ აქვს ენა მიდებული ლოყაზე. რაც ამ კონტექსტში გამოხატავს „მე უბრალოდ გავიმარჯვე“. ყოველთვის, როდესაც ადამიანი იხდის ბოდიშს, იქნება ეს ოჯახში თუ საზოგადოებაში, იგი უნდა იყოს აუცილებლად გულწრფელი, რაც ამ შემთხვევაში კლინტონს აშკარად აკლდა.

აქვე, მინდა ყურადღება გავმახვილოთ კლინტონის 1998 წლის გამოსვლაზე, სადაც ის იხდის ბოდიშს, თუმცა როგორც კი ახსენებს მონიკა ლევინსკს მის შუბლზე აისახება რამდენიმე ნაოჭი და ფიქსირდება არა გულწრფელი ღიმილი. გარდა ამისა აწეული მარჯვენა წარბი გამოხატავს ურწმუნოებას.

ბილ კლინტონზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მის მეუღლეს და მათ სხეულის ენას. შესაძლებელია იგი მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი კაცი იყო ,მაგრამ როდესაც თავისი ცოლი ჟესტს ასრულებლდა, ბილიც იგივეს იმეორებდა. ხოლო, როდესაც ხელჩაკიდებული მიდიოდნენ, ქალი ხშირად წინ მიუძღვოდა. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს ვინ ვის ასახავდა. ჰილარი ხომ აქტიურად ერეოდა ბილის საპრეზიდენტო საქმეებში და დღემდე ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკოს ქალად რჩება.

ახლა კი გიამბობთ იმ სატელევიზიო დებატების შესახებ სადაც ერთმანეთის პირისპირ იდგნენ დონალდ პრამპი და ჰილარი კლინტონი.

დებატების დროს კანდიდატებს ახალი და განსაკუთრებული არაფერი უთქვამთ, ის რაც აქამდე პოლიტიკოსებისგან არ მოუსმენიათ, თანაც იმ პოლიტიკოსებისგან რომელებიც მათ ხმების მოპოვებას ცდილობენ. თუმცა, ორივე კანდიდატის სხეულის ენამ სულ სხვა რამ გამოავლინა მათ შესახებ და არც ისე კარგი.

1.სატელევიზიო შეხვედრა დაიწყო მრავალწლიანი ხელის ჩამორთმევის ტარდიციის დარღვევით. ხელის ჩამორთმევაზე უარის თქმა კანდიდატების მხრიდან საკმაოდ ცუდი ტონი იყო.

2.ბავშვობაში ალბათ ჩვენთვის ხშრად უთქვამთ რომ სხვისკენ თითი არ უნდა გავიშვიროთ. ჰილარი კლინტონს მარვალი დებატების ფონზე საკმაო გამოცდილება ეტყობადა და არაცერთხელ არ მიუნიშნებია „თითით „ ტრამპისკენ, რასაც ვერ ვიტყვით დონალდზე, რომელმაც არაერთხელ მიუთითა კლინტონისკენ, რაც საკმაოდ ცუდად წარმოაჩენდა მას.

3. არასწორ მომენტში გაღიმება, რაც თავდაჯერებულობის მიმანიშნებელია.

ჰილარი კლინტონი დებატების დროს საკმაოდ ხშირად იღიმებოდა. რა თქმა უნდა, გაღიმება დადებით განწყობასთან ასოცირდება, თუმცა ამ

შემთხვევაში ამ დოზით გაღიმება საკმაოდ ცუდი ტონია. დებატებისას ,როდესაც ტრამპი საკმაოდ მწვავე კრიტიკით გამოდიოდა ქალი ოპონენტი უამრავი ღიმილით პასუხობდა. აწეული ნიკაპითა და თავისი უამრავი ღიმილით კლინტონი საკმაოდ თავდაჯერებულად გამოიყურებოდა.

4. როგორ საფრთხესაც არ უნდა გრძნობდეთ არ გადააჯვარედინოთ ხელები. ადამიანი რაიმე საფრთხის მოლოდინისას ქვეცნობიერად ცდილობს დაიცვას თავი, რაც მას წარმოაჩენს როგორც სუსტს. ხელების გადაჯვარედინება რაიმე პირადის დაცვას მიუთითებს, როგორც ეს ტრამპმა გააკეთა საპრეზიდენტო დებატების დროს მისი აუდიოჩანაწერის განხილვისას.

5.დებატების დროს კლინტონი ხშირად , საუბრისას აქეთ-იქით დადიოდა , ხშრად კი ტრამპის სცენის მხარეს გადადიოდა, რაც მისი მხრიდან დომინანტობას უსვამდა ხაზს. ტარამპმა კი საპასუხოდ დაიწყო კლინტონის უკან სიარული, რაც სამართალდამცავებისთვის წინასწარი შეტევის კვალს წარმოადგენს. მართალია ტრამპი კლინტონზე ფიზიკურ თავდასხმას არ გეგმავდა, თუმცა ამით გამოხატა მის მიმართ მუქარა.

ასევე, მინდა გავამახვილო ყურადღება იმ სხეულის ენაზე, რომელსაც ჩვენზე, ადამიანებზე შეუძლია დამატყვევებელი ძალაუფლების მოპოვება. მართალია პრინცესა დიანა პოლიტიკოსი არ იყო, თუმცა სამეფო ოჯახის წევრობის დროს და შემდეგაც მას უწევდა არაერთ გულშემატკივართა არმიასთან შეხვედრა. როგორც თავად ამბობდა იგი ადამიანების „გულების პრინცესა“ იყო. ხალხისთვის თავის შესაყვარებლად მას გარეგნობასთან, ხასიათთან და ქცევებთან ერთად დაეხმარა სხეულის ენა.

თავის დახრა და ზემოთ ახედვა არის მორჩილების გამომხატველი ერთ-ერთი ჟესტი, რადგან ასე თვალები უფრო ფართო ჩანს და ქალიც უფრო ემსგავსება ბავშვს. ამის მიზეზი არის ბავშვების მოზარდებთან შედარებით პატარა სხეული რის გამოც ისინი უფროსებს ქვემოდან უმზერენ,რაც საბოლოოდ მშობლის რეაქციას იწვევს ქალებშიც და მამაკაცებშიც.

„პრინცესა დაიანა ხელოვნების ნიმუშს ქმნიდა ზემოთ ახედვის დროს დაწეული ნიკაპითა და დაუცველი ყელის წარმოჩენით. ბავშვური ჟესტების ეს კლასტერი მის მიმართ დედობრივ და მამობრივ რექციებს იწვევდა მილიონობით ადამიანში,განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩანდა, რომ მას ბრიტანული სამეფო ოჯახის წევრები ესხმოდნენ თავს. ადამიანები, რომლებიც მორჩლების გამომხატველ ამ კლასტერს იყენებენ, იშვიათად აცნობიერებენ ამას, მაგრამ იციან - როდესაც იყენე-ბენ შედეგსაც იღებენ“.

კიდევ ერთ ჟესტს რომელსაც პრინცესა დიანა იყენებდა ადამიანებზე ზეგავლენის მოსახდენათ გვერდით მომზირალი ღიმილი გახლდათ.

როდესაც თავი დაბლა და გვერდითაა დახრილი, ხოლო მზერა მიმართულია ზემოთ ამ ყველაფერს ახლავს მოკუმულტუჩებიანი ღიმილი. ეს ყველაფერი კი მოთამაშე და იდუმალ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთი მორცხვი ღიმილი მამაკაცებს განსაკუთრებით უყვართ, რადგან ეს ყველაფერი მათში მშობლის გრძნობებს აღძრავს და იძულებული ხდებიან იზრუნონ ქალზე. სწორედ ასეთ გახლდათ პრინცესა დიანას ღიმილთაგან ერთ-ერთი, რომელსაც იგი ყველგან და ყოველთვის იყენებდა ადამიანთა გულების დასაპყრობლად.

ასეთი ღიმილი მამაკაცებს როგორც უკვე აღვნიშნეთ ქალის დაცვას აიძულებს, ხოლო ქალებს -მის მოწონებას. მსგავსი ღიმილი ეხმარებაა მანდილოსნებს თაყვანისმცემელთა გულის დაპყრობაშიც. ამ ღიმილს ახლა პრინცი უილიამსი იყენებს ხშირად, რითაც ადამიანების გულებსაც იპყრობს და დედამისსაც აგონებს მათ.

**დასკვნა**

ამ მიმართულებით კვლევან კიდევ არაერთ საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვნა. ყოველივე ეს კი უფრო მეტად წარმოაჩენს სხეულის ენის მნიშვნელობას. საბოლოოდ, იმის თქმა შეგვიძლია რომ ჩვენ სხეულს უფრო მეტი ინფორმაციის გაცემა შეუძლია ჩვენზე, ვიდრე წარმოგვიდგენია. ნებისმიერი ფიზიკური ჟესტი შეიძლება სამომავლოდ გახდეს ჩვენი წრამატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზი. მარტივია ამოვიცნოთ ადამიანის შინაგანი სამყარო და ზრახვები უბრალოდ მისი სხეულის მანერითა და გამოხედვით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ დროსთან ერთად სხადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა და განსაკუთრებით პოლიტიკოსებმა ისწავლეს საკუთარი „ სხეულის ენის“ მართვა და მით უფრო მასების ფსიქოლოგია, რაც უადვილებთ ჩვენზე ზეგავლენის მოხდენას. მნიშვნელოვანია ასევე გავითვალისწინოთ რომ ვერბალური ენების მსგავსად არავერბალური ენაც განსხვავდება კულტურისა და ქვეყნების მიხედვით, რაც სამომავლოდ უხერხულ სიტუაციებს აგვარიდებს თავიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პიზი ა., პიზი ბ.,"სხეულის ენა" , თბ,. 2016
2. www.bbc.com გადამოწმებულია 24.12.2021.
3. WWW. medium.com გადამოწმებულია 24.12.2021.
4. www.inc.com გადამოწმებულია 24.12.2021.

## Body language and politician

***Tamriko Muladze, PhD student***
***Georgian Technical University***

### Summary

This paper discusses the importance of nonverbal communication, through which we can figure out how heartfelt politicians and people are in general. This article provides an overview of Bill Clinton's body language and the televised debates in which Donald Trump and Hillary Clinton stood against each other. On top of that, we are going to tell you about Princess Diana, who was not a politician, but still succeeded to win the hearts of large amount of people all around the world.

To be a fine master of "body language" is the best possible way to identify a person. For some certain reasons, when we lie, our own "body" exposes us. However, a particular group of people were able to learn their own body language and moreover, to use it for having an influence on others. Today, a huge part of these people are represented by politicians.

With the examples discussed in this paper, we will find out the ways of how they manipulate us without saying a single word. We often may not even realize that politicians influence us by using their own bodies.

Your facial expressions, gestures, posture and a voice pitch are powerful weapons of communication. This article gives an idea of how to read and use body language at home or at work that will help you build even greater relationships.

Body language: gestures, movements and manners are the ways by which we establish nonverbal communication with the world. For the most part, body language is the unity of signals we receive from others and an interpretation is already achieved subconsciously.

On a number of occasions, body language can be used intentionally. In addition, nonverbal signs can also be used to deliberately control other people's perceptions. Politicians are the literal experts in this nonverbal manipulation.

Keywords: body language, politician, nonverbal, influence, expert.

# ეფექტიანი მედიაკონვერგენციის ასპექტები „გარდიანის" მაგალითზე

*ნინო ნატროშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

მულტიმედიური ჟურნალისტიკის წარმოშობის პირველი ეტაპი, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, ძირითადად, მედიაპროცესების ციფრულ გარემოში მექანიკურ გადატანას უკავშირდებოდა. მედიის სამუშაო ინსტრუმენტები შეიცვალა, ქაღალდი ეკრანით ჩანაცვლდა და ტექსტებიც ახალ რეალობას მოერგო, თუმცა ნამდვილი მულტიმედია ჟურნალისტიკის ბუმი როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე ევროპასა და დიდ ბრიტანეთში 2000-იანი წლებიდან დაიწყო. 2002 წელს, მსოფლიოს მასშტაბით, ონლაინგამოცემების რიცხვმა 2959 შეადგინა, თანდათან ინტერნეტმედია გაზეთების ბეჭდური ვერსიების ინტერნეტთან ადაპტაციის ეტაპიდან გამოვიდა. მულტიმედიურობამ კი ჟურნა-ლისტიკაში პიკს 2005-2008 წლებში, ვებ 2.0 ტექნოლოგიის განვითარების პარალელურად მიაღწია.

ამ პერიოდიდან ონლაინმედიებმა მკითხველთა ახლებურ მოთხოვნებზე აქტიური პასუხის გაცემა დაიწყეს. გაჩნდა განახლებული მასალები, რომლებმაც უპასუხა აუდიტორიის სურვილს: მიეღო ინფორმაცია ინტერნეტით. პარალელურად, ონლაინგამოცემებმა მაშინდელი ჟურნალისტიკისთვის ერთგვარად ექსპერიმენტული და ინოვაციური კონტენტი — საავტორო სვეტები, ვიდეოკომენტარები, ინფოგრაფიკები, ბლოგპოსტები და ა.შ. შექმნეს.

2006-2007 წლებში უკვე მობილური მოწყობილობებისთვის განკუთვნილი ვერსიებიც გაჩნდა. დიდ ბრიტანეთში კი ბეჭდური მედიასაშუალებების მასალები ხელმისაწვდომი ელექტრონული რიდერის PDF ფორმატითაც გახდა. ეს იყო ერთგვარი პასუხი მაშინდელ გამოწვევაზე: მკითხველებს სასურველი კონტენტი მიეღოთ, როცა სურდათ და სადაც სურდათ.

ზოგადად, მედიის კონვერგენციის პროცესი დიდ ბრიტანეთში ხარისხიანი მულტიმედია კონტენტის შექმნას, მედიის ინდუსტრიისთვის მანამდე უცნობი, ინოვაციური გადაწყვეტილებების შეთავაზებას დაეფუძნა. მათ შორის იყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ონლაინგამოცემა „გარდიანიც", რომელიც კონვერგენტული ჟურნალისტიკის საწყისი ეტაპიდან დღემდე მულტიმედია კონტენტის შექმნის წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა. ის ინოვაციები, რომლებიც ტრადიციულმა ბეჭდურმა გაზეთმა ციფრული ტრანსფორმაციის გზაზე დანერგა, თანამედროვე მულტიმედია ჟურნალისტიკაშიც აქტიურად გამოიყენება.

საკვანძო სიტყვები: ვებ 2.0, კონვერგენცია, მულტიმედია, „გარდიანი", ინტერნეტმედია

**შესავალი**

ინტერნეტმა საფრთხის ქვეშ ბეჭდურის მედიის არაერთი საშუალების არსებობა დააყენა, მათ შორის „გარდიანის". თუმცა, რედაქციის ახლებურმა და ტექნოლოგიების ინტეგრირებაზე ორიენტირებულმა სტრატეგიამ, რომელიც ამბის მულტიმედიური, ინტერაქტიური ხერხებით თხრობას ეფუძნებოდა, მედიაკონვერგენციის სირთულეების მიუხედავად, „გარდიანი" შემოსავლიან მედიაბიზნესად აქცია. დღესაც იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მედიას, რომელიც ინოვაციურ მაგალითებს ქმნის, დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგიებს აქტიურად იყენებს, ეფექტურ ვიზუალიზაციებად გარდაქმნის და მათ თანამედროვე აუდიტორიის აღქმას, მედიის გამოყენების ახლებურ ჩვევებს არგებს.

„გარდიანის" ბეჭდური მედიიდან ონლაინმედიად გარდაქმნის პროცესში რედაქციამ ჟურნალისტურ საქმიანობაში ექსპერიმენტული მიდგომები და ხერხები მოსინჯა. წლების განმავლობაში კი ისინი მულტიმედია კონტენტის წარმოების პროცესში გლობალურად დამკვიდრდა. მაგალითად, ინფორმაციული პროდუქტის შექმნა-ში მომხმარებლების მონაწილეობა, გამოცემის ირგვლივ მკითხველთა საზოგადოების ჩამოყალიბება და ა.შ. ნაშრომი მიზნად სწორედ მათ მიმოხილვას ისახავს.

**ძირითადი ნაწილი**

„გარდიანის" პირველი ვებგვერდი 1995 წელს გაეშვა. ამავე წელს მისი მთავარი რედაქტორი ალან რასბრიჯერი გახდა, რომელმაც მომდევნო წლებში

გამოცემის გაციფრულების სტრატეგია განავითარა. 1995 წელს ჟურნალისტიკაში ინტერნეტი პირველ ნაბიჯებს დგამდა და ბევრი რედაქცია კომუნიკაციის ამ საშუალებას ჯერ კიდევ საფრთხედ მიიჩნევდა. ალან რასბრიჯერი კი ერთ-ერთი იყო მათ შორის, რომელსაც საწინააღმდეგო შეხედულება ჰქონდა. იგი ინტერნეტს განიხილავდა, როგორც მედიის საიმედო მომავალს და ინვესტიციების გადანაწილებისას მთავარ აქცენტს ციფრულ განვითარებაზე აკეთებდა.

ალან რასბრიჯერის მიდგომის შედეგად, 1999 წელს გამოცემამ საიტების ნაკრები The Guardian Unlimited გაუშვა, რომელსაც 2001 წლის მარტში უკვე 2.4 მილიონი უნიკალური ვიზიტორი ჰყავდა და ყველაზე პოპულარული ბრიტანული ინტერნეტგაზეთი იყო[1]. ჯერ კიდევ 1999 წელს კი „გარდიანმა" მნიშვნელოვანი და დროში განგრძობადი მოვლენების გასაშუქებლად ინოვაციური პლატფორმის, „ლაივ ბლოგინგის" აქტიური გამოყენება დაიწყო. ეს იყო ერთგვარი პირდაპირი ეთერი ვებგვერდზე, რომელიც მკითხველების მონაწილეობასაც მოიაზრებდა. პარალელურად, აუდიტორიას შესაძლებლობა ჰქონდა, ინფორმაცია სრულად, ერთ სივრცეში მიეღო. პირველ ასეთ მცდელობას წარმოადგენდა 1999 წლის საფეხბურთო მატჩი „ინტერნაციონალესა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის[2], რომელიც გარდიანმა სწორედ ლაივ ბლოგინგით გააშუქა. შემდეგ კი იგივე ხერხი სხვა თემატიკის მასალების, მათ შორის პოლიტიკური პროცესების გასაშუქებლადაც გამოიყენა[3].

2006 წელს „გარდიანმა" ახალი კონცეფცია Web first – „უპირველესად ინტერნეტი" წარადგინა. გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი გამოცემის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები იყო, რომელთა მიხედვითაც მკითხველების მხოლოდ 4% აღნიშნავდა, რომ სიახლეს გაზეთის ბეჭდურ ვერსიაში ეცნობოდა[4]. კონცეფციის შესაბამისად, მნიშვნელოვანი კონტენტი თავდაპირველად პრიორიტეტულად ვებზე ქვეყნდებოდა და გაზეთში მხოლოდ ამის შემდეგ იბეჭდებოდა.

ახალ კონცეფციას იმავე წელს სპეციალური სივრცის „კომენტარები თავისუფალია" შექმნა მოჰყვა. ეს იყო თვალსაზრისების გვერდი, რომელთა ავტორებს შორის პოლიტიკოსები, მეცნიერები, მწერლები, აქტივისტები, უკვე არსებული ბლოგერები და ა.შ. იყვნენ. ჩაირთო კომენტარების დართვის ფუნქციაც, რათა მკითხველების მონაწილეობა კიდევ უფრო გაზრდილიყო[5].

მკითხველის ჩართულობისა და მასთან საუბრის სტიმულირებისთვის, განსაკუთრებით ოპ-ედ-ების (თვალსაზრისი-ედიტორიალი) ქვეშ, ბევრი ავტორი აუდიტორიას მონაწილეობას თავადვე სთხოვდა. „გარდიანის" ერთ-ერთი მაშინდელი პრინციპი მულტიმედია ჟურნალისტიკისთვის ამჟამადაც კარგად ნაცნობია: ონლაინმასალა, განსაკუთრებით თვალსაზრისები, არ სრულდება ავტორების ბოლო ფრაზებით, ისინი უბრალოდ წარმოადგენს ერთგვარ ბიძგს მკითხველების კომენტარებისთვის. ამ ნაბიჯს ერთგვარი რისკიც ახლდა, თუმცა ახალი რეალობა დისკუსიების გაფართოებასა და გაღრმავებას ითხოვდა. „ჩვენი ავტორები უნდა დავაყენოთ იქ, სადაც მათი ნამდვილი მეტოქეები - მკითხველები არიან. ისინი უნდა იყვნენ დისკუსიის ცენტრში და ჩაერთონ უფრო მეტად, ვიდრე ეს ბეჭდურ ვერსიას შეუძლია", - წერდა ონლაინგამოცემა[6].

ახალი რეალობა, რომ მკითხველმა შესაძლოა, მეტი იცოდეს, ვიდრე ჟურნალისტმა, "გარდიანმა" რამდენჯერმე მედიაექსპერიმენტად აქცია. 2010 წლის აპრილში მექსიკის ყურეში ნავთობი ჩაიღვარა. კომპანია BP-მ უბრალოდ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ამიტომ ყველას ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიწოდებისკენ მოუწოდა. პარალელურად, „გარდიანის" გუნდმა Google-ის დოკუმენტი შექმნა, მასზე წვდომა ნებისმიერ მსურველს მისცა და მკითხველებს სთხოვა, საკუთარი შეთავაზებები გაეგზავნათ. მართლაც, რედაქციამ სპეციალისტებისგან უამრავი იდეა მიიღო, რომელთაგან საუკეთესოები შეისწავლა კიდეც. როგორც შემდგომში „გარდიანი" აღნიშნავდა, „ეს იყო წარმოუდგენლად მდიდარი და სიღრმისეული სამუშაო, რომელიც იმ ადამიანების დახმარებით შეიქმნა, რომლებიც მანამდე უბრალოდ მაყურებლები იყვნენ"[7].

აუდიტორიის ჩართულობის კიდევ ერთ წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა 2009 წელს,

1 Key moments in the Guardian's history: a timeline, 2017, https://www.theguardian.com/gnm-archive/2002/jun/11/1 ნანახია: 30.04.2021

2 The Guardian, Minute-by-minute guide, 1999, https://www.theguardian.com/football/1999/mar/17/newsstory.sport10?view=desktop ნანახია: 30.04.2021

3 ნესტან ცეცხლაძე, კონსტანტინ სტალინსკი, ინტერნეტი და ჟურნალისტიკა, თბილისი, 2014-2015, 148

4 Javier Díaz Noci, A History of Journalism on the Internet: a state of the art and some methodological trends, Universidad de Sevilla - Secretariado de Recursos Audiovisuales y Nuevas Tecnologias, 2013, 264

5 Georgina Henry, Welcome to Comment is free, 2006, ნანახია: 28.04.2021 https://www.theguardian.com/commentisfree/2006/mar/14/welcometocommentisfree

6 Georgina Henry, Welcome to Comment is free, 2006, ნანახია: 28.04.2021 https://www.theguardian.com/commentisfree/2006/mar/14/welcometocommentisfree

7 Georgina Henry, Welcome to Comment is free, 2006, https://www.theguardian.com/commentisfree/2006/mar/14/welcometocommentisfree

ლონდონში გამართულ საპროტესტო აქციებზე გარდაცვლილი იან ტომლინსონის გამოძიების ისტორია. ოფიციალური დასკვნა იუწყებოდა, რომ ტომლინსონი გულის შეტევით დაიღუპა, თუმცა „გარდიანის“ რეპორტიორი პოლ ლუისი, რომელიც მასალაზე მუშაობდა, თვითმხილველებს მაინც ეძებდა. რედაქციამ ტვიტერის გვერდსა და საიტზე შესაბამისი განცხადებაც განათავსა. გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათში კი რეპორტიორს ერთ-ერთი მკითხველი აშშ-დან დაუკავშირდა. მას ჰქონდა გადაღებული კადრები, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ იან ტომლიენსონი პოლიციელმა წააქცია. მასალის გამოქვეყნებას დიდი რეზონანსი მოჰყვა. პოლიციამ ბოდიში ოფიციალურად მოიხადა და გარდაცვლილის ოჯახისთვის კომპენსაციის გადახდას დასთანხმდა.

„თუ თქვენ არ მოუსმენთ მათ, არ იმუშავებთ მათთან და მათთვის, არ მისცემთ, რაც სურთ და სჭირდებათ, ბევრ სხვა წასასვლელ ადგილს გამონახავენ. ღია ვებგვერდი აუდიტორიასთან ურთიერთქმედების ისეთი საშუალებაა, რომელიც აქამდე არ ყოფილა. იგი იძლევა მათთან თანამშრომლობის შესაძლებლობას ისტორიების ახალი ხერხებით აღმოჩენის, გავრცელებისა და განხილვისთვის“, - აღნიშნავდა მკითხველთა შესახებ 2013 წელს გამოცემის მთავარი რედაქტორი კეტრინ ვინერი[1]. „გარდიანი“ გაციფრულების სტრატეგია და ფუნდამენტური ცვლილებები უპირველესად ჟურნალისტებსა და აუდიტორიას შორის კომუნიკაციას, მათი ინტერესების გათვალისწინებას დაეფუძნა.

**დასკვნა**

2003 წელს გარდიანს თვეში 7.5 მილიონი ვიზიტორი ჰყავდა, 2006 წელს - 12 მილიონი, 2008 წელს - 25 მილიონი, 2010 წელს - 34,6 მილიონი, 2014 წელს კი - 102, 3 მილიონი. ეს წარმატებული მატება მნიშვნელოვნად დაკავშირებული იყო ამბის მულტიმედიურ თხრობის გამორჩეულ მანერაზე, რომელიც გაჯერებული იყო ინტერაქტიული ელემენტებითა და აუდიტორიის აქტიური მონაწილეობით.

„გარდიანი“ ერთ-ერთი ყველაზე მზარდი გამოცემაა. 2020 წლის დასაწყისიდან ციფრული გამომწერების, შესაბამისად, იმ მკითხველების რიცხვი, რომლებიც მზად არიან მედიასაშუალება დააფინანსონ და მის კონტენტში თანხა გადაიხადონ, 268 000-ითაა გაზრდილი. იმატებს მულტიმედია კონტენტის მომხმარებლების რიცხვიც: გამოცემის პოდკასტების მოსმენის მაჩვენებელი 66%-ითაა მომატებული, Youtube-ის არხის გამომწერების - 63%-ით, ციფრული პლატფორმების უნიკალური ჩამოტვირთვის რიცხვი კი 2.1 მილიონს შეადგენს, რაც 67%-ით მეტია წინა წლის შედეგებზე. „გარდიანის“ ერთ-ერთ ბოლო მულტიმედია პროექტს, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების რეალურ დროში მთვლელს 100 მილიონი ნახვა ჰქონდა[1].

ტექნოლოგიები სულ უფრო ვითარდება და მედიას ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. ამ შესაძლებლობების პრაქტიკაში დანერგვას კი „გარდიანი“ ამჟამადაც აგრძელებს. გამოცემის ავსტრალიური ვებგვერდი უკვე წარმოდგენილია აპლიკაცია ტიკ ტოკზე, რომელიც მზარდი პოპულარობით სარგებლობს და რომლის აუდიტორიის მთავარ ნაწილსაც ახალგაზრდა მომხმარებელი შეადგენს. რედაქცია კონტენტს ამ აპლიკაციის ინსტრუმენტებით, აუდიტორიის სპეციფიკისა თუ ჩვევების გათვალისწინებით ქმნის და თანამედროვე ტრენდებს ახალი გადაწყვეტილებებით პასუხობს.

---

[1] Katharine Viner, The rise of the reader: journalism in the age of the open web, 2013, https://www.theguardian.com/commentisfree/2013/oct/09/the-rise-of-the-reader-katharine-viner-an-smith-lecture ნანახია 28.04.2021

1 The Guardian in 2020, Introduction from Katharine Viner, editor-in-chief, 2020, ნანახია: 28.04.2021 https://www.theguardian.com/info/ng-interactive/2020/dec/21/the-guardian-in-2020

გამოყენებული ლიტერატურა:


1. ნესტან ცეცხლაძე, კონსტანტინ სტალინსკი, ინტერნეტი და ჟურნალისტიკა, თბილისი, 2014-2015
2. Kimmo Lundén, The Death of Print? The Challenges and Opportunities facing the Print Media on the Web, Reuters Institute Fellowship Paper, University of Oxford, Michaelmas, Hilary & Trinity Terms 2008 – 2009
3. Richard Scott Dunham, Multimedia Reporting How Digital Tools Can Improve Journalism Storytelling, Springer Nature Singapore Pte Ltd. 2020. 44
4. Javier Díaz Noci, A History of Journalism on the Internet: a state of the art and some methodological trends, Universidad de Sevilla - Secretariado de Recursos Audiovisuales y Nuevas Tecnologias, 2013,
5. Ambivalence Towards Convergence – Digitalization and Media Change, Anders Fagerjord & Tanja Storsul, Nordicom, Oslo, 2007
6. 
7. The Guardian, www.theguardian.com
8. Mousetrap Media, www.journalism.co.uk
9. World Association of News Publishers, www.wan-ifra.org
10. Reuters Institute, www.digitalnewsreport.org
11. Guardian Youtube network, https://www.youtube.com/user/TheGuardian


## The aspects of effective Media Convergence: The example of The Guardian


***Nino Natroshvili, Ph.D. student***

***Georgian Technical University***


### Summary


In the 90's, during the rise of the multimedia journalism, media processes were mechanically adopted in the digital space. Media instruments of those times have gradually changed – paperwork was replaced by the computer screen and the texts started to fit to a new reality. The real boom of the multimedia journalism has started in the US, Europe, and the Great Britain in early 2000s. Only in 2002 the number of the online publications reached up to 2959. The online print versions of the newspapers gradually started adaptation process with Web2. The multimedia journalism hit a pick in 2005-2008.

From this starting point, online media began to meet the new demands and expectations of the readers. The media became more prepared towards the public expectation and started to offer fresh news materials through the internet. In parallel, online publishers began experimenting on the format and the content. Among the first experimental products were: An author's columns, video comments, info graphs, blog posts etc.

In 2006-2007 online media started to offer the content through mobile phones. At that time in the UK print materials were already easily accessible through PDF reader. Such changes in the media content as well as the format was driven by the increasing demand for delivering fast, reader-oriented media content whenever and wherever.

In general, the process of the media convergence started in the UK as a foundation for innovative solutions for developing a high-quality media content. The type and the format of the media content which was totally invented and untapped before. Among the most popular online newspaper of that time 'The guardian' became one of the best examples among media outlets who has developed the top online media content from the very scratch, starting from the times of journalistic convergence. The digital innovations that have been introduced by the print media, is actively used nowadays in the modern multimedia journalism.



Keywords: Web 2.0, convergence, multimedia, The Guardian, Internet media.

# ქვეყნის იმიჯის ფორმირების ასპექტები ბრიტანულ პრესაში
## (გაზეთი „გარდიანი“-ს რევოლუციამ მოიცვა მონსტრებისა და პოეტების ქვეყანა“ მაგალითზე)

*სოფიკო კვანტალიანი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*თეონა ყოჩიაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანის, ახლებური პრეზენტაციის საკითხი ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში. პრობლემის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ დასავლეთის სახელმწიფოებისთვის განხილვისა და განსჯის საგანი შეიქმნა ახალი პოლიტიკური აქტორის ორიენტაციის საკითხი, რაც მრავალი ამერიკელი თუ ბრიტანელი ჟურნალისტისთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროდ იქცა და მის შესახებ გამოქვეყნებული სტატიების თემატური მრავალფეროვნებით დასტურდება. ძირითად პრობლემას წარმოადგენს არა მარტო ის, თუ როგორ არის არეკლილი საქართველო, არამედ ტექნოლოგიური პროცესი – რა ჟურნალისტურ ხერხებს მიმართავენ ბრიტანელი და ამერიკელი ავტორები ბეჭდურ მედიაში საქართველოს საერთშორისო იმიჯის ფორმირების პროცესში. ემპირიული წყაროების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკვლევი საკითხები: რა კუთხით შუქდება საქართველო ინგლისურენოვან პრესაში, რომელი საკითხებით ინტერესდებიან, რამდენად შესაბამისია ობიექტურობა განხილულ თემებთან, იკვეთება თუ არა ტენდენცია გარკვეულ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

სტატიაში გამოყენებულია კონტენტ ანალიზი, სემიოლოგიური ანალიტიკური მიდგომა, კომუნიკაციური ლინგვისტიკისა (ლინგვოპრაგმატიკის) და იმაგოლოგიის მეთოდი.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის თემას ეხება 2003 წლის 24 ნოემბერს გაზეთ „გარდიან“–ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია სათაურით, „რევოლუციამ მოიცვა მონსტრებისა და პოეტების ქვეყანა“.[1] ბრიტანელი ჟურნალისტი, რობერტ პარსონი საქართველოს ძველი მთავრობის დამხობის შესახებ იუწყება. მასალა ეხება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მასში განხილულია საქართველოს ყოფილი პრეზიდენ-ტებისა დ ახალი მმართველი ხელისუფლების საკითხი.

კვლევის შედეგების მიხედვით, ტექსტში ქვეყნის იმიჯი განისაზღვარება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ასპექტით, რასაც ჟურნალისტი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით ახორციელებს, კერძოდ, ეფექტურია სტატიაში, პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტის, „სარკისებური პრინციპის“ მეთოდის გამოყენება. აწმყო და წარსული, ერთმანეთთან გადაჯაჭვული მოვლენებით ერთ სივრცეში იყრის თავს და ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ავტორისეულ საკომუნიკაციო ტაქტიკაზე: სამეტყველო აქტების,თავაზიანობის სტარტეგიების სწორ და მართებული შერჩევაზე, ქართველი პოლიტიკური ლიდერების სახის ჩვენებაზე,რაც პუბლიცისტურ ტექსტში საქართველოს იმიჯის, რეპუტაციის გადმოცემას უწყობს ხელს და მთლიანობაში იძლევა ერთ მთლიან სურათს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო ბრიტანულ პრესაში, ქვეყნის იმიჯის ჩვენების მნიშვნელოვანი აპსექტები, ქართველი პრეზიდენტები, ინტერკულტურულიკომუნიკაცია,დემოკრატიული სახელმწიფო

**შესავალი**

საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები აკავშირებთ.ქართულ–ბრიტანულ თანამშრომლობა ვითარდებოდა და გრძელდებოდა პოლიტიკის, თავდაცვის, ეკონომიკის, კულტურისა და სხვა სფეროებში. ბრიტანული პრესა მუდმივად აშუქებდა თემებს ქართველი ხალხისა და საქართველოს შესახებ. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისური გაზეთების პირველ და მთავარ გვერდზე იბეჭდებოდა სტატიები მეფე ერეკლეს პიროვნულ თვისებებზე, პოლიტიკურ მიღწევებზე, სამხედრო გამაჯვებებზე. ევროპული ორიენტაციის ქართველი

[1] Robert Parsons,"Revolution haunts the land of monsters and poets", The Guardian ,November 24,2003

მონარქი,პატარა კახი, რომელიც საქართველოს სახეს წარმაოდგენდა, ბრიტანული პრესის ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. ინგლისურენოვანი ბეჭდური მედიის ინტერესი ჩვენის ქვეყნის მიმართ არც შემდგომ წლებში შენელებულა. უორდროპების საქართველო კვლავ ფართოდ განიხილებოდა ბრიტანეთის პრესაში.ინგლისურენოვან გაზეთებსა და ჟურნალებში იწერებოდა ბრიტანელი დიპლომატის, ოლივერისა და მისი დის (მთარგმნელი) მარჯორი უორდროპების წერილები ჩვენს სამშობლოზე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ ორი ქვეყნის ისტორიასა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

საქართველო მრავალკულტურული და მრავალეთნიკური სახელმწიფოა. ბრიტანელი ჟურნალისტი ,ჯოანა ო'კონორი სტატიაში სათაურით: „გასეირნება კავკასიის თავგადასავლების მხარეში" ჩვენი ქვეყანის სილამაზეზე საუბრობს ,აღწერს მის გეოგრაფიულ მდებარეობას და აღნიშნავს, რომ ის არც ევროპულია და არც აზიური. „საქართველო არის ეგზოტიკური ნარევი სხვადასხვა გავლენე ბის"–წერს იგი. მაშასადამე, ეს დიდებული ქვეყანა თავისი საინტერესო წარსულითა და გეოპოლიტიკური მდებარეობით, ინგლისელების აზრით წარმოადგენს კულტრულ სინთეზს სხვადასხვა კულტურებს შორის.

ინგლისურენოვან პრესაში საქართველოს ასახვის საკითხის შესწავლა აქტუალურია, იმ გარემოებიდან გამომდინარე,რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუცია" იყო ერთ–ერთი მცდელობა საბჭოური რეჟიმის დამხობის საბჭოთა სივრცეში,რომელსაც მთელი დასავლეთი მიესალმა. სახელმწიფო სათავეში მოსული პროამერიკული ორიენტაციის ლიდერი,ქვეყნის ახალი დემოკრატიული ,დასავლური ტიპის სახელმწიფოს განვითარებისკენ სვლას მოასწავებდა.უსისხლო სახელმწიფო გადატრიალება და ამბოხების მთავარი შემსრულებელი მალევე ნიმუში გახდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების,უკრაინაში 2004 წლის ნარინჯისფერი და 2005 წლის ყირგიზეთში ტიტების რევოლუციის. დასავლეთი და საერთაშორისო პარტნიორები იმედოვნებდნენ საქართველოს პრეზიდენტის, მ.სააკაშვილის მიერ ქვეყნის პროდასავლური კურსით წაყვანას.

ქვეყნის იმიჯს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ლიდერი მსოფლიო არენაზე, რომლის პორტრეტი ზუსტად ასახავს და შეესაბამება მისი სამშობლოს სურათს. პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, უმაღლესი მთავარსარდალი, დიპლომატი გარკვეულად წარმოადგენს რესპუბლიკის სახეს. მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შეუძლია რადიკალურად შეცვალოს ქვეყნის ბედი, გააძლიეროს ან შეასუსტოს მიმდინარე პროცესები. რის გამოც საქართველოს უკანასკნელი პერიოდის პოლიტიკური ლიდერების პორტრეტების განხილვა საერთაშორისო ურთიერთობების პრიზმაში უაღრესად საინტერესოა უახლესი ისტორიის შეფასებისთვის.

საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება ზვიად გამსახუდიასთანაა დაკავშირებული, ხოლო ჩამოყალიბებას სამი სახელმწიფო მეთაურის სახელი უკავშირდება.მათმა მოღვაწეობამ ჩვენი სამშობლოს ისტორიაში უდიდესი კვალი დატოვა. ზ.გამსახურდიამ აღადგინა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ე.შევარდნაძემ ქვეყანა ქაოსიდან გამოიყვანა, მ.სააკაშვილმა დემოკრატიული სახელმწიფო ჩამოაყალიბა. ამიტომაც მათი სახელები ინგლისურენოვან ბეჭდურ მედიაში გვხვდება, როგორც „ერის მხსნელის", "სამშობლოს გადამრჩენელის", "დამოუკიდებლობის მომპოვებლის" სტატუსით.

ჩვენს წინაშე დგას პრობლემა, თუ როგორ არის საქართველო წარმოჩენილი ბრიტანულ ბეჭდურ მედიაში, დავინახოთ ქვეყნის იმიჯის ამსახველი მნიშვნელოვანი ასპექტები; ჩამოყალიბების პროცესი, დავადგინგინოთ რა ჟურნალისტური ხერხებით იქმნება სახელმწიფოს დადებითი ან უარყოფითი სურათი.

კვლევის მიზანია წარმოვადგინოთ საქართველოს იმიჯის შესაქმნელად გამოყენებული ტექნოლოგიები უცხოურ პრესაში ,ვაჩვენოთ რა კანონზომიერები ვლინდება გარკვეული პოლიტიკური პროცესების გაშუქებისას; გავაანალიზოთ რამდენად ობიექტურად აისახა კონკრეტული მოვლენა და იკვეთება თუ არა გარკვეული ტენდენციები.

ჩვენს წინაშე დგას შემდეგი საკვლევი საკითხები: დავინახოთ როგორ არის საქართველო ნაჩვენები ინგლისურენოვან პრესაში; რომელი თემებითა და საკითხებით შემოიფარგლება;რა კუთხით აინტერესებთ ჩვენი ქვეყანა;რა ტენდენციები ვლინდება;რამდენად ობიექტურად ირეკლება ქვეყნის იმიჯი; არის თუ არა საიმიჯო მასალა; ერთი და იგივე საკითხი როგორ შუქდება სხვადასხვა გაზეთებში; შევადაროთ ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში წარმოდგენილი მასალა.

კველევის მიზნებიდან და საკვლევი საკითხიდან გამომდინარე,გამოყენებული იქნა კონტენტ ანალიზი ,როგორ სპეციფიკური საკვლევი მეთოდი და ტექნიკა, პუბლიცისტური წერილის უკეთ გასაანალიზებლად.ასევე მოვიშველიეთ სემოი-

ლოგიური ანალიტიკური მიდგომა, კერძოდ, რ. ბარტის ხუთკოდიანი სისტემა, ნიშანთა ფუნქციონირების დასადგენად ინგლისურ ენასა და კულტურულ გარემოში; იმაგოლოგიის მეთოდი, როგორც „სახისმეტყველება"(ანუ იმიჯოლოგია); ასევე კომუნიკაციური ლინგვისტიკის, კერძოდ ლინგვოპრაგმატიკის, სამეტყველო აქტების თეორიის პრინციპები.

ბრიტანელი ჟურნალისტის რ.პარსონის სტატიის აგების მეთოდი განსხვავებულია. ავტორის ნარატივი,როგორც სემიოტიკური სტრუქტურა შედგება თანამიმდევრული წყობით სემიოლოგიური კოდებისგან: 1)აქციონარული, 2)სემური, 3)ჰერმენევტიკული, 4)რეფერენციული, 5)სიმბოლური. ავტორმა, მოსაზრებები ლოგიკურად განალაგა იმ მიზნით, რომ უფრო ღრმად ჩაწვდომოდა საკითხს და მკითხველისთვის ეჩვენებინა თუ რასთანაა დაკავშირებული საქართველოს წარუმატებლობა, სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რადგან, მისი აზრით, ტრაგედია თვით ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებს ეხებათ.ავტორმა, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზები, გამოკვლევის,წარსულთან კავშირის გაბმის საშუალებით, პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტების, „სარკისებური პრინციპის" მეთოდის გამოყენებით აჩვენა. ყოფილი პრეზიდენტების ზ. გამსახურდიასა და ე.შევარდნაძის მაგალითზე, ჟურნალისტმა აშკარად გამოკვეთა სრულიად განსხვავებული, პროამერიკული ორიენტაციის, ახალგაზრდა პოლიტიკოსი. რ.პარსონმა, რევოლუციით მოსული,მ. სააკაშვილის ხელისუფლების საკითხის წამოჭრა სტატიაში მიზანდასახულად განახორციელა. ისტორიული ანალოგიებისა და ანალიზის გამოყენებით, მან წარმოადგინა საქართველოს მომავალი სახე.

**ძირითადი ნაწილი**

ქვეყნის უნიკალურობის წარმოჩენა დანარჩენი სამყაროსგან განსხვავებით და მისი იდენტიფიცირება სტატიაში საფუძვლად ლიდერ წინადადებას ედება. დიადი მიწა–წყლის ჩინებულად დახატვა, თავისი ნაკლოვანებებით წინ უძღვის პუბლიცისტურ წერილს. ლიდი „საქართველო არის ლამაზი, მაღალკულტურული ქვეყანა,მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით" მთლიანად ასახავს ჩვენს სამშობლოს. ამ პატარა, დიდებული მხარის სურათი, თავისი მომხიბვლელობითა და სიდუხჭირით, რამოდენიმე შტრიხით, დეტალი სახითა (ლამაზი, მაღალკულტურული) და დეტალი ფაქტით (მძიმე ეკონომიური მდგომარეობა), ლაკონურად გადმოსცა ავტორმა.მასში თავისი სათქმელიც ჩააქსოვა და ტკივილიც.მისი განმარტებით, ეს საუცხოო სილამაზის სახელმწიფოა, თუმცა მას სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს.

პუბლიკაციის სათაურში კონკრეტდება ავტორის პოზიცია.დეტალი ფაქტი–"რევოლუციამ მოიცვა" მიგვანიშნებს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენაზე. სიტყვები "მონსტრებისა და პოეტების ქვეყანა" – დეტალი სახისა და დეტალი სიმბოლოს შემოყვანით, რ.პარსონი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკოსებისა და ხელოვანების ერთობლიობის სურათს ქმნის,რომლის საშუალებით ბრიტანელ მკითხველს აცნობს ჩვენს ქვეყანას. „მონსტრი"–ალეგორია, სიმბოლიზებული დეტალია,რომელიც ბოროტების სიმბოლოსთან ასოცირდება. სათაურში დაშიფრული ირონია, ქვეტესტის სახით წარმოჩინდება.ავტორი „მონსტრებში" ბერიასა და სტალინს მოიაზრებს. ისინი საქართველოს აჩრდილებად ქცეული „მონსტრი" პოლიტიკური ლიდერები არიან. ამ ერთი დეტალით, ალეგორიით ,გადაკრული სიტყვით, ავტორი შენიღბულია.მასში ჩანს ჟურნალისტის უარყოფითი შეფასება ძველი საბჭოთა პერიოდის ბელადების, რომელთა მოჩვენებებიც ჯერ კიდევ დასტრიალებენ ქვეყანას.

ქვეყნის იმიჯის ფორმირება სტატიაში მდგომარეობს მისი ვიზუალური, გეოგრაფიული მდებარეობის აღწერითა და იდეოლოგიური ფუნქციის აღნიშვნით ანუ ამ ერის არსის გადმოცემით,რომელთანაც დაკავშირებულია ეროვნული იდენტობა, ისტორია ,კულტურა.აქედან გამომდინარე სახელმწიფოს სურათი იქმნება მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვით, რომელსაც ბრიტანელი ჟურნალისტი სხვადასხვა მეთოდითა და გზებით ასრულებს.

სახელმწიფოს ორიგინალური და ცნობადი იმიჯის შესაქმნელად ავტორი მცირე მონახაზს აკეთებს. საქართველოს წარდგენა ხდება გეოგრაფიულ, კულტურულ და ისტორიულ სივრცეში. იმის მინიშნებით, რომ საუცხოო მხარე ყველასათავის გამორჩეული ადგილია და ცნობილია სახელნგანთქმული ქართველებით ,ჟურნალისტი ციტირებს: „ეს არის მონსტრებისა და პოეტების მიწა.იგივე ქვეყანა, რომელმაც სტალინი და ბერია მსოფლიოს უბოძა, საბჭოთა კავშირის მრავალი ყველაზე ცნობილი მწერალი ,მხატვარი და კინემატოგრაფისტი წარუდგინა".[1] ამ რამდენიმე

1 "The same country that gave Stalin and Beria to the world produced many of the Soviet Union's most celebrated writers , artists and filmmakers".

წინადადებით ავტორი ბრიტანელ მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენებს საქართველოსა და მის პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეების შესახებ.

პუბლიცისტური ტექსტი წარმოადგენს სემიოლოგიური ნიშნების ერთობლიობას, რომლებიც ურთიერთმიმართებით ქმნიან ერთ მთლიან ქსელს, ბირთვს. ჰერმენევტიკული კოდის მეშვეობით აღნიშნულ პუბლიკაციაში გადმოიცემა ტექსტის მთავარი შეკითხვა, თავსატეხი, რომლის საშუალებით პრობლემაა დასმული. ავტორი სვამს კითხვას: „შეცვლის, თუ არა რამეს, საქართველოში „ხავერდოვანი რევოლუციით" მოსული პოლიტიკოსების ახალი თაობა"[1].პუბლიცისტი პასუხის გასაცემად უღრმავდება საკითხს.იგი იკვლევს პრობლემას - რას მოუტანს მ.სააკაშვილის ხელისუფლება სახელმწიფოს.ამ მიზნის მისაღწევად ბრიტანელი ჟურნალისტი სხვადასხვა მეთოდებს იყენებს.იგი რესპუბლიკის გასული წლების მმართველობის სტრუქტურებში იხიდება და ცდილობს ამოიცნოს, წინასწარ განჭვრიტოს შეკითხვის არსი. ავტორი ავითარებს თხრობას და წარმართავს სიუჟეტს ისეთი მიმართულებით, რაზეც მისივე ნარატივით ცდილობს პასუხი გაეცეს.

რ.პარსონი მსჯელობას აგებს საქართველოს ამბავზე ,მის წარსულსა და აწმყოზე. ამ თვალსაზრისისდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს უახლოესი ისტორია,მისი დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ,რომელიც მოიცავს სამი პრეზიდენტის მოღვაწეობას. რ.პარსონი პრობლემის გადაჭრის გზებს საინტერესოდ და ეფექტურად აწვდის მკითხველს,ხოლო ძიების პროცესი ხანგრძლივი, თანამიმდევრულია. აქციონალური ანუ პროაირეტიკული კოდი ჩადებულია პოლიტიკური პროცესების თანამიმდევრობაში. ბრიტანელი ჟურნალისტი პოლიტიკურ მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას, პარალელებს ავლებს 2003 წლის რევოლუციასა და 1992 წლის მოვლენებს შორის, რასაც დეჟავიუს პრინციპით ახერხებს. მკითხველს უჩნდება შეგრძნება, რომ ის რაც საქართველოში მიმდინარეობს, წარსულში უკვე მოხდა. იგი ანალოგიებს ხედავს ზემოთაღნიშნულ პოლიტიკურ პროცესებში.ზვიად გამსახურდიას დამხობა და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებიდან ჩამოგდება მსგავს სიტუაციას მოაგონებს მას. რ.პარსონი აქ იყენებს დადებითი თავაზიანობის სტრატეგიას, რათა მკითხველი თხრობაში ჩააბას, რასაც იგი დროის მონაცვლეობით ახერხებს.ისტორია მეორდება და საქართველოს პრეზიდენტების მოღვაწეობაც და დასასრულიც ერთმანეთთან მსგავსებით გამოირჩევა. ამგვარი ანალიზის გზით,ავტორი იკვლევს პრობლემას, იაზრებს და შემდეგ დასკვნამდე მიდის, ციტირებით ასაბუთებს: „ტრაგედია როგორც ჩანს, საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებს ეხებათ".[2] ჟურნალისტი ასეთი განცხადებით სახელმწიფო მმართველებს ერთ კატეგორიაში მომოიხილავს და მათ საბედისწერო მოღვაწეობას ქვეყანას უკავშირებს. პრეზიდენტებს დიდი პასუხისმგელობა ეკისრებათ სამშობლოს წინაშე, ამიტომ ჟურნალისტის აზრით, ტრაგედია ეხება არა თვითონ სახელმწიფოს, არამედ მის პოლიტიკურ ლიდერებს. ფაქტობრივად, კორესპონდენტმა სტატიაში ამ ერთი წინადადებით პრეზიდენტების საკითხი წამოჭრა. მოცემულ მონაკვეთში კომუნიკაციის პროცესი ადრესატისა და ადრესანტს შორის ურთიერთგაგების ფონზე უმაღლეს დონეს აღწევს, ტრანზაქციას, რომელიც მოიცავს მკითხველის მაღალ ემოციურ ჩართულობას.

ჟურნალისტის მიზანია, ბრიტანელი აუდიტორიის მიერ, საქართველო აღქმული იყოს არსებული რეალობიდან. ქვეყნის სწორი იმიჯისა და რეპუტაციის შესაქმნელად, ავტორისთვის აუცილებელია სახელმწიფოში განვითარებული პოლიტიკური პროცესების ასახვა ეროვნული სტრატეგიების გათვალისწინებით. სემური კოდებით, ანუ ნიშნებით გადმოგცემს ჟურნალისტი ტექსტის მთავარი პერსონაჟების ნამდვილ სახეს, ასევე კოდირებულია ის ატმოსფერო, რომელშიც ვითარდება მათი ქმედებები. რ.პარსონი რობერტ სტურუას მიერ დადგმულ შექსპირის პიესას განგებ იხსენებს, რათა მოახდინოს რეინსცენირება და გააცოცხლოს მისი პერსონაჟები. ე.შევარდნაძე შედარებულია მეფე ლირთან: "მარტოხელა, მოწყენილი პიროვნება, რომელიც გარშემორტყმულია პირფერი ლაქიებით და უიმედო რეალობისგან მოშორებული"[3]; გამხსახურდია კი – მაკბეტთან. ავტორი იყენებს შედარებას, რათა ეფექტი მოახდინოს ბრიტანელ აუდიტორიაზე. ჟურნალისტი აფასებს მოვლენებს საკუთარი კულტურიდან გამომდინარე ,კულტურული „სათვალიდან" იხედება და ცდილობს ზუსტად მოარგოს უცხო ქვეყნის მმართველებს ინგლისის სამეფოს როლები. ქართველი პრეზიდენტებისთვის განკუთვნილი სახეები შექსპირის ნაწარმოებში კულტურათა დიალოგს მოგვაგონებს. ინტერკულ-ტურული დიალოგი მიმ-

1 [...] whether any of this will change under the new generation of politicians ushered in by Georgia's "velvet revolution."

2" Tragedy,It seems,clings to Geogia's political leaders"

3 "A lonely, disconsolate figure, surrounded by fawning courtiers and hopelessly out of touch with reality".

დინარეობს ინგლისელ პერსონაჟებსა და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკოსებს შორის.ისინი ბრიტანეთის სცენის მთავარი გმირები არიან კულტურათა შორის კომუნიკაციის სივრცეში.ავტორის მიერ გამოყენებული სქოლანების დეფერენციული თავა-ზიანობის სისტემის მიხედვით ,კომუნიკანტები თანასწორნი არიან, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ქართველი და ბრიტანელი ხალხის მეგობრულ, კეთილგანწყობილ ურთიერთობაზე და ადასტუ-რებს, რომ მიუხედევად განსხვავებული ენებისა, მათ ბევრი რამ აქვთ საერთო.

ავტორმა რეფერენციულ კოდში გააერთიანა ყველა ის ნიშანი, რომლითაც მან გამოხატა უკვე არსებული ცოდნა აღნიშნული ქვეყნისა და მისი მმართველების შესახებ და ტექსტში შემოიყვანა ისინი შედარებების, დაპირისპირებისა და სხვა-დასხვა ასოციაციების სახით. პუბლიცისტურ წერილში გამოყენებულია ასევე ეფექტური მეთოდი „სარკისებური პრინციპი“. საგნის ანარეკლის ჩვენების უნარი ჟურნალისტის სათქმელის გააზ-რებად წარმოგვიდგება პუბლიკაციაში.მოცემულ სტატიაში, ამ ხერხის გამოყენების საშუალებით, ხდება ქართველი ლიდერების პოლიტიკური მოღვაწეობის სინამდვილის არეკვლა. რ.პარსონი საქართველოს ყოფილ პრეზიდენტებს სარკეში ახედებს, სადაც შთამბეჭდავად მჟღავნდება ერთი მხრივ, ე.შევარდნაძის არასწორი მმართველობის შედეგად მიღებული არნახული მასშტაბის კორუფ-ცია, დაფუძნებული მეგობრობის ინსტიტუტზე. მეორე მხრივ, ზ.გამსახურდიას „პარანოიდული სამყარო“ თავისი ცოლითურთ.ორივე შემთხვევაში უარყოფით კონტექსტში მოიხსენიება. ამ გზით ჟურნალისტის კრიტიკაც მჟღავნდება.თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორმა პირველი პრეზიდენტის სახელი,რომელმაც ქვეყანას დამოუ-კიდებლობა მოუტანა, ეროვნულ ლიდერად წარმო-გვიდგინა. საქართველოს მეორე პრეზიდენტს კი– სამშობლოს წარმატებამდე მიყვანა მიაწერა, რაშიც მან დიპლომატიური ურთიერთობები და საგარეო საერთაშორისო ასპარეზზე აღიარება იგულისხმა, რადგან ავტორის თქმით, ”ის გიგანტი იყო პატარა კავკასიურ სცენაზე.“[1] იქმნება შთაბეჭდილება,რომ „მეფე ლირი“და „მაკბეტი“ ნათლად უხსნიან თავინთ დადებით და უარყოფით საქმეებს ახალგაზრდა პოლტიკოსს.მათი ინტერ-პრეტირება სააკაშვილისთვის სწორი გეზის ჩვე-ნებას ჰგავს. ავტორი უჩვეულო გზით უჩვენებს ერთი პოლიტიკური ლიდერის პოზიციიდან მეორეს,ხოლო ამ უკანასკნელის მდგომარეობიდან მესამეს. საინტერესოა, რომ რ. პარსონმა ტექსტში მხოლოდ გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური ლიდერები აირჩია,რადგან მისი შეხედულებით, სამივეს ერთი რამ აკავშირებთ. ყოველი მათგანი რევოლუციის გზით მოვიდა ხელისუფლებაში და თითოეულმა წინამორბედის დანგრეულ სისტემაზე დაიწყო სახელმწიფოს აღმშენებლობა.ეს არის მახა-სიათებლები, მარკერები, რითაც ერთიანდება სამი ხელისუფალი სტატიაში,შემდეგ კი ავტორს ერთ ნიშნულამდე დაჰყავს და აერთიანებს ჯგუფებად.

ამავდროულად, სტატიაში წარმოდგენილია სამი პრეზიდენტის განსხვავებული პორტრეტი. ლიდერების სურათი იქმნება ქართულ პოლი-ტიკურ დისკურსში ზოგადეროვნული მითების შემოყვანით, „მითი– კოშმარებისა“ და „მითი–იდილიების“ სახით. ბრიტანელი ჟურნალისტი შემდეგი მარკერით მონიშნავს ხელისუფალს, თუ როგორი ნაბიჯი გადადგა მან სახელმწიფოს აღმშენებლობისა და განვითარების საქმეში. საქართველოს პირველი პრეზიდენტის სურათს ავტორი რამდენიმე წინადადებით ქმნის. დისი-დენტი ზ. გამსახუდია კომუნისტური რეჟიმის პერიოდში დაპატიმრებული პოლიტიკოსი, ეროვ-ნული ლიდერია, რომლის დიდ დამსახურებად საქართველოს რუსეთის იმპერიისგან გამოყოფა და დამოუკიდებლობის მოპოვება ითვლება. ავტორი იქვე მის უარყოფით მხარეებს ამჟღავნებს, პარანოიდული სამყარო, მისი ცოლითურთ როგორც ჩანს ,დამღუპველი აღმოჩნდა პრეზიდენტისთვის. ბრიტანელი აუდიტორიის წინაშე გამრჯვებული ქართველი ლიდერის სახე თავისი ნაკლოვანებებით საბოლოოდ დამარაცხებული ჩანს. საქართველოს მეორე პრეზიდენტი, ე.შევარდნაძე წარმოგვიდგება ძველი,საბჭოური მმართველობის პოლიტიკოსად ,თავისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეებით. დადებითად მიჩნეულია მისი მნიშვნელოვანი როლი ცივი ომის დასრულებაში, რომლისთვისაც მას დასავლეთში პატივს სცემდნენ, ხოლო უარყო-ფითად შეფასებულია მისი პოლიტიკური მოღვა-წეობა საქართველოში,საბაბად ავტორი ასახელებს ქართველი ხალხის უნდობლობას მის მიმართ. რ.პარსონი ხაზს უსვამს ,რომ მიუხედავად 1992 წელს ქვეყანაში დაბრუნების ფაქტისა, ე.შევარ-დნაძის პრეზიდენტობა სამშობლოში მაინც უარყოფითად შეფასდა. პუბლიცისტი მიზეზებს აყალიბებს, რის გამოც იგი დაუფასებელ პოლი-ტიკოსად წარმოგვიდგება სტატიაში. ჟურნალისტი სინანულს გამოთქვამს მისდამი,რასაც ამტკიცებს მისი განცხადება: „ედუარდ შევარდნაძის წასვლა

1 “[...] he was a giant on their tiny Caucasian stage”.

არასოდეს ყოფილა ამგვარი“.[1] დასავლეთში ყოველთვის წარმატებულად მიჩნეული ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, დამარცხებული ლიდერის სახით წარმოგვიდგება. საყურეადღებოა ის გარემოება, რომ მისი პორტრეტის დახატვის დასასრულს, რ.პარსონი სვამს კითხვას „იყო თუ არა ის, მართლაც ერთდროს დიდი ადამიანი, რითაც ღირს მისი გახსენება ?“.[2]ავტორი ასეთი განცხადებით თითქოს საგონებელში აგდებს მკითხველს და დიდი პოლიტიკოსის მოღვაწეობას აუდიტორიას უტოვებს განსასჯელად. ჟურნალისტი აქ იშველიებს უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიას, რომელსაც ვარაუდისა და შენიღბვის ფორმით გადმოსცემს. ამავე დროს კორესპონდენტი ეყრდობა სქოლანების ორ ძირითად სტრატეგიას: ჩართვისა და დამოუკიდებლობის,რაც ვლინდება იმ გარემოებით, რომ რ.პარსონი თავის განზრახვას თავს არ ახვევს აუდიტორიას და თავისუფლებას უტოვებს. ამრიგად, კორესპონდენტმა ამ ორი პრეზიდენტის სახით შექმნა „მითი –კოშმარები“, რადგანაც ისინი უარყოფით კონტექსტში მოიხსენა. ხოლო მათ საპირისპიროდ , „მით –იდილიად“ დახატა მ. სააკაშვილის პორტრეტი, რომელსაც გაცილებით დიდი პარამეტრით აჩვენებს. იგი დადებითი თვისებების ხაზგასმით ცდილობს რევოლუციის გმირი პოზიტიურად წარმოაჩინოს. ამ მიზნის შესასრულებლად, მას მოჰყავს ციტატა: „მიშა სააკაშვილი არის გონებამახვილი და დამაჯერებელი, ახალგაზრდა იურისტი, რომელმაც ბევრი თაყვანისმცემელი შეიძინა შევარდნაძის იუსტიციის მინისტრადყოფნის განმავლობაში.“[3] ჟურნალისტი რამდენიმე დეტალით – „გონებამახვილი“, „დამაჯერებელი” აგებს პოლიტიკოსის სურათს. პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტების,დეტალების გამოყენების გზით, რ.პარსონი ობიექტურად ქმნის ქართველი პოლიტიკური ლიდერის სახეს. თუმცა მოცემული პუბლიკაციის მიხედვით, მ.სააკაშვილი არ არის სრულყოფილი მმართველი.ავტორის ყურადღება გადატანილია მთავარ მიზანზე: ეფექტური ლიდერის პორტრეტის შექმნისა და მისი მიღწევის გზებზე.ჟურნალისტი მხოლოდ დადებითი თვისებებით არ შემოისაზღვრება,იგი მის უაროფით მხარეებსაც ამხელს, რაზეც მიგვითითებს ავტორის სიტყვები: “როგორც ოპოზიციის ლიდერი, სააკაშვილის წინდაუხედავმა სიფიცხემ, პოპულიზმმა, მისი უახლოესი მხარდამჭერებიც კი შეაშფოთა“[4]. აღნიშნული წინადადებიდან ჩანს ,რომ ჟურნალისტს „სიფიცხე“ და „პოპულიზმი“ ახალგაზრდა მმართველის უარყოფით თვისებებად მიაჩნია. რ.პარსონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას , რომ მ.სააკაშვილის სისუსტეების გამოვლინება ხდება არჩევნებამდე. ავტორის მითითება უკვე აშკარა გაფრთხილებაა პოლიტიკური ლიდერის მიმართ,რომ მას შესაძლოა ნაკლები მხარდამჭერები ჰყავდეს მომავალში. შენიშვნა შეიმჩნევა სტატიის ბოლო ორ წინადადებაშიც: პირველი – “[...]მისმა ამბიციამ ოპოზიცია დაყო,როდესაც უმრავლესობას ერთობა ერჩივნა.“[5] მეორე – „ახლა უფრო მეტად ვიდრე ოდესმე,მას სჭირდება ძველი ჭრილობების მოშუშება.“[6]

ჟურნალისტის ობიექტური დამოკიდებულება პოლიტიკოსის მიმართ მისი კრიტიკით ვლინდება. ის არა მხოლოდ მათ დადებით მხარეებს ავლენს, არამედ მზად არის,მისი უაროფითი თვისებებიც დაანახოს მკითხველს, რათა დაამტკიცოს საკუთარი პოზიცია,რაც მდგომარეობს შემდგომში. მისთვის მთავარი პერსონაჟის რეალური პორტრეტი– კარგისა და ცუდის ნაზავს წარმოადგენს. ამგვარად,ქართველი პოლიტიკოსები პუბლიკაციაში პოლიტიკურ ლიდერებს მოგვაგონებენ დროში და სივრცეში გაწელილი საკონტაქტო ხაზებით. რ.პარსონის ნაგულისხმევი ქვეტექსტი კი “სარკისებური პრინციპით“ წარმოჩინდება. სარკეში არეკლილი მათ მიერ დაშვებული შეცდომები ,ავტორს არ სურს გაიმეორეოს ახალბედა პოლიტიკოსმა. სწორედ, აქ იჩენს თავს ფაქტებისა და მოვლენებისადმი ავტორის შემფასებლური დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ. ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში, ტექსტში ნათლად ჩანს, რომ ბრიტანელი ჟურნალისტი აღიქვამს ქართველი ხალხს, პატივს სცემს ჩვენს კულტურას,იაზრებს პროპლემას,იზიარებს საქართველოს ტკივილს და ამავე დროს სოლიდარობას გამოთქვამს ჩვენი სამშობლოს მიმართ.

ჟურნალისტის შეხედულებით, მნიშვნელოვანია ,რომ საქართველომ შეინარჩუნოს დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი. იგი მიესალმება ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობას სახელმწიფოში როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოება, სიტყვის თავისუფლება, საარჩევნო კამპანიების ჩართულობა, ტელევიზიის მიერ არჩევნების თემის პირდაპირი გზით გაშუქება. ავტორის მითითება

1 “Eduard Shevardnadze’s departure need never have been like this.”
2 “Was that really the way this once-great man wanted to be remembered?”
3 “Misha Saakashvili is a bright and persuasive young lawyer,who won many admirers during his spell as justice minister under Shevardnadze.”
4 “As an opposition leader, Saakashvili's heady populism has alarmed even his closest supporters.”
5 “[…] his ambition split the opposition when most were urging unity.”
6 “Now , more than before ,he needs to heal old wounds.”

პირდაპირია, ის ღიად გამოთქვამს მოსაზრებას, რასაც ადასტურებს მისი განცხადება: „საქართველოში უფრო დიდი თავისუფლებაა, ვიდრე რომელიმე სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში.“[1] ჟურნალისტის მოსაზრება მკითხველისთვის გასაგებია, რომ ჩვენი სამშობლო პირველია სოციალისტურ ქვეყნებს შორის, რომლშიც დასრულდა ძველი, საბჭოური რეჟიმი. აქ პუბლიცისტი ხატავს სასურველ იდილიურ სურათს, „მით–იდილიას“. თუმცა სახელმწიფოს დიდ ხარვეზად მაინც კორუმპირებული მმართველობა სახელდება ,რაზეც მიგვითითებს კორესპონდენტის კომენტარი: „კორუფცია არის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის პრობლემა, მაგარამ საქართველოში მან ქვეყანას სული ამოხადა[...]“[2]. ავტორის სიტყვებიდან ნათელია, თუ როგორი დაუძლეველი აღმოჩნდა ჩვენი სამშობლოსთვის აღნიშნული საკითხის გადაჭრა, რომელსაც სავალალო შედეგები მოჰყვა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. სიმძაფრის გამოსახატავად რ.პარსონი იყენებს ე.შევარდნაძის სიტყვებს,რომელმაც კორუფცია ამ ქვეყნის წყევლად შერაცხა. ბრიტანელი კორესპონდენტი ავითარებს აზრს,რომ მსოფლიო რანგის პოლიტიკოსისთვისაც კი დიდ სირთულეს წარმოადგენდა მისი აღმოფხვრა .უფრო მეტი მტკიცებულებისათვის, ჟურნალისტი იშველიებს დამოუკიდებელი ორგანიზაციების შეფასებებს, რომლის თანახმადაც ადასტურებს, რომ მსოფლიოს 10 კორუმპირებულ ქვეყნებს შორის საქართველო პირველ ადგილზეა.პუბლიცისტი ასეთი ხერხით სახელმწიფოს დიდ პრობლემას წარმოაჩენს და სურს საქართველო დემოკრატიის ჩარჩოებში ჩასვას. მოცემულ ფრაგმანტში იგი იყენებს პირდაპირი მიმართვის სტრატეგიას, შემარბილებლების გარეშე, რადგან კორესპონდენტის ქმედება გამიზნულია მაქსიმალურად ეფექტური შედეგის მიღებაზე, სადაც აუდიტორიის ხატი მთლიანად იგნორირებულია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, საქართველოს კონტექსტი მულტიკულტურული კუთხით საკმაოდ სპეციფიკურია პუბლიცისტურ წერილში. ბრიტანელი ჟურნალისტი თავის სათქმელს სტატიის ბოლო მონაკვეთში გამოთქვამს. იგი ავითარებს მოსაზრებას, რომ მმართველ ხელისუფლებას დასავლეთისკენ აქვს აღებული გეზი, ახალი ლიდერი, მ. სააკაშვილი მიზნად ისახავს დაკარგული პროვინციების დაბრუნებას, თუმცა რ. პარსონის შეხედულებით, ქვეყანას, ისეთი დიდი სახელმწიფოების,როგორიცაა ამერიკა და რუსეთი, თანადგომაც წაადგება მომავალში, რასაც ავტორი შემდეგი განცხადებით ამტკიცებს: „საქართველო ვერ იარსებებს ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერის გარეშე და საჭიროა როგორც რუსეთის ასევე ვაშინგტონის მხარდაჭერა.“[3] რ. პარსონი აყალიბებს ჩვენს სამშობლოში მულტიკულტურიზმის კონცეფციის გატარების საკითხს. მისთვის ცნობილია, რომ საქართველო არის მრავალეთნიკური ქვეყნა, სადაც ტრადიციულად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკის, რელიგიისა და კულტურული ჯგუფები.რადგანაც სახელმწიფოს დემოკრატიის განმტკიცებისა და განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა თანასწორუფლებიანობის დაცვა ინდივიდთა შორის, მას სავალდებულოდ მიაჩნია ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური ჯგუფების მიმართ ტოლერანტობის გამოჩენა. ამგვარად, ავტორი სტატიაში წინ წამოწევს კულტურული მრავალფეროვნების იდეის განხორციელებას საქართველოში, თანამედროვე სამყაროში ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პრინციპის საფუძველზე. რადგანაც წარმატებული, ერთიანი ქვეყანა არა მარტო ერის, ან ერებების, არამედ მთელი მსოფლიოს კეთილდღეობის განუყოფელი ნაწილია.

**დასკვნა**

ამრიგად, კონტენტ ანალიზის, სემიოლოგიური ანალიტიკური მიდგომისა და სამეტყველო აქტების განხილვის საფუძველზე, კვლევამ აჩვენა რომ, ქვეყნის მთლიანი იმიჯის ფორმირება ხდება პოლიტიკური, სოცილაური, კულტურული ასპექტებით. სახელმწიფოს სხვადახვა კუთხითა და მრავალი თვალსაზრისით წარმოჩენა,მოცემული რესპუბლიკის შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის მკითხველს. ჟურნალისტი აღნიშნულ პუბლიკაციაში საქართველოს პოლიტიკური სურათის ჩვენებას ახორციელებს საბჭოთა ეპოქის ძველი მმართველებისა და პოსტსაბჭოთა პოლიტიკოსების შეპირისპირების მეთოდით. სათაურში უარყოფით კონტექსტში მოხსენიებული „მონსტრები“ რ.პარსონის წინასწარ განწყობას გადმოგვცემს. მასში ავტორისეული შეფასება ძველი ბელადების მიმართ ანტიპათიით გამოიხატება. ასეთი მეთოდით ჟურნალისტი ახდენს ბოტორი ძალების პერსონიფიცირებას,მათ დემონიზაციას. რ.პარსონისთვის ასევე მიუღებელია ზ. გამსახურდიას, ე. შევარდნაძის ლიდერობის პროტოტი-

1 “There is greater freedom of speech in Georgia than almost any other former Soviet republic.”

2 “Corruption is a problem in all of the Soviet republics but in Georgia it has eaten at the country’s soul […]”

3 “Georgia can’t survive without the support of its ethnic minorities and needs to court the goodwill of Russia as well as Washington”

პები, რომლებმაც თითქმის უფსკრულამდე მიიყვანეს სახელმწიფო. ავტორმა გამოიყენა ამგვარი მითები გარდამავალ პოლიტიკურ ეტაპზე, რათა მოეხდინა წინა ხელისუფლების პერსონების დესაკრალიზაცია, მ.სააკაშვილის გუნდის საწინააღმდეგოდ, კი მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლაში მისი ოპონენტების დემონიზაცია.

სტატიაში, ჟურნალისტმა პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტების, „სარკისებური პრინციპის" მეთოდის გამოყენებით, ეფექტურად წარმოაჩინა პოსტსაბჭოთა ლიდერები.სარკეში არეკლილი ძველი მმართველების შეცდომების გაანალიზება,გააზრება და გამოსწორება ავტორს მ.სააკაშვილისთვის მართებულად მიაჩნია.საქართველოს ყოფილი პრეზიდენტების პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებით, შეჯამებითა და ახალი ხელისუფლებისადმი საკითხის წამოჭრის გზით, რ.პარსონმა სრულიად განსხვავებულად დახატა ქვეყნის აღმშენებლობის სურათი და უჩვენა ბრიტანელ აუდიტორიას აღნიშნული სახელმწიფოს სწორი მიმართულება,გეზი.

კვლევიდან დასრულდება,რომ ბრიტანელი ჟურნალისტი დისკურსულ „ანიჰილაციის" სტრატეგიას ფართოდ იყენებს,რომელის მეშვეობით ტექსტში შემოდის ემოციური კონოტაციები: იდილია–კოშმარი (ზ. გამსახურდია, ე. შევარდნაძე, ასევე მონსტრებად მოხსენიებული ძველი საბჭოთა ბელადები); იდეოლოგიური: ჩვენიანი (მეფე ლირი, მაკბეტი) – არაჩვენიანი (საქართველოს პრეზიდენტები). „მითი – იდილიები" სტატიაში დადებითი ღირებულებების მატარებელია,ხოლო „მითი –კოშმარები" უარყოფითის. მათი დაყოფა ჯუფებად, ზოგადეროვნული მითების მიხედვით, ქართული პოლიტიკური დისკურსის განუყოფელი ნაწილია.

სტატიაში, მულტიკულტურული საზოგადოების ინტერკომუნიკაციური პროცესი შედგება სამი მთავარი ელემენტისაგან: 1)მკითხველის მაღალი ემოციური ჩართურლობა, რომელიც მიიღწევა დეჟავიუს პრინციპით; 2) მოვლენები მოიცავს დროის მონაკვეთებს,რომელიც დაკავშირებულია წარსულთან და აწმყოსთან; 3)ინტერკულტურული კომუნიკაციის მონაწილეები კონკრეტულ როლს ასრულებენ,რომელთა გაკვეთილები ღირებულია და გასათვალისწინებელი.

მკითხველის ხატი ხშირ შემთხვევაში იგნორირებულია,რადგან ავტორი არ ითვალისწინებს ადრესატის სახის შელახვის საშიშროებას.იგი იყენებს ბრაუნისა და ლევინსონის თავაზიანობის, სქოლანების სტრატეგიას გარკვეული მიზნის მისაღწევად. სოლიდარობის სისტემის გამოყენება დამახასიათებელია რ. პარსონისთვის. მიუხედავად კომუნიკანტებს შორის არსებული დისტანციისა, ძალაუფლების ფაქტორი უგულებელყოფია, ხოლო ქართულ–ბრიტანული ურთიერთობები სიმეტრიული. ავტორის სტილი მეგობრულია და თანამშრომლობითი.

საკომუნიკაციო კონტაქტის ეფექტურობა განისაზღვრება სამეტყველო აქტების გამოყენებით, ასევე ინფორმაციის სწორად ინტერპრეტაციის უნარით, რომელსაც ავტორი ახერხებს სემიოლოგიური რ.ბარტის ხუთკოდიანი სისტემის მისადაგებით.

იმიჯის სრულყოფას განაპირობებს სახელმწიფოს შიდა და გარე პოლიტიკური საკითხები,დემოკრატიის პრინციპები,რომლებიც სტატიაში ერთმანეთს ერწყმიან და საბოლოოდ, ქვეყნის ერთ მთლიან სურათს ქმნიან.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Parson, Robert "Revolution haunts the land of monsters and poets", The Guardian, 24 November,2003
2. ტყებუჩავა დ. „პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები (ფუნქციურ–ტიპოლოგიური ანალიზი)". თბილისი 1997
3. Geis M.L. Speech acts and conversational interaction. Cambridge University Press, 1995

# The aspects of image formation in the British press

## (On the sample for the Guardian's article "Revolution haunts the land of monsters and poets" )

*Sophiko Kvantaliani, associate professor*
*Georgian Technical University*

*Teona Kochiashvili, PhD student*
*Georgian Technical University*

**Summary**

The article discusses the issue of a new presentation of Georgia as an independent country in the British and American press after the collapse of the Soviet Union. The urgency of the problem is determined by the fact that the issue of a new political actor's orientation has been the subject of discussion and debate for Western states, which has become a sphere of special interest for many American and British journalists and is evidenced by the thematic diversity of published articles. The main problem is not only how Georgia is reflected, but the technological process itself -what journalistic methods British and American authors use in forming Georgia's international image in the print media. The study of empirical sources revealed the following research questions: how is Georgia covered in the English-language press, what issues they are interested in , how much objectivity it is related to the discussed topics, if there is a tendency regarding to certain political processes.

The aricle uses content analysis, semiological analytical approach, method of communicative linguistics (linguopragmatics) and imagology.

The topic of the builiding of the Georgian statehood was published in the newspaper "Guardian" on November 24, 2003 with the title "Revolution haunts the land of monsters and poets". The British journalist Robert Parson reports on the overthrow of the old government of Georgia. The material deals with the current political events in the country, it discusses the issue of former presidents of Georgia and the new ruling government. According to the results of the research, the image of the country in the text is defined by political, economic, social, cultural aspects, which the journalist carries out in different ways, in particular, using the content elements of the publicist text, the "mirror principle" method is effective . The present and the past, chained together with events, gather in one space and leave a strong impression on the reader. The article focuses on the author's communication tactics: speech acts , the correct and right selection of politeness strategies, the display of the faces of Georgian political leaders, which helps to convey the perfect image and reputation of Georgia in the publicist text and gives a whole picture of it.

Key words: Georgia in the British press, important aspects of the country's image, Georgian presidents, intercultural communication, democratic state.

# ლიდერის ფოტოს სემიოტიკური ანალიზი

*ია ჩარკვიანი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ფერდინანდ დე სოსიურის დასკვნა იმის შესახებ, რომ რომ ენა არის სხვა უფრო ვრცელი ნიშანთა სისიტემის მხოლოდ შემადგენელი ნაწილი, ხოლო ნიშნებს აქვთ დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობა, მომავალში გახდა ყველა სხვა ტექსტის (კინო, ქორეოგრაფია, მუსიკა და ა.შ) კითხვის საფუძველი. მათ შორის - ფოტოგრაფიული ტექსტისაც. სოსიურისავე მტკიცებით, ნიშნებისათვის შინაარსის მინიჭება ასევე დამოკიდებულია აღმქმელის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ხედვაზე. ამგვარად, მან კვლევის უფრო ვრცელი შესაძლებლობები სემიოტიკას, ანუ ნიშანთა სისტემას დაუკავშირა. ამავე პრინციპით ფოტოსა და კინოს კვლევა კი როლან ბარტის მთავარ მეთოდად იქცა. ჩვენი სტატია მიზნად ისახავს კავშირის ჩვენებას ფოტოზე დენოტირებულ ნიშნებსა და რეალურად მიმდინარე პროცესებს შორის, დენოტირებული საგნებისათვის სიმბოლური მინიშნების მინიჭების მეთოდების კვლევასა და ამ სიმბოლოთა ისტორიული პერიპეტიების განხილვას. იმის ჩვენებას თუ რამდენად ცხადი და მძლავრი საშუალებები გააჩნია ფოტოგრაფიას სათქმელის გადმოცემის თვალსაზრისით.

დროის სიმცირე ციფრული ეპოქის შესამჩნევი ნიშანია. ვირტუალური სინამდვილისა და სოციალური ქსელების ეპოქაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სივრცის შეკუმშვას. საზოგადობას აქვს მოთხოვნა სწრაფად აღქმად, ცხადად და რაც შეიძლება მოკლედ მიწოდებულ ინფორმაციაზე. ვერბალური ტექსტი თანდათანობით თმობს მოწინავე პოზიციებს ინფორმაციის უახლეს სისტემებში და ამ პროცესის პარალელურად იხვეწება სიმბოლოთა ენა. სტატიაში განხილულია როგორ ხდება ამბის თხრობა ფოტოგრაფიულად? როგორ ქმნის ფოტოგრაფი შინაარსს? რამდენად მნიშვნელოვანია სწორი გზავნილის შესაქმნელად წამის დაჭერა მარადიული ფიქსაციით? ციფრული ეპოქა პერსპექტიულია ფოტოსთვის თუ პირიქით, დააკნინებს მას?

ნიშანთა სინტაქტიკის მიმართება მათსავე სემანტიკურ ბუნებასა და პრაგმატულ დანიშნულებასთან ქმნის გზავნილის შინაარსს. თუმცა, როგორ შეიცვლება ხსენებული შინაარსი კულტურული სივრცისა და ეპოქის შეცვლის პარალელურად, ცალკე კვლევის საგანია. წარმოდგენილ სტატიაში კი ზემოხსენებულ სამმდგენელიან ურთიერთმიმართებას ავტორისეული ხედვით წარმოგიდგენთ, დიდ მეცნიერთა (სოსიური, ბარტი) იმ მტკიცებაზე დაყრდნობით, რომ აღმქმელის გამოცდილება მნიშვნელოვანია ნიშანთათვის სიმბოლური მნიშვნელობის მისანიჭებლად.

საკვანძო სიტყვები: სემიოტიკა; სინტაქტიკა; სემანტიკა; პრაგმატიკა; კონოტაცია; დენოტაცია; ფოტოგრაფია.

**შესავალი**

ქართველი პოლიტიკური ლიდერების საიმიჯო ფოტოების სემიოტიკური ანალიზი, ბარტიანულ პრინციპებზე დაყრდნობით, საინტერესოა როგორც თემის აქტუალობის და საკვლევი ობიექტის, ისე დაკვირვებისა და სემიოტიკური ანალიზის მეთოდების სრულყოფილების თვალსაზრისით. ნიშნდობლივია ისიც, რომ ნიშანთა სისტემის სიმბოლური, კონოტაციურ-დენოტაციური და მითოლოგიური საზრისი თუ ბუნება იძლევა მრავალმხრივი ანალიზის საშუალებას. გარდა ამისა, კვლევის პროცესში ერთგვარ გზამკვლევად იქცა უდიდესი ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის კარლ გუსტავ იუნგის მტკიცება იმის შესახებ, რომ „სიმბოლო შინაარსს სძენს ადამიანის ცხოვრებას“ .[1]

რა ფორმითაა გადმოცემული მინიშნება პოლიტიკური ლიდერის ფოტოზე? როგორია მისი შინაარსობრივი სტრუქტურა და რა მიზნის მიღწევას ემსახურება იგი? რამდენად კონკურენტუნარიანია ფოტოტექსტი სხვა მედიატექსტების კონტექსტში და რა პერსპექტივას უქადის ფოტოგრაფიას ციფრული ეპოქა? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ქვემორე სტატიის მთავარი ამოცანაა.

ფოტოგრაფები ასახავენ წამებს, რომელიც იძლევა ლიდერის ხასიათისა და საქმიანობის გამოკვეთილი მხარეების ჩვენების შესაძლებლობას. ლიდერს, ამ შემთხვევაში როგორც ცალკე აღებულ საგანს სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება მისი პოზის, მიმიკის ან მანერის დაჭერის საფუძველზე. საინტერესოა იმ საკითხის კვლევაც - შეიცვლება თუ არა კულტურისა და ეპოქის მიხედვით ხსენებულ სიმბოლოთა აღქმა, მაგრამ ეს ცალკე თემის საგანია,

[1] რუსუდან დოლიძე, სამყარო, ანუ ნიშანი, ყველა-ფერი, როგორც სიმბოლოთა სისტემა https://studentresearch.iliauni.edu.ge/samqharo-anu-nishani-qhvelapheri-rogorts-simbolotha-sistema)

რომელსაც ჩვენ მიერ შემოთავაზებულმა კვლევამ შეიძლება დაუდოს საფუძველი.

**ძირითადი ნაწილი**

ციფრულ ეპოქაში, ლიდერთა ფოტოების წყაროდ, გუგლის და პირადი ფოტოარქივია გამოყენებული, რადგანაც ჩვენი ფოტოჟურნალისტური მოღვაწეობა უკვე ათეულობით წელს ითვლის და ჩვენს პირად არქივში მოიპოვება სრულიად ექსკლუზიური მასალა. ვინაიდან აღმქმელის ხედვა და გამოცდილება სემიოტიკური ანალიზის ერთ -ერთი წინაპირობაა, სტატიაში სწორედ ჩვენი პროფესიული, ფოტოგრაფიული გამოცდილება და ხედვაა წარმოდგენილი. რასაკვირველია, გამოცდილება ეფუძნება სხვა არაერთი მკვლევრის ნამუშევრის გაცნობას და კრიტიკულ ანალიზს.

საკვლევ მასალად ოთხი ლიდერის ფოტოებია აღებული - საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას, რომელმაც დაიწყო ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის პროცესის განხორციელება. ედუარდ შევარდნაძის - მეორე პრეზიდენტის და დიპლომატის; მესამე პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის, როგორც რეფორმატორული პროცესების ხელმძღვანელის და მეოთხე პოლიტიკური ლიდერის - ბიძინა ივანიშვილის, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველმა, ექსცესების გარეშე, სრულიად მშვიდობიანი გზით შეცვალა წინა ხელისუფლება (იხ. სურათები).

სტატიის მოცულობა არ იძლევა მრავალფეროვანი მასალის განხილვის საშუალებას, ამიტომაც თითოეული ლიდერის ორ-ორი ფოტო წარმოვადგინეთ, რომლებზეც იკვეთება მათი მოღვაწეობისა და ხასიათის ყველაზე მნიშვნელოვანი შტრიხები. მაგალითად, პირველი პრეზიდენტის საერთო ფოტოალბომიდან დასამახსოვრებელია მისი მჭმუნვარე სახე, ფიქრიანი და მოაზროვნე მანერა, ხოლო მომდევნო ორი ფოტო , რომელიც შევარჩიეთ იტევს მის ხასიათს, მოღვაწეობასა და ცხოვრების ტრაგიზმსაც კი.

პირველი ფოტო გადაღებულია საშუალო ხედით. (1ფოტო) მასზე ჩანს პრეზიდენტი ცარიელ დარბაზში. იგი გაშლილ მარჯვენა ხელზე შუბლდაყრდნობილია. ფოტოზე შუქ-ჩრდილები განაწილებულია იმგვარად, რომ თავის ზედა ნაწილი და ხელის მტევანი, რომელსაც ეყრდნობა, განათების ქვეშაა, ხოლო ზურგისა და სახის ნაწილი ჩრდილშია. მხრები ასევე განათების ქვეშ არის მოქცეული. შუქ-ჩრდილების ამგვარი განაწილება მიუთითებს მისი მდგომარეობის სიმძიმეზე, თუმცა, განათების კონტრასტი თავსა და ზურგზე , თითქოს მინიშნებაა გონების ნათელ წყობაზე. ხელის განათება ქმნის ბიბლიურ ასოციაციას - „ხელითა უბრალო“, რადგანაც ვიცით, თუ როგორ განვითარდა მოვლენები მის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს კადრი, ამ გადასახედიდან წინასწარმეტყველურ ფოტოდ შეიძლება მივიჩნიოთ. პრეზიდენტი, მართლაც მარტოობაში ტრაგიკულად დაიღუპა, თუმცა მისი დაწყებული გზა დღემდე საქართველოს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წინსვლისა და ფუნქციის გარანტორია.

მეორე ფოტო შავ-თეთრია (2ფოტო). პრეზიდენტი აქაც მარტოა. მის გვერდით დგას ცარიელი სკამი ისევე, როგორც პირველ ფოტოზე, სადაც უფრო დიდი ცარიელი სივრცეა. ცარიელი და არა - თავისუფალი. აქ სიცარიელეა კონოტირებული, რომელიც მარტო დარჩენილის ტრაგიკულ მითს ქმნის. პრეზიდენტი ისევ ხელზე დაყრდნობილი და დაფიქრებულია, თითქოს ძალიან რთულ ამოცანას უნდა რომ გაართვას თავი (უკვე ათეულობით წელია ყველამ იცის, თუ რა რთული ამოცანის ამოხსნა დაიწყო მაშინ). ხოლო მარტოობის დენოტირებით შესაძლოა ჩავთვალოთ, რომ ეპოქის ინტელიგენციაც კი, რომელიც ქმნიდა კულტურულ კლიმატს ქვეყანასა და საზოგადოებაში, ვერ ჩასწვდა მის აზრსა და მიზანს.

სრულიად განსხვავებულია ედუარდ შევარდნაძის დენოტირება ფოტოზე და შესაბამისად, სხვა ინფორმაციაა მასში კონოტირებული (3 და 4 ფოტო). მეორე პრეზიდენტის ორი ფოტო, რომლიც ჩემი პირადი ფოტო არქივიდანაა (ი.ჩარკვიანი), ერთი და იმავე სათქმელის გამოხატვის მცდელობაა. ჩვენი მიზანია, მისი დიპლომატიური იდუმალების ჩვენება. სახე, რომელსაც ჩრდილი ეცემა და არ ჩანს მთელი სისრულით მინიშნებაა იმაზე, რომ შეუძლე-ბელია მისი განზრახვის წინასწარმეტყველება. იგი დიპლომატია და ლავირებს სიტუაციის შესაბამისად. თვითმფრინავიდან ჩამოსული პრეზიდენტის კადრში ჩვენ ვცადეთ ჩაგვედო ინფორმაცია მისი დიპლომატიურობის საერთაშორისო მასშტაბზე. თვითმფრინავი, როგორც საერ-თაშორისო მიმოსვლის საშუალება, სწორედ ამ აზრის გამოსახატავად გამოვიყენეთ. თუმცა, სინამდვილეში ეს არ იყო საერთაშორისო ფრენა. ამიტომაც კადრში იგი მხოლოდ დეტალის სახით ჩანს. ტრაპი, რომელსაც ანტურაჟად ვიყენებთ, მინიშნებაა სწორედ მის საერთაშორისო იმიჯსა და ფუნქციაზე. მეორე ფოტო ხალხმრავლობაშია გადაღებული. პრეზიდენტი გარშემორტყმულია პრესისა და ხელისუფლების წარმომადგენლებით. თვითონ მანქანაში ზის და აქაც მხოლოდ ნაწი-

ლობრივ ჩანს სახე. ჩრდილს აქაც იგივე ფუნქცია ენიჭება როგორიც პირველ ფოტოზე.

მესამე პრეზიდენტის მოღვაწეობა ემთხვევა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების უაღრეს განვითარებას და შესაბამისად, უფრო თვალშისაცემია პრეზიდენტის საიმიჯო ფოტოები. (5-6 ფოტები) ამასთანავე, პრეზიდენტის გზავნილს საზოგადოებისათვის, კონკრეტულად პიარის სპეციალისტები უზრუნველყოფდნენ. პირველი ორი პრეზიდენტის შემთხვევაში დამოუკიდებელი ფოტოჟურნალისტები ცდილობდნენ მეთაურის იდეურ კონოტირებას საკუთარ ნამუშევრებში. 2003 წლიდან ეს ფუნქცია პიარის სპეციალისტების განსახორციელებელი გახდა. შესაბამისად, ზღვარი გამკვეთრდა ჟურნალისტურ და საიმიჯო ფოტოებს შორის. ვინაიდან სახასიათო პოლიტიკური გზავნილის აღმოჩენა ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, სწორედ ამიტომ მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის საიმიჯო ფოტოები განვიხილეთ.

პირველ ფოტოზე სააკაშვილი დგას ფართო ფანჯარასთან და იქედან იხედება. განათებულ, ყვითლად შეფერილ კედელთან აშშ-ის სახელმწიფო დროშა დგას. სააკაშვილის გვერდით მდგომი პიროვნების სახე ცხადად არ მოჩანს. თითქოს მისი სახის მცირეოდენი დეტალის ჩვენება ემსახურება მხოლოდ იმ იდეის გამოხატვას, რომ პრეზიდენტი მარტო არ არის. მეტიც, ზესახელმწიფოს დროშის ანტურაჟული გამოყენება ქმნის საერთაშორისო მხარდაჭერის მითს. სივრცე, რომელშიც პრეზიდენტი იხედება, ასევე დაფარულია. მხოლოდ ფანჯრის მინის დენოტირება ქმნის შორს გასროლილი მზერის ასოციაციას. ფოტოზე კონოტირებულია აზრი, რომ პრეზიდენტის შორსმხედველი პოლიტიკა მხარაჭერილია მოწინავე სახელმწიფოს მიერ. ოპტიმისტური სახის მიმიკა და თავდაჯერებული დგომის მანერა, ძლიერი მხრები და გამართული დგომა სიმტკიცისა და საიმედოობის მითს ქმნის. ასევე, მნიშვნელოვანი მინიშნებაა ახალგაზრდა პოლიტიკოსის ოდნავ შევერცხლილი თმა. ეს შევერცხლილი თმა ასოცირდება გამოცდილებასთან. იგი მეორე ფოტოზეც მნიშვნელოვანი დეტალია. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, ის არ მოსულა ცარიელი ხელებით პოლიტიკაში. მას აქვს გარკვეული და ამასთანავე საკმარისი გამოცდილება. ყვითელი არის სითბოსა და სიმყუდროვის, მზის, ოპტიმიზმის გამომხატველი ფერი. მთლიანობაში სიმშვიდის, ძლიერების, აზროვნებისა და საიმედო მხარდაჭერის მითი, როგორც მეორადი კონოტაცია, ამ ფოტოზე დენოტირებული სიმბოლოების დანიშნულებას წარმოადგენს.

ბიძინა ივანიშვილის ორი ფოტო, ასევე საიმიჯო არქივიდანაა. შინაარსისგან დამოუკიდებლად, მხოლოდ ფოტოზე დენოტირებული რამდენიმე დეტალის ფორმალურ სტრუქტურას თუ განვიხილავთ, შემდეგნაირად აღვიქვამთ: გაშლილი ხელის მტევანი, ღიმილი, უზადო ვარცხნილობა, ტანსაცმლისა და ფონური ანტურაჟის თვალშისაცემი, სადა და მშვიდი ტონები. ამ სინტაქტიკის საზრისსა და შინაარსში დახვეწილი გემოვნება, ცოტა პედანტურობა, გამჭვირვალობა და ღიაობაა სემანტიზირებული.

ოთხივე ლიდერის ფოტოს ინსპირაციას შესაძლოა წარმოადგენდა გარემო, რომელსაც ჩვენ ვერ განვჭვრეტთ. ფოტოს მაყურებელი რეალობას მხოლოდ იმ სივრცითა და მასშტაბით აღიქვამს, როგორც ფოტოზეა წარმოდგენილი. ამ თეზისის დასამტკიცებლად პირად გამოცდილებას გამოვიყენებთ. ედუარდ შევარდნაძის ფოტოები ქუთაისშია გადაღებული. ჩვენ, შევეცადეთ მოცემული რეალური ობიექტებისათვის სიმბოლური დატვირთვა მიგვენიჭებინა. ფოტოგრაფიაში წამი წყვეტს მარადიული სათქმელის ბედს. ცოტა უფრო ადრე ან გვიან გადაღებული კადრით ჩვენ ვერ შევძლებდით მინიშნებას ედუარდ შევარდნაძის დიპლომატიურ იდუმალებაზე. ეს პიროვნება კი სწორედ ამგვარი შინაარსით დაგვამახსოვრდა მისი მოღვაწეობიდან გამომდინარე.

ამდენად, საკვლევი შეკითხვის შინაარსიდან გამომდინარე, თუ რა ფორმითაა გადმოცემული მინიშნება, როგორია მისი შინაარსობრივი სტრუქტურა და რა მიზნის მიღწევას ემსახურება იგი? შეიძლება დავასკვნათ, რომ შუქ-ჩრდილების კონ-ტრასტით, ანტურაჟული ობიექტებისა და ფერებისათვის სიმბოლური დატვირთვის მინიჭებით, ფოტოგრაფები ვერბალურ ტექსტს ანაცვლებენ ვიზუალური ინფორმაციით, რომელიც გაცილებით ლაკონურად, შთამბეჭდავად და ღრმად გადმოსცემს სათქმელს, ვიდრე ვერბალური ტექსტი. ფოტოს აღქმა უფრო სწრაფად ხდება. მასზე დენოტირებული საგნებისათვის სიმბოლური მინიშნების მინიჭება კი უზრუნველყოფს მის ღრმა ემოციურ განცდას. განცდის და შემეცნების ერთდროულობას ფოტო უკეთ უზრუნველყოფს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ტექსტი ჩვენს ციფრულ საუკუნეში. იგი მაქსიმალურად ორიენტირებულია მცირე მასშტაბში ვრცელი აზრების ჩადებაზე. ამდენად , დღეს ფოტო იძენს განუზომლად დიდ მნიშვნელობას, ვიდრე ოდესმე ჰქონია.













გამოყენებული ლიტერატურა:


1. http://eprints.iliauni.edu.ge/.სემიოტიკა 201.pdf
2. მოაზროვნე სამყაროთა შიგნით, იური ლოტმანი, გამომცემლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012წ.
3. https://www.hse.ru/mag/27364712/2013--14/83292585.htm
4. https://www.hse.ru/data/ Барт.Избранные работы. Семиотика. Поэтика
5. ფერდინანდ დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი,
6. 2012-2014 წლების ყველაზე სკანდალური ამბის ვიზუალიზება თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში, თ. მაჭარაშვილი, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, N6,2018
7. Ю. М. Стасишина,ВЛИЯНИЕ ИМИДЖА ПОЛИТИКА НА ФОРМИРОВАНИЕ ОБРАЗА ГОСУДАРСТВА НА ПРИМЕРЕ РОССИИ И ИСПАНСКИХ СМИ, 2016
8. მაია ტორაძე, ხათუნა მაისაშვილი მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები, ივ. ჯავახისვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019 წ.
9. რუსუდან დოლიძე - ავტორი. სამყარო, ანუ ნიიშანი, ყველაფერი, როგორც სიმბოლოთა სისტემა. https://studentresearch.iliauni.edu.ge/samqharo-anu-nishani-qhvelapheri-rogorts-simbolotha-sistema)


**Semiotic analysis of a leader's photo**


***Ia Charkviani, PhD student***

***Georgian Technical University***


**Summary**


Ferdinand de Saussure's conclusion that language is only an integral part of another wider system of signs, while signs have an independent, inherent meaning, has become the basis for reading all other texts (cinema, choreography, music, etc.) in the future, including - Photographic text as well. Assigning content to signs according to the scientist also depends on the individual experience and vision of the perceiver. In doing so, he linked more extensive research possibilities to semiotics, or the sign system. Following the same principle, the study of photography and cinema became the main method of Roland Bart. Our article aims to show the connection between denoted signs in a photo and the actual processes taking place, to study the methods of giving symbolic references to denoted objects and to discuss the historical vicissitudes of these symbols, to show how clear and powerful means photography has to convey. The scarcity of time is a noticeable sign of the digital age, in the era of virtual reality and social networks more and more importance is given to the compression of space. The public has a demand for information to be perceived quickly, clearly and as concisely as possible. Verbal text gradually gives way to advanced positions in the latest information systems, and in parallel with this process, the language of symbols is refined. The article discusses how the story is told photographically, how a photographer creats content, how important it is to capture a second with a perpetual fixation to create the right message and whether the digital age is promising for a photograph or, conversely, or whether it will it diminish it.

The relation of sign syntax to their semantic nature and pragmatic purpose creates the content of the message, however, how the mentioned content will change is a separate subject of study along with the change of cultural space and epoch. In the article, we present the above-mentioned three-way relationship with an authorial view, based on the assertion of the great scientists (Sosi, Bart) that the experience of the perceiver is important for giving symbolic meaning to the signs.

Keywords: semiotics; Syntax; Semantics; Pragmatics; Connotation; Denotation; photography.

# ფილოლოგია

# PHILOLOGY

## „არცთუ მეყვისი ვამეყ-ვისი“ და მათი საიდუმლო

(*წერილი მეორე*)

*მურმან თავდიშვილი, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

,,აბდულმესიანის” პრობლემა წამოჭრა ძველი ქართული ლიტერატურის ცნობილმა მკვლევარმა ბორის დარჩიამ. მან ბევრი სხვადასხვა არგუმენტი მოიყვანა იმ თვალსაზრისისის დასამტკიცებლად, რომ ჩვენს არქივებში დაცული 107-სტროფიანი პოემა არის არა XII საუკუნისა, არამედ XVII საუკუნის ძეგლი; მისი ავტორია არა იოანე შავთელი, არამედ იაკობ შემოქმედელი, შემოქმედის ეპარქიის მიტროპოლიტი.

პროფესორ ბორის დარჩიას გაურკვეველი, შესაძლოა ითქვას, დაუძლეველი დარჩა ზოგი ბუნდოვანი საკითხი – ესენია: ლიმონა ტრაპიზუნდის ქალაქია, რომელიც XII საუკუნეში აიღეს ქართველებმა, თუ სხვა რომელიმე პუნქტი? ასევე გაურკვეველი დარჩა, თუ რატომ არის დაყენებული ამ ტექსტში მინორატ-მაიორატის პრობლემა? განსაკუთრებით ის არის საინტერესო, რომ პროფესორმა ბორის დარჩიამ ვერ გაარკვია ის, რაც ვერ გაარკვიეს მისმა წინამორბედმა მკვლევარებმა (მარი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ლოლაშვილი...), კერძოდ კი ის, თუ ვინ იგულისხმება ფრაზაში - ,,არც თუ მეყვისი ვამეყ – ვისი”. არადა, აღმოჩნდა, რომ ამ ფრაზაშია მთელი საიდუმლოს გასაღები. აქ, თურმე, უცხოური ლიტერატურის ცნობილი პერსონაჟები კი არ არიან გამოყვანილი და დასახელებული, არამეც ჩვენი ქვეყნის ისტორიის ცნობილი პერსონაჟები, უარყოფითი ტიპები დასავლეთ საქართველოდან. წყვილი ,,ვამეყ-ვისი” გულისხმობს ცნობილ პატრონსა და ყმას, რომელთაც სახელი გაიტეხეს და სამაგიეროც დაიმსახურეს ღვთის რისხვის სახით.

ე.წ. ,,აბდულმესიანის”, ანუ 1661 წელს შეთხზული ,,არჩილ მეფის ქების”, 32-ე სტროფში დაშიფრულია იმავე წელს მომხდარი ერთი ფრიად საჩოთირო ამბავი და იმ პროცესის მონაწილე ისტორიული პირები: ქვეგამხედვარი მეფე-მთავარი ვამეყ III დადიანი, მისი ავი მრჩეველი ვისი - ბეჟან ცაგერელი, ვახტანგ V შაჰნავაზი და ამ უკანასკნელის მიერ პირველი ორის განადგურება, მიწის პირისაგან აღგვა.

დადგინდა აღნიშნული სტროფის პირველი და მეორე ტაეპების (ძველი კონფიგურაცია) ტექსტოლოგიურად ავთენტიკური სახე.

საკვანძო სიტყვები: ვამეყ-ვისი, მეყვისი, შაჰნავაზი, იამანეთი, ვამეყ III დადიანი, ბეჟან ცაგერელი, 1661 წელი, ვხმობ, ვგმობ, ავთენტიკური ტექსტი.

**შესავალი**

ე. წ. ,,აბდულმესიანის”, სინამდვილეში კი ,,არჩილ მეფის ქების”, 32-ე სტროფის შესახებ ჩვენ განვავითარეთ ტრადიციული (პროფ. ივანე ლოლაშვილი) და ამ აღმოჩენის ინიციატორის (პროფ. ბორის დარჩიას) რევოლუციური მოსაზრებებისაგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი. პროფ. ი. ლოლაშვილი და მეცნიერთა ძველი ბრიგადა ზემომითითებულ სტროფში უცხოურ ეგზოტიკურ რეალიებსა ხედავდა; პროფ. ბ. დარჩია ამ სადავო სტროფში მხოლოდ მეორე ტაეპის სწორ ინტერპრეტაციას იძლეოდა და იზიარებდა ჩვენს ტექსტოლოგიურ შესწორებას (1, 133), ოღონდ ამაზე შორს ვეღარ მიდიოდა.

ჩემი აზრით, მითითებულ სტროფში ჩასაიდუმლოებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი ფრიად უამური ამბავი.

**ძირითადი ნაწილი**

უწინარეს ყოვლისა, მოვიყვანოთ საძიებელი სტროფის პირველი ორი სტრიქონი ისე, როგორც წარმოგვიდგინა ივ. ლოლაშვილმა:

**ვხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,**

**როს იავარყო იამან ქვეყნით (2, 193).**

აქ ბატონი ივანე ლოლაშვილი და ძველ მეცნიერთა გუნდი, ასევე მათი ცხარე ოპონენტი ბორის დარჩია შემდეგსა ხედავდნენ:

**ვამეყი** ეგონათ სპარსელი პოეტის, მგოსანთა მეფედ არჩეული, ფირდოუსის თანამედროვე და ფირდოუსიზე გაცილებით ადრე სახელგანთქმული ონსორის პერსონაჟი. სინამდვილეში მართლაც არსებულა ჩვენამდე არმოღწეული (მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი) პოემა ,,ვამეყ და აზრა" (2, 193).

**ვისი** კი ეგონათ ,,ვისრამიანის" ლამაზმანი, რამინის მიჯნური და ბოლოს ცოლი (2, 193).

**იამან ქვეყანა** წარმოედგინათ იამანეთის მხარედ, ეგზოტიკურ, უცხო ქვეყნად (2, 193).

რაკიღა ეგ ტექსტი XII საუკუნის ძეგლი (,,ვეფხისტყაოსანზე" უფრო ადრინდელი ქმნილება) ეგონათ, ამიტომ მკვლევრები ფეხს მიწაზე აღარ აკარებდნენ და ღრუბელ-ღრუბელ დაცურავდნენ. იქ მსოფლიო შედევრების პერსონაჟები (ვამეყი და ვისი) წარმოისახეს, აქ კიდევ უცხო და ეგზოტიკური მხარე (იამანეთი).

ისე ძლიერი იყო ძველი ინერცია, რომ აქ მათ თვით მათმა ცხარე ოპონენტმა პროფ. ბორის დარჩიამაც ვერ გაუწია წინააღმდეგობა.

არადა, აუცილებელია ეგ ეგზალტირებული მკვლევრები ფანტასმაგორიული მთიდან ძირს ჩამოვიყვანოთ. რა მოხდა, დროდადრო თვით ოლიმპოელი ღმერთებიც კი ჩამოდიოდნენ მიწაზე!

ჯერ ეგზოტიკური ქვეყნით დავიწყოთ.

თვით ივ. ლოლაშვილი სრულიად სამართლიანად აცხადებდა: გულდინჯად შევისწავლე ყველა ხელნაწერი და მათ შორის სანდოაო A და B ჯგუფები. ჩვენც შევისწავლეთ ისინი და იმასვე ვადასტურებთ. ბატონი ივანე ცამდე მართალია: A და B ხელნაწერები მართლაც ყველაზე სანდოა! და აი, სწორედ ამ (და სხვა სანდო თუ უნდო) ხელნაწერში წერია არა იამან ქვეყნით, არამედ მკაფიოდ გამოხატული ნაცვალსახელი ამან.

ჩვენ ბევრი უნდო (არასანდო) ხელნაწერიც გავჩხრიკეთ და ბევრ მათგანშიც სწორედ ეს ფორმა იხილვის - ამან.

მაშ, ასე, მეორე ტაეპი გაფორმდება ამგვარად:

როს იავარყო ამან ქვეყანით.

(H - 1193; S - 395; A - 656 და სხვ.)

ქვემორელე ჩვენ დავინახავთ, თუ ვინ არის ამოფარებული ამან ნაცვალსახელის უკან.

ახლა ვიმსჯელოთ სტროფის საწყისი სიტყვის შესახებ.

ჩემს მოსაზრებას ხელს ვერ უშლიდა ვერც არსებული ფორმა ვხმობ, თუმცა მერჩივნა აქ წერებულიყო ვგმობ. და გამუდმებით მაწვალებდა ფიქრი, ხომ არ ყოფილა პროტოხელნაწერში არა ვხმობ, არამედ ვგმობ ზმნა-მეთქი?

და გუმანი არცუდად წამიხდა.

სწორედ ყველაზე სანდო ხელნაწერად მიჩნეულში აღმოვაჩინე ასეთი რამ: ჯერ წერებულა **ვგმობ,** შემდეგ კი გადამწერს რატომღაც ასო **გ** გადაუხაზავს და მის გვერდით ძველი ,,ხ" (Ã) დაუწერია. **ხელნაწერში ორივე ასო მკაფიოდ იკითხება!** (H - 1193).

ამ წინასწარი ტექსტოლოგიური სამუშაოს შესრულების შემდეგ წარმოვადგინოთ ავთენტიკური ტაეპები და შემდეგ ისტორიულ-ფილოლოგიური კუთხით განვიხილოთ:

**ვგმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,**

**როს იავარყო ამან ქვეყანით.**

ამ ტაეპების ავტორი მიტროპოლიტი იაკობ შემოქმედელი ბრძანებს: ვგმობ ვამეყსა და ვისს, რომლებიც არ არიან ვიღაცის მეყვისნი (ანუ მოყვარულნი, მეგობარნი, მოყვასნი) და რომლებიც **ამან** მოსპო და გაანადგურა, აღგავა პირისაგან მიწისა. ამ შემთხვევაში **ქვეყანით** ძველი ქართულია და აღნიშნავს მიწას, ნიადაგს, მიწის ზედაპირს, სწორედ იმას, რასაც ,,შუშანიკის წამებაში" (,,დავარდა **ქუეყანასა ზედა** და თავსა დამართ სცემდა...").

ახლა კი დროა, გავხსნათ საიდუმლო.

აღნიშნული 32-ე სტროფით იწყება 1661 წელს საქართველოში მომხდარი ერთი საჩოთირო ამბის ლექსით არცთუ ისე მკაფიოდ გამოსახვა. უნდა ითქვას, რომ აქ შედარებით მოიარებით მოყოლილი ამბავი უფრო პირდაპირ და არავუალირებულად გამოხატულია ფეშანგის ,,შაჰნავაზიანში", თვით არჩილ მეფის ,,გაბაასებაში" თეიმურაზ პირველის პირით, ი.თბილელის ,,დიდმოურავიანსა" და ბევრ სხვა მაშინდელ თხზულებაში.

ბარემ აქვე ითქვას: 1660-იან წლებში არ შექმნილა რაიმე თხზულება, რომ ეს სამარცხვინო საქციელი ერთ-ერთი მეფე-მთავრისა, არ გაეკიცხოს. და, რაკიღა იაკობ დუმბაძე-შემოქმედელის ეგ პოემა 1661 წელს, ანუ იმავე სამარცხვინო წელს, არის შექმნილი, როცა ეს საჩოთირო ამბავი დატრიალდა,

ბუნებრივია, მას ავტორი გამოეხმაურებოდა, მით უფრო, რომ ეგ სამწუხარო ამბავი შეემთხვათ სწორედ პოემის სახოტბო გმირ არჩილ მეფესა და მამამისს - ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზს.

ისტორიულ ფაქტს მოკლედ მოგახსენებთ:

1660-იან წლებში იმერეთის ცხოვრება აირია. ვითარებით ისარგებლა იმხანად მოძლიერებულმა ფეოდალმა ვამეყ III დადიანმა, რომლის იმჟამინდელი ტიტულატურა რომ ნახოთ, გაოცდებით - იგი თავს უწოდებდა მეფეთმეფეს, ათოზით ქვეყნის პატრონს. ფაქტობრივად მან დაიპყრო იმერეთი, ქუთაისიდან ურმებით გაზიდა სამეფო ძვირფასეულობა. ვითარება დასავლეთში უკიდურესად დაიძაბა. ამით შეეძლო ესარგებლა თურქეთს. ეს არც სპარსეთს აძლევდა ხელს. პატრიოტმა მეფე ვახტანგ მეხუთემ შაჰის სიტყვიერი თანხმობით თავის ხელქვეით მყოფი სპარსული ჯარისა და ქართლელების ლაშქრით იმერეთის საზღვარი გადალახა და წითელ სპარსულ ხალათში გამოხვეული ქუთაისს მიადგა. მთელი დასავლეთი გაისუსა. ვამეყი თვითმპყრობლის წინაშე გამოცხადდა და შეკრეს ზავი: ადმინისტრაციული საზღვრები შეათანხმეს, სხვა სადავო პრობლემებიც გადაწყვიტეს და მორიგება შემდეგნაირად განამტკიცეს - ვამეყ III დადიანს თავისი გრძელცხვირა და საკმაოდ უშნო ქალიშვილი იმერთა 14 წლის ნორჩი მეფის - არჩილისათვის უნდა მიეთხოვებინა. ერთი სიტყვით, მოეწყო ნიშნობა და მხარეები დაიშალნენ. შაჰნავაზი თბილისს დაბრუნდა, დადიანი - ოდიშს; მაგრამ მოხდა უცნაური რამ: ვამეყ დადიანს გამოუჩნდა ავი მრჩეველი, რომელმაც ქალი ერთი მაშინ საჭირო თავადისათვის მიაცემინა. ასე გატეხეს სიტყვა, ასე მოსჭრეს თავი არა მხოლოდ 14 წლის სასიძოს, იმერეთის ნორჩ ხელმწიფეს, არამედ თვით ვახტანგ მეფეს, იმჟამად მთელ კავკასიაში ყველაზე ძლიერ ფიგურას. ამ თავისმოჭრას შაჰნავაზი არავის აპატიებდა, მით უფრო, რომ ცამდე მართალი იყო და მისი პატრონიც - შაჰიც - ერთობ უკმაყოფილო დარჩა. ეს ამბავი რომ გაუგია, შაჰი გაოგნებულა. მისი ჩუმი დასტურით შაჰნავაზი ისევ დაიძრა ქუთაისისაკენ. ვამეყი თავის დასტურთან ერთად ლაშქარს აგროვებდა, ოღონდ ბოლოს შეშინდა, მიხვდა, ვერას გახდებოდა, ბრძოლაზე უარი განაცხადა და სვანეთს შეაფარა თავი. შაჰნავაზის მომხრეებმა იქაც მიაგნეს და მოკლეს. მთელი მისი ოჯახი განადგურდა, რაკიღა ყველაფერი ჩამოართვეს; ცოლი, ძე და ასული ტყვედ აიყვანეს, თბილისში დედოფალს გაუგზავნეს.

ვიმეორებთ, ეგ ამბავი ზედმიწევნით არის ასახული იმავე ხანებში (1664 წ.) შეთხზულ ,,შაჰნავაზიანში", რაკიღა ეს პოემა ვახტანგ მეხუთეს ეძღვნება. აისახა იგი 1661 წელს შეთხზულ ქმნილებაში ,,ქება მეფისა არჩილისა".

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ დაიწერა ეგ პოემა 1661 წელს და ისიც სასწრაფოდ.

საქმე ისაა, რომ ნამუსშერცხვენილ, თავლაფდასხმულ ნორჩ მეფეს (14 წლის ყმაწვილკაცს) საჩქაროდ სჭირდებოდა გამხნევება, შელახული ავტორიტეტის აღდგენა. ვისიმე წაქეზებით თუ თავისი ნებით ეგ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმე თავს იდო შემოქმედის მიტროპოლიტმა, გურულმა კაცმა იაკობ დუმბაძემ. მისი პირველი ვრცელი ხოტბა-პოემა სწორედ ეგ ქმნილებაა. მოგვიანებით გიორგი მეთერთმეტის თხოვნით მან დაწერა პოლემიკურ-რელიგიური გაბაასება ქრისტიანებისა და მაჰმადიანებისა, რომელშიც აქებს ჩვენს რელიგიას და აძაგებს მაჰმადიანობას. ,,ქება მეფისა არჩილისა" იაკობმა შეთხზა არსებული კლასიკური ნიმუშის - ,,თამარიანის" - კვალობაზე.

პოემის სწორედ 32-ე სტროფიდან იწყება ვამეყ III დადიანის, მისი უბადრუკი ვაზირისა და ვახტანგ V შაჰნავაზის დაპირისპირების ამბავი და გრძელდება 33-ე და 34-ე სტროფებში, ოღონდ აქ ყველაზე იდუმალი სწორედ 32-ე პოეტური აბზაცის პირველი და მეორე ტაეპებია.

ჩვენ მიერ ზემორელე თქმულის ფონზე თუ განვიხილავთ საკამათო ტაეპებს, მაშინ უსაგნო ფანტაზიას ბოლო მოეღება და მიწიერ რეალობას მივადგებით.

შევიხსენოთ საძიებელი ტაეპები:

**ვგმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,**
**როს იავარყო ამან ქვეყანით.**

აქ თითქმის ყველა სიტყვის უკან პიროვნება ან მოვლენა დგას. ჯერ ის გავშიფროთ, თუ ვისა გმობს ავტორი. იგი გმობს ვამეყსა და ვისს.

გადაჭრით ვაცხადებთ: ვამეყი გახლავთ ვამეყ II, დადიანი, სიტყვისა და ფიცის გამტეხი ფეოდალი, ახალი **პირბოზი** (რუსთველის ტერმინია) რამაზ ხატაელი, პროვინციის მეფე, ზუსტად რამაზ ხატაელივით რომ უღალატა მეფეთმეფეს.

პროფ. ივანე ლოლაშვილი კი ძალზე შორს მიდიოდა და აქ სპარსელი მგოსნის ონსორის დაკარგული პოემის ,,ვამეყ და აზრას" გმირ მამაკაც ვამეყს იგულვებდა.

ჯერ ერთი, რა შუაშია?!

მეორეც, როგორცა ვნახეთ, საძაგებელი და დასაგმობია ვიღაცა უარყოფითი და არა დადებითი გმირი, ალალად შეყვარებული ვამეყი. სწორედ ასე სამაგელი და პირისგამტეხია ოდიშის მთავარი ვამეყ III დადიანი.

ახლა **ვისის** ამბავი გამოვიძიოთ.

**ვისი** ივ. ლოლაშვილს, ძველ მეცნიერებსა და იმათ მკაცრ კრიტიკოსს, ჩემს მეგობარ ზ. დარჩიასაც (კარგა ხანს) ქალი, ლამაზმანი, რამინის სატრფო **ვისი** ეგონათ.

რა შუაშია?!

რა უნდა ამ კონტექსტში ქალს?!

ეგ ყოვლად წარმოუდგენელია!

შეცდომა კიდევ იმად მოუვიდათ პატივცემულ მკვლევრებს, რომ აქ ვერც დაშიფრული დაპირისპირება შენიშნეს და ფირდოუსის ,,შაჰ-ნამესაც" კარგად არ იცნობდნენ.

საქმე ისაა, რომ აქ იგულისხმება არა ნაზი ქალბატონი, რამინის სატრფო და ბოლოს ცოლი, არამედ ,,შაჰ-ნამეს" ცნობილი პერსონაჟი **მამაკაცი ვისი.**

არ უნდა გვეგონოს, რომ სახელები: როდამი, ვისი, ალექსანდრე და სხვები მხოლოდ მამაკაცებს, გინდა მხოლოდ ქალებსა ჰქვია. არა, ეს სახელები, ისე როგორც ვარდანი, შეიძლება ერქვას ორივე სქესის წარმომადგენელს (დღეს - მესამე სქესის წარმომადგენელსაც!).

ვარსქენ პიტიახშის მეუღლეს მოფერებით შუშანიკს ეძახდნენ. მისი ოფიციალური სახელი კი იყო მამამისის სახელი **ვარდანი.** მაშ, ასე: **ვარდან მამიკონიანი** და მისი ასული **ვარდანი,** გინდა **ვარდანისი.**

ახლა ისღა ვიკითხოთ, ვინ გახლავთ ეგ მამაკაცი **ვისი?**

,,შაჰ-ნამეში" მამაკაცი **ვისი** ასრულებს **ცუდი ვაზირის, ავი დასტურის, მიუღებელი მრჩევლის** როლს.

აი, ვისა გმობს იაკობ დუმბაძე. იგი აგინებს ვამეყ III დადიანსა და მის ცუდ ვაზირ **ვისს.** სწორედ ასეა შეგინებული ვისი ,,შაჰ-ნამესა" და ,,შაჰ-ნამეს" ქართულ ვერსიებშიც. და რა გააკეთა მან ასეთი?

**ვისი** გახლდათ სარდალი და მრჩეველი ,,უკეთური" **თურისა** და უკეთური **სალიმისა.** ძმებმა სალიმმა და თურმა ჩაიდინეს უმსგავსო საქციელი - სახელმწიფო ხელისუფლების მიტაცებისა და მიწების ხელში ჩაგდების მიზნით მოკლეს თავიანთი ძმა ერაჯი. ამიტომაც ამბობს იაკობ შემოქმედელი სხვაგან: ,,სალიმ და თური, ძლით უკეთური". აი, სწორედ ამ ბოროტი თურის სარდალი და მრჩეველია ვისი; აი, რატომ შეუწყვილებია ერთურთისათვის იაკობ დუმბაძეს ვამეყ III დადიანი და ფირდოუსის ავი მრჩეველი **ვისი. ვამეყ-ვისი** დაპირისპირებულია შაჰნავაზთან (3, 404). ფეშანგი სწორედ ამ ცუდ მრჩეველზე მიუთითებს: **,,ვეზირი უჯდა რეგვენი, ჭკვისაგან გარდასულია"** (4, 64).

ახლა ისიც გავარკვიოთ, თუ ირიბულად ვის გულისხმობს **ართუ მეყვისი.**

**ართუ მეყვისი,** ერთის მხრივ, გულისხმობს ვამეყ III დადიანსა და მის მრჩეველს: ვგმობ ვამეყსა და მის მრჩეველს, რომლებიც არ არიან მეფეთმეფის (ვახტანგ V) **მეყვისი. მეყვისი** მე-17 საუკუნის სიტყვაა. დღევანდელი გაგებით, იგივეა, რაც მოყვარე, მოყვარული, მეგობარი, მოტრფიალე, მოყვასი; **ართუ მეყვისი,** მეორე მხრივ, გულისხმობს ვახტანგ მეხუთეს. აქ დაგვჭირდება პატარა განმარტება: ვახტანგ V ტახტზე ავიდა, როგორც სპარსეთის შაჰის მთავარსარდალი. ეგ იყო ქართველ მეფეთა სახელიო სპარსეთის სამეფო კარზე. მეორეც, ამ დროს უსათუოდ ანიჭებდნენ ერთგვარ ნესაბს, ზედწოდებას, ,,კლიჩკას". ვახტანგ V ცნობილია, როგორც **შაჰნავაზი.** რასა ნიშნავს **შაჰნავაზი?** ესაა ორი სიტყვა: **შაჰი** და **ნავაზი.** ,,ნავაზ" ნიშნავს **მოყვასს, მოყვარეს, მეგობარს, მოტრფიალეს.** მაშ, ასე: ვახტანგ V არის **შაჰის მეყვისი.** და ეგ ფაქტობრივადაც დადასტურდა: ვახტანგ V შაჰნავაზი მისდამი შაჰის დიდი პატივისცემის ნიშნად დაკრძალულია ირანის წმინდა ქალაქ ყუმში (1675).

ბარემ აქვე ითქვას: მის პირმშო არჩილ მეფეს, რაკიღა ისიც ირანის მბრძანებლის ხელდასხმით გაამეფეს კახეთში, ნესზად მიეცა ზედწოდება **შაჰნაზარი,** ანუ შაჰის თვალით მხედველი, შაჰის მსგავსი შეხედულების მქონე.

იაკობის თქმაში: ,,ვგმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა" ირიბად ის აზრიც არის გათამაშებული, რომ, როგორც ვახტანგ V არის შაჰის მეყვისი, ისე როდი არიან ვამეყი და ვისი, მათი პატრონის, ვახტანგ მეხუთის, მეყვისნი. ერთი სიტყვით, ავტორი გმობს ვამეყსა და ვისს, რომლებიც პატრონის ქვეგამხედვარი ფეოდალები არიან.

ამრიგად, სიტყვაში **მეყვისი** იგულისხმება სპარსული ტერმინიც **ნავაზი.**

შაჰნავაზი მომდევნო ტაეპში აქტიურ პერსონად წარმოგვიდგა:

,,როს იავარყო ამან ქვეყანით".

უკვე გასაგებია, რომ ნაცვალსახელს ამან ამოფარებია ვახტანგ V. ამან მიწის პირისაგან აღგავა, იავარყო მის მიმართ არამეყვისი **ვამეყი** და **ვისი.**

**ვამეყს** რაც დაემართა, ვიცით, ოღონდ რა მოუვიდა ბოროტ მრჩეველ ვისს, ანუ ქართველ კაცს, დადიანის უჭკუო მრჩეველ **ბეჟან ცაგერელს?**

ისიც დაიჭირა ვახტანგ მეხუთემ და ქართლში ტყვედ გააგზავნა; გარდაიცვალა უცხოობაში, შულავერს (4, 71). ფეშანგი პირდაპირ მიუთითებს: მეფემ გააძევა, ხელ-ფეხი შეუკრეს, სომხითს გაგზავნეს და იქ საპყრობილეში ჩააგდესო (იქვე).

**დასკვნა**

ამრიგად, დამარწმუნებლად შეიძლება ვთქვათ: ე.წ. ,,აბდულმესიანის", ანუ ი.შემოქმედელის მიერ 1661 წელს ნაჩქარევად დაწერილი ,,არჩილ მეფის ხოტბის", 32-ე სტროფის ტაეპები:

**ვგმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,**

**როს იავარყო ამან ქვეყანით**

ტექსტოლოგიურად დადგენილია: ადრინდელი ,,ვხმობ" შეიცვალა ზმნით ,,ვგმობ"; ,,იამან ქვეყნით" შეიცვალა სიტყვებით ,,ამან ქვეყანით".

გაიშიფრა ისტორიული საიდუმლოც: აქ ნაჩვენებია ვამეყ III დადიანისა და მისი რეგვენი მრჩევლის ქართველი ვისის დაპირისპირება მეფეთმეფე ვახტანგ V შაჰნავაზთან. კერძოდ, **ვამეყი,** თურმე გულისხმობს ვამეყ III დადიანს; **ვისი** გულისხმობს ,,შაჰ-ნამეს" პერსონაჟს, ავ მრჩეველ მამაკაც **ვისს,** რომლის როლიც საქართველოში შეასრულა ზერმა ბეჟან ცაგერელმა; ორივე მათგანი მოსპო და გაანადგურა, იავარყო ვახტანგ შაჰნავაზმა, ანუ, პოემის ენით, _ ,,ამან".

**ართუ მეყვისი ვამეყ-ვისი** გახლავთ ერთგვარი რეაგენტი ვახტანგ მეხუთის ზედწოდებისა **შაჰნავაზი,** რაკიღა სპარსული **ნავაზი** ნიშნავს **მეყვისს.** დაპირისპირების აზრია: თუ **შაჰნავაზი** არის **მეყვისი,** ანუ მოყვარული და მოყვასი, თავისი უფროსისა, თავისი პატრონისა, **ვამეყ-ვისი** არ არის მეყვისი, ანუ მოყვარული, თავისი პატრონისა.

მაშასადამე, ე.წ. ,,აბდულმესიანი", ანუ ,,ქება მეფისა არჩილისა", დაწერილია საჩქაროდ და საგან-გებოდ 1661 წელს. აქ მოკლედ და ვუალირებულად წარმოსახული იმწლევანდელი ამბები უფრო პირდაპირ და გახსნილად, ასევე ბევრად უფრო ვრცლად წარმოჩენილია 1664 წელს შეთხზულ ,,შაჰნავაზიანში".

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. იაკობ შემოქმედელი, პოეტურ თხზულებათა სრული კრებული, თბ., 2014.
2. ივანე ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, II, თბ., 1964.
3. მურმან თავდიშვილი, მიგნება-აღმოჩენანი, 2021.
4. ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თბ., 1935.
5. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერები: H - 1193; S - 395; A - 656.

# “Neither one nor the other (Mekvisi) Vamek-Visi”
# And their secret
# (Letter two)

***Murman Tavdishvili, professor***
***Georgian Technical University***

**SUMMARY**

Boris Darchia, a well-known researcher of ancient Georgian literature, raised the problem of "Abdulmesiani". He cited many different arguments in support of the opinion that the 107 verse stanzas preserved in our archives are a monument not of the 12th, but of the 17th century. Its author is not Ioane Shavteli, but Iakob from Shemokmedeli, metropolitan of the Shemokmedi Diocese.

It is not clear to the professor Boris Darchia, we can say that, some unclear issues remained unresolved - these are: is Limona the city of Trabzon, conquered by Georgians in the 12th century, or any other point? It also remained unclear why the text poses the problem of a minority-majority. It is especially interesting that the professor Boris Darchia could not figure out what his predecessors (Mari, Ekvtime Takaishvili, Ivane Lolashvili…) could not understand too, in particular, who is meant in the phrase - “Neither one nor the other Mekvisi Vamek-Visi”. However, it turned out that this phrase contains the key to the whole secret. Here, it turns out, not even well-known characters of foreign literature are mentioned and named, but well-known characters of the country's history, negative types from western Georgia. The “Vamek-Visi” pair refers to a famous patron and slave who were disgraced and instead, they deserve the wrath of God.

In the 32nd stanza of so-called "Abdulmesiani" or "Praise of King Archil" written in 1661, one of the most embarrassing stories of the same year and the historical figures involved in that process is encrypted: old fox King - principal Vamek III Dadiani, his wicked advisor Visi-Bezhan Tsagereli, Vakhtang V Shakhnavazi and destruction of the first two by the last one, wiped them off the face of the earth.

The textually authentic form of the first and second verses of the above stanza is established (old configuration).

Key words: Vamek-Visi, Mekvisi, Shakhnavazi, Iamaneti, Vamek III Dadiani, Bezhan Tsagereli, 1661 year, calling on, repudiating, authentic text.

# Narrative Space in Hypertext Fiction

***Tamar Mebuke, professor***
***Georgian Technical University***

**Astract**

2. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთისთვის ვეტოს დადება – ევროკავშირის მხრიდან მსგავსი ქმედება წინააღმდეგობაში მოდიოდა მისივე ძლიერ ინტერესთან დაერწმუნებინა რუსეთი პატივი ეცა მსოფლიო სავაჭრო წესებისთვის და დაეცვა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დადგენილი პროცედურები. იმ დროისთვის, ეს ორგანიზაცია ისედაც საკმაოდ დასუსტებული იყო დოჰაში წარუმატებელი მოლაპარაკებების შედეგად.

3. რუსეთის მოქალაქეებისთვის ევროკავშირში ტურისტული ან სამუშაო მიზნით შესვლის აკრძალვა – ეს გადაწყვეტილებაც ასევე არანაირად არ შედიოდა ევროკავშირის ინტერესში. იმ შემთხვევაში თუ რუსეთის მოქალაქეებს აეკრძალებოდათ ევროკავშირში შესვლა, მათზე კიდევ უფრო მეტად იმოქმედებდა რუსული პროპაგანდა, რომელიც ისედაც ცდილობდა მათ დარწმუნებას, რომ ევროპა არის რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი. ევროპას მით უფრო მეტად არ აწყობდა სავიზო სანქციების დაწესება რუსეთის ოფიციალური პირებისთვის, რადგან ეს იქნებოდა ნიშანი, რომ ევროპას და რუსეთს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო [22].

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ევროკავშირი თვლიდა, რომ სანქციების დაწესების საკითხი უფრო ღრმა და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებდა. გარკვეულმა გარემოებებმა შესაძლოა შეამციროს სანქციების ეფექტურობა. განსაკუთრებით თუ სანქციები ეხება ინდივიდებს და კონკრეტულ პროდუქტებს, წარმოიქმნება სამართლებრივი გამოწვევები, რაც ზოგჯერ სანქციების უკუეფექტს განაპირობებს.

ერთ-ერთი ავტორის, ფრანსისკო გიუმელის თანახმად, უახლოეს მომავალში ევროკავშირმა სამი პრიორიტეტი უნდა დაისახოს: 1. წინასწარი შეფასების ფაზა – საბჭომ წინასწარ უნდა განსაზღვროს ამა თუ იმ სანქციის მოსალოდნელი ეფექტი. 2. მონიტორინგი – ევროკავშირის ინსტიტუტებმა უნდა გააძლიერონ მეთვალყურეობა, როდესაც საქმე ეხება სანქციების განხორციელების პროცესს. 3. პოლიტიკური თანხვედრა – სანქციები არ უნდა იყოს განყენებული სხვა პოლიტიკური მექანიზმებისგან. პირიქით ისინი უნდა შეადგენდნენ სხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებების ნაწილს, იქნება ეს ძალის გამოყენება თუ დიპლომატიური აქტივობა [23]. გარკვეულწილად, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირმა ეს ფაქტორები გაითვალისწინა მომდევნო წლების მანძილზე, რაც მოგვიანებით უკრაინის კრიზისმა ნათლად დაადასტურა.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Magdalena Frichova Grono, "Georgia's Conflicts: What Role for the EU as Mediator?," Initiative for Peacebuilding, International Alert(March 2010): available from http://www.initiativeforpeacebuilding.eu/pdf/Georgia_March2010.pdf.
2. MikhailKosven, Narody Kavkaza [People of the Caucasus] (Moscow: Nauka, 2002), 11.
3. Ekaterina Arkhipova, "The Borders Between Azerbaijan, Georgia, and Russia: Soviet Heritage,"Central Asia and the Caucasus 6, 36(2005): 33, available from http://cyberleninka.ru/article/n/the-borders-between-azerbaijan-georgia-and-russia-soviet-heritage.
4. Mark Saroyan, "Beyond the Nation-State: Culture and Ethnic Politics in Soviet Transcaucasia," in Transcaucasia Nationalism and Social Change: Essays in the History of Armenia, Azerbaijan, and Georgia, ed. Ronald Grigor Suny(University of Michigan Press, 1996), 404.
5. Glenn E. Curtis and Ronald G. Sunny, "Armenia," in Armenia, Azerbaijan, and Georgia: Country Studies (Washington: Library of Congress, Federal Research Division, 1995), 26.
6. "Russian Federation: Legal Aspects of War in Georgia," available from http://www.loc.gov/law/help/russian-georgia-war.php#f3
7. Jim Nichol "Russia-Georgia Conflict in August 2008:Context and Implications for U.S Interests," Congressional Research Service. CRS Report for Congress (3 March 2009): 6, available from https://www.fas.org/sgp/crs/row/RL34618.pdf.
8. Jim Nichol, "Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests," Congressional Research Service Report (17 June 2008): 8, available from https://www.fas.org/sgp/crs/row/RL33453.pdf.
9. Iury Sulaberidze, The Nature of Political Split: The Rose Revolution, Central Asia and the Caucasus, 2007, No. 1, 79.
10. U.S. Department of State. Press Release. Secretary's Remarks: Remarks En Route Prague, Czech Republic, July 8, 2008.
11. "Agence France Presse" ,available from http://www.afp.com/search/site/august%2010%2C2008/
12. "Interfax" ,available from http://www.interfax.com/default.asp
13. Stéphane Lefebvre and Roger Mcdermott, "Intelligence Aspects of the Russia-Georgia Conflict," Journal of Slavic Military Studies, January 2009, 4–19.
14. Anne Barnard, Andrew Kramer, C.J. Chivers and Ellen Barry, "Clashes in Georgia Move Another Step Closer to All-Out War: Russian Bombers Strike Capital's Airport," The New York Times, August 11, 2008;
15. Council of the European Union," A secure Europe in a better world: European Security Strategy" (Brussels, Dec 12. 2003), 5;
16. European Council, A secure Europe in a better world,7
17. Tuomas Forsberg "The EU as a Peace-Maker inthe Russo-Georgian War " Paper Presented at the Fifth Pan-European Conference on EU Politics, 23-26 June, 2010;
18. "Office of the State Minister of Georgia for Reconciliation and Civic Equality " The six-point Peace Plan, 2014 available from http://www.smr.gov.ge/docs/doc111.pdf
19. Human Rights Watch Report," Georgia: Satellite images show destruction, ethnic attacks", August 29, 2009;
20. International Crisis Group, "Georgia-Russia: Still insecure and dangerous", Europe Briefing No. 53: 3. June 22, 2009, available from http://www.crisisgroup.org/~/media/Files/europe/B53%20Georgia-Russia%20-%20Still%20Insecure%20and%20Dangerous.pdf
21. Michel Foucher and Jean-Dominique Giuliani "The European Union and the Russo-Georgian War" European Issues n.108, September 1,2008,4-6;
22. "Center for European Reform" September 30, 2008, last modified March 14, 2014 available from http://www.cer.org.uk/in-the-press/europe-and-georgia-russia-conflict
23. Francesco Giumelli "How EU sanctions work: a new narrative" institute for security studies European Union, Chaillot Papers N-129, May 2013,40.

**Historical-political analysis of the 2008 Russia-Georgia conflict**

***Salome pipia, PhD student***
***Georgian Technical University***

**SUMMARY**

Russia-Georgia relations have been developing with great difficulty since the collapse of the Soviet Union. This relationship was particularly affected by the Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetian conflicts, in which Russia intervened as an interested third party. The Georgian-Ossetian conflict froze and entered a passive phase after the 1990s, but escalated again in August 2008, leading to hostilities between Russia and Georgia.

In modern international relations, the process of globalization has led to the fact that the local problems of any state have a direct impact not only on a particular region, but on the entire international system. In particular, this applies to internal state conflicts and ways to resolve them, as such local conflicts are seen as a direct threat to international security. Strong actors in the international arena are forced to take care not only of maintaining security and peace within their own borders, but also to intervene in the resolution of regional conflicts through various ways (humanitarian intervention, armed intervention, observation missions, etc.) and thus maintain a balance of power. The article discusses in detail what preceded the escalation of the conflict, why the outbreak of hostilities became inevitable, and the role played by the international community, in particular the European Union, in resolving the conflict peacefully.

key words: conflict, European Union, Georgia, Russia, negotiation, third party.

# მსოფლიო უსაფრთხოების გამოწვევა: რუსული ექსპანსიონიზმი

*თორნიკე ოქროპილაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

დემოკრატიული სახელმწიფოები ნებისმიერ პოლიტიკაში მთავარ პრიორიტეტს ანიჭებენ სტაბილურობას, თუმცა დღევანდელ მსოფლიოში ხშირად ვხვდებით სახელმწიფოებს, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ საერთაშორისო ურთიერთობებზე და ხელს უწყობენ მასობრივი არასტაბილურობის ჩამოყალიბებას. ასეთი სახელმწიფოები ხშირად არღვევენ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, უგულვებელყოფენ სუვერენიტეტს, ერევიან სხვა სახელმწიფოების შიდა პოლიტიკაში და ავლენენ სხვა დესტრუქციულ ქმედებებს, რომელსაც გამოხატავენ სხვადასხვა ფორმით. ბოლო დროს წინ წამოიწია გლობალური დაუცველობის დომინოს ეფექტის მნიშვნელობამ (Domino effect of global insecurity). მასობრივი არასტაბილურობის შექმნას ან ასეთ ქცევას აქვს გავლენის ეფექტი სხვა სახელმწიფოებზე. თუ რომელიმე მნიშვნელოვანი მოთამაშე ქმნის ასეთ დაუცველობას და არღვევს საერთო თამაშის წესებს, ის უბიძგებს სხვა სახელმწიფოებს მოიქცეს მსგავსად. ამერიკელი რესპუბლიკელი კონგრესმენის ადამ კინზინგერის თქმით, „რუსეთი უარყოფით როლს თამაშობს არა მხოლოდ გავლენის, არამედ მასობრივი არასტაბილურობის შექმნის თვალსაზრისითაც".

დღეს, უსაფრთხოება და მისი გარემო გაცილებით კომპლექსური გახდა, ვიდრე ოდესმე ცივი ომის დასრულების შემდეგ. რუსეთი აგრძელებს ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში ჩარევას და მათი სუვერენიტეტის შელახვას. რუსეთის აგრესიული ქმედებები, მათ შორის მუქარა და ძალის გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ძირს უთხრის წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს. რუსეთი გამუდმებით არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, უგულვებელყოფს ქვეყნების სუვერენიტეტს და ქმნის არასტაბილურ გარემოს. შესაბამისად, მზარდი რუსული ექსპანსიონიზმის საპასუხოდ და უსაფრთხოების მაღალი რისკების გათვალისწინებით, კვლავ დღის წესრიგში დადგა რუსეთის შეკავების პოლიტიკა, რომელიც ღიად უპირისპირდება მსოფლიო სტაბილურობას. ემპირიული თვალსაზრისით, ეფექტური შეკავების პოლიტიკა დაკავშირებულია სამხედრო თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებასთან, რომელსაც ქვეყანა ახორციელებს დამოუკიდებლად ან მოკავშირეებთან ერთად.

აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მოხდეს „სამხედრო მოკავშირეების" და „სამხედრო ნეიტრალიტეტის" განხილვა, პოტენციური უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ. შეკავების პოლიტიკა ყველაზე სრულყოფილი იარაღია პატა-რა ქვეყნისთვის, რომელსაც არ შესწევს უნარი გაუმკლავდეს რუსეთის წინააღმდეგ აგრესიულ ქმედებებს. ასეთი პოლიტიკა მოიცავს ალიანსებს და შესაძლებლობების განვითარებას, რომლებიც ეხება ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების ზევრ ასპექტს. ალიანსს სამხედრო-პოლიტიკური ღირებულებების გარდა გააჩნია იდეოლოგიური ჩარჩო, რომელიც კვებავს დიდ სტრატეგიულ უსაფრთხოებას და დაკავშირებულია დემოკრატიულ მშვიდობასთან. მიუხედავად ნეიტრალიტეტის თეორიული გარანტიებისა, ისტორია და მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ადასტურებს, რომ რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ ნეიტრალიტეტი არ მოქმედებს, როგორც შემაკავებელი ფაქტორი. პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის სიტყვები კარგად განმარტავს არსებულ მდგომარეობას, რომელიც მან 2008 წლის 12 აგვისტოს თბილისში განაცხადა: ,,დღეს არის საქართველო, ხვალ უკრაინა, შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნები და შემდეგი იქნება პოლონეთი".

**საკვანძო სიტყვები: ახალი ცივი ომი; დესტაბილიზაცია; დათმობის პოლიტიკა; უსაფრთხოება; ძალთა ბალანსი; ნულოვანი ჯამის თამაში.**

**შესავალი**

II მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს გამარჯვებამ შექმნა მოლოდინი, რომ თითქმის მთელ მსოფლიოში ჰარმონიული თანაცხოვრება და სტაბილური განვითარება იქნებოდა შესაძლებელი. დღესდღეობით, უსაფრთხოება და მისი გარემო არის ბევრად კომპლექსური, ვიდრე ნებისმიერ დროს ცივი ომის დასრულების შემდეგ. რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები საფრთხეს უქმნის თანამედროვე მსოფლიო სტაბილურობას. მეცნიერები ბოლო დროს საუბრობენ გლობალურ დაუცველობის დომინოს ეფექტზე, მასობრივი

არასტაბილურობის შექმნას ან ასეთ ქცევას აქვს გავლენის ეფექტი სხვა სახელმწიფოებზე. თუ რომელიმე მნიშვნელოვანი მოთამაშე ქმნის ასეთ არასტაბილურობას და არღვევს საერთაშორისო თამაშის წესებს ის უბიძგებს სხვა სახელმწიფოებსაც მოიქცეს მსგავსად. ამერიკელი რესპუბლიკელი კონგრესმენი ადამ კინზინგერი სწორედ რუსეთს ადანაშაულებს ასეთ ქცევაში და ამბობს „რუსეთი ნეგატიურ როლს თამაშობს არამხოლოდ გავლენის, არამედ მასობრივი არასტაბილურობის შექმნის კუთხითაც" [1].

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე, სერ უინსტონ ჩერჩილი თავის წერილებსა და მიმართვებში ხშირად ახსენებდა, რომ დიდ ბრიტანეთს მოუწევდა არჩევანის გაკეთება სირცხვილსა და ომს შორის, რაც განპირობებული იყო გერმანიის პოლიტიკური და ტერიტორიული ამბიციებით. იმ დროინდელმა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ნევილ ჩემბერლენმა აირჩია „დათმობის პოლიტიკა", რითაც ჰიტლერს ავსტრიის ანშლუსის და სუდეტის ოლქის მიერთების საშუალება მისცა. სწორედ, მაშინ წარმოთქვა თემთა პალატაში უინსტონ ჩერჩილმა, რომ „თქვენ გქონდათ არჩევანი ომსა და სირცხვილს შორის. თქვენ აირჩიეთ სირცხვილი, ამიტომ მიიღებთ ორივეს". აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა, 2013 წელს უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შეჭრა შეადარა 1938 წელს ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქის გერმანიის მიერ მიტაცება და რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი ადოლფ ჰიტლერს შეადარა [9]. აღნიშნულ ორ ისტორიულ მოვლენას აშკარა საერთო მახასიათებლები გააჩნია, რის საფუძველზეც, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობის (რომელიც, როგორც ვხედავთ, სულ უფრო და უფრო გრძელვადიან სახეს იღებს) მსოფლიო შევიდა „ახალი ცივი ომის" ფაზაში.

**ძირითადი ნაწილი**

რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების შესაკავებლად დასავლეთმა დაიწყო უკრაინის მხარდაჭერა და მათი თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება, თუმცა 2022 წლის 22 თებერვალს რუსეთმა მაინც აღიარა დონეცკისა და ლუჰანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკები. რუსეთის უტოპიურ მოთხოვნას, რომ „მათ სჭირდებოდათ იურიდიული გარანტიები ნატო-ს არ გაფართოების შესახებ", რაც დაპირისპირებაში მოდის სუვერენულ სახელმწიფოთა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკურ არჩევანთან, დასავლეთმა ერთხმად უარი განუცხადა. რუსეთი გამუდმებით არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, უგულვებელყოფს ქვეყნების სუვერენიტეტს და ქმნის არასტაბილურ გარემოს. შესაბამისად, მზარდი რუსული ექსპანსიონიზმის საპასუხოდ და უსაფრთხოების მაღალი რისკების გათვალისწინებით, კვლავ დღის წესრიგში დადგა რუსეთის შეკავების პოლიტიკა, რომელიც ღიად უპირისპირდება მსოფლიო სტაბილურობას. ემპირიული თვალსაზრისით, ეფექტური შეკავების პოლიტიკა დაკავშირებულია სამხედრო თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებასთან, რომელსაც ქვეყანა ახორციელებს დამოუკიდებლად ან მოკავშირეებთან ერთად.

ქართულ და უკრაინულ პოლიტიკურ დისკურსში ხშირია საუბარი სამხედრო ნეიტრალიტეტზე, რომელსაც მიიჩნევენ მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტად. მიუხედავად ნეიტრალიტეტის თეორიული გარანტიებისა, ისტორია და მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ადასტურებს, რომ რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ ნეიტრალიტეტი არ მოქმედებს, როგორც შემაკავებელი ფაქტორი. აღნიშნულს ადასტურებს: უკრაინის, მოლდოვის, შვედეთისა და ფინეთის პოლიტიკური გადაწყვეტილებები და სამხედრო პოლიტიკა.

1990 წელს უკრაინის რადამ მიიღო განზრახვა, რომ ის იქნებოდა უბლოკო ქვეყანა. 2014 წლამდე უკრაინაში ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის ძალიან დაბალი საზოგადოებრივი მხარდაჭერა არსებობდა. (ნატო-ს მხოლოდ მოსახლეობის 20% უჭერდა მხარს). უკრაინის ოპოზიცია აცხადებდა, რომ ნატოში ინტეგრაციის საკითხი მხოლოდ რუსეთზე იყო დამოკიდებული. 2010 წლის ივლისში რადამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც უკრაინა „ბლოკგარეშე ქვეყნად" გამოცხადდა. 2014 წელს უკრაინა რადას გადაწყვეტილებამ ვერ გადაარჩინა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისაგან. პრორუსმა, უკრაინის პრეზიდენტმა, იანუკოვიჩმა ყველაფერი გააკეთა, რომ უკრაინა დასავლეთს ჩამოეშორებინდა, მან ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზეც უარი განაცხადა. აღნიშნულს მოჰყვა მეორე სისხლიანი მაიდანი, ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინის ოკუპაცია. ყველაფერი კი იმ პირობებში, როდესაც უკრაინა ინარჩუნებდა უბლოკო სტატუსს [8].

მოლდოვის კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიხედვით: მოლდოვის რესპუბლიკა აცხადებს მუდმივ ნეიტრალიტეტს, მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალულია სხვა ქვეყნის

სამხედრო ძალების განლაგება“ [7]. აღნიშნულით მოლდოვამ გამოაცხადა უბლოკო სტატუსი და მისმა პრორუსულმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მხოლოდ ასეთი სტატუსით შეიძლება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარება. 1994 წლის კონსტიტუციური ჩასწორების შემდეგ რუსეთს უნდა გაეყვანა მე-14 არმია დნესტრისპირეთიდან, მაგრამ რუსეთმა მოლდოვაშიც მათთვის მრავალგზის ნაცადი ხერხი გამოიყენა: ჯერ ტექნიკითა და იარაღით დაუჭირა მხარი მოლდოველ სეპარატისტებს დნესტრისპირეთში, შემდეგ კი „რუსი სამშვიდობოები“ განათავსა. ე.წ. სამშვიდობო კონტიგენტი დღესაც იცავს სეპარატიზმს მოლდოვაში და როგორც ყველა ასეთი შეჭრის დროს საჭირო დროისთვის ამზადებს ეგრედწოდებული ხალხის ნების შესაბამისი პოლიტიკური სტატუსის მისაღებად.

სამხედრო ნეიტრალიტეტის შესახებ პოლიტიკური დისკურსი დღითიდღე აქტუალური ხდება სკანდინავიის ქვეყნებშიც, კერძოდ, შვედეთსა და ფინეთში. შვედეთის თავდაცვის მინისტრის პიტერ ჰალტქვისტის თქმით „რუსეთი უფროდაუფრო პროვოკაციულად იქცევა ძალიან ახლოს დაფრინავს ჩვენ თვითმფრინავებთან და ნატო-ს გემებთან. კუნძულ გოტლანდზე სამხედრო ბაზის დაბრუნებით მას გასაგები სიგნალი გავუგზავნეთ, შვედეთის მიწას ბოლომდე დავიცავთ“ [5]. 2014 წლიდან რუსეთის პროვოკაციული ქმედებების საპასუხოდ შვედეთმა მოახდინა კუნძულ გოტლენდზე სამხედრო გადაიარაღება და 2016 წლიდან რეგულარული არმიის განთავსება (შვედეთმა აღადგინა 2010 წელს გაუქმებული სამხედრო სავალდებულო სამსახური). 2012 წლიდან შვედეთის სამხედრო ბიუჯეტი მნიშვნელოვნად იზრდება, გასაკუთრებით კი 2020 წლის ნოემბერში პარლამენტმა უახლოესი 5 წლის სამხედრო ბიუჯეტს 2.5 მილიარდი ევრო დაუმატა, სულ რუსული საფრთხის შესაკავებლად. შვედეთის თავდაცვის მინისტრის, პ. ჰალქვისტის თქმით გოტლანდის სამხედრო კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია არამხოლოდ შვედეთის არამედ ბალტიის ქვეყნებისა და ფინეთის დასაცავად.

ცხრილი 1: შვედეთის თავდაცვის ბიუჯეტი [4].




2019 წელს, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების გამო, შვედეთის მთავრობამ კუნძულ მუსკზე ბაზის ხელახლა ამოქმედება დაიწყო, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება. ამასთანავე, მიმდინარეობს ბაზის რემონტი და მოდერნიზაცია. 1950 წელს მოსალოდნელი ბირთვული მსოფლიო ომის საფრთხეების გათვალისწინებით, შვედეთმა მატერიკთან ახლოს მდებარე კლდოვან კუნძულ მუსკეზე გრანდიოზული მიწისქვეშა სამხედრო საზღვაო ბაზის მშენებლობა დაიწყო, რომელიც მხოლოდ 1969 წელს დამთავრდა. ბაზა შედგება 4 გვირაბისაგან და გათვალისწინებულია წყალქვეშა ნავების და შედარებით მცირე ხომალდების მიღებაზე. ასევე, განთავსებულია სარემონტო ქარხანა, ჰოსპიტალი, ყაზარმები, საწვავ საპოხი მასალების საცავი და ა.შ. 2000-იან წლებში ცივი ომის დამთავრებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შემცირების გამო ბაზა დააკონსერვეს და მისი

აღდგენა საჭირო გახდა 2019 წლიდან, რუსეთის შესაკავებლად.

ფინეთში სამხედრო ბლოკში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა ბევრად ნაკლებია ვიდრე შვედეთში, მაგრამ თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესება აქაც აქტუალური გახდა რუსული პროვოკაციების ფონზე. 2021 წელს ფინეთის თავდაცვის ბიუჯეტი 2020 წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 60%-ით. მიუხედავად ფინეთის ნეიტრალიტეტისა, 2016 წელს ვლადიმერ პუტინმა ჟურნალის, რომელმაც ჰკითხა ნატო-ში შესაძლო გაწევრიანების შესახებ, უპასუხა: „ნატო სიამოვნებით იომებდა რუსეთთან უკანასკნელ ფინელ ჯარისკაცამდე, თქვენ ეს გინდათ? ჩვენ არა - მაგრამ ეს თქვენი არჩევანია“. ფინეთმა სამხედრო ნეიტრალიტეტს 2021 წელსაც დაუჭირა მხარი, თუმცა თავდაცვის უწყებამ სამხედრო დაზვერვის პირველი საჯარო ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც კრემლი საფრთხედ არის დასახელებული. ფინეთი მიიჩნევს, რომ სწორედ რუსეთის მიზეზით გაიზარდა კონფრონტაციის ხარისხი და სამხედრო აქტივობები ბალტიის ზღვის რეგიონში. სამხედრო დაზვერვა აღნიშნავს, რომ მოსკოვმა ფინეთის სამეზობლოში შეიარაღების სისტემების რაოდენობა გაზარდა, რაც ქვეყნის უსაფრთხოებას ემუქრება [6].

უბლოკო სტატუსის პარალელურად უსაფ-

ცხრილი 2: ფინეთის თავდაცვის ბიუჯეტი [3].




რთხოების უზრუნველყოფისათვის, სახელმწიფოები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აყალიბებენ ალიანსს. ალიანსის დანიშნულებას წევრი სახელმწიფოების დაცვა და სტაბილურობა წარმოადგენს. ყველაზე ხანგრძლივი და ეფექტური ალიანსი ისტორიის მანძილზე 1949 წლის 4 აპრილს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბდა (NATO), რომლის ძირითადი ამოცანას წარმოადგენს წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისითაც. ალიანსს სამხედრო-პოლიტიკური ღირებულებების გარდა გააჩნია იდეოლოგიური ჩარჩო, რომელიც კვებავს დიდ სტრატეგიულ უსაფრთხოებას და დაკავშირებულია დემოკრატიულ მშვიდობასთან.

ბოლო დროს, წინ წამოიწია გლობალური დაუცველობის დომინოს ეფექტის მნიშვნელობამ (Domino effect of global insecurity), მასობრივი არასტაბილურობის შექმნის მიმართულებით. შესაბამისად,დომინანტიმოკავშირესახელმწიფოები ცდილობენ დაუპირისპირდნენ ასეთ მოთამაშეებს და აღკვეთონ მსგავსი გლობალური დაუცველობის დომინოს ეფექტი. საერთაშორისო ურთიერთობებში ასეთი კავშირი წარმოდგენილია ალიანსის სახით, სწორედ ამ კავშირში ერთიანდებიან ის დომინანტი სახელმწიფოები, რომლებიც უპირისპირდებიან არა კონკრეტულ სახელმწიფოს არამედ გლობალურ არასტაბილურობას და მის დომინოს ეფექტს.

### დასკვნა

რუსეთის პროვოკაციული სამხედრო-პოლიტიკური აქტივობები საფრთხეს უქმნის მსოფლიო უსაფრთხოებას. პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის სიტყვები კარგად განმარტავს არსებულ მდგომარეობას, რომელიც მან 2008 წელის 12 აგვისტოს თბილისში განაცხდა: ,,დღეს არის საქართველო, ხვალ უკრაინა, შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნები და შემდეგი იქნება პოლონეთი“ [2]. რუსეთის აგრესიული ექსპანსიური

პოლიტიკის შეკავება უნდა მოხდეს დასავლეთის ერთიანი მიდგომით, რაც აზიანებს მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურას და არღვევს სახელმწიფოების სუვერენიტეტს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის აგრესიული ქმედებების საპასუხოდ დასავლეთის რბილმა და „დათმობითმა" პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა რუსული ძალები კვლავაც აგრესიულ ფაზაში დარჩენილიყვნენ, ხოლო პოლიტიკის მხრივ, დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის ფედერაცია NATO-ს უყენებს ულტიმატუმებს და არღვევს სახელმწიფოების სუვერენიტეტს.

რუსეთმა დასავლეთისგან მოითხოვა ნატოს არ გაფართოების გარანტიები, ქვეყნების სუვერენული არჩევანის ხარჯზე. ნატოს ერთიანი უარყოფითი პასუხის პარალელურად რუსეთმა დაიწყო მოთხოვნილი გარანტიების საკუთარი სამხედრო ძალებით უზრუნველყოფა და ომი გამოუცხადა უკრაინას. მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ თუ არ მოხერხდა რუსული ექსპანსიონიზმის შეკავება უკრაინაში, შემდეგი იქნება საქართველო, მოლდოვა და შესაძლოა პოლონეთიც. რუსეთმა ომი გამოუცხადა ცივილიზებულ სამყაროს, შესაბამისად ჩრდილოეთ კორეის შემდგომ ის გახდება მეორე სრულიად იზოლირებული სახელმწიფო.

ლიტერატურა:


1. Adam Kinzinger "Interview with VOA's Georgian Service", 2020. http://gtarchive.georgiatoday.ge/news/21261/Kinzinger:-Georgia-is-Occupied,-Which-is-Enough-for-Me-to-Let-it-Join-NATO
2. Lekh Kachinski "The Guardian", 2018. http://guardian.ge/36244-ukrainis-vice-premieri-lekh-kachinskis-sityvebi-gamarthlda-sadac-ambobs-rom-dghes-aris-saqarthvelo-khval-ukraina-shemdeg-baltiispirethis--qveynebi-da-shemdegi-iqneba-polonethi.html
3. Military budget of Finland by years: https://www.statista.com/statistics/530097/defence-budget-relative-to-gdp-finland/
4. Military budget of Sweden by years: https://www.statista.com/statistics/695627/military-spending-in-sweden/
5. Official website of Government Offices of Sweden: https://www.government.se/government-of-sweden/ministry-of-defence/peter-hultqvist/
6. Official website of Ministry of Defense of Finland: https://www.defmin.fi/en
7. Official website of Presidency of the Republic of Moldova "Constitution of the Republic of Moldova": https://www.presedinte.md/eng/constitution
8. Official website of Ukrainian Rada: https://www.rada.gov.ua/
9. Zurab Chiaberashvili. "Munich 1938- Peace with Dignity". 2014. Tbilisi.

**The Challenge of World Security: Russian Expansionism**

*Tornike Okropilashvili, PhD student*
*Georgian Technical University*

**SUMMARY**

Democracies prioritize stability in any policy, but in today's world, we often see states that negatively affect international relations and contribute to the formation of mass instability. Such states often violate the principles of international law, disregard sovereignty, interfere in the domestic politics of other states, and reveal other destructive actions, which are expressed in various ways. Recently, the importance of the domino effect of global insecurity has been raised. The creation of mass instability or such behavior has an impact on other states. If any major player creates such a vulnerability and breaks the general rules of the game, it pushes other states to behave similarly. According to Adam Kinzinger "Russia is playing a negative role not only in terms of influence, but also in terms of creating mass instability.

Today, security and its environment are far more complex than ever since the end of the Cold War. Russia continues to weaponized every challenge in every country's domestic policy. Russia's aggressive actions, including the threat and use of force to attain political goals, undermine rules-based international order. Consequently, in response to growing Russian expansionism and the high security risks, a Policy of Deterrence of Russia, which openly opposes world stability, is still on the agenda. Empirically, effective Deterrence Policies are related to strengthening the military defense capabilities pursued by the country independently or in alliance. Nowadays, the global nature of security challenges makes solely national responses no longer sufficient. And as nation-states realize their limited capacity to provide optimal solutions for today's security issues, they started to share a responsibility with other actors operating on other levels. They manifest themselves on local, regional, national, and even supranational levels. However, many security issues are traditionally addressed by nation-states, thus on a national level. After all, dealing with security is a primary reason why states exist. They were once created to secure territory and citizens. And for a very long time, national boundaries have been our frame of reference when defining and addressing security threats.

In this regard, it is important to consider "military alliances" and "military neutrality" in response to potential security challenges. The Policy of Deterrence is the most complete weapon for a small country, which does not have the ability to deal with aggressive actions against Russia. Such policies include alliances and capacity building that address many aspects of a country's defense capabilities. In addition to military-political values, the Alliance has an ideological framework that feeds great strategic security and is linked to democratic peace. The words of the former President of Poland, Lech Kaczynski, well explain the current situation, which he declared in Tbilisi on August 12, 2008: "Today is Georgia, tomorrow will be Ukraine, then the Baltic states and next will be Poland". Russia's provocative military-political activities threaten world security.

Keywords: New Cold War; Destabilization; Concession policy; safety; Balance of Power; Zero-sum game.

# ეკონომიკა და ბიზნესი
# ECONOMICS AND BUSINESS

## სასტუმრო პერსონალის როლი სასტუმრო მომსახურების ხარისხის განსაზღვრისათვის

*ნინო ხმიადაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ნანა ახალაია, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტუმართმოყვარეობის კონცეფცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურათაშორისი კომუნიკაციის საქმეში და აქვს მაღალი სოციალური მნიშვნელობა. მისი ძირითადი მახასიათებლები ყველა ხალხისთვის უცვლელი და ერთგვაროვანია, მიუხედავად სხვადასხვა კულტურაში მასპინძლობის მანიფესტაციების ეთნიკური მრავალფეროვნებისა.

მეტად მრავალფეროვანია სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის კონცეფცია და, ამიტომაც, შესაბამისად, რთულია განვსაზღვროთ, როგორც, მხოლოდ სტუმართმოყვარეობის კონცეფცია.

ტურისტული პროდუქტის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს სასტუმრო მომსახურება პერსონალთან და კმაყოფილ მომხმარებელთან ერთად. ამ მიმართულებით დიდი ყურადღება ეთმობა სასტუმროს მომსახურების ხარისხს, მის მუდმივ მონიტორინგსა და კონტროლს. მომსახურების ხარისხის შეფასება, ისევე როგორც სასტუმრო პერსონალის პროფესიონალიზმი, ძირითადად დაკავშირებულია მომხმარებლის მოლოდინისა და აღქმის თანაფარდობასთან. აღნიშნული კატეგორიები თანაკვეთაშია ერთმანეთთან და შესაბამისად, პრაქტიკაში პროდუქტის / მომსახურების ხარისხისა და მათი კმაყოფილების სინონიმად გამოიყენება.

სასტუმროს მენეჯმენტში, ტერმინი "სასტუმრო პროდუქტი" ფართოდ გამოიყენება, რაც ხაზს უსვამს სასტუმროს შეთავაზების რთულ ხასიათს. ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, ეს მიდგომა მისაღებია, სადაც "პროდუქტი" განისაზღვრება, როგორც ადამიანის შრომის, ეკონომიკური საქმიანობის "შედეგი", წარმოდგენილი სულიერი, მატერიალური, ინფორმაციული ფორმით ან შესრულებული სამუშაოსა და მომსახურების ფორმით.

მომხმარებლის კმაყოფილება განისაზღვრება, როგორც რეიტინგი, რომელიც ემყარება და დაფუძნებულია პერსონალის გამოცდილების შედარებასა და მომხმარებლების თავდაპირველ მოლოდინებზე. სწორედ აქედან გამომდინარეა რომ, ნებისმიერი სასტუმროს წარმატება და მოგება მჭიდრო კავშირშია მისი პერსონალის პროფესიონალიზმთან, სამუშაო პირობების კმაყოფილებასთან. სწორედ რომ გამოცდილი პერსონალი ითვლება სასტუმროს სექტორის წარმატების ერთ-ერთ წამყვან ინდიკატორად და მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც კომპანიის მომავალი შემოსავლის, ასევე სასტუმროს მომსახურების მოთხოვნის ზრდის მაჩვენებელზე, რაც დადებითად აისახება მომგებიანობასა და ხარჯზეც.

სასტუმრო მომსახურების ხარისხის მართვის სისტემაში აუცილებელი, საჭირო და მნიშვნელოვანია არსებობდეს უკუკავშირი, რომელიც განხილული იქნება როგორც პერსონალისა და კლიენტებისგან მიღებული ინფორმაციის გადამუშავების მექანიზმი, რომელიც უნდა ახდენდეს ზეგავლენას აუცილებლობის შემთხვევაში მარ-

თვის პროცესზე.

საკვანძო სიტყვები: ხარისხი, მართვა, კონკურენტუნარიანობა, სასტუმრო, ბიზნესი, პერსონალის როლი.

**შესავალი**

გარდა მენეჯმენტის სხვადასხვა სტანდარტებისა, კომპანიების უმეტესობა ხარისხის მართვის ძირითადი პრინციპით, სტრატეგიულ ყურადღებას ამახვილებს პერსონალზე, რაც ითვალისწინებს მომხმარებლის კმაყოფილების მიღწევას და, შესაბამისად, მის შენარჩუნებას.

სასტუმრო საწარმოს განვითარებაში პერსონალი განსაკუთრებულ როლს ასრულებს. პრაქტიკულად, კლიენტისათვის გასაწევი ყველა სახის მომსახურება რამოდენიმე სამსახურის ურთიერთქმედებას და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სპეციალობის მუშაკთა მოქმედებების ერთიან ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომაც სხვადასხვა სამსახურებისა და სპეციალობების კოორდინაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. მათ ისე უნდა იმოქმედონ, რომ პრობლემა, რომელიც წარმოიშვება კლიენტის წინაშე, ოპერატიულად მოგვარდეს.

მომხმარებლებთან უშუალო კონტაქტში მყოფი სასტუმრო პერსონალი, აუცილებელია ფლობდეს სრულიად განხვავებულ ადამიანებთან საერთო ენის გამონახვის განსაკუთრებულ უნარსა და სურვილს, ვინაიდან სასტუმროს მომხმარებლებს შორის არიან ახალგაზრდებიცა და ხანდაზმულებიც, მდიდრებიც და ღარიბებიც, ფხიზლებიც და მთვრალებიც, მშვიდებიც და ფიცხებიც, სხვადასხვა ეროვნებებისა და სპეციალობების წარმომადგენლები.

**ძირითადი ნაწილი**

**სასტუმრო პერსონალის როლის განსაზღვრა**

სასტუმროში მომსხურების მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას სასტუმრო პერსონალის პერსონალური და ამავდროულად კოლექტიური თანამშრომლობა სჭირდება. ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ მომხმარებელი აღმოჩნდება ისეთ სასტუმროში, სადაც პერსონალი ცუდად არის შერჩეული, ურთიერთობები და დამოკიდებულებები არამეგობრულია, ტექნიკა ცუდად მუშაობს, და ეს გარემოებები, სავარაუდოდ, აიძულებს მას დატოვოს ეს ადგილი. მეორე მხრივ, შესაძლოა, პერსონალი თვლიდეს, რომ სტუმრის ნებისმიერი დამატებითი მოთხოვნის შესრულება მისი მოვალეობების მიღმაა, რის გამოც მისთვის მიუღებელი იყოს სამუშაო გრაფიკი. მაგალითად, აშშ-ს ბევრ მაღალი დონის სასტუმროში მომხმარებლები სასტუმროსაგან ითხოვენ და ცდილობენ რომ სასატუმროს პერსონალმა გაიხსენოს სტუმრების ვინაობა როდესაც ისინი მათ განმეორებით შეხვდებიან, მიმართონ გვარებით, რადგან ასეთი მიმართვა ზრდის სტუმართმოყვარეობის ატმოსფეროს. ხშირია სასტუმროს პერსონალის მხრიდან უცხო ენის ბარიერის არსებობა სასტუმროს პერსონალსა და უცხოელ მომხმარებელს შორის, რაც უდავოდ შემაფერხებელ პირობას წარმოადგენს სასტუმროს ხარისხიანი მომსახურებისა.

ასე რომ, სასტუმროს პერსონალის მომსახურების მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ მრავალი კრიტერიუმი:

- ♦ აუცილებელი ცოდნა და უნარები და პროფესიონალიზმის საკმარისი დონე გარკვეული სერვისების უზრუნველსაყოფად, რაც პერსონალის კომპეტენციაზე მეტყველებს;
- ♦ სასტუმრო უნდა გამოირჩეოდეს სტაბილურობით და ასევე ბაზარზე მისი არსებობის ხანგრძლივობით, რაც უშუალოდ განსაზღვრავს მომხმარებლის საიმედოობას;
- ♦ სასტუმროს პერსონალი მუდმივად უნდა ცდილობდეს დააკმაყოფილოს თავისი მომხმარებლების ყველა სურვილი, უზრუნველყოს მომსახურება, რაც მის პასუხისმგებლობაზე მეტყველებს;
- ♦ სასტუმროს პერსონალი უნდა იყოს კონტაქტური და ხელმისაწვდომი, კლიენტს არ უნდა უწევდეს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლის მოძებნა მთელი სასტუმროში;
- ♦ სტუმართმოყვარეობის ერთ – ერთი მთავარი ელემენტი, რომელიც ემყარება მომხმარებელთა ყველა სპეციფიკური საჭიროების გააზრებას და მათ შემდგომ დაკმაყოფილებას - ეს მიუთითებს პერსონალის გაგების დონეზე;
- ♦ სასტუმროს პერსონალი მაქსიმალურად ღია უნდა იყოს კლიენტისთვის და უზრუნველყოს მისთვის საჭირო ინფორმაციებზე წვდომა, რაც პერსონალის კომუნიკაბელურობაზე მეტყველებს;
- ♦ მომხმარებელი, რომელიც კმაყოფილია მომსახურებით, მომავალში აუცილებლად შესთავაზებს ამ სასტუმროს მომსახურებას ახლობლებს, მეგობრებს, ნაცნობებს და ამით გაზრდის მის რეპუტაციას. ყოველევე კი მიუთითებს ნდობაზე;
- ♦ ნებისმიერი კლიენტის საჭიროება - მორალური და ფიზიკური უსაფრთხოების საჭიროება;

- სასტუმროს პერსონალის თავაზიანობა, მეგობრულობა;
- დღეს, სასტუმრო პერსონალის როლი გახდა ჩვეულებრივი პრაქტიკა სასტუმროების უმეტესობისთვის. სწორედ ამ მიზნით საქართველოს ყველა რეგიონში და თვით დედაქალაქის სასტუმროებში ჩავატარეთ კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მომსახურების ხარისხის დადგენას. ძალიან ხშირად, სასტუმროს პერსონალის არამეგობრული, არაკეთილგანწყობილი, არაპროფესიონალური მიდგომა ხდება სწორედ ძირითადი მიზეზი სასტუმროს გაუმართავი მუშაობისა.

პერსონალის გამოკითხვა მოხდა მრავალი მიმართულებით: დაწყებული ასაკობირივი ჭრილით და სქესობრივი სტრუქტურით, გაგრძელებული განათლების დონით, სამუშაო გამოცდილებით, კვალიფიკაციით, შემოსავლის კმაყოფილების დონით და დასრულებული უცხო ენების ფლობით. სასტუმრო მომსახურების გამართულ მუშაობაში პერსონალის უდიდესი როლის წარმოსაჩენად და ხაზგასასმელად წარმოდგენილია გამოკითხვის ორი მნიშვნელოვანი მიმართულების შედეგები: პერსონალის კომპეტენციასა და უცხო ენის ფლობის დონის დადგენაში.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პრობლემა გამოიკვეთა ამ ორივე მიმართულებით, რაც უშუალო კავშირშია მომხმარებელთა უკმაყოფილებასთან და სასტუმროებში არსებულ ხარვეზებთან.

**დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნებისმიერი სასტუმროს პერსონალი სასტუმროს ერთ-ერთი ძირითადი რესურსი და კონკურენტული უპირატესობის ფაქტორია. ხარისხის მაღალი სტანდარტი, გამოცდილი პერსონალი და მომხმარებლის კმაყოფილება სამივე არის მსოფლიოში სასტუმრო ინდუსტრიის წარმატების მოდელი, რომელიც აშკარად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ბიზნესისათვის და მათ შორის, სასტუმრო ბიზნესისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. კ. აბულაძე - სასტუმრო საქმის საფუძვლები, თბილისი 2015
2. მ. ვასაძე, სასტუმროს მენეჯმენტი, თბილისი 2009
3. HOTEL FRONT OFFICE MANAGEMENT, FOURTH EDITION, James A. Bardi, Ed.D., CHA, CHE The Pennsylvania State University, Copyright © 2007 by John Wiley & Sons, Inc. All rights reserved. Published by John Wiley & Sons, Inc., Hoboken, New Jersey. Published simultaneously in Canada.
4. Кусков А. С, Издательство: Дашков и К, 2010 г. „Гостиничное дело“, Учебное пособие
5. „ГОСТИНИЧНОЕ ДЕЛО“, УЧЕБНОЕ ПОСОБИЕ, Санкт-Петербург 2013

# The role of hotel staff in determining the quality of hotel service

*Nino Khmiadashvili, PhD student*
*Georgian Technical University*

*Nana Akhalaia, Professor*
*Georgian Technical University*

**SUMMARY**

The concept of hospitality plays an important role in the field of intercultural communication and has a high social significance. Its core characteristics are unchanged and uniform for all peoples, despite the ethnic diversity of host manifestations in different cultures.

The concept of the hospitality industry is very diverse and, therefore, it is therefore difficult to define it as, just the concept of hospitality.

The most important elements of a tourism product are hotel services with staff and satisfied customers. In this regard, great attention is paid to the quality of hotel services, its constant monitoring and control. Assessing the quality of service, as well as the professionalism of the hotel staff, is mainly related to the customer expectation and perception ratio. These categories intersect with each other and are therefore used in practice as synonymous with product / service quality and satisfaction. In hotel management, the term ‘hotel product’ is widely used which underscores the complex nature of hotel offerings. From the point of view of economic theory, this approach is acceptable, where 'product' is defined as the 'result' of human labor, economic activity, presented in a spiritual, material, informational form or in the form of work and services performed.

Customer satisfaction is defined as a rating that is based on and compares staff experiences and initial customer expectations. That is why the success and profit of any hotel is closely related to the professionalism of its staff, the satisfaction of working conditions. Experienced staff is considered to be one of the leading indicators of success of the hotel sector and plays an important role as the future of the company.

In the hotel service quality management system it is necessary, necessary and important to have feedback, which will be considered as a mechanism for processing information received from staff and customers, which should have an impact on the management process if necessary.

# რეგიონალური ეკონომიკური უსაფრთხოება და ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა

*გრიგოლ ლილუაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*დავით ნარმანია, მოწვეული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში – „რეგიონალური ეკონომიკური უსაფრთხოება და ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა“ – მოიცავს მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც აუცილებლად სასიცოცხლოა ჩვენი ქვეყნისათვის. აღნიშნულია, რომ ქვეყნის ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებთან, ასევე ქვეყანაში, რეგიონში და მსოფლიოში განვითარებულ ეკონომიკურ და სხვა გლობალურ მოვლენებთან. გლობალიზაციამ და სხვა სოციალურმა ცვლილებებმა არსობრივად შეცვალა ეკონომიკური თეორიის ადრე დამკვიდრებული წესები და შესაბამისად, მეტად გაართულა ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის „გამოთვლის“ მექანიზმები. ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ ამოცანებზე, იმ სახელმწიფო ინტერესებსა და ძირითად პრიორიტეტებზე, რომლებიც მთავარ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში.

სტატიაში საკმაო ადგილი ეთმობა საქართველოს რეგიონალურ კავშირებსა და პროექტებსა და ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად ამოცანებს, მოსალოდნელ საფრთხეებსა და ხელისშემშლელ ფაქტორებს.

მოსალოდნელი საფრთხეებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების მოიაზრება საგარეო და შიდა ფაქტორები. სათითაოდაა განხილული რეგიონში მდებარე ის ქვეყნები, რომელთა გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება: რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი.

შიდა ფაქტორებიდან გამოყოფილია შემდეგი საკითხები:

1. რესურსების/პოტენციალის დაბალი ეფექტიანობა, რომელიც უკვე მონაწილეობს ქართულ წარმოებაში/ბიზნესში. რომელსაც განეკუთვნება:

- ეკონომიკური დივერსია;
- კორუფციული/მონოპოლიური შეთანხმებები;
- ადამიანური კაპიტალის სიმცირე; არაეფექტური განათლების სფერო, როგორც შრომის ბაზრის კონიუქტურის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი;
- ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა;

არაეფექტიანი სახელმწიფო რეგულაციები/ არაჯანსაღი კონკურენცია;

- Know-how-ს სიმწირე.

2. იდენტიფიცირებული, მაგრამ წარმოებაში არ არსებული რესურსები/ პოტენციალი, რომლის შესაძლო მიზეზებია:

- ინფორმაციის ასიმეტრიულობა;
- კაპიტალის და Know-how სიმწირე;
- არაეფექტური სახელმწიფო რეგულაციები;
- სათანადო საინვესტიციო პაკეტების არ არსებობა;
- ინფრასტრუქტურის განვითარების არასაკმარისი დონე.

ბოლოს, დასკვნის სახით კი მოცემულია ის რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის განვითარებას ზემოთაღნიშნული საკითხების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, ეროვნული უსაფრთხოება, დივერსიფიკაცია, „უსაფრთხოების ეფექტი“, შიდა ფაქტორები, გარე ფაქტორები.

## შესავალი

ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შემადგენელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომელზეც დამოკიდებულია ამ სისტემის შემადგენელი სხვა კომპონენტების მდგრადობა სხვადასხვა სახის საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე.

ქვეყნის ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებთან, ასევე ქვეყანაში, რეგიონში და მსოფლიოში განვითარებულ ეკონომიკურ და სხვა გლობალურ მოვლენებთან. გლობალიზაციამ და სხვა სოციალურმა ცვლილებებმა არსობრივად შეცვალა ეკონომიკური თეორიის ადრე დამკვიდრებული წესები და შესაბამისად, მეტად გაართულა ეკონო-

მიკური უსაფრთხოების პოლიტიკის „გამოთვლის“ მექანიზმები. ზოგადად „ეკონომიკური უსაფრთხოების“ ცნებაც საკმაოდ ახალია და მხოლოდ მეოცე საუკუნის შუა პერიოდიდან ჩნდება[1].

ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი ამოცანაა - ქვეყანამ მაქსიმალურად შეამციროს თავისი ეკონომიკური და ფინანსური დამოკიდებულება იმ ქვეყნებზე და ორგანიზაციებზე, რომელთაც ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლიათ ქვეყნის სუვერენიტეტზე; მიიღოს მაქსიმალური სარგებელი ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობებიდან შეძლებისდაგვარად მცირე დათმობების ხარჯზე; შექმნას მდგრადი განვითარების მყარი მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს გააუმჯობესოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის ინსტრუმენტების განვითარება.

საბოლოო ჯამში აღნიშნულ პოლიტიკას ორი ძირითადი მიმართულება გააჩნია - უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური (და ზოგადად) უსაფრთხოება როგორც ეროვნულ, ისე მოქალაქეების/ინდივიდუალურ დონეზე.

სახელმწიფო ინტერესები და ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტები მთავარ როლს თამაშობენ ქვეყნის **ეკონომიკური უსაფრთხოების** სისტემაში. ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების განსაზღვრისათვის აუცილებელია არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებისა და ტრენდების, ბუნებრივი და ადამიანური რესურსების, გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა დადებითი და უარყოფითი ტენდენციების მრავალმხრივი ანალიზი.

ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით, ითვლება, რომ ყველაზე მოწყვლად ქვეყნებს პატარა და მცირე ეკონომიკის ქვეყნები წარმოადგენენ. მათი საერთაშორისო თანამშრომლობის მოდელი მის რეგიონალურ პოზიციაზე, სამეზობლოზე, დამკვიდრებულ თამაშის წესებზე და რა თქმა უნდა, ამ ქვეყნის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. თუმცა, სიმცირე, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელს არ უშლის ქვეყანას რეგიონულ და საერთაშორისო ურთიერთობებში თავისი ნიშა მონახოს, რომელიც შესაძლოა გახდეს, როგორც უშუალოდ ეკონომიკური უსაფრთხოების, ისე მთლიანად ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველი და გარანტი.

სამეზობლო თუ უფრო ფართო ინსტიტუციური გაერთიანებების დონეზე ჯგუფურად თამაში, რომელიც კოლექტიური სტრატეგიის პრინციპებს ეფუძნება, ხშირად დიდი ძალის თუ ძალების დაბალანსებას ან მათთვის წინააღმდეგობის გაწევას ისახავს მიზნად (მაგ: **სუამ**-ი - რეგიონულ დონეზე, **„ევროკავშირი“** - გლობალურ მასშტაბში)[2].

რეგიონებში სადაც მაღალი დონის ეკონომიკური (და შესაძლოა პოლიტიკური) თანამშრომლობაა, მცირე ქვეყნებს საკუთარი ინტერესების დაცვისა და მიზნების მიღწევის უკეთესი შანსები აქვთ. ამ კონტექსტში, მსგავსი ქვეყნებისთვის დიდი მნიშვნე-ლობა ენიჭება რეგიონალური ეკონომიკური და ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის განვითარებას[3].

საქართველო არაერთი საერთაშორისო შეთანხმების, ხელშეკრულებისა და პროექტის მონაწილეა, და ასევე დიდია მომავალი რეგიონული თანამშრომლობის პოტენციალი, რაც დადებით ეფექტთან ერთად საფრთხის შემცველიც შეიძლება იყოს. შესაბამისად, თითოეული შეთანხმება თუ პროექტი მრავალმხრივ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკური ინტერესებისა და შესაძლებლობების სრულყოფილად აღქმისა და განსაზღვრისათვის, ასევე ეკონომიკური უსაფრთხოების გამართული პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია მრავალმხრივი ანალიზი, რომელმაც არაერთი ეტაპი უნდა გაიაროს:

- სრულად შეფასდეს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პოტენციალი, უპირატესობები, ხელისშემშლელი ფაქტორები და ა.შ., განხორციელდეს არსებული საერთაშორისო პოლიტიკურ/ეკონომიკური ხელშეკრულებების, პროექტების, ვალდებულებების ანალიზი;
- საჭიროა შესწავლილი/იდენტიფიცირებული პოტენციალის გამოყენება/ განვითარებისთვის ხელისშემშლელი/დამაბრკოლებელი საკითხების გამოკვეთა; ასევე, ეკონომიკის დამოკიდებულების ხარისხის და არსებული/დაგეგმილი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და თანამშრომლობის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საფრთხეების იდენტიფიცირება;
- გამოიკვეთოს სახელმწიფოს და სხვა მოთამაშეების (რეგიონის ქვეყნები, კავშირები, ბიზნეს სექტორი, IFI-ს, ა.შ) როლი გამოკვეთილი საფრთხეების გადაჭრაში და გამოწვევების აღმოსაფხვრელად;

[1] Žaneta Simanavičienė, Andrius Stankevičius (2015) “ECONOMIC SECURITY AND NATIONAL COMPETITIVENESS”.

2 Petar Kurecic - SMALL STATES AND REGIONAL ECONOMIC INTEGRATIONS IN THE MULTI-POLAR WORLD Regional Differences in the Levels of Integration and Patterns of Small States’ Vulnerability.

3 “Cross-border Economic Development” (2016), Baseline Study Report, EU Eastern Partnership Territorial Cooperation (EaPTC).

- საჭიროა მიზნობრივი რეგიონალური და ადგი-ლობრივი პროგრამების შემუშავება, რომლიც უზრუნველყოფს რეგიონალური და ქვეყნის შიდა საფრთხეების მინიმიზაციას.

აღნიშნული ეტაპები წარმოადგენს კომპლექ-სურ ხედვას და განსაზღვრავს საჭირო ნაბიჯე-ბის ერთობლიობას ქვეყნის ეკონომიკური უსაფ-რთხოებისა და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მისაღწევად.

**ძირითადი ნაწილი**

**საქართველოს რეგიონალური ეკონომიკური კავშირები და პროექტები**

საქართველო, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული/ დაკავშირებული რეგიონის ქვეყნებთან სხვადასხვა მიმართულებებით: ექსპორტი/იმპორტით, პირდა-პირი უცხოური ინვესტიციებით, ფულადი გზავ-ნილებით, ტურიზმით, ენერგო რესურსებით და სხვა. შესაბამისად საქართველოსთვის განსაკუთრე-ბულ მნიშვნელობას ენიჭება ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის განვითარებას რეგიონალურ და ტრანს-სასაზღვრო დონეზე, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

რეგიონალურ დონეზე ეკონომიკური თანამ-შრომლობის მრავალი მაგალითი გვაქვს:

**ა) მრავალმხრივი ფორმატები**

- **საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულე-ბის** მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მხა-რეებს შორის პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო ღირებუ-ლებებსა და მჭიდრო კავშირებზე. ასოცირების შესახებ ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუ-ფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაა, რომელიც საქართველო დიდ უპირატესობას ანიჭებს რეგიონის ქვეყნებთან შედარებით[1].
- თურქეთთან და აზერბაიჯანთან ერთობლი-ვად რეალიზებულია ენერგეტიკული პროექ-ტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. წარმატებულად გრძელდება აქტიური თანამ-შრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერე-ფნის პროექტების განხორციელებისა და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგის-ტრალის პროექტის რეალიზაციისთვის. მნიშვნელოვანი პოლიტიკური მექანიზმია საქართველო-აზერბა-იჯანი-თურქეთის სამმხრივი ფორმატი, რო-მელსაც საფუძველი ჩაეყარა საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 2012 წელს („ტრაპიზონის დეკლარაცია"). ამ ფორმატის ეგიდით ასევე არსებობს სამმხრივი ბიზნეს-ფორუმების ჩატარების პრაქტიკა.
- შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობის (BSEC) ორგანიზაციის მთავარ მიზნებს რე-გიონის ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა, წევრი ქვეყნების ხალხების კეთილდღეობა და შავი ზღვის სივრცეში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა წარმოადგენდა. 15 წლის განმავლობაში BSEC-მა დაამტკიცათავისისიცოცხლისუნარიანობა, მოახდინა თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პრინციპების ინიცირება და თავისი წვლილი შეიტანა რეგიონის განვითარებაში. BSEC-მა გაზარდა თავისი როლი რეგიონალურ საკითხებში და მოახერხა რეგიონალური ინი-ციატივიდან საერთაშორისო რეგიონა-ლურ ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაქმნა. BSEC-ის ფარგლებში მოქმედი 19 სამუშაო ჯგუფიდან 9 მიმართულება უშუალოდ ეკო-ნომიკურ სფეროს მიკუთვნებულ საკი-თხებს ეხება.
- რეგიონალურ დონეზე მრავალმხრივი თა-ნამშრომლობის ფორმატს წარმოადგენს დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითა-რების ორგანიზაცია „სუამ"-ის საქმიანობა. ორგანიზაციის მიზანია რეგიონალურ დონე-ზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება, რომლის ერთ-ერთ მთავარ კომ-პონენტებს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური სფერო, ტრანსპორტი და ენერგეტიკა.

**ბ) ორმხრივი ფორმატები**

- საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი ურ-თიერთობები 100-ზე მეტ ორმხრივ და მრა-ვალმხრივ ხელშეკრულებაში აისახა, რო-მელიც არეგულირებს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს. ქვეყანებს შორის მოქმედებს თავი-სუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც სა-მართლებრივად დარეგულირებულია რო-გორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ (სუამის ფარგლებში) ფორმატში. აზერბაიჯანი წარმო-ადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორს. საქარ-

[1] „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი" (2016).

თველოში ხორციელდება მსხვილი ინვესტიციები აზერბა-იჯანული კომპანიების მიერ. ენერგეტიკის მიმართულებით არსებობს ერთობლივად რეალიზებული პროექტი, ასევე გარდაბანი-სამუხის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი. წარმატებულად მიმდინარეობს თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში. ვიზიტორთა რაოდენობით აზერ-ბაიჯანი მოწინავე პოზიციაზეა და იგი ყოველ-წლიურად იზრდება;

- ♦ თურქეთთან არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა მოიცავს 76 მოქმედ ხელშეკრულებას და თანამშრომლობის თით-ქმის ყველა სფეროს არეგულირებს. ორი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ მიმოს-ვლის გამარტივებული რეჟიმით. თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნი-ორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუ-ფალი ვაჭრობის რეჟიმი. თურქეთის კერძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. მნიშვნე-ლოვანია, რომ 2013 წელს დასრულდა და ფუნქციონირებს ახალციხე-ბორჩქას მაღა-ლი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომე-ლიც ახალ შესაძლებლობას ქმნის ელექ-ტროენერგიით ვაჭრობის თვალსაზრისით;
- ♦ სომხეთთან ურთიერთობები რეგულირდება ფართო სახელშეკრულებო ბაზით, რომელიც 80-მდე დოკუმენტს მოიცავს. სომხეთის რესპუბლიკა საქართველოს ერთ-ერთი უმ-სხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელ-თანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონო-მიკური ურთიერთობების გარდა, განსა-კუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტუ-რიზმის სფეროს, ვინაიდან სომხეთის მოქალაქეთათვის საქართველოს კურორტები წარმოადგენს მნიშვნელოვან ტურისტულ მიმართულებას;
- ♦ საქართველოსა და ჩინეთს შორის დინამი-ურად ვითარდება ორმხრივი ურთიერთობები მრავალი მიმართულებით. ორი ქვეყნის საგა-რეო უწყებებს შორის არსებობს რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების მექანიზმი, რაც წარმოადგენს სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის მიმდინარე საკითხთა გან-ხილვის მნიშვნელოვან ფორმატს. ბოლო წლების განმავლობაში სახეზეა ჩინური ინ-ვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა საქ-ართველოს ეკონომიკაში; 30-მდე ჩინური კომპანია უკვე წარმატებულად საქმიანობს ისეთ სექტორებში როგორიცაა: მშენებლობა, გზები და ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, საბანკო სფერო და სხვა. ასევე, იზრდება ორმხრივი ვაჭრობა და საქართველოში ჩინელ ვიზიტორთა რიცხვი; ამასთან, ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ფორმატია მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისია, სადაც განიხილება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის აქტუალური საკითხები. ჩინეთი არის საქართველოს ხუთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის;
- ♦ დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვე-ტის შემდეგ რუსეთთან მიმდინარეობს პოლიტიკური კონსულტაციები ჟენევის ფორმატით. ასევე ტარდება შეხვედრები აბაშიძე-კარასინის ფორმატში, რომელთა შორის გამართული შეხვედრების შედეგად მოიხსნა 2006-2007 წლებში რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგო ქართულ პროდუქ-ციაზე. ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ძირითად სფეროებს წარმოადგენს ენერგეტიკა და ვაჭრობა. ამასთან, ყოველწლიურად სწრა-ფად იზრდება საქართველოში შემოსული რუსი ტურისტების რიცხვი.

**ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი ამოცანები**

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად ამოცანებად მიიჩნევა[1]:

- ♦ აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ჰაბის ფუნქციის განმტკიცება და ეროვ-ნული, რეგიონული და საერთაშორისო სატ-რანსპორტო, სატელეკომუნიკაციო, ციფ-რული, ენერგეტიკული და საინვესტიციო პროექტების რეალიზაცია.
- ♦ აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტისა და ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროექტებით შექმნილი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება და არსებული სატრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალის სრული რეალიზაცია.
- ♦ „სამხრეთის ბუნებრივი აირის დერეფნის" და სხვა რეგიონული და საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების განხორციელება და საქართველოს გავლით, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო ჰაბის ჩამოყალიბება;

[1] 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია

- საქართველოსთან თავისუფალი ორმხრივი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნების რაოდენობის მაქსიმალური ზრდა, გეოგრაფიული არეალის კიდევ უფრო გაფართოება, ქართული პროდუქციის წარმოების და ექსპორტის ხელშეწყობა, ბაზრების დივერსიფიცირება;
- შავი ზღვის ეკონომიკური როლის გაძლიერება. სატრანზიტო შესაძლებლობების ზრდა, რეგიონის ქვეყნებთან ტვირთბრუნვის მოცულობისა და მიმოცვლის სიჩქარის ზრდა, ლოგისტიკური და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის გაძლიერების ხელშეწყობა და სხვადასხვა რეგიონიდან (მათ შორის ცენტრალური და შორეული აზიის რეგიონებიდან) ტვირთების მოზიდვა.
- ურთიერთმომგებიანი ორმხრივი ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური პროექტების რეალიზაცია;
- საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებში – მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკურ ფორუმებში, ასევე პროფილური საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალმხრივ ფორმატებში აქტიური ჩართულობა. მსოფლიო ეკონომიკურ საკითხებზე მიმდინარე დიალოგში ჩართვა და ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაციისა და მოწინავე ბაზრების ფუნქციონირების ინოვაციური მექანიზმების დანერგვის მიზნით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

**მოსალოდნელი საფრთხეები და ხელისშემშლელი ფაქტორები**

ეკონომიკის სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. თუმცა, არსებობს გარკვეული საგარეო და შიდა ეკონომიკური ფაქტორები/გარემოებები და ძალები, რომელთაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან არა მარტო ქვეყნის, არამედ რეგიონალურ ეკონომიკურ უსაფრთხოებას და ქვეყნებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას.

ა) საგარეო ფაქტორები

**საერთაშორისო ხელშეკრულებები** - რეგიონის და სხვა ქვეყნებთან დადებული სავაჭრო/ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები შესაძლოა ქმნიდეს ისეთ საფრთხეებს როგორიცაა:

- აღებული ვალდებულებების შესრულების შედეგად ბიზნეს გარემოს ან კონკრეტული ეკონომიკური სექტორის დაზარალება;
- ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულების შესრულებისთვის დიდი ფინანსური ტვირთის აღება;

**(საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, მრავალ დადებით შესაძლებლობებთან ერთად, მნიშვნელოვან (ზოგ შემთხვევაში მძიმე) ვალდებულებებს უწესებს საქართველოს. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება დაკავშირებულია როგორც საკანონმდებლო ცვლილებებთან, ასევე დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ მოახდინოს შესასრულებელი ვალდებულებების პრიორიტიზაცია, რათა არ დაზარალდეს სახელმწიფო და კერძო სექტორი).**

**ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა** - რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია რეგიონისთვის საერთო ურთიერთ მომგებიანი პროექტების თუ რეფორმების განხორციელება. შესაბამისად, რეგიონულ ეკონომიკურ საფრთხეებს შესაძლოა მივაკუთვნოთ:

- კაპიტალური ინვესტიციების განხორციელება პოლიტიკური მიზნებისთვის;
- სხვადასხვა ეკონომიკურ კავშირებში რეგიონის ქვეყნების გაწევრიანება;
- რეგიონულ დონეზე არასახარბიელო სატარიფო პოლიტიკა;
- რეგიონის ქვეყნების შიდა რეგულაციების ცვალებადობა საქართველოს სავაჭრო პოტენციალის შესასუსტებლად და სხვა.

**რუსეთი** რეგიონის უმთავრესი მოთამაშეა, რომლის სტრატეგიულ ამოცანას სამხრეთ კავკასიაზე ექსკლუზიური კონტროლის აღდგენა წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, იგი არ არის დაინტერესებული ეკონომიკურად ძლიერი, უსაფრთხო საქართველოს არსებობით. შესაბამისად, ე.წ. რბილი ძალის და ჰიბრიდული ომის ელემენტების გამოყენებით მუდმივად ცდილობს საქართველოში პროცესების მისი ინტერესების შესაბამისად წარმართვას, მათ შორის ეკონომიკური მიმართულებით. კერძოდ:

- რუსეთი რამდენიმე წელიწადში იქცა საქართველოს უმთავრეს სავაჭრო პარტნიორად. მნიშვნელოვან პრობლემებს აჩენს ცალკეული პროდუქტების ექსპორტის მაღალი კონცენტრაცია რუსეთის ბაზარზე (ღვინო, ეთილის სპირტი, ციტრუსი და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომელთაც მაღალი სოციალური ეფექტი გააჩნია).

შესაბამისად, „საჭიროების“ შემთხვევაში, ქართული პროდუქციისთვის საკუთარი ბაზრის დაკეტვით რუსეთს ქართული ეკონომიკისთვის სერიოზული ზიანის მიყენება შეუძლია;

- საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთიდან განხორციელებულ ფულად გზავნილებზეა დამოკიდებული. ამ მხრივაც, განსაკუთრებული ადგილი რუსეთიდან განხორციელებულ ფულად გზავნილებს (მთლიანი მოცულობის 33%) უკავია, რაც ასევე დამატებით ბერკეტებს სძენს რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ;
- ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება რუსეთიდან ტურისტების შემოდინება, რაც ქართული ეკონომიკისთვის პოზიტიურ მოვლენასთან ერთად, საფრთხის შემცველადაც გვევლინება **(უნდობლობის საფუძველს ქმნის თურქეთ-რუსეთს შორის ურთიერთობის გაუარესების შედეგად განვითარებული მოვლენები, როდესაც რუსეთის მოქალაქეებს საკუთარმა ხელისუფლებამ თურქეთში შესვლა აუკრძალა, რამაც თურქეთის ტურიზმის სექტორს სერიოზული ფინანსური დანაკარგები მოუტანა)**;
- რუსეთის არსენალშია ჰიბრიდული ომის ელემენტების გამოყენება ქვეყანაში არასტაბილური გარემოს შექმნისა და დესტრუქციული პროცესების განვითარებისთვის, რაც სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ამ მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ოკუპირებული რეგიონები, დივერსიები, ვითარების დაძაბვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, კიბერშეტევები (ენერგეტიკული ობიექტების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა წინააღმდეგ), საინფორმაციო კამპანია საქართველოს იმიჯის შესალახად საერთაშორისო დონეზე, მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობების გაურესებისთვის ხელშეწყობა და სხვა[1].

**აზერბაიჯანი** - აზერბაიჯანის ბაზარი სიდიდით პირველია საქართველოს საექსპორტო პროდუქციისთვის. შესაბამისად, აზერბაიჯანის ეკონომიკის შესუსტება და/ან ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება (რომელსაც ჩვენი მეზობელი პერიოდულად მიმართავს), მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველო თითქმის 100%-ითაა დამოკიდებულია აზერბაიჯანულ გაზზე, ხოლო აზრბაიჯანის სახელმწიფო კომპანია სოკარი, გაზის საცალო ბაზრზეც მონოპოლისტია.

აზერბაიჯანი, ბოლო რამდენიმე წელია, ყოველწლიურად ნახევარ მილიარდამდე აშშ დოლარის ინვესტიციებს დებს ტრანსპორტის სექტორში, რაც არსებული მილსადენების (ტრანს-ანატოლიური გაზსადენი) გაფართოებას და გამტარიანობის გაზრდას უკავშირდება.

ერთი შეხედვით საქართველოს აზერბაიჯანზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტები არ გააჩნია, თუმცა სწორედ საქართველოა აზრბაიჯანული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებლის, ენერგომატარებლების უმთავრესი გამტარი.

**თურქეთი** - ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის. თურქეთიდან იმპორტირებული და საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქცია საკმაოდ დივერსიფიცირებულია. თუმცა, გარკვეული ტიპის პროდუქცია მნიშვნელოვნად არის მიბმული თურქეთის ბაზარზე. შესაბამისად, თურქეთის ეკონომიკური რყევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. განხორციელებული ფულადი გზავნილები წლიდან-წლამდე იზრდება და თავისი მნიშვნელობით უახლოვდება აშშ-დან, იტალიიდან და საბერძნეთიდან განხორციელებულ ფულადი გზავნილების მოცულობებს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარგობრივი დივერსიფიკაციის კუთხით, თურქეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციები გამოირჩევა, რომელიც თითქმის ყველა ეკონომიკურ სექტორს მოიცავს. თურქეთის ინტერესი საქართველოში წლიდან-წლამდე იზრდება.

შესაბამისად თურქეთში მიმდინარე მოვლენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ პროცესებზე.

**სომხეთი** - ბაზარი სიდიდით მესამეა საქართველოს საექსპორტო პროდუქციისთვის. შესაბამისად, სომხეთის ეკონომიკის შესუსტება უარყოფითად აისახება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

**იმპორტი** - ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული პროდუქციის იმპორტის მაღალი კონცენტრაცია მაღალი საფრთხის შემცველი არ არის და ადვილად ჩანაცვლებადია. თუმცა, ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა ბუნებრივი აირი, ხორბალი, პირველადი მოხმარების და მოწოდების თვალსაზრისით ძნელად ჩასანაცვლებელი პროდუქტების მოწო-

[1] „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში“, თბ. 2018 წ.

დებაზე ცალკეული ქვეყნებისთვის მონოპოლიური მდგომარეობის არსებობა მათთვის ჩვენს ქვეყანაზე ეკონომიკური გავლენის ბერკეტის გადაცემას ნიშნავს და სერიოზული საფრთხის შემცველია. გასათვალისწინებელია, რომ ამ მხრივ, ზოგჯერ ჩვენს ქვეყანას დიდი არჩევანი და სწრაფი გადაწყვეტის საშუალებები არ გააჩნია.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა **ექსპორტის** შემთხვევაშიც. ექსპორტის სწრაფად დივერსიფიცირება საკმაოდ რთულია, რაც „პარტნიორ" ქვეყნებს საკმაო ბერკეტებს სძენს.

**ბ) შიდა ფაქტორები**

გარდა საგარეო საფრთხეებისა, ქვეყნის/რეგიონალური ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებაზე და ტრანს-სასაზღვრო კავშირების განვითარებაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს საქართველოში არსებულმა შემდეგმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა:

1. რესურსების/პოტენციალის დაბალი ეფექტიანობა, რომელიც უკვე მონაწილეობს ქართულ წარმოებაში/ბიზნესში. მიზეზები, რის გამოც არ ან ვერ ხორციელდება რესურსების სრული წარმადობით გამოყენება შესაძლოა იყოს:

- ეკონომიკური დივერსია;
- კორუფციული/მონოპოლიური შეთანხმებები;
- ადამიანური კაპიტალის სიმცირე; არაეფექტური განათლების სფერო, როგორც შრომის ბაზრის კონიუქტურის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი;
- ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა;
- არაეფექტიანი სახელმწიფო რეგულაციები/ არაჯანსაღი კონკურენცია;
- Know-how-ს სიმწირე.

2. იდენტიფიცირებული, მაგრამ წარმოებაში არ არსებული რესურსები/ პოტენციალი. შესაძლო მიზეზები:

- ინფორმაციის ასიმეტრიულობა;
- კაპიტალის და Know-how სიმწირე;
- არაეფექტური სახელმწიფო რეგულაციები;
- სათანადო საინვესტიციო პაკეტების არ არსებობა;
- ინფრასტრუქტურის განვითარების არასაკმარისი დონე.

**რეკომენდაციები**

- საქართველოს, როგორც მცირე ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინვესტიციების განმახორციელებელი და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, მეზობელ და პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ქვეყანაზე. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია შეფასდეს აღნიშნულ ქვეყნებში არსებული ვითარება, საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულების ხარისხი რეგიონის და სავაჭრო/საინვესტიციო პარტნიორ ქვეყნებზე და გაანალიზდეს საერთაშორისო სავაჭრო/ ეკონომიკური ხელშეკრულებების და პროექტების დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- უნდა განხორციელდეს ყველა შესაძლო საფრთხის და დამაბრკოლებელი ფაქტორის დეტალური ანალიზი, რომლის გამოც ვერ/არ ხდება პოტენციალის ეფექტური ათვისება, და შესაბამისად ფერხდება ქვეყნის სტაბილური (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ) განვითარება;
- დეტალურად შეფასდეს საერთაშორისო სავაჭრო/ეკონომიკური ხელშეკრულებების, რეგიონული პროექტების თანმდევი რისკები (მაგ. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინათთან და სხვა.) და ხარვეზები/უარყოფითი მხარეები;
- მოხდეს გამოვლენილი საფრთხეების ერთგვარი კლასიფიცირება (ერთჯერადი, მუდმივი, მაღალი საფრთხის მატარებელი, გლობალური, რეგიონული და ა.შ.) და თითოეულ საფრთხესთან დაკავშირებით შემუშავდეს მასზე რეაგირების გეგმა;
- უნდა განისაზღვროს სხვა მოთამაშეების (ბიზნესი, რეგიონის ქვეყნები, საერთაშორისო ინსტიტუტები) როლი გამოვლენილი პრობლემების/ საფრთხეების განეიტრალების საკითხში;
- ცალკეული პროექტები უნდა დაიგეგმოს კომპლექსურ ჭრილში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მაქსიმალური შედეგის მიღწევა;
- სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ახალი მიდგომა პროექტების განხორციელების საკითხში. კერძოდ, უნდა მოხდეს „უსაფრთხოების ეფექტის" კომპონენტის დამატება ნებისმიერ ინიციატივაში/პროექტში. „უსაფრთხოების ეფექტი" წარმოადგენს ინდიკატორთა სისტემას, რომლებიც ასახავენ თუ რა ეფექტის მქონეა პროექტი/ინიციატივა მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობისა და ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით. ეფექტი უნდა ითვლებოდეს ყველა ფორმით - პირდაპირი და

არაპირდაპირი, მიკრო, მეზო თუ მაკრო მასშტაბების, გრძელვადიან და მოკლევადიან ჭრილში და ა.შ.;

- სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსი (ეკონომიკური უსაფრთხოების შემფასებელი ინსტრუმენტი), რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას შეაფასოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება და პერიოდულად გადააფასოს ან გაზომოს სხვადასხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოვლენებით გამოწვეული საფრთხეები. ამით სახელმწიფო შეძლებს ეფექტურად დაგეგმოს და გადადგას საფრთხის მინიმიზაციის ნაბიჯები.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. პატარაია თ. (2015), „ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის“, ჰენრიხ ბიოლის ფონდი.
2. მაკფარლეინი ს. (2012), „საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“, Chatman House.
3. „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი“ (2016).
4. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ (2012), საქართველოს პარლამენტი.
5. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში“, თბ. 2018 წ.
6. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“, საქართველოს მთავრობა.
7. „საქართველო - სომხეთი: ერთობლივი საოპერაციო პროგრამა“ (2014), EU Eastern Partnership Territorial Cooperation (EaPTC).
8. საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ (2015).
9. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია.
10. Kakachia K. (2012), “Reinvigorating Cross Border Cooperation in Black Sea Region: Visions for Future”, Georgian Institute of Politics.
11. Žaneta Simanavičienė, Andrius Stankevičius (2015) “ECONOMIC SECURITY AND NATIONAL COMPETITIVENESS”.
12. Petar Kurecic - SMALL STATES AND REGIONAL ECONOMIC INTEGRATIONS IN THE MULTI-POLAR WORLD.
13. Regional Differences in the Levels of Integration and Patterns of Small States’ Vulnerability
14. Gordon M. Gough (2006) - Regional Economic Cooperation.
15. “Cross-Border Cooperation” (2010), Practical Guide, Association of Young Economists of Georgia.
16. “Cross-border Economic Development” (2016), Baseline Study Report, EU Eastern Partnership Territorial Cooperation (EaPTC).
17. “Georgia’s Security Challenges and Policy Recommendations” (2012), Policy Brief Number One, Center for Strategic and International Studies.

## Regional Economic Security and Cross-border Cooperation

***Grigol Liluashvili, PhD student***
***Georgian Technical University***

***David Narmania, Professor***
***Georgian Technical University***

### Summary

The article - "Regional Economic Security and Transboundary Cooperation" - covers very important issues that are vital for our country. It is noted that the country's economy is closely linked to social and political processes, as well as economic and other global developments in the country, the region and the world. Globalization and other social changes have fundamentally changed the previously established rules of economic theory and, consequently, greatly complicated the mechanisms for "calculating" economic security policies. The focus is on the main objectives of economic security policy, the state interests and key priorities that play a key role in the country's economic security system.

The article focuses on Georgia's regional connections and projects, as well as key objectives of economic security policy, potential threats and impediments.

Expected threats and impediments are considered external and internal factors. The countries in the region whose impact on regional security is quite important are discussed one by one. These countries include: Russia, Azerbaijan, Turkey, Armenia.

The following issues are separated from internal factors:

1. Low efficiency of resources / potential, which is already involved in Georgian production / business. Which includes:

- Economic diversion;
- Corruption / monopoly agreements;
- Lack of human capital; Ineffective education as one of the main tools of labor market conjuncture;
- Access to financial resources;
- Ineffective state regulations / unhealthy competition;
- Lack of know-how.

2. Identified but not available resources / potential for possible reasons:

- Asymmetry of information;
- Scarcity of capital and Know-how;
- Ineffective state regulations;
- Lack of proper investment packages;
- Insufficient level of infrastructure development.

Finally, in the form of a conclusion, the recommendations are given that will contribute to the development of the country in the direction of the above-mentioned issues.

Keywords: economic security, national security, diversification, "security effect", internal factors, external factors.

# სოციალური მეცნიერებები

# SOCIAL SCIENCES

## The actual political-psychological problems of the psychology of terrorizm

***Liza Amilakhvari, associate professor***
***Georgian Technical University***

**Summary**

Throughout the history of its existence, humanity has faced various forms and manifestations of terrorism. This phenomenon reached a special scope in the late XX - early XXI century.

What is terrorism or what actions should be considered terrorist is a rather complicated question, but all terrorist actions have several common characteristics: the use of violence, the intention to instill fear in the civilian population, to become a means of provoking a change in the political or social position of the people.

One of the main goals for solving the problem of terrorism, for creating a unified scientific and methodological basis for its research, is to study the psychology of the terrorist, his typological, emotional, and moral characteristics.

The article discusses various theoretical approaches to the study of the psychology of terrorism.

Terrorism is one of the main challenges of the new world order, and due to its psychological-political characteristics, content and consequences, it is the most severe form of political violence.

In addition to the forceful solution of issues related to terrorism, such sciences as psychology, philosophy, sociology, political science, and psychiatry are engaged in the study of this phenomenon.

The decision to commit a terrorist attack requires a person to resolve several issues: the purpose, object, methods, place and time of the crime, consideration of additional circumstances that may help or hinder the fulfillment of the plan. From a certain number of behavioral variations, the terrorist must choose, in his opinion, the most appropriate behavior option and this choice is due to such personality traits as ideological attitudes, personal experience, moral, ethical orientations and norms of internal social control. The choice is also associated with the analysis of the external environment, the current situation and forecasting the future situation in which a terrorist act is planned.

Technologically developed terrorist ideologies actively impose a methodological toolkit for objectifying need states, which is well developed at different levels. It is this ability to successfully satisfy various multi-level human needs that transforms terrorism technologies into a unique way to achieve their goals, giving terrorism its subjective attractiveness, which is a very important direction in the psychological study of the phenomenon of terrorism.

Keywords: Terrorism, Psychology of Terrorism, Dispositional Theories, Situational Factors

**Introduction**

Throughout the history of its existence, humanity has faced various forms and manifestations of terrorism. This phenomenon reached a special scope in the late XX - early XXI century. Terrorist acts and sabotage, cruel in their manifestation, have a wide resonance all over the world, causing not only just public outrage, but also a serious concern for peace and security on the planet. Terrorism violates the system of human legal protection, causes enormous damage to the stability of the world community, state interests, and in particular the prestige of the law enforcement system.

Terrorism is one of the main challenges of the new world order, and due to its psychological-political characteristics, content and consequences, it is the most severe form of political violence.

In addition to the forceful solution of issues related to terrorism, such sciences as psychology, philosophy, sociology, political science, and psychiatry are engaged in the study of this phenomenon. A terrorist act refers to

"extreme", "crisis", "emergency situations", which are the subject of study.

The decision to commit a terrorist attack requires a person to resolve several issues: the purpose, object, methods, place and time of the crime, consideration of additional circumstances that may help or hinder the fulfillment of the plan. From a certain number of behavioral variations, the terrorist must choose, in his opinion, the most appropriate behavior option and this choice is due to such personality traits as ideological attitudes, personal experience, moral, ethical orientations and norms of internal social control. The choice is also associated with the analysis of the external environment, the current situation and forecasting the future situation in which a terrorist act is planned.

One of the main goals for solving the problem of terrorism, for creating a unified scientific and methodological basis for its research, is to study the psychology of the terrorist, his typological, emotional, and moral characteristics. But this task turned out to be intractable. Members of terrorist organizations are being recruited from all walks of life, professions, they are representatives of various cultures and nationalities, religions, and ideological beliefs. Extremists have been described as schizophrenic and utopian, as fanatics and aggressors, as traumatized, insecure, self-asserting, over-ambitious people, or as martyrs for their beliefs.

## Definition of the Concepts of "Terror" and "Terrorism", their Similarities and Differences

In order to study the psychology of terrorism, firstly it's necessary to give clear definitions of the concepts of "terrorism" and "terror". First of all, we should understand what violence is in general. Violence is the physical or mental impact of one person on another that violates the guaranteed right of citizens to personal security.

The term "terror" comes from the Latin "terror" - horror, fear; Larouse Encyclopedia defines this term as - Set of acts of violence (attacks, hostage-taking, torture, etc.) committed by an organization or a group of individuals, acting on its own behalf or on behalf of a State, with a view to creating a climate of insecurity, to blackmail a government or an international organization, in order to satisfy hatred towards a community, a country, a system". Oxford Dictionary describes the same word as - The unlawful use of violence and intimidation, especially against civilians, in the pursuit of political aims. Origin: Late 18th century (in reference to the rule of the Jacobin faction during the period of the French Revolution known as the Terror".

Terror as a political method of resolving the controversy arose during the French Revolution. Distinctive features of modern terrorism include:

- ♦ The emergence of all kinds of dangers;
- ♦ Openly demonstrative character of achieving goals;
- ♦ Deliberate formation of a stressful environment at the social level;
- ♦ Impact on certain people in order to satisfy any claims.

The manifestations of terrorism entail massive human sacrifices, the destruction of spiritual, material, cultural values that cannot be recreated. Moreover, terrorism breeds hatred and mistrust between social and national groups. Terrorist attacks evoke tremendous emotions both in their victims and in the direct organizers.

Unfortunately, the saying - "he who is a terrorist for one person, is a fighter for freedom for another", is still relevant today.

Over the past few decades, there has been a growing tendency to disguise the negative connotation of terrorism with a tangled semantic mask and try to establish one of the following images:

- ♦ Freedom and Liberation;
- ♦ Army or other organized military structure;
- ♦ Movements created directly for the purpose of defense;
- ♦ Fair revenge.

This image works to some extent, especially in the Arab world, where Islamic fundamentalism is recognized, for example in Sudan. The situation in Saudi Arabia is ambivalent, it fears Islamic fundamentalism and at the same time is proud of its role as a defender of the birthplace and faith of Islam.

Even where the government suppresses Islamist groups, many people secretly sympathize with them. For example in Palestine, the sympathy for such groups as Hamas and Hezbollah is great and, in fact, obvious.

It is for these reasons that it is becoming increasingly difficult to create a universal definition of terrorism, and it's not surprising either. The meaning and use of this word have changed over time according to the political terminology and discussion of a particular era. But in any case, political scientists themselves agree that "terrorism" is a uniquely negative term with negative connotations. That is why a terrorist always denies his terrorism.

Terrorism is fundamentally different from other forms of violence. Its goal is to create an atmosphere of chaos and confusion through closely related, ethnically and politically homogeneous small groups who believe that political instability will accelerate the fall of power.

According to Brian M. Jenkins terrorism differs from other forms of violence as it involves actions that are performed dramatically to attract the general public and create an atmosphere of alarm/fear that goes beyond the

immediate victim (Jenkins, 1975).

Indeed, for terrorists whose goal is for people to see their violence, the identity of the victims is secondary and irrelevant. This distinction between the direct victim and the target community is a hallmark of terrorism and distinguishes it from other forms of armed conflict.

Despite the particular relevance and practical need for study, the main problems of the psychology of terrorism are insufficiently developed. So, until now, a clear definition of terrorism, both from a legal and social point of view, has not been formulated. However, even at the first consideration of this complex and multifaceted phenomenon, one can single out:

- Individual, organized terror and terror as a policy of the state;
- Terror as a political method of struggle in peacetime and wartime;
- Terror as a method of internal political struggle and terrorist acts of international terror.

**Typology of Terrorism**

For a more complete understanding of terrorism as a social phenomenon, it is necessary to bring a typology of terrorism. The following typology is built on the principle of the nature of terrorist activities, to whom it is directed, that is, whether it is domestic, transnational or international, which determines the level of legislative suppression of terrorist activity.

Domestic terrorism: actions of citizens against their state on their territory. Usually, the goal of domestic terrorism is to provoke fear and disagreement among the population and to discredit existing political institutions.

Transnational terrorism: usually occurs when terrorist groups from different countries start cooperating with each other, or the terrorist operations of such groups go beyond the borders of one state.

International terrorism: international terrorist groups act against another or other authorities. Many researchers distinguish international terrorism as a separate phenomenon in world politics associated with the spread of violence in the form of terrorist acts that threaten the normal course of international relations (Charles, 1990).

Terrorist groups can combine traits of all three types in their activities, or they can belong to only one type. In principle, these definitions are not so far from the truth, but they consider only one aspect of the phenomenon under study. International terrorism is not an independent phenomenon, and it must be considered in the light of a general study of the problems of terrorism.

The second typology is built according to the criterion of the ideological substantiation of terrorist activity, that is, according to what motive drives the terrorists.

The following types of terrorism are distinguished:

- Political terrorism;
- Social terrorism;
- National terrorism;
- Territorial separatist terrorism;
- Ideological terrorism;
- Criminal terrorism.

Political terrorism in a broad sense covers all the types of terrorism mentioned, aimed at changing the social system or any part of it.

**Dispositional Theories**

For decades researchers were trying to understand the actions and motivations of terrorists by means of Psychological models, for which they used various psychoanalytic theories. For example Frustration - The Theory of Aggression, The Theory of Narcissism, and more. All these approaches in nature are quite dispositional.

**Frustration - The Theory of Aggression**: This theory was first developed in the late 1930s by John Dollard, Neal Miller, Leonard Doob, Orval Mowrer, Robert Sears in their book "Frustration and Aggression". A group of scientists believed, that frustration is always preceded by aggression, and aggression is always the result of frustration. This approach is simple and straightforward. According to this theory, aggression occurs when an individual’s goals are frustrated and blocked (Dollard, Miller, Doob, Mowrer, Sears, 1939).

In relation to terrorism, the act of terrorism is a form of "displacement", an argument that has Freudian or psychoanalytic roots. According to this theory, terrorism is aggression shifted to another object. The pathological characteristics of terrorists stemming from their personal dissatisfaction with their own lives lead them to engage in extremist violence against others.

An analysis of several scientific researchs on this issue allows us to reveal a common factor in the development of a terrorist's personality, which can be called psychological impairment, a kind of deficiency of something in their lifes, the roots of which can sometimes be traced from early childhood. Studies have shown that most terrorists face some personal difficulties in their early stages of life. According to the studies, about a quarter had a parent who died in their childhood. It would be convincing to assume that the loss of a parent causes anger / resentment or a sense of incompatibility that needs some sort of splash.

**Narcissism:** The term narcissism (Germ. Narzissmus) - satisfaction from vanity or selfish admiration for an idealized self-image, featured by Freud in his psychological model. Freud believed that from birth narcissism is an im-

portant part of each of us.

Later, many scientists possed to “Psycholology of Narcissism” as a framevork to understand terrorist behavior. For example John Crayton and Jerrold Post believe that terrorist activities may be explained by extreme forms of narcissism. The narcissist is deeply convinced of his own meaning in the world however, very often the glorified self-image of such people is not shared by others. According to the theory, this may give rise to narcissistic rage and aggression (Crayton, 1983; Post, 1990).

Research by proponents of the narcissistic rage theory has shown that most terrorists have experienced major setbacks in their personal lives (such as poor school performance) and led them to the conclusion, that terrorism is the result of anger and damage to self-esteem, which is facilitated by failure.

**Oedipus Complex:** Freud believed that people have different motives, which they often cannot analyze themselves (i.e, the motives are "unconscious"). These desires are often suppressed/restrained because they are socially unacceptable. One such is the Oedipus complex, the stage of psychosexual development that Freud stresses out and during which the child views the father as an enemy and a competitor in the mother's love. If this conflict is not resolved successfully, then in the later stages of life various problems arise.

Other followers of Freud, such as Eric Erikson, developed the theory of "Negative Identity", according to which the integration of unresolved personal tension and failure in a person causes deep psychological difficulties in later stages of life. Negative Identity implies a vengeful rejection of a role that is considered acceptable by society and, therefore, by that person's family (Erikson, 1968).

**Specific to Terrorism Situational Factors**

Later, the value of psychoanalytic and personal approaches to explaining the psychology of terrorism has been questioned. One of the problems concerns the dubious "leap" that must be made in the transition from the analysis of individuals to the group level. The second problem is that many psychologists no longer consider them reliable.

The first problem concerns psychological reductionism - the temptation to reduce a complex social and political phenomenon to a simplified psychological formula. Proponents of these theories may become the academic victims of what attribution theory proponents call the fundamental attribution error. It is a tendency to overestimate the fact that the behavior of someone else - in this case, a terrorist - is driven by his dispositional factors more, than by the existing circumstances.

A second, common problem to all theories of psychoanalytic and personal approach is that terrorists are considered more or less mentally "abnormal." According to these theories, "abnormal actions" must be committed by "abnormal individuals".

Most scientists strongly reject the mental disorder approach. The materials obtained by the researchers make it possible to prove that the majority of terrorists do not have any mental disorder.

Based on her research, Martha Crenshaw concluded that "the hallmark of terrorists is their normality (Crenshaw, 1985)."

According to John Horgan, although psychoanalytic approaches point alike to the role of psychopathy in shaping the terrorist personality, "there is very little conclusive evidence that psychopathy is part of the psychology of terrorist organizations." Most of the studies on this topic has shown that terrorists do not really have any special characteristics that distinguish them from “ordinary” people (Horgan, 2014).

Based on the research made by J. Hogan Terrorists must believe with all their being that violence against the enemy is not immoral. They also have internal boundaries that they do not realize until they become full members of the group (Horgan, 2014).

It is clear that terrorists are very alienated from society, but alienation does not necessarily mean that they are mentally ill, although for understandable reasons they are the most dangerous.

The obsession with personality makes less important perhaps the strongest motivation for terrorists: ideology. All terrorists are equally committed to a purpose, be it in nature - religious, nationalist, or economic. The beliefs of an individual terrorist can be much more important than the study of his personal characteristics.

According to Jerold Post, extremist beliefs are "passed down from generation to generation," beginning at an early age; Terrorists have an exaggerated sense of sacrifice and alienation, and they believe that the enemy violates and even justifies moral principles in order to achieve "higher morality"; They believe that ethnic, religious and national terrorist groups are special, are on the brink of extinction, and lack the political power to achieve change without violence (Post, 1990).

There is a long list of situational factors that are considered the “root causes” of terrorism (Houghton, 2008):

- Lack of democracy, civil liberties, rule of law;
- Weak or failed state;
- Rapid modernization;
- Extremist ideologies of a secular or religious nature;
- The historical past of political violence, civil wars, revolutions, dictatorship, or occupation;

- ♦ Power of hegemony and inequality;
- ♦ Illegitimate or corrupt governments;
- ♦ A strong external factor supporting illegitimate governments;
- ♦ Repression by external occupation or colonial power;
- ♦ Experience of discrimination on the basis of religious or ethnic origin;
- ♦ Failure or unwillingness of the state to integrate dissident groups or start-up social classes;
- ♦ Experience of social injustice;
- ♦ Existence of charismatic ideological leaders.

Of course, some of these factors are more influential than others.

Opinions about the weakness of existing dispositional theories and the problems of equally simple situational arguments prompted Max Taylor and John Horgan to develop an approach that recognizes the contributions of both camps and is called - Process Model. They believe that we need to understand both: the situations that are the basic preconditions for terrorism and also the dispositions that make an individual sensitive to react to this situation and join a terrorist group (Taylor, Horgan, 2006).

For Taylor and Horgan, the aforementioned situational forces are only prerequisites for terrorist attacks. In other words, they are necessary but not sufficient to detect terrorism. For this to happen, these factors must interact with certain predispositions that are already present in the person (Taylor, Horgan, 2006).

**Conclusion**

Although we do not have enough research on some aspects of the terrorist recruitment process, it is clear that the process of becoming/transforming into a terrorist is typically a growing process - involving a series of small steps - and a number of factors can be critical.

In general, the basic psychological characteristics of terrorists have been sufficiently studied. If we summarize the views of different scientist studying terrorism, we can single out some of the most common characteristic psychological traits of members of terrorist groups:

- ♦ Extreme simplification;
- ♦ Disappointment;
- ♦ Risk orientation;
- ♦ Utopianism;
- ♦ Social isolation
- ♦ The need for self-realization;
- ♦ Taste of blood.

Terrorist activity as a psychological technology allows us to find a special „workaround“: a person is not becoming richer, or more educated, does not have a decent job for himself, but gains power over more educated and successful people than he is. His actualized needs are realized in a special - "displaced", symbolic form - achieving goals by means that at first glance are simpler and do not require long-term efforts, which attracts new members to terrorist groups.

Technologically developed terrorist ideologies actively impose a methodological toolkit for objectifying need states, which is well developed at different levels. It is this ability to successfully satisfy various multi-level human needs that transforms terrorism technologies into a unique way to achieve their goals, giving terrorism its subjective attractiveness, which is a very important direction in the psychological study of the phenomenon of terrorism.

One of clearest visions of a future research agenda on the psychology of terrorism is provided by one of the field’s pioneers, Martha Crenshaw. Her appraisal is as follows: “The study of terrorism should go beyond a concentration on current events or speculation about the future to develop a systematic analysis of the development of the phenomenon over time. First, little is known about why the users of terrorism would abandon the strategy. Research should try to identify the psychological incentives for giving up violence. A second area for fruitful research concerns the development of strategies of terrorism. In particular, what leads to innovation in terrorist behavior, such as hostage-takings or the resort to weapons of mass destruction? Another research area that has been neglected is the study of decision-making in the area of counter-terrorism (Crenshaw, 2000).

**References**


1. Charles, K., Jr. (1990). International Terrorism: Characteristics, Causes, Controls (New York: St. Martin’s Press)
2. Dollard, J., Miller, N., Doob, L., Mowrer, O., Sears, R. (1939). Frustration and Aggression. New Haven, CT, US: Yale University Press.
3. Crayton, J. (1983) “Terrorism and the Psychology of the Self.” Pages 33–41 in Lawrence Zelic Freedman and Yonah Alexander, eds., Perspectives on Terrorism. Wilmington, Delaware: Scholarly Resources.
4. Post, J. (1990). “Terrorist Psycho-Logic: Terrorist Behavior as a Product of Psychological Forces.” Pages 25–40 in Walter Reich, ed., Origins of Terrorism: Psychologies, Ideologies, Theologies, States of Mind. Cambridge, England: Cambridge University Press.

5. Horgan, J. (2014). The Psychology of Terrorism, (2nd Ed), Routledge.
6. Houghton, D. (2008). Political Psychology, Situations, Individuals, and Cases, Taylor & Francis e-Library.
7. Taylor, M., Horgan, J., (2006). A Conceptual Framework for Addressing Psychological Process in the Development of the Terrorist, Terrorism and Political Violence, Volume 18, 2006 - Issue 4.
8. Retrieved 11 May, 2021, from: https://www.researchgate.net/publication/255632758_A_Conceptual_Framework_for_Addressing_Psychological_Process_in_the_Development_of_the_Terrorist/link/558d265208ae40781c208942/download
9. Crenshaw, M. (2000). The Psychology of Terrorism: An Agenda for the 21st Century, (2000). Political Psychology, Vol. 21, No. 2, pp. 405-420, Published by: International Society of Political Psychology.
10. Retrieved 15 May 2021, from:
11. https://www.jstor.org/stable/3791798?read-now=1&refreqid=excelsior%3A6e7f6e6f00505e72a01676565095038b&seq=12

# ტერორიზმის ფსიქოლოგიის აქტუალური პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური პრობლემები

*ლიზა ამილახვარი, ასოცირებული პროფესორი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## რეზიუმე

თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე კაცობრიობა ტერორიზმის სხვადასხვა ფორმისა და გამოვლინების წინაშე მდგარა. XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ამ ფენომენმა განსაკუთრებულ მასშტაბებს მიაღწია.

რა არის ტერორიზმი ან რომელი ქმედებები უნდა შეფასდეს ტერორისტულად, საკმაოდ რთული კითხვაა, თუმცა მიუხედავად ამისა, ტერორისტების ყველა ქმედებას აქვს რამდენიმე საერთო მახასიათებელი: ძალადობის გამოყენება, მშვიდობიანი მოსახლეობაში შიშის დანერგვის განზრახვა, რომელიც მიზნად ისახავს გახდეს ხალხის პოლიტიკურ ან სოციალურ პოზიციებში ცვლილებების გამოწვევის საშუალება.

ტერორიზმის პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მისი კვლევის ერთიანი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური საფუძვლის შესაქმნელად, არის ტერორისტის ფსიქოლოგიის, მისი ტიპოლოგიური, ემოციური და მორალური მახასიათებლების შესწავლა.

სტატიაში განხილულია ტერორიზმის ფსიქოლოგიის შესწავლის სხვადასხვა თეორიული მიდგომა.

ტერორიზმი ახალი მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და მისი ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური მახასიათებლების, შინაარსისა და შედეგების გამო, პოლიტიკური ძალადობის უმძიმესი ფორმაა.

ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების ძალისმიერი გადაწყვეტის გარდა, ამ ფენომენის შესწავლაში მონაწილეობენ ისეთი მეცნიერებები, როგორიცაა ფსიქოლოგია, ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება და ფსიქიატრია.

ტერორისტული თავდასხმის განხორციელების გადაწყვეტილება პიროვნებისგამ მოითხოვს მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას: მიზნის, ობიექტის, მეთოდების, დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დროის გათვალისწინებას, დამატებითი გარემოებების გათვალისწინებას, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს გეგმის შესრულებას. გარკვეული რაოდენობის ქცევითი ვარიაციებიდან ტერორისტმა უნდა აირჩიოს, მისი აზრით, ქცევის ყველაზე შესაფერისი ფორმა და ეს არჩევანი განპირობებულია ისეთი პიროვნული თვისებებით, როგორიცაა იდეოლოგიური დამოკიდებულებები, პირადი გამოცდილება, მორალური, ეთიკური ორიენტირები და შიდა სოციალური კონტროლის ნორმები. არჩევანი ასევე დაკავშირებულია გარემოს ანალიზთან, არსებული სიტუაციის ანალიზთან და მომავალი სიტუაციის პროგნოზირებასთან, რომელშიც ტერორისტული აქტია დაგეგმილი.

ტექნოლოგიურად განვითარებული ტერორისტული იდეოლოგიები აქტიურად აწესებენ მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტებს საჭიროების მდგომარეობების ობიექტივიზაციისთვის, რომლებიც კარგად არის განვითარებული სხვადასხვა დონეზე. სწორედ ეს უნარი, წარმატებით დააკმაყოფილოს სხვადასხვა დონის ადამიანის მოთხოვნილებები, აქცევს ტერორიზმის ტექნოლოგიებს მათი მიზნების მიღწევის უნიკალურ გზად, ანიჭებს ტერორიზმს სუბიექტურ მიმზიდველობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტერორიზმის ფენომენის ფსიქოლოგიურ შესწავლაში.

# მართლმადიდებლობა და თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირება

*ნოდარ აბესაძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სახელმწიფოებრივი იდენტობა ერის პოლიტიკური თანაარსებობისა და განვითარების ფორმას წარმოადგენს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცე სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების პროცესში იმყოფება. ახალმა მსოფლიო წესრიგმა წინა პლანზე წამოსწია ეროვნული იდენტობის პრობლემა; შეიმჩნევა ნაციონალიზმისა და რელიგიურობის აღმავლობა. ქართული დემოკრატიული ტრანზიცია ახალ იდენტობას მოითხოვს, რომელიც ეროვნულ პრაგმატიზმს დაემყარება. თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდენტობა გარკვეულ კრიზისს განიცდის, რადგანაც პოლიტიკური სივრცე ინსტიტუციურად პოლარიზებულია. სამოქალაქო სივრცეს აკლია რაციონალურობა და ახალი ეროვნული პრაგმატიზმი. ქართული სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირება დემოკრატიული ტრანზიციის აუცილებელი პროცესია. სახელმწიფოებრივი იდენტობა ეს არის ინსტუტუციურად ფორმირებული პოლიტიკური ერი, რომელიც ემყარება დემოკრატიულ პოლიტიკურ და სამოქალაქო კულტურას; ეს არის მულტიკულტურულად ინტეგრირებული ერი-სახელმწიფო, სადაც მაქსიმალურად დაცულია ადამიანის უფლებები და თანასწორობა. თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი იდენტობა უნდა ემყარებოდეს სამოქალაქო ნაციონალიზმს, რომელიც პოლიეთნიკური სივრცის ინტეგრაციას დაემყარება.

ეროვნული იდენტობის ტრანზიციაში მნიშვნელოვანია ერის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი; ინსტიტუციურმა პოლარიზებამ პოლიტიკური სოციალიზაციისა და ეროვნული პრაგმატიზმის ფორმირების გარდაქმნა მოითხოვა. გაძლიერდა ერის პოლიტიკურ-ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის ირაციონალური ტენდენციები. ეროვნული იდენტობის ტრანზიციაში მნიშვნელოვანია პოლიტიკური ელიტის როლი, რომლის ღირებულებითი პრიორიტეტები და ეროვნული პრაგმატიზმი გადამწყვეტ როლს ასრულებს გარდაქმნაში. გარდამავალ პერიოდში იზრდება მნიშვნელობა პოლიტიკური ლიდერისა, რომელიც ყოველთვის რაციონალურ როლს ვერ ასრულებს ქართულ დემოკრატიულ ტრანზიციაში. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ინსტიტუციურმა ვაკუუმმა და პოლარიზებამ მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გაზრდა გამოიწვია. მართლადიდებელი ეკლესია და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეროვნული იდენტობის ფორმირების გამოკვეთილი აქტორი გახდა. ეკლესიამ თავისი პოლიტიკური სტატუსი კონსტიტუციურად შეიძინა. მართლმადიდებლობა ისტორიულად ყოველთვის გამოირჩეოდა სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და ეროვნული პრაგმატიზმით. ქართული ეკლესია თავის მოღვაწეობას ტოლერანტობისა და კონსენსუსის პრინციპებზე აგებს; მისი გავლენა და ავტორიტეტი პოლიტიკური ტრანზიციისა და თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების პროცესში კიდევ უფრო იზრდება.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული იდენტობა, სახელმწიფოებრივი იდენტობა, პოლიტიკური ტრანზიცია. პოლიტიკური აქტორი, მართლმადიდებელი ეკლესია

**შესავალი**

თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ თემად გადაიქცა ეროვნული იდენტობის პრობლემა, რომელიც ახალ რენესანსს განიცდის; ნაციონალიზმის აღმავლობა და იდენტობის იდეოლოგიურ-ღირებულებითი ტრანსფორმაცია ახალი მსოფლიო წესრიგის დამახასიათებელი მოვლენა გახდა, რომელიც სახელმწიფოებრივი იდენტობის ახლებურ გააზრებას მოითხოვს; ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობის პრობლემა მწვავედ დადგა საქართველოშიც, რად-განაც პოლიტიკური ტრანზიცია პოლიტიკურ აქტორთა მკვეთრი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. ინსტიტუციურ-აქტორულმა და იდეოლოგიურმა კრიზისმა წინა პლანზე წამოსწია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების პროცესში, რომელსაც გარკვეული კატეგორიის ლიბერტარიანული მიმართულების აქტორები მკვეთრ წინააღმდეგობას უწევენ. ქართული ეკლესიის ავტორიტეტი გაზრდილია, რადგანაც პოლიტიკური აქტორების კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალი ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს,

რომელიც ეროვნული იდენტობის სულისკვეთებაზე გადის. ზედმეტი ღირებულებითი ტრანსპლანტაცია და უნიფიცირება მკვეთრად აზიანებს ეროვნული იდენტობის თანამედროვე გაგებას, რომელმაც ქართული სახელმწიფოებრიობის მიმართ გაუცხოების ელემენტები გააძლიერა. ერთადერთი აქტორი, რომელიც თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი პოზიციით გამოირჩევა, საქართველოს მართლადიდებელი ეკლესიაა. ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობის კრიზისის ფონზე აუცილებელია მართლმადიდებელი ეკლესიის თანამედროვე ინსტიტუციურ-აქტორული როლის გააზრება, რომელიც დემოკრატიული ტრანზიტის პროცესში რაციონალურობისა და პრაგმატულობის ელემენტებს გააძლიერებს.

**ძირითადი ნაწილი**

თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობა გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის, რომელმაც უნდა შექმნას სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების პოლიტიკურ-განზომილებითი საბაზისო პირობები. სახელმწიფოებრიობა ერს პოლიტიკურ სახეს აძლევს და გარდაქმნის მას პოლიტიკური ტრანზიციის აქტიურ აქტორად; ამიტომ, ქართული ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანსფორმაციის უპირველესი პრიორიტეტია სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირება; ეს ყველაზე რთული პროცესია, რადგანაც სახელმწიფოებრივი იდენტობა მთელი რიგი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტას გულისხმობს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ტრანზიცია პრიორიტეტულ მიმართულებად სახელმწიფოებრიობის ინსტიტუციურ განვითარებას მიიჩნევს, რაც ყოველთვის რაციონალური ფორმებით არ მიმდინარეობს.

ეროვნული იდენტობა ისეთი კატეგორიაა, რომელიც გარკვეული ისტორიული თანაცხოვრების პირობებში ყალიბდება და ერის მემკვიდრეობით და გენეტიკურ თვისებებს აერთიანებს; იგი თავისთავად გულისხმობს პოლიტიკურ განზომილებით ასპექტებს, რადგანაც ერის ისტორიული მისია და მისი სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზებულობით შეიძლება. ერის პოლიტიკური იდენტობის ფორმირებასა და მის ეტაპობრივ ტრანსფორმაციას ინსტიტუციურად სახელმწიფოებრიობა ანხორციელებს; ამიტომ, სახელმწიფოებრიობა არის ერის პოლიტიკური იდენტობის ფორმირებისა და ტრანსფორმაციის ძირითადი ლეგიტიმური ინსტიტუციური ფორმა.

თანამედროვე სიტუაციაში ქართული იდენტობის პოლიტიკური ტრანსფორმაცია მიმდინარეობს, რომლის ელემენტების სივრცისა და დროის შესაბამისი რეინტერპრეტაცია გახდა საჭირო; შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობა კრიზისის ფაზაშია და მკვეთრ ინსტიტუციურ და კულტურულ-ღირებულებით ტრანსფორმაციას საჭიროებს, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების პროცესთან არის დაკავშირებული; სახელმწიფოებრიობა ეროვნული იდენტობის მამოძრავებელია, რომელიც მისი ელემენტების ლეგიტიმაციას ახდენს გარკვეულ პოლიტიკურ სივრცეში. ინგლისელი სოციოლოგი **ენტონი სმითი** მიიჩნევს, რომ ეროვნული იდენტობა, პოლიტიკური თვალსაზრისით, სახელმწიფოსა და მისი ორგანოების საფუძვლებს ქმნის; მის არსებით ფუნქციას წარმოადგენს ერის სპეციფიკური ღირებულებების, ხასიათისა და წეს-ჩვეულებების გამოხატვა და ლეგიტიმაცია, რომელიც სოციალური წესრიგისა და სოლიდარობის აუცილებელ პირობად იქცევა. [1]

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოებრივი იდენტობა ეს არის პოლიტიკურად ორგანიზებული და ინსტიტუციურად მოწყობილი ერი, რომელიც რაციონალურობისა და პრაგმატულობის საფუძველზე იცავს თავის სასიცოცხლო ინტერებს; მის დემოკრატიულ განზომილებად უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკური კულტურის რაციონალურ-აქტივისტური ფორმები, ადამიანის უფლებების დაცვა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოერბის არსებობა; ყოველივე ამის მიღწევა და გააზრება მხოლოდ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესით არის შესაძლებელი; თუ სუსტია სოციალიზაცია და არ ემყარება ეროვნულ პრაგმატიზმსა და იდენტობის მემკვიდრეობით ელემენტებს, ვიღებთ პოლარიზებულ და ნიჰილისტურად განწყობილ საზოგადოებას. ქართულ სინამდვილეში ეს ირაციონალური ტენდენციები მკვეთრად გამოხატულ ფორმას იძენს, რაც ქართული სახელმწიფოებრიობის მიმართ გაუცხოების ელემენტებს აძლიერებს და ერის პოლიტიკურ აქტიურობას ასუსტებს. ეს ირაციონალური ტენდენციები შეიძლება დავაჯგუფოთ და რამდენიმე მიმართულებით გავიაზროთ, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოებრიობას: 1. თანამედროვე მსოფლიო წესრიგი ახალი ტენდენციებით ხასიათდება, რაც მკვეთრი გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციებით გამოირჩევა; ეს პროცესები პოლიტიკური სცენის აქტორების მიერ

[1] ენტონი დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა. ლოგოს პრესი, თბ., 2008, გვ.20

ყოველთვის ეროვნული ინტერესის დაცვით არ არის გააზრებული და პრაგმატუალად შეფასებული, რაც ქართულ სახელმწიფოებრიობას ახალი გამოწვევებისა და რისკების წინაშე აყენებს; 2. ქართულ პოლიტიკურ საზოგადოებაში შეიმჩნევა პოლარიზების მკვეთრად გამოხატული ტენდენციები, რაც დესტრუქციულობის ელემენტებით სარგებლობს; ყოველივე ეს აფერხებს პოლიტიკურ კონსოლიდაციას და აძლიერებს სახელმწიფოებრივი გაუცხოების ელემენტებს; 3. შესამ-ჩნევად ქვეითდება ერის პოლიტიკურ-ინტელექტუალური და კულტურული პოტენციალი, რაც აძლიერებს ექსტრემისტულ და ავანტიურისტულ ელემენტებს პოლიტიკაში; სამწუხაროდ, მეტად საშიში ხასიათი შეიძინა ექსტრემიზმის სინდრომმა, რომელიც დესტრუქცულობის ფორმებით მოქმედებს და პოლიტიკური იდენტობის ტრანსფორმაციის პროცესს აფერხებს.

პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში სახელმწიფოებრივი იდენტობის უმნიშვნელოვანეს აქტორს წარმოადგენს პოლიტიკური ელიტა, რომლის რეკრუტირება და ცირკულაცია საქართველოში ირაციონალური გამოვლინებებით ხასიათდება. პოლიტიკურ ელიტას, ეროვნული პრაგმატულობიდან გამომდინარე, ყოველთვის არ ჰყოფნის რაციონალურობისა და პრაგმატულობის პოტენციალი და პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების სინდრომით არის შეპყრობილი; მათი ინტელექტუალური სააზროვნო სივრცე მხოლოდ პირად კეთილდღეობაზეა აგებული და ეროვნულ ინტერესებს ნაკლებად ისახავს მიზნად. ვგულისხმობთ როგორც ლეგიტიმური ძალაუფლების მქონე ინსტიტუციებს, ისე პოლიტიკურ ოპოზიციას, რომელიც თავის რიტორიკას მხოლოდ „მტრის ხატის“ ძიებაზე აგებს. ასეთი მიდგომა კიდევ უფრო აღრმავებს პოლარიზების სინდრომსა და დესტრუქციულობის ელემენტებს, რაც სოციუმში სახელმწიფოებრიობის მიმართ პესიმისტურ განწყობილებას ამკვიდრებს.

სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირებაში უკიდურესად ირაციონალურ მოვლენად გადაიქცა ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების შერწყმა და ოლიგარქიული მმართველობითი სისტემის გაძლიერება. ამერიკელი პოლიტოლოგი სტივენ ჯონსი მიიჩნევს, რომ საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება ერთგვარი პატრონაჟის ფუნქციას ასრულებს ერთმანეთის მიმართ, რაც უარყოფითად მოქმედებს დემოკრატიულ ტრანზიციაზე. ამ პროცესებთან კავშირშია დომინანტური პარტიის სინდრომი, რომელიც ავტორიტარიზმისა და ავტოკრატიის გამოვლინების მყარ საფუძვლებს ქმნის; დომინანტური ძალები მთელ სახელმწიფოებრივ სისტემას მხოლოდ თავიანთი კერძო ინტერესებისათვის იყენებენ, რაც კიდევ უფრო აღრმავებს საზოგადოებაში გაუცხოების ელემენტებს. სამწუხაროდ, თანამედროვე პოლიტიკურ სპექტრს ნამდვილად აკლია სახელმწიფოებრივი აზროვნება, რომელიც მათ აქტორულ პოზიციას პოლიტიკურ სივრცეში ნეგატიურ შეფასებას აძლევს.

თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს პოლიტიკურმა ლიდერმა. გარდამავალ სისტემებში პოლიტიკური ლიდერის როლი გამოკვეთილი უნდა იყოს და თავისი ინტელექტუალური და ინტუიციური აზროვნებით გამოირჩეოდეს; პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ერი განიცდის დეფიციტს ეროვნული ლიდერისა, რომელიც გამორჩეული იქნება თავისი რიტორიკითა და კონსენსუალური მიდგომებით. სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პოლიტიკური ლიდერები, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, მხოლოდ ავტოკრატიისა და პოლარიზების სინდრომით სარგებლობდნენ. ამასთან ერთად, ზოგიერთი ლიდერი თავისი არაცნობიერი მისწრაფებებით შეპყრობილი არის ძალაუფლების მოპოვებით, რაც ერში კიდევ უფრო აღრმავებს პოლარიზებასა და დესტრუქციულობის ელემენტებს. პოლიტიკური პათოლოგია თანამედროვე ქართული პოლიტიკის სინდრომი გახდა, რომელმაც ისეთი ლიდერები წამოსწია წინა პლანზე, რომლებიც თავისი ავტორიტეტითა და ინტელექტით არ გამოირჩევიან და მხოლოდ დესტრუქციულობითა და ექსტრემიზმით აღწევენ მიზანს.

თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების პროცესში თავისი რაციონალური და პრაგმატული მიდგომებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მეთაური, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გამოირჩევა, **რომელიც აღნიშნავს, რომ „...ქრისტიანობამ ერებსა და ხალხებს თავისუფალი განვითარებისათვის საოცარი მუხტი მისცა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა დამოუკიდებელი ეროვნული კულტურების ჩამოყალიბება. საქართველოშიც ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ჩვენი ხალხის ერთიან ერად ფორმირების მრავალსაუკუნოვანი პროცესის დასრულებას და ჭეშმარიტი თავისუფლებისა და თვითმყოფადობისათვის ზრუნვის სრულიად ახალ ეტაპზე**

გადასვლას. “[1]

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მოიძებნებიან ისეთი დესტრუქციული ძალები, რომლებიც მკვეთრ ბრძოლას უცხადებენ ქართულ ეკლესიას თავისი ეროვნულ-პოლიტიკური სულისკვეთებისათვის და პოლიტიკურ პროცესებში ჩარევას უკრძალავენ; ამას სპეციალურად აკეთებენ, რადგანაც მათზე მაღლა დგას ეკლესია და უწმინდესი თავისი გავლენითა და ეროვნულ-პოლიტიკური პოზიციით. ძალიან კარგად იციან, რომ ქრისტიანობა, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, „პოლიტიკური ქვიტკირის“ ფუნქციას ასრულებდა და სახელმწიფოებრივ მართვაში მნიშვნელოვანი როლითაც გამოირჩეოდა. მითუმეტეს თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც ძლიერდება რელიგიური ფაქტორები პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი ეროვნული იდენტობის დაცვისა და აღმავლობის მიმართულებით; მათ უნდათ, რომ ქართული ეკლესია ინსტიტუციურად დასუსტდეს და პოლიტიკურ პროცესებში არ იღებდეს მონაწილეობას, რადგანაც თვითონ აქვთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივიო მიზანსწრაფვა და ავტორიტეტი დაკარგული.

თანამედროვე ქართული დემოკრატიული ტრანზიტი პოლარიზებისა და ირაციონალურობის მკვეთრი ტენდენციებით გამოირჩევა. ასეთ სიტუაციაში, ქართული ეკლესია ეროვნული ერთობისა და კონსოლიდირების მთავარ ინსტიტუციად გვევ-ლინება, რომელიც წინა პლანზე ყოველთვის სახელმწიფოებრივ ინტერესებს აყენებს. მართლმადიდებლობა უზრუნველყოფს ერის სულიერ და იდეოლოგიურ კონსოლიდირებას, რომელიც კრიზისულ სიტუაციებში ერთიანობის სიმბოლოდ გვევლინება. ეკლესიაშიც შეიმჩნევა პოლარიზების გარკვეული ტენდენციები, რომელიც ცალკეული პიროვნებების მისწრაფებებსა და კლანურ ინტერესებს გამოხატავს და არ ეხება მთლიანად მართლმადიდებლობის მნიშვნელობასა და როლს ქართული სახელმწიფოებრიობის დემოკრატიულ ტრანზიციაში. დემოკრატიული ტრანზიტი ეკლესიას სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმი-რების პროცესად მიაჩნია, სადაც ქართული გენეტიკური და ისტორიულ-მემკვიდრეობითი ელემენტებია შენარჩუნებული; ქართული ეკლესია კონსოლიდირების იდეოლოგიას ამ ელემენტებზე აგებს, რომელიც მას გამოკვეთილ ინსტიტუციურ აქტორად აქცევს პოლიტიკურ სისტემაში. პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ეკლესიის ამ ავტორიტეტს გარკვეული თვალსაზრისით იყენებს და ცდილობს ამ ინსტიტუტთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. პატრიარქი ილია II აღნიშნავს, რომ „ფაქტია, ყველას გვინდა ძლიერი, განვითარებული ქვეყანა გვქონდეს, ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საზოგადოებაში სწორი ღირებულებათა სისტემა იარსებებს და ამ საფუძველზე მოხდება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების მოგვარება, დეზორიენტირებული საზოგადოება კი ქაოსში ჩაიძირება და სახელმწიფოს დიდად დააზარალებს“.[2]

პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების უნიშვნელოვანეს პროცესს პოლიტიკური სოციალიზაცია წარმოადგენს, რომელიც მთლად გამართული არ არის და სისტემურ კრიზისს განიცდის; პირველ რიგში ვგულისხმობთ განათლების სისტემას, რომელიც ზედმეტი ტრანსპლანტაციისა და უნიფიცირების შედეგად გარკვეულ კრიზისს განიცდის; ამასთანავე, პოლიტიკურ სივრცეში სოციალიზაციის აგენტებს შორის ღირებულებითი შეუთავსებლობაც არსებობს, რამაც მკვეთრად დააზარალა ქართული განათლება და ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალი. ასეთ კრიზისულ სიტუაციას მკვეთრად დაუპირისპირდა მართლმადიდებელი ეკლესია და პირადად უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც თავის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში პირდაპირ მიუთითა საგანმანათლებრო სივრცეში ჩატარებული რეფორმების დროს დაშვებულ შეცდომებზე, რომელმაც ახალგაზრდობის ინტელექტუალური და პროფესიონალური პოტენციალი მნიშვნელოვნად დააზარალა. პატრიარქი მოითხოვს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდობის შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას. ჯერჯერობით სიტუაცია არ იცვლება, რომელიც თანდათანობით აქვეითებს ერის პოლიტიკურ-კულტურულ და ინტელექტუალურ პოტენციალს და აზარალებს სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების პროცესს.

## დასკვნა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნქციები სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების მიმართულებით უფრო გამოკვეთილი გახდა:

[1] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სააღდგომო ეპისტოლე. თბ., 2010 http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2010.htm

[2] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სააღდგომო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2018, გვ.21-22

1. პოლიტიკური სივრცის ინსტიტუციური ვაკუუმი და პოლარიზება ქართულ ეკლესიას მნიშვნელოვან აქტორულ ფუნქციებს აკისრებს, რომელიც ერის პოლიტიკურსა-ხელმწიფოებრივ კონსოლიდაციაში მდგომარეობს;

2. ეროვნულ-სახელმწოფოებრივი იდენტობის რეინტერპრეტაციისა და ფორმირების პროცესში მართლმადიდებელი ეკლესია იდეოლოგიური და ღირებულებითი თვალსაზრისით უფრო მდგრადი ინსტიტუტი აღმოჩნდა, რომელიც სხვა აქტორებთან შედარებით მის როლს კიდევ უფრო ზრდის;

3. მართლმადიდებლობა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში თავისი ტოლერანტული და ოპტიმისტური განწყობილებით უფრო გამოირჩევა, რომელიც პოლიტიკური პოლარიზებისა და გაუცხოების ფონზე მის ფუნქციებს უფრო აძლიერებსა და პრაგმატულს ხდის;

4. სახელმწიფოებრივი იდენტობა ერის პოლიტიკური სოციალიზაციის შედეგია, რომელიც ქართულ სინამდვილეში თავისი რაციონალურობითა და ეროვნული მიდგომებით არ გამოირჩევა; ამ ფონზე, მართლმადიდებელი ეკლესია თავის გამოკვეთილ პრიორიტეტად ეროვნული ღირებულებებისა და მეკვიდრეობითი ელემენტების დაცვას მიიჩნევს;

5. პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მეთაური, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავისი კონსენსუალური მიდგომებითა და დიალოგის მაღალი კულტურით გამოირჩევა, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. ილია ჭავჭავაძე. აი ისტორია. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987
2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. 2021. https://www.interpressnews.ge/ka/article/636685-sashobao-epistole
3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 2021 წლის სააღდგომო ეპისტოლე. https://www.interpressnews.ge/ka/article/654258-patriarkis-saagdgomo-epistole
4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სააღდგომო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2018
5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სააღდგომო ეპისტოლე. თბ., 2010 http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2010.htm
6. ნ.აბესაძე. ეროვნული იდენტობა და თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-კულტურული სივრცის დემოკრატიული ტრანზიცია. ,,ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეხუთე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. ,,უნივერსალი“, თბ., 2021, გვ. 220-228
7. ნ. აბესაძე. მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე ქართული ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობა. ,,ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეოთხე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. ,,უნივერსალი“, თბ., 2020, გვ. 237-249
8. ნ. აბესაძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესში. ჟ. ,,რელიგია“, 2, 2019, გვ.8-15
9. ენტონი დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა. ლოგოს პრესი, თბ., 2008

# Orthodoxy and the formation of a modern Georgian state identity

***Nodar Abesadze, PhD student***
***Georgian Technical University***

## SUMMARY

State identity is a form of political coexistence and development of a nation. The modern Georgian political space is in the process of forming a state identity. The new world order brought to the fore the problem of national identity; The rise of nationalism and religiosity is observed. Georgian democratic transition requires a new identity based on national pragmatism. The modern Georgian political identity is experiencing a certain crisis because the political space is institutionally polarized. Civic space lacks rationality and a new national pragmatism. The formation of a Georgian state identity is a necessary process of democratic transition. State Identity It is an institutionally formed political nation based on a democratic political and civic culture; It is a multiculturally integrated nation-state where human rights and equality are maximally protected. The modern Georgian state identity must be based on civic nationalism, which will be based on the integration of the polyethnic space.

The process of political socialization of a nation is important in the transition of national identity; Institutional polarization required a transformation of political socialization and the formation of national pragmatism. Irrational tendencies to reveal the political-intellectual potential of the nation have intensified. The role of the political elite in the transition of national identity is important, whose value priorities and national pragmatism play a crucial role in the transformation. During the transition period, the importance of a political leader who does not always play a rational role in the Georgian democratic transition is growing. Institutional vacuum and polarization in the Georgian political space have led to an increase in the role of the Orthodox Church. The Orthodox Church and the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II became a prominent actor in the formation of national identity. The church acquired its political status constitutionally. Orthodoxy has historically always been characterized by state thinking and national pragmatism. The Georgian Church bases its work on the principles of tolerance and consensus; His influence and authority in the process of political transition and the formation of a modern Georgian state identity are growing even more.

# ქართველი მუჰაჯირების ზოგიერთი საკითხისათვის

*თამარ გოგიაშვილი, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*როინ ვარშანიძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სტატია – „ქართველი მუჰაჯირების ზოგიერთი საკითხისათვის“ – ეხება ქართველი მუჰაჯირობის მიზეზებსა და ეტაპებზე. აღნიშნულია, რომ პირველი მუჰაჯირობა რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დაიწყო 1828-1829 წლებში, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ სამუსლიმანო საქართველოს – აჭარასა და სამცხე-ჯავახეთს შეეხო. მუჰაჯირობა მხოლოდ კავკასიური მოვლენა არ არის, იგივე ხდებოდა ყირიმის ნახევარკუნძულზე და ბალკანეთში. ეს კი ისევ და ისევ რუსეთ-ოსმალეთის საომარ ქმედებებს და მსოფლიო პოლიტიკას უკავშირდებოდა. პირველი გადასახლება 1867 წელს მოხდა. მიზეზი კი რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა და აფხაზეთის სამთავრობოს გაუქმება იყო, რასაც ხალხის აჯანყება მოჰყვა. დამარცხებული აფხაზები იძულებულნი გახდნენ სამშობლო დაეტოვებინათ და ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ. ათი წლის განმავლობაში, 1867-1877 წლებში, 50 000 აფხაზი გადასახლდა ოსმალეთში. დღეისთვის კი, დაუზუსტებელი ინფორმაციით, უცხოეთსი აფხაზ მუჰაჯირთა 400 ათასი შთამომავალი ცხოვრობს.

რაც შეეხება აჭარელთა მუჰაჯირობას, აქ ოფიციალური ვადაც კი იყო დაწესებული - მოსახლეობას სამი წლის განმავლობაში 1879-1882 წლებში, ეძლეოდა ნებართვა საცხოვრებლად ოსმალეთში გადასულიყო. ეს კი ბერლინის კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ხდებოდა, რომელიც რუსეთ-თურქეთის 1878-1879 წლების ომისშემდგომ დადებულ საზავო პირობებს შეეხებოდა.

რუსული მმართველობა ბათუმსა და აჭარაში ავიწროებდა მოსახლეობას და ხელს უწყობდა მათ მუჰაჯირობას. ამას ემატებოდა ოსმალეთიდან გადმოსული აგენტების, მოლა-ხოჯების ქადაგებები. ისინი აშინებდნენ ხალხს, რომ რუსები მაჰმადიანობას შეაცვლევინებდნენ, მიწა-წყალს წაართმევდნენ და ცოლებს გაუპატიურებდნენ.

გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები აქტიურად იყვნენ ჩართული ანტიმუჰაჯირულ კამპანიაში პუბლიცისტური ნაშრომებით თუ უშუალოდ ხალხთან მუშაობით. ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, დურსუნბეგ თავდგირიძე, თუფან-ბეგ და ყადირ-ბეგ შერვაშიძეები, აბდულ მიქელაძე, სერგეი მესხი,ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ ათაბაგი და სხვები დაუღალავად იბრძოდნენ, რომ მუჰაჯირობის პროცესი შეენელებინათ, შეეჩერებინათ.

საკვანძო სიტყვები: მუჰაჯირობა, აფხაზები, აჭარა, გადასახლება, ქართველი მუჰაჯირები, ყირიმის ნახევარკუნძული.

**შესავალი**

საუკუნენახევრის წინ ათიათასობით ქართველმა დატოვა საკუთარი მიწა-წყალი და ოსმალეთში გადაიხვეწა. მუჰაჯირობის მიზეზებსა და ეტაპებზე მეცნიერები, ისტორიკოსები და მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეები ხშირად წერდნენ. ილია ჭავჭავაძე რუს ჩინოვნიკებს ადანაშაულებდა, მათ ქცევაში ხედავდა ქართველ მუსლიმთა ოსმალეთში გადახვეწის ბრალს. სხვადასხვა პუბლიკაციებში გიორგი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი ასახელებდნენ საბაჟო გადასახადებს, ქვეყანაში არსებულ შიდა მოვლენებს, ასევე საგარეო ფაქტორებს (რუსეთ-ოსმალეთის ომები).

იმპერიებში არსებობდა „სანდო ხალხის“ კონცეფცია, რომელიც საზღვართან ლოიალური ხალხის ჩასახლებას და იმპერიის გაძლიერებას გულისხმობდა. ორივე იმპერია ამას ხელს უწყობდა.

**ძირითადი ნაწილი**

პირველი მუჰაჯირობა 1828-29 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დაიწყო. თუმცა, ის ისეთი მასშტაბური არ გახლდათ, როგორც შემდგომი ორი ეტაპი, რომელიც აფხაზეთს და სამხრეთ სამუსლიმანო საქართველოს - აჭარას და სამცხე-ჯავახეთს, შეეხო.

თუმცა, აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მუჰაჯირობა მხოლოდ კავკასიური მოვლენა არ არის, იგივე ხდებოდა ყირიმის ნახევარკუნძულზე და ბალკანეთში. ეს კი ისევ და ისევ რუსეთ-ოსმალეთის საომარ ქმედებებს და მსოფლიო პოლიტიკას უკავშირდებოდა.

თუ მუჰაჯირობის მეორე და მესამე ეტაპი რუ-

სეთ-თურქეთის ომს უკავშირდება, განსხვავებული მიზეზი აქვს აფხაზთა მუჰაჯირობას და ის აფხაზთა აჯანყებების შემდეგ გამოწვეულმა მოვლენებმა განაპირობა. აფხაზეთში კი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ოთხჯერ მოხდა აჯანყება.

პირველი გადასახალება 1867 წელს მოხდა. მიზეზი კი რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა და აფხაზეთის სამთავროს გაუქმება იყო, რასაც ხალხის აჯანყება მოჰყვა. დამარცხებული აფხაზები იძულებულნი გახდნენ, სამშობლო დაეტოვებინათ და ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ. ეს არის არა უბრალოდ ეპიზოდი, არამედ უმძიმესი ეროვნულ ტრაგედია, რამაც აფხაზი ხალხი ფაზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა"- წერდა ისტორიკოსი შ. ინალ-იფა. ათი წლის განმავლობაში, 1867-77 წლებში, 50 000 აფხაზი გადასახლდა ოსმალეთში. რუსეთის პოლიტიკური ინტერესი, ისევ როგორც შემდგომში აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში, საზღვრისპირა რეგიონებში მისთვის ლოიალური, პოლიტიკურად სანდო ხალხის ჩასახლება იყო, თურქეთს კი ეკონომიკური მუზნები ამოძრავებდა - დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისება, მიწების დამუშავება, ეკონომიკური სარგებლის მიღება, ქვეყნის დემოგრაფიული დონის გაზრდა და სამხედრო ძალის შევსება (სამხედრო ძალების შესუსტება ადამიანური რესურსის მხრივ კი გაუთავებელმა ომებმა გამოიწვია). დღეს, დაუზუსტებელი ინფორმაციით, უცხოეთში აფხაზ მუჰაჯირთა 400 ათასი შთამომავალი ცხოვრობს.

რაც შეეხება აჭარელთა მუჰაჯირობას, აქ ოფიციალური ვადაც კი იყო დაწესებული - მოსახლეობას სამი წლის განმავლობაში 1879-1882 წლებში, ეძლეოდა ნებართვა საცხოვრებლად ოსმალეთში გადასულიყო. ეს კი ბერლინის კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ხდებოდა, რომელიც რუსეთ-თურქეთის 1878-79 წლების ომის შემდგომ დადებულ საზავო პირობებს შეეხებოდა. გადასახლების წინააღმდეგი არც რუსეთი იყო და არც ოსმალეთი - ანუ გარკვეული სახით, ეს იყო გარიგება, რომელსაც ხალხი ეწირებოდა. რუსეთის მთავრობას მუჰაჯირობის ორგანიზებისთვის 500000 მანეთიც კი ჰქონდა გამოყოფილი. სამი წლის განმავლობაში ბათუმის ოლქიდან 38000 ადამიანი გადასახლდა ოსმალეთში. რა მოლოდინი ჰქონდათ იქ ჩასულ მუჰაჯირებს, ჩვენთვის უცნობია, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, თურქეთის მთავრობის დანაპირები მათ მიმართ არ სრულდებოდა.

მუჰაჯირები ძირითადად ხოფასა და ტრაპიზონში გადაჰყავდათ, საიდანაც ხდებოდა მათი გადანაწილება ოსმალეთის სხვადასხვა პროვინციაში. მხოლოდ 1879 წელს ზემო და ქვემო აჭარიდან 5458 კომლი გადასახლდა ოსმალეთში. რამდენიმე სოფე-ლი მთლიანად დაიცალა. ქედის მაზრის თითქმის ყველა სოფლიდან წავიდნენ მუჰაჯირად. ბევრი მათგანი გზაში, ბევრი კი - ადგილზე ჩასული დაიღუპა.

აჭარის სოფლებში მოსახლეობის რაოდენობა თანდათან მცირდებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ ოსმალეთში გადახვეწილებიდან ნაწილი დაბრუნდა აჭარაში, თუმცა, რუსეთის კოლონისტური პოლიტიკის გამო, ისევ ოსმალეთში წავიდნენ.

რუსული მმართველობა ბათუმსა და აჭარაში ავიწროებდა მოსახლეობას და ხელს უწყობდა მათ მუჰაჯირობას. ამას ემატებოდა ოსმალეთიდან გადმოსული აგენტების, მოლა-ხოჯების ქადაგებები. ისინი აშინებდნენ ხალხს, რომ რუსები მაჰმადიანობას შეაცვლევინებდნენ, მიწა-წყალს წაართმევენდნენ და ცოლებს გაუპატიურებდნენ.

ხალხი არჩევანის წინაშე იდგა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო: ადგილზე დარჩენილიყო თუ ოსმალეთში გადახვეწილიყო. სოფლებში იმართებოდა თავყრილობები, რომელსაც, მონაწილეთა სიმრავლის გამო, ოლქობას უწოდებდნენ. 1879 წლის აპრილში, დანდალოში გამართულ ოლქობაზე შეკრებილმა ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობამ, 2000-ზე მეტმა კაცმა, მიიღო დადგენილება: „ვისაც სურს აქ დარჩენა, დარჩეს, ვისაც წასვლა გნებავთ, გზა ხსნილია, წადით. გახიზვნა ადგილზე დარჩენა თვით სოფელმა გადაწყვიტოსო."

ასეთი ოლქობა ქედის ჯამეშიც გამართულა და აქ უკვე 4000-ზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი ზედა და ქვედა აჭარიდან. ხალხი ამბობდა, ჩვენ აქ არ დაგვედგომება და მუჰაჯირად უნდა წავიდეთო. მუფთმა ახმედ ეფენდი ხალიფაშვილმა ხალხს მიმართა: რუსნი ურჯულონი არ არიან, არც კერპები, მათ ღმერთი სწამთ, მათი კერპობის გამო ჩვენს წიგნებში არსად არაფერი სწერია, თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ მუჰაჯირად უნდა წავიდეთ, მერე სად უნდა წავიდეთ, ვისთვის და რისთვის, რა გაშინებთ თქვენ, რად სწუხართ, ჯერ ხომ რუსნი არ მოსულან. მოიცადეთ, მოვიდნენ ისინი,თუ ართლა აგვიღებენ და დაგვიჭერენ ჩვენ, ყველა ამას, რასაც ამბობთ თქვენ, მაშინ გაკიცხავთ. თუ მართლა რუსნი ისე გვიზამენ: ბაღნებს დაგვიტაცებენ. ქალებს დაგვიტაცებენ, ქალებს წაბილწავენ, მაშინ მე თვით ეს მოხუცი გამოვალ თქვენს წინაშე, ავიღებ ხელში ხმალს და დამბაჩას, გაგიძღვებით წინ და შევებრძოლებით".

განსაკუთრებული ღვაწლი აქვს ამ პროცესებში

აჭარის მეფოს, ახმედ ეფენდი ხალიფაშვილს, რომელიც ქართულად ქადაგებდა. მან ძმასთან გურჯი დომინ ყადი სამზიარიძესთან, რომელიც სულთან აზიზის ხოჯად იყო სტამბოლში, ერთად ყურანის ქადაგება ქართულად დაწერა და სტამბოლის ბრძანებით, მოუწოდა დასავლეთ საქართველოს ხოჯებს, რომ ჯამეებში ქართველ მაჰმადიანებში ქართულ ენაზე ექადაგათ. სტამბოლიდან 1840-იანი წლებიდან მიღებული ბრძანება 1870 წლამდე მოქმედებდა, მაგრამ შემდეგ, ახალი ბრძანების საფუძველზე, ხოჯებმა ოსმალურად დაიწყეს ქადაგება. ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი ბრძანებას არ ემორჩილებოდა და სიკვდილამდე ქართულად ქადაგებდა.

ის სტამბოლში დაიბარეს და სამართალში მისცეს ყურანის ქართულად ახსნისა და ქართულად ქადაგებისათვის. ახმედ ეფენდი ხალიფაშვილმა თავი იმართლა: „ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ენაც ქართულიაო“. მისივე გავლენით აჭარიდან ძალიან ცოტა ქართველი მაჰმადიანი გადასახლებულა ოსმალეთში.

**დასკვნა**

აჭარელთა მუჰაჯირობა უფრო ფართომასშტაბიანი იქნებოდა და უფრო მეტი ოჯახი გადასახლდებოდა ოსმალეთში, რომ არა ახმედ ეფენდი ხალიფაშვილის მსგავსი მოღვაწეების საქმიანობა. გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები აქტიურად იყვენნ ჩართული ანტიმუჰაჯირულ კამპანიაში პუბლიცისტური ნაშრომებით თუ უშუალოდ ხალხთან მუშაობით. ი. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, დურსუნბეგ თავდგირიძე, თუფან-ბეგ და ყადირ-ბეგ შერვაშიძეები, აბდულ მიქელაძე, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, გრ. ათაბაგი, და სხვები დაუღალავად იბრძოდნენ, რომ მუჰაჯირობის პროცესი შეენელებინათ, შეეჩერებინათ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი- ემიგრაცია, თბილისი.
2. ჭავჭავაძე ილ., ოსმალოს საქართველო, ტ. 4 , თბ., 1987 წ.
3. უმიკაშვილი პ., გურჯები (ქართველები) ოსმალეთში, ივერია, 1888 წ.
4. მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან, თბ., 1964 წ.

**For some issues of Georgian Muhajirs**

***Omar Gogiashvili, Porfessor***
***Georgian Technical University***

***Roin Varshanidze, PhD student***
***Georgian Technical University***

**Summary**

The article - "On some issues of Georgian Muhajir" - deals with the causes and stages of Georgian Muhajir. It is noted that the first Muhajir began after the Russo-Turkish War in 1828-1829, which affected Abkhazia and southern Muslim Georgia - Adjara and Samtskhe-Javakheti. Muhajir is not just a Caucasian event, it was the same on the Crimean Peninsula and in the Balkans. This was again and again connected with the Russian-Ottoman warfare and world politics. The first relocation took place in 1867. The reason was the conquest of the Caucasus by Russia and the abolition of the Abkhazian government, which was followed by a popular uprising. The defeated Abkhazians were forced to leave their homeland and relocate to the Ottoman Empire. In ten years, from 1867-1877, 50,000 Abkhazians were deported to the Ottoman Empire. Today, according to unconfirmed information, 400 thousand descendants of Abkhazian Muhajirs live abroad. As for the Muhajir of Adjara, there was even an official term here - the population was allowed to move to the Ottoman Empire for three years in 1879-1882. This was based on a decision made at the Berlin Congress on the post-war peace treaty between Russia and Turkey in 1878-1879.

The Russian government oppressed the population in Batumi and Adjara and encouraged them to emigrate. Added to this were the sermons of agents from the Ottoman Empire, the Mola-Khojas. They frightened people that the Russians would convert to Islam, seize land and water, and rape their wives.

Prominent Georgian public figures were actively involved in the anti-Muhajir campaign by publishing publicist works or working directly with the people. Ilia Chavchavadze, Grigol Orbeliani, Dursunbeg Tavdgiridze, Tufan-Beg and Kadir-Beg Shervashidze, Abdul Mikeladze, Sergei Meskhi, Niko Nikoladze, Grigol Atabagi and others fought tirelessly to stop the Muhajir process.

Keywords: Muhajirs, Abkhazians, Adjara, deportation, Georgian Muhajirs, Crimean Peninsula.

# ქართველი ახალგაზრდები როგორც სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი ნაწილი და მათი როლი ქვეყნის განვითარებაში

*ფრიდონ გონაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

საქართველო, ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით მრავალეთნიკური ქვეყანაა. მისთვის ამგვარი ეთნო-კულტურული მრავალწევრიანობა ერთობ მძიმე, მტკივნეული საკითხია და ამიტომაც მის ერთერთ მთავარ გამოწვევად დიდი სამოქალაქო სოლიდარობის შექმნა იქცა. სადაც ყოველ მოქალაქეს, ჯგუფობრივი კუთვნილებისდა მიუხედავად, ერთიანი და მძლავრი სახელმწიფოებრივი იდენტობა და ლოიალობა ექნება. ამგვარი ლოიალობის მიღწევის საწინდარს კი, როგორც წესი, უმთავრეს შემთხვევებში განვითარებული დემოკრატიული და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა წარმოადგენს.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება დაახლოებით ოცდაათ წელს ითვლის. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, პოლიტიკური დაძაბულობა, ეკონომიკური პრობლემები, სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა სამოქალაქო სექტორის განვითარების თანმდევი იყო. ამ დროისთვის, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი კვლავ გრძელდება, რომელიც რთული, წინააღმდეგობრივი პროცესია და შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ დასრულებულა. ზოგიერთ შემთხვევაში კი მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის და სახელმწიფოებრივი აზროვნების დაბალი დონე ართულებს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას.

საქართველოს ახალგაზრდობა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ ფენას, უდიდესი როლი ენიჭება ქვეყნის დემოკრატიული კუთხით განვითარება-გარდაქმნისა და სამოქალაქო საზოგადო-ების მშენებლობის პროცესში. ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოკრატიული განვითარების საქმეში და არის სახელმწიფოს დადებითი ცვლილებების მამოძრავებელი ძალა, რომლის წარმატება დიდად არის დამოკიდებული ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობაზე და ჩართულობაზე სამოქალაქო ცხოვრებაში.

იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდობა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტს, საქართველო, როგორც სახელმწიფო ვალდებულია აქტიურად იყოს ჩართული ახალგაზრდების განვითარებისა და წინსვლის პროცესში. მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ისეთი გარემო, სადაც საქართველოში მცხოვრები ყველა ახალგაზრდა იქნება თანას-წორი, თანაბარუფლებიანი და ექნებათ მრავალმხრივი განვითარების საშუალება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდების განათლებას, თვითრეალიზებას, ეროვნული ცნობიერებისა და სამხედრო-პატრიოტული ღირებულების გაძლიერებას. რაც სამომავლოდ განაპირობებს ჩამოყალიბდნენ სახელმწიფოებრივად და საზოგდოებრივად მოაზროვნე ადამიანებად, ახალი თაობის ლიდერებად, სრულფასოვან მოქალაქეებად და ქვეყნისთვის სასარგებლო პიროვნებებად.

საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდები, სახელმწიფოებრივი იდენტობა, სამოქალაქო ჩართულობა, სოციალური უთანასწორობა.

**შესავალი**

საქართველო 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა დემოკრატიზაციისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ გზაზე მან გარკვეულ წარმატებას მიაღწია, ჯერ კიდევ სუსტია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძვლები, რომელსაც საკვანძო ადგილი უჭირავს ევროპულ ღირებულებათა მთლიან სისტემაში.

საქართველო, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე თვალსაზრისით მრავალეთნიკური ქვეყანაა და პოსტ-კომუნისტურ ეტაპზე, მისთვის ამგვარი ეთნო-კულტურული მრავალწევრიანობა ერთობ მძიმე, შესაძლოა ითქვას, რომ მთავარ გამოწვევად იქცა. ამიტომაც, ერთ-ერთ მთავარ მტკივნეულ საკითხად იქცა დიდი სამოქალაქო სოლიდარობის შექმნა, სადაც მის ყოველ მოქალაქეს, ჯგუფობრივი კუთვნილებისდა მიუხედავად, ერთიანი და მძლავრი პოლიტიკური იდენტობა და ლოიალობა ექნება. ამგვარი ლოიალობის მიღწევის საწინდარს კი, როგორც წესი, უმთავრეს შემთხვევებში განვითარებული დემოკრატიული და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ინსტიტუციურ კომპონენტს, კომუნიკაციურ პრაქტიკას, სოციალურ-კულტურულ ღირებულებებსა და ნორმებს, პოლიტიკურ სივრცეში უპირატესად ნებაყოფლობით კოორდინაციას ახდენს. სახელმწიფოსგან განსხვავებით, მასში გაბატონებულია არა ბატონობისა და დაქვემდებარების ვერტიკალური ურთიერთობები, არამედ კონკურენციის, დაპირისპირების, ასევე სოლიდარობის, თანამ-შრომლობის, კორპორატიზმის ჰორიზონტალური ურთიერთობები თავისუფალ და იურიდიულად თანასწორ პარტნიორებს შორის. სამოქალაქო სა-ზოგადოების ორგანიზაციები წარმოიქმნებიან ნების თავისუფლად გამოხატვისა და თანაბარი სუბიექტების ნებაყოფლობითი თანხმობის შედეგად, არიან თვითორგანიზებულები და თვითმმართველები. ამ შემთხვევაში ვერტიკალური ურთიერთობები არ არის გამორიცხული, მაგრამ ჰორიზონტალური ფუნდამენტურია და დომინირებს.

აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის ადამიანთა საზოგადოების განსაკუთრებული ნაკრები, რომელიც არ არის მთლიანად საზოგადოების იდენტური, აქვს საკუთარი სპეციფიკა, რთულ ურთიერთქმედებაშია სახელმწიფოსთან. მოიცავს თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეებს, მათ ასოციაციებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე მრავალფეროვან ურთიერთობებს, რომელსაც სახელმწიფო არ უწევს შუამავლობით (ოჯახთან დაკავშირებული, ეთნიკური, ზნეობრივი, სულიერი, ეკონომიკური, პატრიოტული, პოლიტიკური, სოციალური და ა.შ.) მოქმედებებს. სამოქალაქო საზოგადოება მოქმედებს, როგორც სახელმწიფოს თანასწორი და სრულფასოვანი პარტნიორი ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური და გლობალური პრობლემების გადასაჭრელად.

სამოქალაქო საზოგადოება საშუალებას იძლევა ეფექტურად შეუწყოს ხელი სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესებისა და უფლებების დაცვას, მათ შორის, საკანონმდებლო ინიციატივების პოპულარიზაციის გზით. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თანამშრომლობის საფუძველზე მუშაობენ, აგვარებენ სოციალურ წინააღმდეგობებს და უზრუნველყოფენ სოციალური ურთიერთობების ჰარმოლიულობას. ამდენად, იგი ჯერჯერობით ერთადერთი იდეაა, რომელშიც ერთნაირადაა გათვალისწინებული როგორც სახელმწიფოს ინსტრუმენტალურობა, ასევე ერის, საზოგადოებისა და პიროვნების თავისუფლება. ამასთან, ეს საჭიროებები აუცილებლად ახდენდნს გავლენას ქვეყნის საერთო სახელმწიფოებრივ ფუნქციონირებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში, სამოქალაქო საზოგადოების ორი ძირითადი მოდელი კონცეპტუალურად არის განსაზღვრული და დასაბუთებული.

პირველი, დასავლური მოდელი აგებულია დასავლეთ ევროპაში სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებისა და ინსტიტუციონალური ფორმების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ცნობას მათ თანასწორობას კანონში, ახორციელებს სოციალური სამართლიანობის იდეებს, იყენებს საჯარო მმართველობის დემოკრატიულ მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკური აქტორების შესაძლებლობების თანასწორობას, ხელისუფლების დანაწევრებას და პოლიტიკურ პლურალიზმს.

მეორე მოდელი დამახასიათებელია აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის. იგი ასახავს თვითორგანიზაციის ტრადიციული ინსტიტუტებისა და დემოკრატიული მოდერნიზებული ტიპის ნასესხები ინსტიტუტების სინთეზს. აღმოსავლეთში საზოგადოების ინსტიტუციონალურ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სათემო, კონფესიურ, ეთნიკურ და ტერიტორიულ გაერთიანებებს.

მაგრამ, სამოქალაქო საზოგადოებას თუ შევხედავთ საქართველოს მაგალითზე პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე საქართველო აერთიანებს ტრადიციონალიზმისა და სამოქალაქო საზოგადოების დასავლეთის ინსტიტუციებს. მათი ბალანსი უფრო მოდერნიზებული და ორგანულია, ვიდრე აღმოსავლეთის ქვეყნებში. იგი აერთიანებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მოდელების ტრადიციებს, შემოაქვს საკუთარი კონკრეტული მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია ინტელექტუალურ და სოციოკულტურულ ტრადიციებთან, რაც განპირობებულია ქართული სახელმწიფოებრიობის უძველესი პრაქტიკით.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება დაახლოებით ოცდაათ წელს ითვლის. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, პოლიტიკური დაძაბულობა, ეკონომიკური პრობლემები, სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა სამოქალაქო სექტორის განვითარების თანმდევი იყო. ამ დროისთვის, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი კვლავ გრძელდება, რომელიც რთული, წინააღმდეგობრივი პროცესია და განსხვავდება ხანგრძლივო-

ბით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პროცესი არცერთ შემთხვევაში არ დასრულებულა და ზოგიერთ შემთხვევაში, მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის დაბალი დონე და სამართლებრივი გაუნათლებლობა ართულებს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას.

ამ ეტაპზე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ასოციაციების მუშაობაში მნიშვნელოვანი ხარვეზია ის, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს სტაბილური, სისტემატური და ორგანიზებული კავშირი სამოქალაქო ჯგუფებს შორის. ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში არსებობს პრობლემები, რომელიც მჭიდრო კავშირშია სახელმწიფო ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების პრობლემასთან. პირდაპირი კავშირი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების საქმიანობასა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის უზრუნველყოფას შორის გამოიხატება მოსახლეობის სურვილით რეგულირება გაუწიოს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს და ფართო სოციალურ დიალოგს, რომელშიც ჩართულია დაინტერესებული მხარეების რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი.

საქართველოს ახალგაზრდობას, რომელიც არის ახალი თაობა, ახალი ცოდნით, ახალი იდეებით, ახალი მოძრაობით და წარმოადგენს საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ ფენას, ქვეყნის დემოკრატიული კუთხით განვითარება-გარდაქმნის პროცესში უდიდესი როლი ენიჭება. ახალგაზრდები, საზოგადოების ის ნაწილია, რომლებიც გამოირჩევიან ქმედებებისა და გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლების მაღალი ხარისხით. ორიენტირებულნი არიან პროგრესულ ხედვაზე, სიახლეების მიღებასა და ინოვაციურ მიდგომებზე, რაც ქვეყნის განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანესია. სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ახალგაზრდა თაობა უფრო აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად არიან დაცულნი და ხშირად ეკონომიკურად, სოციალურად დამოკიდებულები არინ სხვებზე, მაინც უფრო გახსნილები და გაბედულები არიან. ცდილობენ, თავისი უნარების, შესაძლებლობების განვითარებას, თავიანთი პოტენციალის რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში საკუთარი როლის წარმოჩენას. უდაოა, რომ ქვეყანას რომელსაც საკუთარი მომავლის ხედვა გააჩნია აცნობიერებს, ახალგაზრდობის განვითარებას და სახელმწიფოს უკეთესი მომავლის შექმნას შეუწყობს ხელს.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ახალგაზრდობასთან დაკავშირებული ასპექტების მოწესრიგება ხდება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტებით. დღესდღეობით საქართველოს ახალგაზრდობის სფეროს მოწესრიგების მიზნით სამართლებრივ ბაზაში ერთიანდება:

- კანონი ,,ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ" (2001 წლის 27 აპრილი);
- კანონი ,,არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ" (2001 წლის 28 სექტემბერი);
- ,,2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია" (საქართველოს პარლამენტის დადგენილება 17 ივლისი 2020 წ);
- „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი" (2014 წლის 28 მარტის საქართველოს მთავრობის N 553 განკარგულება);
- 2016 წლის მაის-ივნისში საქართველოში შელის ახალგაზრდული კვლევის საფუძველზე (რომელიც 1953 წლიდან ტარდება გერმანიაში და ევროპის კიდევ სხვა ქვეყნებში) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებად დაყოფილ (მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტი ახალგაზრდობა, მუშა ახალგაზრდობა და სხვ.) ახალგაზრდების წინაშე კვლავ არსებობს გამოწვევები პირადი, პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური კუთხით.

ბოლო ათწლეულში საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ ახალგაზრდები უფროპირადიცხოვრებითარიანდაინტერესებულნი და მას გამოყოფენ პოლიტიკური ცხოვრებისაგან. მათთვის ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანია. ასევე, მათ შორის აღსანიშნავია პოლიტიკური ინდიფერენტულობა და პასიურობა პოლიტიკური და სამოაქალაქო ჩართულობის კუთხით. მათში დომინირებს შეხედულობა, რომ სახელმწიფო მათ ინტერესებს ადექვატურად არ აღიქვამს. პოლიტიკური მოვლენებისა და სამოქალაქო ჩართულობის მიმართ ინდიფერენტულები არიან. განსაკუთრებით, დაბალია დაინტერესება რეგიონალური და გლობალური პრობლემებისადმი, შედარებით მაღალია ინტერესი შიდა პოლიტიკის მიმართ. დაბალია ნდობა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი. კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი ახალგაზრდები გატაცებულნი არიან ქართული კულტურისა და ტრადიციული ფასეულობების აღდგენა-შენარჩუნებით. ყველაზე დიდი ნდობა

არის ეკლესიის მიმართ. დაბალია ტოლერანტობისა და განსხვავებული შეხედულებების მიმღებლობა. საკმაოდ დიდი სხვაობა დედაქალაქსა და სოფლის მცხოვრებ ახლგაზრდებს შორის - სოფელში ახალგაზრდები უფრო კონსერვატულები არიან, ხოლო დედაქალაქში კი მეტად იზიარებენ ლიბერალურ შეხედულებებს. რთულია ეთნიკურ ჯგუფთა ერთ მთლიან სამოქალაქო სივრცედ გარდაქმნის პროცესი, ერთი მხრივ, უნდობლობა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი და, მეორე მხრივ, თვით ინსტიტუტთა სისუსტე, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებთან მუშაობენ (რაც თავის მხრივ ინსტიტუტებისადმი ნდობის არცთუ მაღალ ხარისხს წარმოშობს) კვლავაც განაპირობებს საზო-გადოების სხვადასხვა სეგმენტების ურთიერთ-გაუცხოებას და იზოლაციონიზმს.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში არცერთი კვლევა არ ჩატარებულა ახალგაზრდების ინტერსების, მისწრაფებებისა და შესაძლებლობების შესასწავლად, ასევე არც ერთი კვლევა არ არის ჩატარებული ეროვნულ-პატრიოტული ცნობიერებისა და სამხედრო-ღირებულების კუთით.

იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდობა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტს, ხოლო მათ წინაშე მდგარ პრობლემებს უმნიშვნელოვანეს საკითხად და გამოწვევად მიიჩნევს, საქართველო, როგორც სახელმწიფო ვალდებულია აქტიურად იყოს ჩართული ახალგაზრდების განვითარებისა და წინსვლის პროცესში. საქართველოს ახალგაზრდობა ეს ის ძალაა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და დემოკრატიული განვითარების საქმეში. იგი არის ქვეყნის დადებითი ცვლილებების მამოძრავებელი ძალა, რომელსაც ეკუთვნის ქვეყნის ხვალინდელი დღე, ხოლო საქართველოს თანმიმდევრული განვითარება მის ინტერესსს და მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს. ქვეყნის წარმატება დიდად არის დამოკიდებული ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობაზე და ჩართულობაზე სამოქალაქო ცხოვრებაში.

როგორი იქნება საქართველოს ფიზიკური და კულტურული უწყვეტობა სწორედაც, რომ ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული. ახალგაზრდა თაობა პასუხისმგებელია საკუთარი სახელმწიფოს აწმყოსა და მომავალზე. იგი აცნობიერებს ამ პასუხისმგებლობას უნივერსალური ადამიანური ღირებულებების, ეთიკის ნორმებისა და ქვეყნის ისტორიული იდენტურობის ტრანსფორმაციისა და განხორციელების საფუძველზე. საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ ახალგაზრდას სურს, რომ იცხოვროს უსაფრთხო გარემოში, რომ ქონდეთ კონსტიტუციური, დემოკრატიული, სახელმწიფო, რომ მათი სამშობლო აღორძინდეს და უკეთესად ცხოვრობდნენ. თუ საკითხს ამ კუთხით მივუდგებით, დავინახავთ რომ ისინი არ არიან ერთმანეთის სრული ანტიპოდები და დიდ სხვაობას მათ შორის ვერ დავინახავთ.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ისეთი გარემო, სადაც საქართველოში მცხოვრები ყველა ახალგაზრდა იქნება თანასწორი, თანაბარუფლებიანი და ექნებათ მრავალმხრივი განვითარების საშუალება. განსაკუთრებული ყურაღება უნდა მიექცეს ახალგაზრდების განათლებას, თვითრეალიზებას, ეროვნული ცნობიერებისა და სამხედრო-პატრიოტული ღირებულების გაძლიერებას. რაც სამომავლოდ განაპირობებს ჩამოყალიბდნენ სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად მოაზროვნე ადამიანებად, ახალი თაობის ლიდერებად, სრულფასოვან მოქალაქეებად და საზოგადოების აქტიურ, ქვეყნისთვის სასარგებლო პიროვნებებად. მათი მეშვეობით უნდა მოხდეს საქართველოს დემოკრატიული და სოციალ-ეკონომიკური განვითარება. სწორედ ისინი არიან სახელმწიფოს უმთავრესი რესურსი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ძლიერი და წარმატებული ქვეყნის არსებობა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი 2019-2021.
2. ახალგაზრდების კვლევა საქართველოში, 2016: ფოკუსური ჯგუფის გზამკვლევი, თბ., 2016.
3. ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო, თბ., 2017. საქართველოს ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკა.
4. სამოქალაქო საზოგადოება, შედარებითი ანალიზი, ღია საზოგადოება, ფონდი საქართველო, 2007.
5. მუსხელიშვილი მ., სამოქალაქო საზოგადოება შედარებითი ანალიზი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006 წ.

6. ლოსაბერიძე დ., საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2011 წ.
7. მენაბდიშვილი ლ., საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობა, სოციალურ-დემოგრაფიული ნარკვევები. 2019 წ.
8. Diamond L, Developing Democracy Toward Consolidation, The John Hopkins University Press. 1999.
9. კანონი ,,ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“(2001 წლის 27 აპრილი); https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4561526?publication=0 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.11.2021)
10. კანონი ,,არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ“ (2001 წლის 28 სექტემბერი);https://matsne.gov.ge/ka/document/view/15652?publication=5 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2021)

## Georgian youth as an integral part of civil society and their role in the development of the country

***Pridon Gonashvili, PhD student***
***Georgian Technical University***

### Summary

Georgia is a multinational country both in historical and modern terms. For it such ethno-cultural diversity is a complex, painful issue, and therefore one of its main challenges has been to create great civil solidarity, where every citizen, regardless of group affiliation, will have a single and strong state identity and loyalty.

A precondition for achieving such loyalty in most cases is the existence of a developed democratic and strong civil society.

Civil society institutions, working on the basis of cooperation between various social groups, make it possible to effectively promote the interests and rights of different groups, resolve social conflicts and ensure the harmony of social relations, which equally address the instrumentality of the state and freedom of nation, society and individual. However, these needs inevitably affect the overall state functioning of the country.

The development of civil society in Georgia is about thirty years old. Throughout this period, political tensions, economic problems, poverty and social inequality has accompanied the development of the civil sector. At the moment, the process of forming a civil society in Georgia is still underway, which is a complex, contradictory process and we can say that it has not yet been completed. In some cases, a low level of civic engagement and state thinking complicates the building of a civil society.

The youth of Georgia, being the most important social stratum of society, plays a significant role in the process of democratic development and transformation of the country and the construction of civil society. It plays an important role in the political, economic, social, democratic development of the country and is the driving force of positive changes in the state, the success of which largely depends on the active participation and involvement of young people in civic life.

Due to the fact that the youth is a priority of our country, Georgia as a state is obliged to be actively involved in the development and promotion of youth. It is important to create an environment in which all young people living in Georgia will be equal, will have equal rights and the opportunity for multifaceted development. Particular attention should be paid to the education of young people, their self-realization, strengthening national consciousness and military-patriotic values, which will lead to their future formation as state and public-minded figures, leaders of a new generation, full citizens and useful people for the country.

# კულტურული სოციალიზაციის ასპექტები

*ნანა ბეგაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველოში მიმდინარე კულტურული სოციალიზაციის ზოგად ასპექტებს. სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი ეუფლება ამა თუ იმ კონკრეტული ჯგუფისათვის მისაღებ ნორმებს. ეს ნორმები შეიძლება მოიცავდეს ენის სწავლას, სოციალური როლების ცოდნას და ამ როლების შესაბამის ქმედებას, ფიზიკური და სოციალური გარემოს ასპექტების სპეციფიკურ აღქმასა და გააზრებას. სოციალიზაციის პროცესი სამ ეტაპად იყოფა: 1) ბავშვის აღზრდა ოჯახის ან სხვა მომვლელის მიერ; 2) პროცესში ისეთი სოციალური ინსტიტუტების ჩართვა, როგორიცაა სკოლა, სამეზობლო, თანატოლთა წრე, ტელევიზია, ეკლესია და ა.შ. 3) ზრდასრულთა სოციალიზაცია, რომელიც გულისხმობს ზრდასრული ადამიანის ახალ სოციალურ როლებთან თუ სიტუაციებთან ადაპტაციას. ასეთი ტიპის სოციალიზაციას განეკუთვნება, მაგალითად, ქორწინება, მშობლის ფუნქციების გათავისება, საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში წასვლა, ახალ სამუშაოზე გადასვლა...

სხვადასხვა სოციო კულტურული ჯგუფი სამყაროს სხვადასხვანაირად აღიქვამს და ამის მიხედვით ყალიბდება განსხვავებული კულტურული რწმენები და დამოკიდებულებები. კულტურას ხშირად ადარებენ აისბერგს. წყლის ზედაპირზე აისბერგის მხოლოდ 10%-ის დანახვაა შესაძლებელი, ხოლო აისბერგის 90% წყალშია დამალული. აისბერგის მსგავსად, კულტურის ყველაზე შინაარსობრივი ნაწილია შეუმჩნეველი და მას კულტურის სუბიექტურ ნაწილს უწოდებენ, ხოლო ხილულ ნაწილს – ობიექტურს.

კულტურის სუბიექტური კომპონენტები არის კულტურის ვიზუალურად და მატერიალურად შე-უმჩნეველი ასპექტები, კერძოდ, დამოკიდებულებები, ღირებულებები, ქცევის წესები და ნორმები, სწავლის სტილი, სოციალური როლების იერარქია და ა.შ. ხშირად სწორედ კულტურის სუბიექტური ასპექტები წარმოქმნის ინტერკულტურულ გაუგებრობებს და სწორედ მათზე უნდა მოხდეს ფოკუსირება. მულტი კულტურის ობიექტური კომპონენტები მოიცავს ჯგუფისათვის დამახასიათებელ ვიზუალურად და მატერიალურად ხელშესახებ ელემენტებს, მაგალითად, ენას, რომელზეც ლაპარაკობენ; ტრადიციებსა და რიტუალებს, რომელთაც იცავენ; ტანსაცმელს, რომელსაც ატარებენ; საჭმელს, რომელსაც მიირთმევენ და ა.შ. ყველა ეს ელემენტი ადვილად შესამჩნევია და მათი დანახვა ყველას თანაბრად შეუძლია.

სწორედ ობიექტური კულტურის ელემენტები იგულისხმება ხშირად, როდესაც საუბარია კულტურულ განსხვავებებზე. კულტურული თუ ინტერკულტურული განათლების დროს. ინტერკულტურული განათლება, უპირველეს ყოვლისა, არის განათლება ღირებულებების შესახებ, რომლის მთავარი მიზნები, ძირითადად, მიმართულია სოლიდარობისა და ტოლერანტობის გაღვივებისკენ და რომლის პრინციპებიც არსებითად მოიცავს მულტიკულტურულ თუ მულტილინგვურ საზოგადოებაში ინტეგრაციას. ინტერკულტურული მიდგომა გულისხმობს ისეთი საგანმანათლებლო აქტივობების გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სწავლების პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს შორის აზრების გაცვლას, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი ცოდნისა და მოსაზრებების ფორმირებას. მრავალფეროვნება, იქნება ეს ინდივიდუალური, კულტურული, რელიგიური და ა.შ. საჭიროებს ამ სხვაობების აღქმისა და მიღების უნარს, რომელიც გამორიცხავს კონფლიქტს, ძალადობას, ზოგადად, ადამიანის უფლებების შელახვას და ხელს უწყობს თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: სოციალიზაცია, კულტურა, ინტერკულტურული განათლება, უმცირესობები,ეთნიკური მრავალფეროვნება

## შესავალი

ინტერკულტრული უნარ-ჩვევებს, კომპეტენციებს და ძირითად ღირებულებებს განსაზღვრავს: განსხვავებული კულტურული კუთვნილების ადამიანებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების უნარი; კონფლიქტური სიტუაციის ანალიზისა და პრობლემის გადაჭრის უნარი; როგორც საკუთარი, ასევე სხვების კულტურის შეცნობისა და პატივისცემის უნარი; რასისტული, ქსენოფობიური და არატოლერანტული შეხედულებების მიუღებლობის უნარი; ინტერესი სხვა ეთნიკური ჯგუფების ადათ-წესებისა და ღირებულებების მიმართ.

სოციალური ურთიერთობების შედეგად, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი იზიარებს ერთმანეთის ცოდნას, დამოკიდებულებებს, ღირებულებებსა და რწმენას და აყალიბებს ღირებულებათა იერარქიას. ასე იქმნება კულტურა. თუმცა ღირებულებათა ეს იერარქიაც შესაძლებელია შეიცვალოს დროთა განმავლობაში. მნიშვნელოვანია, რომ თავად ტერმინი კულტურა და მასთან დაკავშირებული სწავლა-სწავლების თემატიკის განხილვა ხშირად იწვევს დებატებს, რადგან ამ ტერმინს ყველა თავისებურად აღიქვამს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, შევეხოთ კულტურისა და სოციალიზაციის ურთიერთმიმართების საკითხებს.

**ძირითადი ნაწილი**

კულტურას სწავლობს არაერთი სამეცნიერო დისციპლინა, მაგალითად, ანთროპოლოგია, სოციოლოგია, განათლების მეცნიერებები, ფსიქოლოგია, ბიზნეს-ეკონომიკა და სამხედრო მეცნიერებებიც კი. თუკი ყველა ამ სამეცნიერო დარგს გადავხედავთ, ტერმინ "კულტურის" ასობით განსხვავებული განმარტება შეგვხვდება. რა თქმა უნდა, ყველა ეს განმარტება არ არის ადეკვატური სასწავლო პროცესისა და კულტურის უშუალოდ დასაკავშირებლად. თუმცა, ამ განმარტებებს აერთიანებს ის, რომ "კულტურა არის ადამიანების მიერ შექმნილი გარემო". კულტურა გამოხატავს ადამიანის ფიქრებს, იდეებს, ადამიანთაშორისი ურთიერთობების მახასიათებლებს. იგი არის სოციალური ქმედებების, რწმენის, ხელოვნების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების მთლიანობა, რომელიც შექმნილია ადამიანთა გარკვეული ჯგუფის შრომისა და ფიქრის შედეგად. კულტურის მთავარ შემადგენელ ელემენტებად მოიაზრება გეოგრაფიული მდებარეობა, ეთნიკური კუთვნილება, ენა, რელიგია და ისტორია.

**უმცირესობები**

ტერმინი "უმცირესობა" სხვადასხვა მნიშვნელობით შეიძლება იქნას გამოყენებული: ადგილის, ენის, რელიგიისადმი კუთვნილების ნიშნით, მაგრამ ყველაზე ხშირად მასში მოიაზრება ადამიანების გარკვეული ჯგუფი, რომელიც განსხვავებულ კულტურულ არეალში დიდი ხნის (ხშირად საუკუნეების) განმავლობაში ცხოვრობს.

განათლების ინტერკულტურული მიდგომებიც, რომელიც სწორედ მრავალფეროვნებაზეა აგებული, მოიცავს "ჰარმონიული თანაცხოვრების" სწავლებასა და დემოკრატიული ცნობიერების პრინციპებს და მიმართულია მშვიდობიანი, ანტიდისკრიმინაციული ურთიერთობების ჩამოყალიბებისაკენ. ევროპის უმრავლეს ქვეყანაში უმცირესობების საგანმანათლებლო პროგრამები თუ მათთვის განკუთვნილი სკოლები მოსწავლეებს ბილინგვურ (ორენოვან) განათლებას ან ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებს (მშობლიურ ენაზე) სთავაზობენ, რომლის შინაარსიც კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხებს მოიცავს. ამ ფონზე, უმცირესობათა უფლებების დამცველი კანონმდებლობა და საგანმანათლებლო მიდგომები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.

საქართველო და ინტერკულტურული განათლება საქართველოს კონტექსტში საკმაოდ მნიშვნელოვანია ინტერკულტურული განათლების დანერგვა, რადგან საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა.

არსებობს 4 რეგიონი, სადაც კომპაქტურად განსახლებულია განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები. ეს რეგიონებია: აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. ქისტები კომპაქტურად სახლობენ კახეთში (პანკისის ხეობა), თუმცა ქისტები რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ 7%-ს შეადგენენ. კომპაქტური განსახლების გარდა, საქართველოში გვხვდება ისეთი ეთნიკური ჯგუფების დისპერსიული, შერეული განსახლებები, როგორებიცაა რუსები, ბერძნები, ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ასირიელები, უკრაინელები და სხვ. საქართველო რელიგიურადაც მრავალფეროვანი სახელმწიფოა, სადაც სახლობენ განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლები, უფრო მეტიც, ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები არიან. საქართველოში მდიდარია ლინგვისტური მრავალფეროვნებაც, დომინანტი ენაც სხვადასხვა დიალექტური მრავალფეროვნებით ხასიათდება. საქართველოში ბოლო წლებში არსებული მიგრაციული პროცესების ანალიზისას ნათელი ხდება საქართველოში შემოსულ უცხოელ მოქალაქეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. ეს რეალობა უნდა აისახოს საგანმანათლებლო სისტემაშიც.

აღსანიშნავია აგრეთვე ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან ლტოლვილი მოსახლეობა, რომელიც განსახლებულია პანკისის ხეობაში. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ საქართველოში რამდენიმე მწვავე ეთნიკური კონფლიქტი მოხდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ინტერკულტურული განათლების ასპექტების დამკვიდრების აუცილებლობაზე, რადგან ინტერკულტურული განათლება კონფლიქტის მოგვარებისა და პრევენციის ერთ-ერთ მნიშვნე-

ლოვან ინსტრუმენტად მიიჩნევა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის შედეგად საქართველოში გაიზარდა იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთა რიცხვი. მათი საჭიროებების, ისევე როგორც მათი განათლებისათვის აუცილებელი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში. ქვეყანაში არსებული მრავალფეროვნება ასახულია საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაშიც. საქართველოში 265 არაქართულენოვანი საჯარო სკოლაა, რაც საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 11, 96 %-ს შეადგენს.

მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნების მსგავსად საჯარო სკოლის მოსწავლეთა შემადგენლობაც მრავალფეროვნებით ხასიათდება. არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების რაოდენობა და ხვედრითი წილიც საკმაოდ მაღალია.

მრავალფეროვნების დადებითი მხარეები სწავლების პროცესში მრავალფეროვნება სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის რესურსს წარმოადგენს და, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ხელს უწყობს მულტიკულტურულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის მომზადებული მოქალაქის ჩამოყალიბებას.

გლობალიზაციისპროცესმადასაჭიროებამ,რომ მოქალაქეები უნდა მოემზადონ პლურალისტურ და მრავალფეროვან მსოფლიოში საცხოვრებლად, რადიკალურად შეცვალა მრავალფეროვნებისადმი დამოკიდებულება და ნათლად გამოკვეთა ინტერკულტურული განათლების აუცილებლობა. მრავალფეროვნების საგანმანათლებლო პარადიგმა ხაზს უსვამს, რომ მრავალფეროვნება სასარგებლოა, როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობისთვის.

**დასკვნა**

ახალი გამოწვევებისა და თანამედროვე ადამიანის წინაშე გადაშლილი ახალი პერსპექტივების ფონზე, საერთაშორისო თუ სახელმწიფო ორგანიზაციები უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თითოეული ინდივიდის უფლებას, იცხოვროს ეთნიკურად და კულტურულად განსხვავებულ გარემოში. სწორედ ამიტომ, ინტერკულტურული განათლება აუცილებელი პირობაა იმისა, რომ საზოგადოების ცხოვრებაში სამ სხვადასხვა (ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ) საფეხურს შორის შემაერთებელი ხაზი გაევლოს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ზაალ კიკვიძე, სოციოლინგვისტიკურ ტერმინთა გლოსარიუმი, ქუთაისი, 2008;
2. გ. რამიშვილი, დედაენის თეორია. დედაენა, მისი ფუნქციები და მისი სწავლება. თბილისი, 2000.
3. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; პირველი ნაწილი; ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი; თბილისი, 2007;
4. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; მეორე ნაწილი; ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი; თბილისი, 2008;
5. ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში; ენობრივი მრავალფეროვნებიდან - მრავალენოვან განათლებამდე; თბილისი, 2008.
6. პადრაიგ ო' რიაგენი, ჯორჯ ლიუდი, ბილინგვური განათლება: ძირითადი სტრატეგიული ამოცანები; თბილისი, 2008.

## General aspects of cultural socialization

***Nana Begashvili, Phd student***
***Georgian Technical University***

### Summary

The paper deals with the general aspects of the current cultural socialization in Georgia. Socialization is the process by which an individual masters the norms acceptable to a particular group. These norms may include language learning, knowledge of social roles and the corresponding action of these roles, specific perceptions and understandings of aspects of the physical and social environment. The socialization process is divided into three stages: Raising a child by a family or other caregiver; Involvement of such social institutions as school, neighborhood, church… Adult socialization, which involves the adaptation of an adult to new social roles or situations. This type of socialization includes, for example: marriage, moving to another country. Different socio-cultural groups perceive the world differently and different cultural beliefs and attitudes are formed accordingly.

The subjective components of culture are the visually and materially invisible aspects of culture: attitudes, values, rules and norms of behavior, learning style. Often it is the subjective aspects of culture that generate intercultural misunderstandings and should be the focus of them. The components of a multicultural culture include the visually and materially relevant characteristics of the group: language, traditions. All these elements are easily noticeable and everyone can see them equally. That is the elements of obscure culture are implied when it comes to cultural differences.

Intercultural education is an education about values whose main goals are solidarity and tolerance. An intercultural approach involves the use of educational activities that facilitate the exchange of ideas between all people involved in the learning process, as well as the formation of new knowledge and ideas. It is important to create a welcoming environment.

Keywords: Socialization, Culture, Intercultural education, Minorities, Ethnic diversity.

# დიმიტრი უზნაძე რელიგიური აღზრდის შესახებ

*ნანა ბოკუჩავა, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

დიმიტრი უზნაძის ზოგადპედაგოგიური კონცეფციის მიხედვით, აღმზრდელობითი პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს რელიგიური აღზრდა წარმოადგენს. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, როგორც წესი, განვითარების უზენაეს კანონიკას უნდა ექვემდებარებოდეს და ამასთანავე, ცხოვრების მიზნით, აზრითა და შინაარსით უნდა იყოს გაჯერებული. ადამიანი კი, როგორც დ. უზ-ნაძე მიუთითებს, თავისი არსით რელიგიურია, რელიგია მისითანდაყოლილი,დამოუკიდებელიღირებულებაა, ხოლო რელიგიური მოთხოვნილება „პირველყოფილი, ძირითადი და აღმოუფხვრელი მოთხოვნილება“. შესაბამისად, როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს საგანმანთლებლო გარემო, აღსაზრდელის ფსიქიკის ამ მიმართულებით ფუნქციობის გარეშე ვერ მოხერხდება აღზრდის მიზნის, კერძოდ, ყოველი კონკრეტული ბავშვისთვის სწორედ და მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი იდეალური ადამიანის ფორმირების მიღწევა.

დ. უზნაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსგავსად აღზრდის ყოველი მიმართულებისა, რელიგიურ აღზრდასაც გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი ასპექტები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია, რამეთუ ამ სფეროში შეცდომის დაშვება განსაკუთრებითსავალალოდაისახებააღსაზრდელის პიროვნული წყობისა და ქცევითი მექანიზმების ჩამოყალიბებაზე. რელიგიური აღზრდის დადებით ასპექტებად დ. უზნაძე მოიაზრებს იმას, რომ ადამიანი რელიგიის საშუალებით უერთდება რა აბსოლუტს, მის ყოვლისშემძლე არსში პოულობს თავისი გაძლიერების, მიზანმიმართულ-ღირებული არსებობის საფუძველს და აღწევს თავს უმწეობა-სასოწარკვეთილების, უმიზნობა-აბსურდულობის განცდას. რელიგიური აღზრდის უარყოფით ასპექტად წარმოგვიდგება რელიგიური ფანატიზმის საშიშროება, რომელიც ქმნის ნიადაგს აღსაზრდელის საყრდენგამოცლილ, ნევროტიკ და მერყევ ადამიანად ჩამოყალიბებისა.

რელიგიურ აღზრდაზე, როგორც ასეთზე, უნდა ზრუნავდეს ოჯახიც და სკოლაც. სკოლაში აქცენტი უნდა კეთდებოდეს შემეცნებაზე და რელიგიის სწავლების ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს რელიგიური ცნობიერების ფორმირება. დ. უზნაძე საუბრობს ქრისტიანული სარწმუნოების დიდმნიშვნელოვნების შესახებ ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში და აღნიშნავს, რომ ჩვენს სკოლებში რელიგიის სწავლება ამ მიმარ-თულებითაც უნდა წარიმართოს. რაც შეეხება რელიგიურ გრძნობებს, ამ უკანასკნელთა განსაკუთრებით ინტიმური და ინდივიდუალური ხასიათის გამო, მათზე მუშაობა სკოლას არ ხელეწიფება, რამეთუ „სკოლა აღსაზრდელის ინდივიდუალობას ვერასდროს ანგარიშს ვერ გაუწევს“ (1: 4). რელიგიური გრძნობების აღზრდა ოჯახში უნდა მოხდეს.

საკვანძო სიტყვები: რელიგია, აღზრდა, აღსაზრდელი, აღმზრდელი, სკოლა, ოჯახი.

შესავალი

ნებისმიერ სახელმწიფოში საგანათლებლო სისტემის ფუნქციონირება ეროვნული კულტურის დაცვისა და განვითარების ფონზე უნდა მიმდინარეობდეს. საქართველოსთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ერთის მხრივ, ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის ბუნებრივად ჩამოყალიბებული შერევა და მეორეს მხრივ, მრავალრელიგიური თანაცხოვრების კანონიკა. შესაბამისად, იგი განათლების ეროვნულ სისტემაში რელიგიური აღზრდის ადგილისა და რელიგიური და სეკულარული განათლების ურთიერთმიმართების გაცნობიერების პრობლემას გვერდს ვერ აუვლის. ამ თვალსაზრისით, ერთობ მნიშვნელოვანია, უცხოურ თეორიებთან ერთად საგანმანათლებლო აზროვნების ქართულ ტრადიციასაც ჩავუღრმავდეთ.

დიმიტრი უზნაძემ თავისი ზოგადპედაგოგიური კონცეფცია 1910-1916 წლებში ჩამოაყალიბა. მან იმ პერიოდში არსებულ საგანმანათლებლო ტენდენციებზე დაყრდნობით დაამუშავა აღზრდის ახალი პარადიგმა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ბავშვის ინდივიდუალუ-რი მახასიათებლებისა და ფსიქიკური თავისებურებების გათვალისწინება. დ. უზნაძის აზრით, პედაგოგიკის მიზანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ სასწავლო მასალის დამახსოვრება-ათვისება;ბავშვი უნდა აღიზარდოს პიროვნული სუვერენიტეტით, რათა შეძლოს თავისუფალი და შემოქმედებითი აქტივობების საშუალებით განახორციელოს თვითგამორკვევა-თვითრეალიზაციის უწყვეტი

პროცესი, არა მხოლოდ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ ადამიანურ ღირებულებათა ორიენტაციის სფეროშიც. აღნიშნული კი მიღწევადი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლა და ოჯახი წვრთნის, დრესურის და პიროვნული ნიველირების კი არა, ბავშვის არსების ყოველმხრივი განვითარების კერად იქცევა. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ადამიანი ორი სამყაროს - მატერიალურ-ფიზიკალურისა და ღვთაებრივ-სულიერის მკვიდრია. საგანმანათლებლო სივრცე ისე უნდა იყოს გამართული, რომ სასწავლო-სააღმზრდელო ფუნქციობა ორივე მიმართულებით გახდეს შესაძლებელი. დ. უზნაძე მიუთითებს სულისა და სხეულის არსობრივ მახასიათებელთა სხვადასხვაობაზე. სხეული გრძნობათა ორგანოებით შეცნობადია, ხოლო სული გონებით. მეორეში იგივეობის კანონი ბატონობს, პირველში კი შემოქმედება, რომლის ნიშანდობლივ თვისებას უსაზღვროება წარმოადგენს; ამიტომ სული ადამიანში უნივერსალობას, აბსოლუტობას წარმოაჩენს, ანუ ადასტურებს, რომ ადამიანი შექმნილია „ხატად და მსგავსად უფლისა“. შესაბამისად მისი განვითარების გზა ამ ინდექსითაც უნდა იყოს აღბეჭდილი. „აღზრდას არასდროს არ უნდა ჰქონდეს დასახული მიზნად ცალმხრივობა. იგი უნდა ილტვოდეს ადამიანის ყოველმხრივ განვითარებისაკენ“(1: 3), მათ შორის რელიგიური განვითარებისაკენ.

**ძირითადი ნაწილი**

დ. უზნაძე თავის შრომებში მრავალგზის ეხება რელიგიურ პრობლემატიკას და ლოგიკური თანმიმდევრობით ავითარებს მსჯელობას იმის შესახებ, რომ სინამდვილე ონტოლოგიურად ერთი მთლიანობაა, რომელსაც უნივერსალური ძალა მართავს. „ორგანული და არაორგანული, განსულიერებული და პასიური ერთ ნიადაგზე აღმოცენდებიან: ერთია მსოფლიო თავის დასაბამში, მრავალფეროვანი და მრავალსახიანია იგი მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში. აქტიური და განსულიერებულია იგი თავისთავად, ჩვენგან დამოუკიდებელ არსებობაში თუ პასიური, - როგორც ეს მატერიალიზმს ჰგონია, - ეს სულ ერთია. იქ იმ თვალუწვდენელ და გონებით მიუწვდომელ არსებობაში მაინც მოქმედებს ერთი ძალა და ეს ძალა განსახიერებაა უნივერსალური არსებობის მოქმედებისა. განუყოფელ მსოფლიოს არც ერთ კუნჭულში არ მჟღავნდება ეს ძალა სხვადასხვა სახით. იგი ყოველ მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოში ერთგვარად მოქმედებს, ერთგვარად მისდევს თავის გზას. მაგრამ მეორე მხრივ, არ არის ისეთი რამ იმ საზღვარდაუსმელ უნივერსუმში, რომ ამ ძალის მატარებელი არ იყოს, მას ასე თუ ისე არ ემორჩილებოდეს. ამ მხრივ და ამგვარად, არ არსებობს იქ სრულებით არაფერი ისეთი, რაც რაიმე განსხვავებულ თვისებას ატარებდეს(3: 218). უნდა ითქვას ისიც, რომ დ. უზნაძის შეხედულებები პირველყოფილი ადამიანის კულტურაში რელიგიური წარმოდგენების წარმოშობასთან დაკავშირებით ერთი შეხედვით შეიძლება ათეისტურად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, ცხადი გახდება, რომ იგი ეხება არა ღმერთის არსებობა-არარსებობას ან მის მიერ სამყაროს შექმნის საკითხს, არამედ ქმნადობის შემდგომ არსებულ რეალობას. კერძოდ, ადამიანმა, როგორც ღვთის ქმნილებამ, ნაზიარებია რა შემოქმედის საიდუმლოს და ნაჭამი აქვს „ნაყოფი კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხისა“ საკუთარი შესაძლებლობებით(ღმერთის მიერ ნაბოძები) უნდა მოახერხოს თავის გადარჩენა. როგორც მ. გაბიტაშვილი მიუთითებს, სწორედ ეს პროცესია აღწერილი დ. უზნაძის მიერ შექმნილ ისტორიის სახელმძღვანელოებში (პირველყოფილი კულტურის ისტორია, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა). რელიგიები, როგორც კულტურის ფორმები, გვიან იქმნება, ღვთის რწმენა კი თანდაყოლილია. ასე რომ არ იყოს, თანამედროვე რელიგიები უკანასკნელი 2000-2500 წლის განმავლობაში კი არ წარმოიქმნებოდნენ, არამედ ადამიანის შექმნის დღიდან იარსებებდნენ (5: 50).

ღირებულებები, რომლებისკენაც ადამიანი ისწრაფვის, გარკვეულ იერარქიას ქმნიან. ყოველი მიღწეული ღირებულება კარგავს მნიშვნელობას და იწყება სწრაფვა ახალი ღირებულებისკენ. ღირებულებათა თავში არის აბსოლუტური ღირებულება აბსოლუტური ჭეშმარიტების სახით. უარის თქმას ყველა ამქვეყნიურ ღირებულებაზე და მხოლოდ აბსოლუტური ღირებულებისკენ გეზის აღებას, ადამიანური არსებიდან გამომდინარე, დ. უზნაძე შეცდომად და ადამიანური ტრაგედიის სათავედ მიიჩნევს. ადამიანმა უნდა გაიაროს გზა, რომელიც ადამიანის გასავლელია; ყველა სხვა ე.წ. „გზა ხსნისა“ უგზოობაა. მიწიერისა და ზეციურის დაპირისპირება, ლტოლვა, ერთის მხრივ, ღმერთისადმი და მეორეს მხრივ, ადამიანურობისადმი, იწვევს გაორებას, ადამიანის არსების საკუთარ თავთან შეუსაბამობის მარცხს. ადამიანმა უპირველესად მიწიერ სამყაროში უნდა განახორციელოს თავისი ადამიანური მიზნები, აქ არის მისი სამოქმედო ასპარეზი. ეს, ცხადია, არ ნიშნავს აბსოლუტური ღირებულების, როგორც

ადამიანის იდეალის უარყოფას, მაგრამ რეალური გზა მისკენ თვით მიწიერ სამყაროშია და არა მის გარეთ, აბსოლუტური ღირებულება სამყაროს გარეთ კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ თვით სამყაროში აბსოლუტური ჭეშმარიტების, მშვენიერების, ადამიანური არსის შეცნობისა და აქტივაციის გზით. ამგვარია ის კონცეპტუალური საფუძველი, რომელზეც აღმოცენდა დ. უზნაძის თვალსაზრისი რელიგიური აღზრდის საჭიროების შესახებ.

დ. უზნაძე რელიგიას განიხილავს, როგორც „აუცილებელ, დამოუკიდებელ ღირებულებას ადამიანის ბუნებისა", ხოლო რელიგიურ მოთხოვნილებას, როგორც „ნიშანდობლივ თვისებას ადამიანის ფსიქიკისა; პირველყოფილ, ძირითად და აღმოუფხვრელ მოთხოვნილებას". შესაბამისად, აღმზრდელობითი პროცესის ერთ-ერთ ძირითად მხარედ და მნიშვნელოვან მიზნად იგი მიიჩნევს რელიგიურ აღზრდას, აღსაზრდელის ფსიქიკის აღნიშნული მიმართულებით მიზანმიმართულ და გეგმაზომიერ ფუნქციობას.

როგორ უნდა წარიმართოს რელიგიური აღზრდის პროცესი? რა უნდა გაითვალისწინოს აღმზრდელმა აღსაზრდელთან ამ თვალსაზრისით მუშაობის დროს? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად დ. უზნაძე საჭიროდ თვლის რელიგიის არსის, ფილოსოფიურ გააზრებას. ადამიანი თავისი ფსიქიკის აბსოლუტური ელემენტით, გონებით მიილტვის „არსებული აბსოლუტი, რომლის სინამდვილეც მისთვის აუცილებელი პოსტულატუმია და ამიტომ ეჭვს გარეთ მდგომი, - შემეცნებულად ჰყოს, მისი გონებისთვის საჭვრეტად აქციოს. ეს ლტოლვა არსებული პოსტულატის შემეცნებისადმი, ლტოლვაა თვითონ მისი გონების გააბსოლუტებისა, ამიტომ იგი ლტოლვა, როგორც მეცნიერება მეტაფიზიკაა(1: 4), მაგრამ ადამიანი აბსოლუტისკენ მიისწრაფვის არა მხოლოდ გონებით. ამ სწრაფვაში ჩართულია ნებაც და გრძნობაც. ნებითი ურთიერთობა ის საფუძველია, რომელზეც მორალი აღმოცენდება, ხოლო გრძნობითი დამოკიდებულება აბსოლუტთან, იწვევს რა ამ უკანასკნელთან მიმართებაში საკუთარი ამაოების, არარაობისა და უსუსურობის შეგრძნებას, ბადებს რელიგიურობას. მაშასადამე, აბსოლუტის შეცნობა და გაშინაგნება ხდება გონებით, გრძნობით და ნებით და განიხილება არა ადამიანის გარეთ არსებული სუბსტანციად, არამედ ადამიანის სულის მდგომარეობად, მისი გონების მიერ მისივე წიაღში დაბადებულად და გრძნობათა სამოქმედო არეალად.

არ არსებობს ადამიანი რელიგიისა და რელიგიური ლტოლვის გარეშე; შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, თუ როგორი მიმართულებით განვითარდა ამა თუ იმ ადამიანის რელიგიოზურობა - მიუთითებს დ. უზნაძე და სავალდებულოდ თვლის აღმზრდელის მიერ აღსაზრდელის რელიგიურ მოთხოვნილებათა ისეთივე რუდუნებითა და გონივრულად ფორმირებას, როგორც სხვა დანარჩენისა. დ. უზნაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „აღზრდას არასდროს არ უნდა ჰქონდეს დასახული მიზნად ცალმხრივობა. იგი მუდამ ოთხ მხარეს უნდა იყოს მიმართული: იგი უნდა ილტვოდეს ადამიანის ყოველმხრივ განვითარებისკენ, მაგრამ ამავე დროს უნდა ახსოვდეს, რომ არცერთი მხარე არა აქვს ადამიანის ფსიქიკას ისეთი, რომ ერთგვარ უკუღმართობას თან არ ატარებდეს. ამიტომ იგი მუდამ უნდა იბრძოდეს და ამავე დროს აშენებდეს; იბრძოდეს უკუღმართ მხარეთა წინააღმდეგ და აშენებდეს ნათელ მომენტებზე" (1: 3). მისი აზრით, რელიგიური აღზრდის სფეროში შეცდომა განსაკუთრებით მძიმედ აისახება ადამიანის პიროვნული წყობისა და ქცევითი მექანიზმების ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამიტომ, სააღმზრდელო პროცესის ჯეროვნად წარმართვისათვის, საჭიროდ მიაჩნია აღმზრდელმა გაიაზროს რელიგიის ის მხარეებიც, რომლებიც „ფრიად სასურველად ხდიან" რელიგიურ განვითარებას და ისინიც, რომლებიც „მის ბნელ მხარეებად" შეიძლება ჩაითვალონ.

რელიგიური აღზრდის ძირითად დადებით ასპექტებად დ. უზნაძე მოიაზრებს შემდეგს: 1. ადამიანის, როგორც ინდივიდის არსებობა, დროისა და სივრცეშია განფენილი, არსი კი აბსოლუტური და მარადიულია, შესაბამისად, უსაზღვროსა და მარადიულს ესწრაფვის. ამ ერთობ მტკივნეული და სულისშემძვრელი დაპირისპირების ფონზე ამოზრდილი უძლურებისა და მუდმივად თანამდევი სიკვდილის განცდა მას სასოწარკვეთილებაში აგდებს და სამოქმედო ენერგიას აცლის. აღწერილი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ რელიგიაშია, „ინდივიდი რელიგიაში უერთდება აბსოლუტს და იმის ყოვლისშემძლე არსში ჰპოულობს თავისი გაძლიერების საფუძველს" (1: 4)

2. თუ ადამიანის, როგორც „ინდივიდუალობის არსებობასაც და მოქმედებასაც საბედისწერო ბოლო აქვს, რისთვის და რატომ უნდა მოქმედებდეს იგი?" რელიგიური სწავლებით, არსებობს უსაზღვრო, მარადიული, ყოვლისმომცველი და ყოვლისშემძლე აბსოლუტი. სწორედ ამ აბსოლუტისთვის არსებობს ადამიანი, მას ემსახუ-

რება და შესაბამისად, მისი არსებობა უმიზნო და აბსურდული კი აღარ არის, არამედ მიზანმიმართული და ღირებული.

დადებითთან ერთად რელიგიას „ბევრი ისეთი მხარე აქვს იმოდენად ძლიერი და მნიშვნელოვანი, რომ ბევრს ნათელი მხარეებიც დაავიწყებინა და ირრელიგიოზობა აქადაგებინა“. „ვინ არ იცის ის უკუღმართობა, რომელიც უკიდურეს რელიგიოზურ გატაცებას განუყრელად თანა სდევს და ადამიანის კულტურის ანკარა მიმდინარეობას მღვრიე ნაკადად უერთდება“ - აღნიშნავს დ. უზნაძე და რელიგიური აღზრდის უარყოფით ასპექტთაგან გამოყოფს შემდეგს:

1.აბსოლუტი ერთია, რელიგია კი მრავალი. სხვადასხვა რელიგიას სხვადასხვაგვარად ჰყავს წარმოდგენილი თავისი აბსოლუტი; თითოეული დარწმუნებულია თავის შეუცდომლობაში, ჭეშმარიტებას მხოლოდ თავის მოძღვრებაში ხედავს და სხვა რელიგია მისთვის „შეცდომა და უაზრობაა“. სწორედ ეს არის ის ნიადაგი, რომელიც წარმოშობს და ასაზრდოებს რელიგიურ ფანატიზმს და ხდება რელიგიათა შორის დაპირისპირების სათავე. აღზრდის პროცესში აუცილებლად უნდა მოხდეს რელიგიის აღნიშნული რაკურსით გააზრების შედეგად გამოტანილი დასკვნების გათვალისწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, დაირღვეს აღსაზრდელის კავშირი პირველხატთან და იგი ჩამოყალიბდეს საყრდენგამოცლილ, მერყევ და ნევროტიკ ადამიანად.

2. გადამეტებული რელიგიურობა ყოფით ცხოვრებას ამაოებად მიიჩნევს და მხოლოდ ასკეტური ცხოვრების წესის მიზანშეწონილობას ქადაგებს, რაც ადამიანს, როგორც ასეთს, აცლის მიწიერ საყრდენს და ეჭვქვეშ აყენებს მის ღვთით ბოძებულ ადამიანურ მახასიათებლებს.

3. პედაგოგიური თვალსაზრისით ყველაზე არასასურველი დ. უზნაძისათვის არის ის, რომ რელიგია აბსოლუტს ამა თუ იმ სახით წარმოადგენს, ავითარებს სახეობრივ აზროვნებას და თუ რელიგიური აღზრდა ცალმხრივად წარიმართა, დაითრგუნება აბსტრაქციის უნარი. პედაგოგმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული მომენტი და გარკვეული ორიენტირი გააკეთოს აბსტრაქტული უნარის განვითარებაზე.

რელიგიურ აღზრდა-განათლებასთან მიმართებაში დ. უზნაძე სვამს ერთობ აქტუალურ, თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის ჯერ კიდევ პრობლემურ კითხვას: სად უნდა მიმდინარეობდეს რელიგიური აღზრდა, ოჯახში თუ სასკოლო გარემოში? და ამგვარად პასუხობს: „რელიგიური აღზრდა აღსაზრდელის სიმწიფისდაგვარად სკოლასაც ეკუთვნის და ოჯახსაც, მაგრამ რადგან რელიგიური ლტოლვა წმიდათა წმიდაა ინდივიდის შინაარსისა და სკოლა კი აღსაზრდელის ინდივიდუალობას ვერასდროს ანგარიშს ვერ გაუწევს, ამიტომ რელიგიური აღზრდა უმეტესად ოჯახის ზღუდეთა შორის უნდა ხდებოდეს“(1: 4). ფორმირება რელიგიური გრძნობებისა, ამ უკანასკნელთა განსაკუთრებით ინტიმური და ინდივიდუალური ხასიათისა გამო, სკოლას არ ხელეწიფება. ცხადია, რელიგიური გრძნობების აღზრდა ოჯახში უნდა მოხდეს, სკოლაში კი აქცენტი გაკეთდეს რელიგიურ შემეცნებაზე. ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სივრცეში რელიგიის სწავლების ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს რელიგიური ცნობიერების ფორმირება. დ. უზნაძე საუბრობს ქრისტიანული სარწმუნოების დიდმნიშვნელოვნების შესახებ ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ არ არსებობს სფერო ჩვენი ნივთიერი თუ ყოფიერი კულტურისა, რომელსაც ქრისტიანობა მეტ-ნაკლებად არ შეხებია. შესაბამისად, თვლის, რომ სკოლაში რელიგიის სწავლების ამ მიმართულებით წარმართვის გარეშე შეუძლებელიც კი იქნება ქართული ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნებისა და ა. შ. რიგი საკითხების სიღრმისეული გააზრება და გაცნობიერება.

**დასკვნა**

ამრიგად, გამომდინარე იქიდან, რომ რელიგიური მოთხოვნილება ადამიანის არსების დამოუკიდებელი და ძირეული მოთხოვნილებაა, მისი დაკმაყოფილება აუცილებელი პირობაა სრულფასოვანი ადამიანის ფორმირებისათვის. იმისათვის, რომ აღსაზრდელმა შეძლოს სწორად შეფასება იმისა, თუ „ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“ და ისწავლოს მართვა იმ თანდაყოლილი ადამიანური მახასიათებლებისა, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აბსოლუტისკენ მიმავალ ადამიანურ/მიწიერ გზაზე, საჭიროა სათანადო რელიგიური აღზრდა, რელიგიური ცნობიერებისა და რელიგიური გრძნობების სისტემურად და გააზრებულად ფორმირება. სპონტანური სვლა ამ მიმართულებით საზიანოა, როგორც ცალკეული ადამიანისათვის, ისე საზოგადოებისთვის.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ რელიგიას ბევრი ისეთი მახასიათებელი აქვს, რომ შეუძლია პიროვნულად გაამდიდროს და გააძლიეროს ადამიანი. შესაბამისად, რელიგიური მხარე აუცილებელი ელემენტია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისა.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. უზნაძე, დ., აღზრდის მიზნები, გაზეთი დროება(№2, №5, №6, №8), 1910.
2. უზნაძე, დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1998.
3. უზნაძე, დ., ფილოსოფიური შრომები, თსუ გამომცემლობა, 1984.
4. სარიშვილი, ტ., სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში, თბილისი, 1956.
5. გაბიტაშვილი, მ., დიმიტრი უზნაძე პირველყოფილი რელიგიური წარმოდგენების წარმოშობის შესახებ, მაცნე, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, №2, 1992.


## Dimitri Uznadze on Religious Upbringing


***Nana Bokuchava, PhD student***
***Georgian Technical University***


## Summary


According to Dimitri Uznadze's general pedagogical concept, one of the most important aspects of the educational process is religious education. The educational process, as a rule, should be subject to the supreme canon of development and at the same time, in order to live, it should be saturated with meaning and content. Human even as D. Uznadze points out that in its essence it is religious, religion is its innate, independent value, and the religious need is "the primary, basic, and indelible need."

Consequently, no matter how perfect the educational environment is, it will not be possible without a function in this direction of the pupil's psyche.

Achieving the goal of upbringing, in particular, the formation of an ideal person that is significant and unique to each particular child.

In order to properly manage the process of religious upbringing, it is necessary to understand and take into account the essence of religion and the psycho-age characteristics of the child. The educator must be properly aware that a person aspires to the absolute not only with the mind but also with the will and the senses. At the same time, the voluntary relationship is the basis on which morality arises, and the emotional relationship with the Absolute, which evokes a sense of one's own vanity, emptiness, and helplessness in relation to the latter, evokes religiosity. Religious upbringing, therefore, can be viewed from three perspectives: religious consciousness, religious sentiment, and religious obscurity. It must be said that all three of them are equally remarkable and noteworthy.

D. Uznadze emphasizes that like any direction of upbringing, religious upbringing has its positive and negative aspects, which must be taken into account. Because making a mistake in this area is especially deplorable for the formation of the child's personal set and behavioral mechanisms. D.Uznadze conceives that human unites the absolute through religion, finds in its omnipotent essence the basis of his empowerment, purposeful-valuable existence, and attains a sense of helplessness-despair, aimlessness-absurdity. The negative aspect of religious upbringing is the danger of religious fanaticism, which creates the ground for the upbringing of a child-rearing, neurotic and hesitant person. Both family and school should take care of religious upbringing. The school should focus on cognition and the main task of teaching religion should be the formation of religious awareness. D. Uznadze speaks about the importance of the Christian faith in the history of the development of Georgian culture and notes that the teaching of religion in our schools should be conducted in this direction as well. As for the religious feelings, due to the particularly intimate and individual nature of the latter, the school does not succeed in working on them, because "the school will never be able to account for the individuality of the child" (1: 4). Religious feelings must be nurtured in the family. As for religious obscurity, both family and school should be involved in this work. It is the religious will that is the background that forms the basis for the development of morality; The moral mechanism that emerges otherwise is unstable and temporary.



Key words: Religion, Upbringing, Pupil, Educator, School, Family.

# შეიარაღებულ კონფლიქტებში დაზარალებულ ქალთა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

*ლელა ბუსხრიკიძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

შეიარაღებული კონფლიქტი არის ქვეყნის შიგნით ან სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული წინააღმდეგობის ერთ-ერთ ფორმა სხვადასხვა სახის (პოლიტიკური, ეკონომიკური, ნაციონალური, ეთნიკური, რელიგიური და სხვ.) დაპირისპირებათა გადასაწყვეტად, რომლის დროსაც კონფლიქტში მონაწილეთა მხრიდან ადგილი აქვს სამხედრო ძალის შეზღუდულ გამოყენებას. ასეთ ვითარებაში დაცვის უმთავრეს ობიექტად მიჩნეულნი არიან: ქალები, მოხუცები და ბავშვები, დაჭრილები და ავადმყოფები, სამედიცინო პერსონალი და სანიტარული სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ. გენდერი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც საზოგადოებაში უთანასწორობას განაპირობებს, ვინაიდან გენდერული კუთვნილება საზოგადოებას ძალაუფლების, რისკის, უსაფრთხოებისა და საშიშროების მხრივ სხვადასხვა პოზიციაზე განალაგებს.

წინამდებარე კვლევაში განხილულია თუ რა გავლენას ახდენს შეიარაღებული კონფლიქტები ქალთა მდგომარეობაზე, ხდებიან თუ არა ისინი ნებით თუ უნებლიეთ მხარეები, არის თუ არა მნიშვნელოვანი ქალთა მონაწილეობა საომარი მოქმედებების პრევენციასა და კონფლიქტის თავიდან აცილებაში. რამდენად ხშირია ან აქვს თუ არა მასიური ხასიათი ქალთა უფლებების დარღვევას შეიარაღებული კონფლიქტების დროს და რამდენად შესაძლებელია ქალთა დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

რა თქმა უნდა, მშვიდობა და უსაფრთხოება მხოლოდ ქალებისთვის არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ომი და არასტაბილური გარემო, განსაკუთრებით მწვავედ ქალებსა და ბავშვებზე აისახება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კონფლიქტის დროს მიმდინარე პროცესების განხილვისას ქალთა პრობლემების გადაჭრის გზებისა და საშუალებების ძიება, რაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს მომავალში აღნიშნული მიმართულებით ქმედითი და ეფექტური ღონისძიებების გატარებას.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, მშვიდობა, ქალთა უფლებები.

## შესავალი

შეიარაღებული კონფლიქტი არის ქვეყნის შიგნით ან სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული წინააღმდეგობის ერთ-ერთ ფორმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ნაციონალურ, ეთნიკურ, რელიგიურ თუ სხვა სახის დაპირისპირებათა გადასაწყვეტად, რომლის დროსაც კონფლიქტში მონაწილეთა მხრიდან ადგილი აქვს სამხედრო ძალის შეზღუდულ გამოყენებას. ომისგან განსხვავებით, შეიარაღებული კონფლიქტის მიზნები და ტერიტორიული მასშტაბები გაცილებით შეზღუდულია. ამასთან, შეიარაღებული კონფლიქტი, შესაძლოა, იყოს პერიოდული, რომლის დროსაც საბრძოლო მოქმედებები სისტემატურ ხასიათს არ ატარებს.

შეიარაღებულ კონფლიქტებში განსაკუთრებული დაცვის ობიექტად მიჩნეულნი არიან: ქალები, მოხუცები და ბავშვები, დაჭრილები და ავადმყოფები, სამედიცინო პერსონალი და სანიტარული სატრანსპორტო საშუალებები. კანონმდებლობით განსაზღვრულია აგრესორის თავდასხმის ან სხვა სახელმწიფოს მიერ ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალის კომპენსაცია; მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქალთა ადგილს მშვიდობიანი პოლიტიკის განვითარების პერსპექტივაში. ამ ვითარებაში კონფლიქტების, დაპირისპირების რეგულაციებისა და მართვის ეფექტური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება საჭიროა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში.

სისტემურად გამართული მმართველობის ფარგლებში უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ვალდებულებაა ხალხის დაცვა, რასაც საფუძვლად უდევს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის თანაბრად, ისტორიულად მარგინალიზებული და დაჩაგრული მოსახლეობის ჩათვლით.

## ძირითადი ნაწილი

გენდერი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც საზოგადოებაში უთანასწორობას განაპირობებს. გენდერული კუთვნილება საზოგადოებას ძალაუფლების, რისკის, უსაფრთხოებისა და საშიშროების მხრივ სხვადასხვა პოზიციაზე განალაგებს. წინამდებარე კვლევაში განხილულია თუ რა გავლენას ახდენს შეიარაღებული

კონფლიქტები ქალთა მდგომარეობაზე, ხდებიან თუ არა ისინი ნებით თუ უნებლიეთ მხარეები, არის თუ არა მნიშვნელოვანი ქალთა მონაწილეობა საომარი მოქმედებების პრევენციასა და კონფლიქტის თავიდან აცილებაში. რამდენად ხშირია ან აქვს თუ არა მასიური ხასიათი ქალთა უფლებების დარღვევას შეიარაღებული კონფლიქტების დროს და რამდენად შესაძლებელია ქალთა დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

თანამედროვე ომების მთავარი დარტყმის ქვეშ სამოქალაქო პირები არიან. შიმშილისა და დაავადებების მსხვერპლნი ძირითადად ქალები, ბავშვები და მოხუცები ხდებიან. მსოფლიოს მრავალ კონფლიქტურ ზონაში ასეთ მტკივნეულ პირობებში ქალებს და გოგონებს გამიზნულად ესხმიან თავს და ხშირად ეს დაუსჯელი რჩება. კრიზისისა და კონფლიქტების გამო იძულებითი გადაადგილების შედეგად ლტოლვილები და დევნილები, განსაკუთრებით ქალები და გოგონები ხშირად დამატებითი ძალადობისა და ექსპლუატაციის რისკის ქვეშ ექცევიან. ქალებზე ძალადობა, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება, სექსუალური ძალმომრეობა, დასახიჩრება, იძულებითი პროსტიტუცია, სექსუალური მონობა სულ უფრო და უფრო მეტად არის აღიარებული, როგორც ბოლო დროის მრავალი კონფლიქტის ერთ-ერთ ასპექტი. სექსუალურ და გენდერულ საფუძველზე აღმოცენებული ძალადობა კონფლიქტებისა და უკიდურესი ძალადობის სიტუაციებში ხანდახან გამოიყენება როგორც წინასწარგანზრახული ტაქტიკა დამცირების, ტერორის, საზოგადოების დესტრუქციის, ეთნიკური წმენდის მიზნით. სხვა გარემოებებში სექსუალური ძალადობა შემთხვევით ხასიათს ატარებს. იმ რეგიონებში, სადაც ომები ოფიციალურად დასრულებულია, ქალები და გოგონები მაინც ხშირად დგებიან ძალადობის და დაუცველობის პირისპირ; ფართოდაა გავრცელებული დაუსჯელობის სინდრომი და კანონის უზენაესობის დაუცველობა, რაც ხელს უწყობს გენდერული და ოჯახური ძალადობის მაღალ დონეს [1].

ამდენად, ქალებზე ძალადობის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების დაშლა. ქვეყნებში, სადაც კონფლიქტებს აქტიურად არ აქვს ადგილი, ფაქტები ცხადყოფენ, რომ ძალადობა ქალების მიმართ შეიძლება იყოს ქვეყნის სტაბილურობის, უსაფრთხოების და შიდა თუ გარე კონფლიქტებისადმი მიდრეკილების მთავარი ინდიკატორი და ეს ინდიკატორი, შესაძლოა, ამდენადვე იყოს დემოკრატიისა თუ კეთილდღეობის დონის მაჩვენებელიც. საერთაშორისო საზოგადოება უკვე აღიარებს იმ ფაქტს, რომ ძალადობა, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ კონფლიქტის დროს, არა მხოლოდ სისასტიკის გამოვლინებაა, არამედ სტრატეგიული მიზანია სამიზნე საზოგადოების მიმართ. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ყველა შეიარაღებული აქტორი არ ახორციელებს ასეთ ძალადობას [2].

კონფლიქტის დროს ქალებისა და გოგონების მიმართ სექსუალური ძალადობის პრაქტიკა ომის დანაშაულად ითვლება. ეს არის წამების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მეთოდი, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის შეურაცხყოფა და მისი ღირსების შელახვა. სექსუალური ძალადობის ომის იარაღად გამოყენების ლოგიკა მდგომარეობს პატრიარქალურ შეხედულებაში, რომ კაცები როგორც საზოგადოების, ასევე ამავე საზოგადოების წევრი ქალების „პატრონები" არიან. საზოგადოების ქალი წევრების მიმართ სექსუალური ძალადობის გამოყენება მიზნად ისახავს მამაკაცების დემორალიზებას, რომელთაც უნდა დაეცვათ ქალების პატივი და ღირსება.

კონფლიქტების ისტორიაში არსებობს არაერთი შემთხვევა, განსაკუთრებით ეთნიკურ კონფლიქტებში, როდესაც ქალები და გოგონები მასიურად ხდებოდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ყველაზე ცნობილი შემთხვევებია კონფლიქტები ბალკანეთის სახელმწიფოებში და გენოციდი რუანდაში.

სამწუხაროდ, ეს გამოცდილება არც საქარ-თველოსთვისაა უცხო. ცნობილია, რომ შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში ქალები ხდებოდნენ წამების და სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, მაგრამ ისინი, როგორც წესი, თავს არიდებენ გადატანილ ან ნანახ მსგავს გამოცდილებებზე საუბარს. მსოფლიო მასშტაბით, ამ გამოცდილებების გაანალიზება საჭიროა არა მხოლოდ ომის დროს ძალადობის კონტექსტში, არამედ პოსტკონფლიქტური სიტუაციის თვალსაზრისითაც, რადგან მსგავსი გამოცდილებები გავლენას ახდენს პოსტკონფლიქტური საზოგადოების ცხოვრებაზე. მათ შორის, საზოგადოებაში გოგონების და ქალთა მდგომარეობაზე [3].

ომის დამთავრდების შემდეგ სოციალური და უფლებრივი მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. მამაკაცები ომიდან ბრუნდებიან და იბრუნებენ დომინანტ როლს. არსებული პრაქტიკების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ არსებობს დიდი ალბათობა, რომ სექსუალურ და გენდერულ ნიადაგზე ძალადობა შეიძლება გა-

იზარდოს პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ომის დროს გაუპატიურებას მასიური ხასიათი ჰქონდა. ტრადიციულ საზოგადოებებში, სადაც ქალთა სხეულები აღიქმება, როგორც ინსტიტუციონალიზებული „სიწმინდის" ნაწილი, შეიარაღებული კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობა ქალების მიმართ, პოსტოკონფლიქტურ საზოგადოებებში მათ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს და ძალადობისგან კიდევ უფრო დაუცველებს ტოვებს, ვიდრე ეს კონფლიქტამდე იყო. ეს გამოცდილება შეიძლება აღიქმებოდეს სირცხვილად როგორც მსხვერპლისთვის, ასევე მისი გარშემომყოფებისთვის. ეს ართულებს მსხვერპლისთვის საჭირო ფსიქოლოგიური დახმარების მიღებას [2].

ხშირია ომში გაუპატიურებული ქალების საზოგადოებიდან გარიყვის შემთხვევებიც. შიშის და სირცხვილის გამო, მათ შეიძლება არ ითხოვონ სამედიცინო სერვისები, რაც მათ კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის სხვადასხვა დაავადებების მიმართ. ზოგი ქალი კონფლიქტის დროს გაუპატიურების შემდეგ ბავშვს აჩენს. არსებობს რისკი, რომ ასეთი ქალები თავიანთ ჩვილებთან ერთად თემიდან განიდევნონ. გარდა ზემოთ თქმულისა, ამ სახის მოვლენებს დრამატული ზეგავლენა აქვთ ტრადიციული საზოგადოების წევრ მამაკაცებზე. ისინი თავს დამცირებულად გრძნობენ და თითქოს „დამცველის" ფუნქციას კარგავენ. ამან შეიძლება გაზარდოს აგრესია ქალების მიმართ. ზოგჯერ, ომი მამაკაცებს საზოგადოებაში ტრავმირებულს ტოვებს და მატულობს ალკოჰოლზე დამოკიდებულების შემთხვევები და ნარკომანია, რამაც შეიძლება ქალები და ბავშვები უფრო დაუცველი გახადოს ძალადობის მიმართ, განსაკუთრებით ოჯახებში [1].

პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის დასუსტებით, რაც ართულებს ადამიანის უფლებების დაცვას. ხშირად ქალები და გოგონები ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან, როგორც კონფლიქტის დროს, ასევე საომარი ქმედებების დასრულების შემდეგ.

პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში ქალთა უფლებების დაცვას მნიშვნელოვნად აფერხებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების სისუსტე, ძალადობის მაღალი დონე და მილიტარიზმი. ისინი, ვინც ყველაზე მეტად ზარალდებიან კონფლიქტით, დევნილები და ლტოლვილები არიან. კონფლიქტით დაზარალებული ორივე ჯგუფის შემთხვევაში, მათ პოსტკონფლიქტურ ცხოვრებას აქვს კონკრეტული გენდერული განზომილებები. დევნილი ქალების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ალბათობა იმისა, რომ მათ მიმართ განხორციელდა სექსუალური ძალადობა კონფლიქტისა და გადაადგილების დროს, შეუმჩნეველ გარემოებად რჩება და ისინი ვერ იღებენ ადეკვატურ მხარდაჭერას სახელმწიფოსგან როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე მატერიალურად [4].

კვლევები ცხადყოფს, რომ გენდერული განზომილება ასევე მნიშვნელოვანია ლტოლვილთა ბანაკებში. რესურსების განაწილება, როგორიცაა: საკვები, წყალი, შეშა, როგორც წესი, ბანაკებში მამაკაცთა ხელშია, რაც შეიძლება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საგანი გახდეს. არსებობს მამაკაცების მხრიდან ამ რესურსების ფლობის გამო სექსუალური მოთხოვნების წამოყენების რისკი ქალებისთვის, საჭმლისა და გადარჩენისთვის სხვა საჭიროებების სანაცვლოდ.

ამრიგად, დევნილთა და ლტოლვილთა მიმართ პოლიტიკის დაგეგმვისას, ძალზედ მნიშვნელოვანია ქალთა და გოგონების გამოცდილების მოსმენა და მათი საჭიროებების გათვალისწინება.

შეჯამების სახით, ომის პირობებში სექსუალურმა ძალადობამ ქალებსა და გოგონებზე შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს არამხოლოდ ომის პერიოდში, არამედ პოსტკონფლიქტურ რეალობაშიც. პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში მსგავსი გამოცდილებები მოქმედებს ქალებისა და გოგონების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. პოსტკონფლიქტური საზოგადოების უუნარობა - დაიცვას ადამიანის უფლებები - აუარესებს სიტუაციას სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობისგან ქალების დაცვის კუთხით და ვერ უზრუნველყოს გაუპატიურების მსხვერპლთა რეინტეგრაციას საზოგადოებაში. პოსტკონფლიქტური რეალობის გენდერული განზომილებების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონფლიქტით ყველაზე მეტად დაზარალებულ - დევნილ ქალებს და გოგონებს, აგრეთვე ლტოლვილ ქალებს. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მათი უსაფრთხოების რისკები მაშინ, როდესაც ამ ჯგუფების მიმართ პოლიტიკის დაგეგმვა ხდება.

**ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ქალთა უფლებების დაცვა, მათი ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.** როგორც უკვე ვთქვით, ქალები და ბავშვები განსაკუთრებით ზარალდებიან კონფლიქტების შედეგად. მათ დიდ უმრავლესობას შეადგენს

იძულებით ადგილნაცვალი პირები მსოფლიო მასშტაბით. ზევრ შემთხვევაში გენდერული როლები და ნორმები იმაში მდგომარეობს, რომ კრიზისულ სიტუაციებში ძირითადად ქალები ზრუნავენ ოჯახებსა და საზოგადოებაზე. ქალთა ინტერესები მნიშვნელოვანია, რათა დახმარებისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა მთლიანად დაზარალებული მოსახლეობის ინტერესებს ემსახურებოდეს. ქალებს და გოგონებს აგრეთვე გააჩნიათ გარკვეული საჭიროებები და მეტად საჭიროებენ დაცვას, რასაც დახმარების პროგრამებმა უნდა მიაქციონ ყურადღება. მაგალითად, ქალებითვის, რომლებმაც გადაიტანეს სექსუალური ძალადობა, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურება.

ქალებისა და გოგონების დაუცველობა ხშირად მწვავდება კრიზისულ სიტუაციებში. როდესაც ისინი მონაწილეობენ ისეთ საქმიანობებში, როგორიცაა: საკვების განაწილება, ფიჩხის შეგროვება, საპირფარეშოში ან წყალზე წასვლა-წამოსვლა, მათ შეიძლება მარტო მოუხდეთ მოქმედება, ოჯახის გარეშე და შესაძლოა დადგნენ ტრეფიკინგის, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის, სექსუალური ექსპლოატაციის და შეურაცხყოფის ან სხვა რაიმე ზიანის მიყენების რისკის წინაშე. მსოფლიოს მრავალ კონფლიქტურ ზონაში ქალებს და გოგონებს გამიზნულად ესხმიან თავს, და ხშირად ეს დაუსჯელი რჩება. კრიზისისა და კონფლიქტების გამო იძულებითი გადაადგილების შედეგად ლტოლვილები და დევნილები, განსაკუთრებით ქალები და გოგონები ხშირად დამატებითი ძალადობისა და ექსპლოატაციის რისკის ქვეშ ექცევიან.

ქალებზე ძალადობა, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება, სექსუალური ძალმომრეობა, დასახიჩრება, იძულებითი პროსტიტუცია, სექსუალური მონობა სულ უფრო და უფრო მეტად არის აღიარებული, როგორც ბოლო დროის მრავალი კონფლიქტის ერთერთ ასპექტი, ბალკანეთიდან აფრიკის კონტინენტის ჩათვლით.სხვაგარემოებებშისექსუალურიძალადობა შემთხვევით ხასიათს ატარებს. იმ რეგიონებში, სადაც ომები ოფიციალურად დასრულებულია, ქალები და გოგონები მაინც ხშირად დგებიან ძალადობის და დაუცველობის პირისპირ; ფართოდაა გავრცელებული დაუსჯელობის სინდრომი და კანონის უზენაესობის დაუცველობა, რაც ხელს უწყობს გენდერული და ოჯახური ძალადობის მაღალ დონეს. ამდენად, ქალებზე ძალადობის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების დაშლა. გაუპატიურებამ კონფლიქტურ სიტუაციებში შესაძლოა გაზარდოს აივ/შიდსის ინფექციის შემთხვევები, რაც არა მხოლოდ ქალებზე, არამედ მათ ოჯახებზეც ახდენს გავლენას.

კონფლიქტის ზემოქმედება აგრეთვე ვრცელდება უნარშეზღუდულებზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ხშირად კონკრეტული რისკის ქვეშ ექცევიან, როგორიც არის სტიგმა და იზოლაცია, ჰუმანიტარულ დახმარებაზე გაძნელებული ხელმისაწვდომობა, ჯანმრთელობის საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის მაღალი დონე და ძალადობის სხვა ფორმები, როგორც კონფლიქტის დროს, ისე მის შემდეგაც. და ბოლოს, ქალები და გოგონები საბრძოლო მოქმედებებში ან სხვა შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებულ საქმიანობაში იღებენ მონაწილეობას, თუმცა დემობილიზაციის, განიარაღების და რეინტეგრაციის პროგრამები ხშირად არ ითვალისწინებენ მათ კონკრეტულ საჭიროებებს. ყოფილ მეომარ ქალებს ხშირად აჯგუფებენ მათთან ერთად, ვისაც როგორც „ცოლებს" ისე ამყოფებდნენ, მიუხედავად მათი ინდივიდუალური გამოცდილებისა და რეაბილიტაციის საჭიროებებისა. ქალებს, რომლებიც წამყვან პოზიციებზე იყვნენ სამხედრო სტრუქტურებში ხშირად არ უნდათ დაუბრუნდნენ თავიანთ როლებს, რაც მათ მოეთხოვებათ კონფლიქტის დასრულების შემდეგ. ქალები და გოგონები, რომლებიც ასოცირდებიან შეიარაღებულ ძალებთან საჭიროებენ სათანადო ხელშეწყობას, რათა ძალები აღიდგინონ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმის შემდეგ და თავიდან აიწყონ ცხოვრება წარმატებით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის გამო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ დახმარების, რეაბილიტაციის და ძალების ხელახლა აღდგენის ძალისხმევა აკმაყოფილებდეს ქალებისა და ბავშვების განსაკუთრებულ საჭიროებებს კრიზისის სიტუაციაში და იცავდეს მათ სექსუალური ექსპლოატაციისა და შეურაცხყოფისგან. უმნიშვნელოვანესი დაცვითი საქმიანობები, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და რეაგირება უნდა იყოს პრიორიტეტი საგანგებო შემთხვევების დროს, სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელ დახმარებასთან ერთად [1].

ქალებისა და გოგონებისთვის ყველა სახის დახმარების პროგრამები უსაფრთხოდ და სამართლიანად უნდა იყოს ხელმისაწვდომი, წყლიდან და სანიტარული წერტილებიდან და-

წყებული, დამთავრებული საკვებით და თავშესაფრით, აგრეთვე განათლება, რეპროდუქციული ჯანმრთელობის დახმარება, და საარსებო წყაროს მოპოვება. ეს სამუშაო იწყება დახმარებისა და რეაბილიტაციის პროექტებში ქალების მონაწილეობის უზრუნველყოფით, რაც ხელს უწყობს გენდერული და დაცვის საკითხების სისტემატურ და უეჭველ ინტეგრაციას რეაგირების მალისხმევაში. ქალებს უნდა ჰქონდეთ საშუალება განსაზღვრონ პრობლემები და ინფორმაცია მიაწოდონ პრიორიტეტების შესახებ გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულებასა და ანგარიშვალდებულებაზე, ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციაზე და ძირითადი მომსახურებების აღდგენაზე, მათი და მათი ოჯახების შესაძლებლობებების ფარგლებში მეურნეობების თავიდან მოწყობაზე.

ასევე, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების სერვისების ხელმისაწვდომობას, რომელიც პოსტკონფლიქტურ პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ძალადობის გაძლიერებული საფრთხიდან გამომდინარე, განსაკუთრებით დიდი ფუნქცია ენიჭება მართლმსაჯულებას, რომლის გენდერული მგრძნობელობის გაზრდის გარეშე, შეუძლებელია ამ გამოწვევასთან გამკლავება. აღნიშნული გულისხმობს გამოძიების, სასამართლო და სასჯელაღსრულების სისტემის მუშაკთა გენდერული თანასწორობის თემაზე გადამზადებას, ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით დანაშაულების შესწავლის და სასამართლოს სპეციალური სახელმძღვანელოების არსებობას და მათ რეალურ ხელმისაწვდომობას.

**ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო.** ქალის მიმართ ძალადობა - იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური შევიწროება, ქორწინების იძულება, გენიტალიების მუტილაცია - არ წარმოადგენს შემთხვევით ფაქტს, უბედურ შემთხვევას ან იზოლირებული ძალადობის შემთხვევას. ქალთა მიმართ ძალადობა კულტურის ნაწილია, რომელიც შემწყნარებლურია ქალთა დისკრიმინაციის მიმართ. ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაცის ფორმად და ადამიანის უფლებათა დარღვევად აღიარება, უკავშირდება გლობალურ ქალთა უფლებების მოძრაობას, რომელმაც საერთაშორისო დონეზე აღიარება მოიპოვა 1990-იანი წლებიდან [5].

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტი (CEDAW) იყო საერთაშორისო დონეზე პირველი ორგანო, რომელმაც ქალთა მიმართ ძალადობა დისკრიმინაციის ფორმად აღიარა. 1993 წელს კი, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ (DEVAW), რომელიც განმარტავს ძალადობის ფორმებს და კონტექსტს, რომელშიც ის ძირითადად ხდება. პირველი რეგიონალური კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით არის ინტერამერიკული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების, დასჯისა და აღკვეთის შესახებ (Belem Do Para კონვენცია, 1994), რომლის პრეამბულაში ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევად არის მიჩნეული. მეორე რეგიონალური ხელშეკრულება არის 2003 წელს მიღებული ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის ოქმი აფრიკაში ქალის უფლებების შესახებ.

აღნიშნული ოქმი ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრას, ცხოვრების ყველა ასპექტში ქალთა უფლებრივი გაუმჯობესების წინაპირობად განიხილავს. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენენცია) არის მესამე რეგიონალური ხელშეკრულება, რომელიც მის წინამორბედ ინსტრუმენტებს ეფუძნება და ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სამართლის ჩარჩო ახალ ეტაპზე გადაჰყავს. იგი სავალდებულო ძალის დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის დეფინიციას იძლევა და განსაზღვრავს მას, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევასა და დისკრიმინაციის ფორმას. ქალთა მიმართ დისკიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია და სამი რეგიონალური ხელშეკრულება ერთად წარმოადგენს გლობალურ საერთაშორისო სამართლის ჩარჩოს, რომელიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის სტრატეგიული და ეფექტური ბრძოლისკენ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში გლობალურ პოლიტიკაში არსებული ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების ფონზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფენომენს სწორედ პოლიტიკური პროცესების გენდერული ასპექტების შესწავლა წარმოადგენს, რამაც თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებული ფუნქცია და მნიშვნელობა შეიძინა, რამდენადაც სახელმწიფოთა შორის არსებული პოლიტიკური დაპირისპირებისა თუ

ურთიერთქმედების პირობებში, ქალის როლი ყველაზე მძლავრ იარაღად იქცა.

სამწუხაროდ, კონფლიქტები ჩვენი სოციალური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს; ირგვლივ უამრავი კონფლიქტს აქვს ადგილი, რომლებიც ერთმანეთისგან თავიანთი ხასიათის, მიზეზების, მასშტაბურობისა თუ სხვა თვისებების მიხედვით, განსხვავდებიან.

შეიარაღებული კონფლიქტები ადამიანური მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის რაოდენობით გამოირჩევა. გაეროს მონაცემების თანახმად, თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში დაჭრილთა და გარდაცვლილთა 90%-ს სწორედ მშვიდობიანი მოქალაქეები შეადგენს, რომელთა უმრავლესობა ქალები და ბავშვები არიან. სამწუხაროდ, მსოფლიოში შეიარაღებულ კონფლიქტებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი. მაგალითად, ავღანეთის სამოქალაქო ომი, რომელიც 1978 წელს დაიწყო კვლავაც გრძელდება და 2011 წელს მსხვერპლმა 8 938 ადამიანი, ხოლო 2012 წელს 3 000 ადამიანი შეადგინა. ხოლო 2011 წელს დაწყებული სირიის სამოქალაქო ომის შედეგად მსხვერპლის რაოდენობა დღეს უკვე 35 000 აღწევს. რა თქმა უნდა შეიარაღებული კონფლიქტების უარყოფით გავლენას ყველა ადამიანი განურჩევლად განიცდის სქესისა თუ სხვა მახასიათებლებიდან გამომდინარე, თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებული მგძნობიარობით ქალები და გოგონები გამოირჩევიან, რამდენადაც სწორედ ისინი ხდებიან ძალადობის ობიექტები და მსხვერპლნი. აქედან გამომდინარე, ომსა და კონფლიქტურ ვითარებაში ქალის, როგორც საზოგადოების ნაწილის როლი ძალზე მნიშვნელოვანია.

რა თქმა უნდა, მშვიდობა და უსაფრთხოება მხოლოდ ქალებისთვის არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ომი და არასტაბილური გარემო, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, განსაკუთრებით მწვავედ ქალებსა და ბავშვებზე აისახება. კონფლიქტის დროს მიმდინარე პროცესების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია მათი გადაჭრის გზებისა და საშუალებების ძიება და ქალის როლის მნიშვნელობა მშვიდობის მშენებლობაში. ამდენად, კვლევის საკითხი საკმაოდ აქტუალურია, რომლის შემდგომი შესწავლა და ანალიზი ხელს შეუწყობს მომავალში აღნიშნული მიმართულებით ქმედითი და ეფექტური ღონისძიებების გატარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Nancy Farwell, „War Rape: New Conceptualizations and Responses“, AFFILIA, Vol. 19 No. 4, Winter 2004.
2. ზურიკაშვილი ფ., მაღრაძე, გ., ჭანიშვილი, ნ., ხუციშვილი, გ., ჯორბენაძე რ. „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“. გამომცემლობა „პოლიგრაფ +“, თბ., 2003.
3. თომაშვილი თ. „სქესობრივი და გენდერული ძალადობა შეიარაღებული კონფლიქტების დროს/ გენდერული პრობლემატიკა საქართველოში“. ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2002.
4. McKay S., „The Effects of Armed Conflict on Girls and Women“, Peace and Conflict; https://www.peacewomen.org/sites/default/files/The%20Effects%20of%20Armed%20Conflict%20on%20Girls%20and%20Women.pdf
5. UNIFEM & DPKO, Addressing Conflict Related Sexual Violence-An Analytical Inventory of Peacekeeping Practice, 2010;
6. United Nations Human Rights Office Of The High Commissioner, "Women's human rights and gender-related concerns in situations of conflict and instability"; https://www.ohchr.org/en/Issues/Women/WRGS/Pages/PeaceAndSecurity.aspx
7. UNIFEM, Women Building Peace and Preventing Sexual Violence in Conflict-Affected Contexts, 2007;

**International Mechanisms for the Protection of Women Victims of Armed Conflict**

***Lela Butskhtikidze, PhD student***
***Georgian Technical University***

**Summary**

Armed conflict is a form of armed resistance within a country or between states to resolve political, economic, national, ethnic, religious or other conflicts in which there is limited use of military force by the parties to the conflict. Unlike war, the aims and territorial scale of armed conflict are much more limited. However, armed conflict may be periodic during which hostilities are not systematic.

Women, the elderly and children, the wounded and the sick, medical personnel and ambulances are considered to be the objects of special protection in armed conflicts.

The law provides for compensation for the damage caused by the aggressor's attack or by another state during the occupation, with women play an important role in the development of peaceful politics.

In this situation, the use of effective methods and approaches to conflict, conflict resolution and management are needed in both domestic and foreign policy.

Under systemic governance, the security and justice sector have a responsibility to protect people, based on ensuring access to security and justice for all, including historically marginalized and oppressed people.

Gender is one of the most important factors contributing to inequality in society. Gender puts society at different levels of power, risk, security and threat. This study discusses the impact of armed conflict on the situation of women, whether they become parties voluntarily or unintentionally, and whether women's participation in hostilities and conflict prevention is important. How common or massive the violation of women's rights during armed conflict is and how possible it is to protect women in armed conflict.

The main blows of modern wars are civilians. The victims of famine and disease are mainly women, children and the elderly. In many conflict zones of the world and in painful conditions, women and girls are deliberately attacked, and often it goes unpunished. Refugees, especially women and girls, are often at risk of further violence and exploitation as a result of forced displacement due to crises and conflicts.

Violence against women, especially sexual violence, including rape, sexual violence, mutilation, forced prostitution, sexual slavery is increasingly recognized as one of the aspects of many recent conflicts.

Sexual and gender-based violence in conflict and extreme violence situations is sometimes used as a premeditated tactic for humiliation, terror, community destruction, and ethnic cleansing. In other circumstances, sexual violence is casual. In regions where wars are officially over, women and girls still often face violence and insecurity; the syndrome of impunity and the lack of the rule of law are widespread, contributing to high levels of gender and domestic violence.

# საარჩევნო სისტემების მიმოხილვა

*ნანა ბღარაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

დემოკრატიულ სისტემაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არჩევნების სამართლიანობას, რასაც დიდწილად განაპირობებს საარჩევნო სისტემა. თუ სისტემა ხარვეზიანია ეს იმ თავითვე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს არჩეული ორგანოების და თანამდებობის პირების ლეგიტიმურობის საკითხს. სტატიაში გაანალიზებულია არჩევნებისა და საარჩევნო სისტემების ისტორიული განვითარება, მათი ჩამოყალიბება და თანამედროვე საარჩევნო სისტემები. საარჩევნო სისტემებს მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა ძირითადად ორ დიდ ჯგუფად ყოფს: პროპორციულ და მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემებად.

საარჩევნო სისტემა სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციისა და დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. საარჩევნო სისტემა ამომრჩეველთა ხმებისათვის ბრძოლაში პოლიტიკური ელიტების კონკურენციისათვის ინსტიტუციონალურ საფუძველს ქმნის და დემოკრატიული პრინციპების დაცვით, მმართველი პოლიტიკური კლასის პერსონალური შემადგენლობის ფორმირებისა და რეკრუტირების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, ხშირია საარჩევნო სისტემებით მანიპულირება კერძოდ, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც იღებენ ხალხის გარკვეულ მხარდაჭერას, საკანონმდებლო ორგანოში, მიღებული პროცენტებისგან განსხვავებული რაოდენობის დეპუტატი შეჰყავთ, როგორც წესი, ხელისუფლებას მიღებულ პროცენტებზე მეტი დეპუტატი, ხოლო ოპოზიციას, ნაკლები, რაც შემდგომ იწვევს ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა, ხელისუფლების მხრიდან ანგარიშვალდებულების ნაკლებობა, არაკონკურენტული პოლიტიკური ველი და არამყარი მრავალპარტიული სისტემა, რაც თავის მხრივ საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის წარმომადგენლობითი დემოკრატიის განხორციელებას.

სტატიაში ისტორიული გამოცდილების ჭრილში გაანალიზებულია საარჩევნო სისტემების ტიპოლოგიზაცია და მათი ასპექტები, თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაზე დაყრდნობით განხილულია მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის განსხვავებები. ჩვენს მიერ საერთაშორისო გამოცდილებისა და წამყვანი მეცნიერების შეხედულებებზე დაყრდნობით წარმოჩენილია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. საარჩევნო სისტემას, შეუძლია და რეალურადაც ახდენს გავლენას ქვეყნის ყველა პოლიტიკურ ინსტიტუტზე. ამდენად, მისი შერჩევა მუდმივ ძიებას ითხოვს და ამ ძიებაში წარმატების ერთ-ერთ ძირითად პირობას მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინება წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: არჩევნები, ამომრჩეველი, პოლიტიკური პარტიები, მაჟორიტარული სისტემა, პროპრციული სისტემა, შერეული სისტემები.

## შესავალი

დღეისათვის მსოფლიოში არსებული სახელმწიფოების უდიდესი უმრავლესობა იყენებს არჩევნებს, როგორც ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არჩევისა და განახლების ერთადერთ ლეგიტიმურ გზას. ამავე დროს, არჩევნები დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციობის აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს ელემენტსაც წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლების ორგანოები ღებულობენ ლეგიტიმაციას - ე.ი. სახალხო მხარდაჭერას და აღიარებას. არჩევნების საბოლოო მონაცემები, თუკი ის პატიოსანი შეჯიბრის შედეგს წარმოადგენს, ამომრჩეველთა განწყობას და ქვეყნის განვითარების ტენდენციას ასახავს. არჩევნების სამართლიანობის დონე, ერთი მხრივ, ქვეყნის დემოკრატიულობის საფუძველს ქმნის, მეორე მხრივ, მისი მდგრადობა, სწორედ დემოკრატიული რეჟიმის სტაბილურობაზეა დამოკიდებული. ეს ორი ფაქტორი სახელმწიფოში დემოკრატიულ სივრცეს ამკვიდრებს, მათი ურთიერთდაცულობის გარანტია კი ხელს უწყობს ქვეყანაში მდგრადი პოლიტიკური სისტემის ფუნქციობას.

საარჩევნო სამართლის რეალიზაცია და სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირების შედეგები არსებითად დამოკიდებულია მისი განხორციელების საშუალებების კომპლექსურ-სამართლებრივ მექანიზმზე საარჩევნო სისტემის სახით, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით დარეგულირებული წესებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომლის საშუალებით ხდება ამომრჩევლის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების ამოქმედება, ხმის

მიცემის პროცედურისა და არჩევნების შედეგების განსაზღვრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა. ნებისმიერი სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება მნიშვნელოვანწილად საარჩევნო კანონსა და მის მიერ დარეგულირებულ საარჩევნო სისტემაზეა დამოკიდებული. საარჩევნო სისტემა ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს, რაც იმით აიხსნება, რომ დემოკრატია საზოგადოებაში ვერ იარსებებს უფლებამოსილი წარმომადგენლის გარეშე, რომელიც საზოგადოების საქმეების სამართავად ყალიბდება, ხოლო ასეთი წარმომადგენლობა დემოკრატიული იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუკი თავად საზოგადოება მონაწილეობს მის ფორმირებაში.

**ძირითადი ნაწილი**

აღიარებული ფაქტია, რომ საარჩევნო სისტემა გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, რაც იმით აიხსნება, რომ თანამედროვე დემოკრატიას არ ძალუძს ფუნქციონირება ხალხის მიერ არჩეული და მის წინაშე ვალდებული უფლებამოსილი წარმომადგენლობის გარეშე, რომელიც საჯარო ხელისუფლების განხორციელებისათვის ყალიბდება, ხოლო ასეთი წარმომადგენლობა დემოკრატიული მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუკი თავად საზოგადოება მონაწილეობს მის ფორმირებაში. საარჩევნო სისტემა, განსაზღვრული პროცედურების მეშვეობით, შემოსაზღვრული პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებების, ასარჩევთა და ამომრჩეველთა ერთობლიობაა. იმის მიხედვით, თუ როგორ არის მოწესრიგებული ეს ერთობლიობა, შეიძლება მსჯელობა ქვეყნის საარჩევნო სამართლის დონეზე. მისი მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური ვითარების დამკვიდრებას შეუწყოს ხელი“. საექსპერტო წრეები ტერმინს ,,საარჩევნო სისტემა“ ძირითადად ორი მნიშვნელობით იყენებენ. ვიწრო გაგებით, იგი საარჩევნო სუბიექტებისათვის ხმის მიცემის მექანიზმსა და კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, არჩევით ორგანოში მანდატების განაწილების წესს გულისხმობს ე. წ. ,,მანდატებისა და ხმების კავშირი“. ხოლო ფართო გაგებით, მოიცავს ქვეყანაში საარჩევნო მოწყობის მთელს სისტემას, რომელიც კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით რეგულირდება. არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად, საარჩენო სისტემის ორივე ასპექტი ეფექტურად უნდა ფუნქციონირებდეს.

იდეალური საარჩევნო სისტემა არ არსებობს. ამა თუ იმ სისტემის არჩევა ქვეყანასა და პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მიზანი, რომლის მიღწევაც უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სისტემამ. ეს მიზანი მოსახლეობის სამართლიანი წარმომადგენლობის არჩევის უზრუნველყოფაა. სამართლიანი წარმომადგენლობა კი შეიძლება სხვადასხვა გზით იქნეს მიღწეული, მათ შორის გეოგრაფიული, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური.

სუვერენული სახელმწიფოებისთვის საარჩევნო სისტემის არჩევა საკმაოდ პრივატულ საკითხს და ქვეყნის პოლიტიკური ძალების კონსესუსის საგანს წარმოადგენს, მაგრამ არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული ზოგადი პრინციპები, რომელიც გათვალიწინებული უნდა იყოს. ევროსაბჭოს, ვენეციის კომისია რეკომენდაციას არ უწევს არცერთ საარჩევნო სისტემას, მაგრამ თითოეული ქვეყნის მიერ არჩეული სისტემა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს, საერთაშორისოდ აღიარებულ კარგ საარჩევნო პრაქტიკის პრინციპებთან, კერძოდ, არჩევნები უნდა ტარდებოდეს გონივრული ინტერვალებით, არჩევნების შედეგები მაქსიმალურად უნდა გამოხატავდეს ამომრჩეველთა განწყობებს, საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს: ამომრჩეველთა ხმის თანაბრობა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობითობა, გენდერული თანასწორობა და სამართლიანობა არჩევნებში მონაწილეთა შორის. ასევე, საკმაოდ მნიშვნელოვანია, ის კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც უნდა შეირჩეს შესაფერისი საარჩევნო სისტემა, ფიჯის საკონსტიტუციო სარევიზიო კომისიის (CRC) ანგარიშში, იდენტიფიცირებულია და გარკვეულწილად დეტალურად არის აღწერილი შემდეგი კრიტერიუმები საარჩევნო სისტემის შერჩევისთვის: მრავალეთნიკური მმართველობის წახალისება, პოლიტიკური პარტიების როლის აღიარება, სტიმულები ეთნიკურ ჯგუფებს შორის მოდერაციისა და თანამშრომლობისთვის, ამომრჩეველთა ეფექტური წარმომადგენლობა, ამომრჩეველთა ეფექტური მონაწილეობა, უმცირესობათა და განსაკუთრებული ინტერესების მქონე ჯგუფების ეფექტური წარმომადგენლობა, სამართლიანობა პოლიტიკურ პარტიებს შორის, ეფექტური მთავრობა, ეფექტური ოპოზიცია, დადასტურებული ქმედუნარიანობა და ლეგიტიმურობა.

სახელმწიფოები, სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობის, ტერიტორიული მოწყობისა და ამომრჩეველთა საჭიროებების გათვალისწინებით, სხვადასხვა საარჩევნო სისტემაზე აკეთებენ არჩევანს. თუმცა, დემოკრატიულ სახელმწიფოებში

გავრცელებულია მხოლოდ 12 ძირითადი საარჩევნო მოდელი, რომლებიც ოთხ სისტემას - პროპორციულ, მაჟორიტარულ შერეულს და სხვათა ოჯახებს განეკუთვნება. ყველაზე მნიშვნელოვანი, საარჩევნო სისტემის არჩევასთან დაკავშირებით რაც უნდა გავითვალისწინოთ, ეს გახლავთ ამომრჩეველთა მხრიდან გამოხატული ნების მაქსიმალურად ობიექ-ტურად ასახვა მანდატების გადანაწილების დროს. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამა თუ იმ სისტემის გამოყენება წმინდა ტექნიკური საკითხია და არანაირ გავლენას არ ახდენს არჩევნე-ბის შედეგებზე, მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ამა თუ იმ სისტემის პირობებში შეიძლება ისე გადანაწილდეს ამომრჩეველთა ხმები, რომ პარტია რომელიც საერთო ჯამში ხმათა უმ-რავლესობას მიიღებს, მანდატების გადანაწილების შემდეგ წარმომადგენლობით ორგანოში უმცირესო-ბაში აღმოჩნდეს. გარდა ამისა, საარჩევნო სისტემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოში პო-ლიტიკურ პლურალიზმზე, ბიპოლარიზმზე, წარმო-მადგენლობითი ორგანოს საქმიანობის პოლიტიკურ მიმართულებასა და ეფექტიანობაზე და სხვა მნიშ-ვნელოვან გარემოებებზე, რაც სასიცოცხლოდ მნიშ-ვნელოვანია დემოკრატიის არსებობისთვის.

**მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა**

მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების პრაქტი-კულ რეალიზებას ძირითადად კონკრეტულ ქვეყა-ნაში მოქმედი საარჩევნო სისტემის თავისებურებები განაპირობებს, ანუ ის, თუ რომელი პრინციპი უდევს საფუძვლად არჩევნების შედეგების შეჯამებას - უმრავლესობის თუ თანაფარდობის. სწორედ ამ ნიშ-ნით განასხვავებენ, ერთი მხრივ, მაჟორიტარიზმის პრინციპს, რომელიც, ტერმინი ფრანგული წარმო-შობისაა ,,majoritee“ და ,,უმრავლესობას“ ნიშნავს და არჩევნებში გამარჯვებულად იმ კანდიდატს ან კანდიდატთა ჯგუფს მიიჩნევს, ვინც სხვებზე მეტ ხმებს (ფარდობით, კვალიფიციურ ან აბსო-ლიტურ) მოიპოვებს. მაჟორიტარული სისტემები ძირითადად ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ტარდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გამოი-ყენება მრავალმანდატიან ოლქშიც. ამ სისტემის გამო-ყენებისას ამომრჩეველი ხმას უმეტესად კანდიდატს აძლევს. გამოიყოფა 5 ძირითადი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა:

- ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა (FPTP);
- ბლოკური კენჭისყრა (BV);
- პარტიულ-ბლოკური კენჭისყრა (PBV);
- ალტერნატიული კენჭისყრა (AV);
- ორტურიანი სისტემა (TRS).

ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვებუ-ლად ის კანდიდატი მიიჩნევა, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს. შედეგის დასადგენად საკმა-რისია ერთი ტურის გამართვა. როდესაც ამ სისტემის გამოყენებით იმართება კენჭისყრა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, იგი ბლოკურ კენჭისყრად გარდაიქმნება. ბლოკური კენჭისყრით ჩატარებულ არჩევნებში თითოეულ ამომრჩეველს აქვს იმდენი ხმა, რამდენი კან-დიდატიც არის ასარჩევი მოცემულ საარჩევნო ოლქში. საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები მიიღებენ მანდატებს, მიუხედავად მათი ხმების პროცენტული მაჩვენებლებისა. თუ ამომრჩევლები მრავალმანდატიან ოლქში ხმას არა კანდიდატებს, არამედ, პარტიებს/საარჩევნო ბლოკებს აძლევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნები პარტიულ-ბლოკური კენჭისყრით ტარდება. ამ სისტემით გამართულ არჩევნებში გამარჯვებულად ის პარტია მიიჩნევა, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს (ესაა სისტემა, რომლის დროსაც „გამარჯვებული ისაკუთრებს ყველა მანდატს“). ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა ითვლება ერთ-ერთ ყვე-ლაზე ნაკლებდემოკრატიულ საარჩევნო სისტე-მად, რომლის ძირითად სუსტ მხარეებად თვლიან:

- ამომრჩეველთა ხმების მნიშვნელოვანი რაო-დენობა „იკარგება“ (არ გაითვალისწინება მანდატების განაწილებისას);
- არ იძლევა ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის რეალურ სურათს: პარტიამ, რომელმაც ხმათა ნაკლები რაოდენობა მიიღო, შეიძლება მოიპოვოს მანდატების აბსოლუტური უმრავლესობა.

ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის ფაქტობრივად ერთადერთ უპირატე-სობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ არჩევნები ერთ ტურად ტარდება. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს. ფარდობითი უმრავლესობის მაჟო-რიტარულ სისტემას პარლამენტის არჩევნების-თვის იყენებენ დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, ინდოეთი, მალაიზია, ეთიოპია, ნიგერია, აზერ-ბაიჯანი, ბელარუსი და სხვა ქვეყნები. აღნიშნული სისტემა სახელმწიფოთა ნაწილში გამოიყენება საპრეზიდენტო არჩევნებისთვისაც. მათ შორის პრეზიდენტს, მოცემული სისტემით ირჩევენ აშშ-ში, მექსიკაში, ისლანდიაში, ბოსნია და ჰერ-ცეგოვინაში, სამხრეთ კორეაში, სინგაპურში, ტაივანში, პანამაში, პარაგვაიში, კამერუნში, კონ-გოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რუანდასა და

სხვა ქვეყნებში.

ბლოკური კენჭისყრა/კუმულატიური ვოტუმის სისტემა მრავალმანდატიან ოლქებში გამოიყენება. ამომრჩეველს იმდენი ხმა აქვს, რამდენი მანდატიცაა გამოყოფილი ოლქზე. მასშეუძლია, ეს მანდატები გადასცეს ერთ კანდიდატს ან გაანაწილოს სხვა-დასხვა კანდიდატებსშორის. გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც ყველაზე მეტ ხმა მოაგროვებს. თუ კანონმდებლობა იძლევა ამის საშუალებას, ამომრჩეველმა ასევე შეიძლებაგამოიყენოს ,,პაშა-ნაჟი", რაც სხვადასხვა პარტიულ სიაში მყოფი კანდიდატისათვის ხმისმიცემას გულისხმობს. ამომრჩევლის ცალკეული კანდიდატისათვის ხმის მიცემის უფლება და პარტიების როლისა და მნიშვნელობის ზრდის ხელის შეწყობა უდავოდ ბლოკური კენჭისყრის ღირსებას წარმოადგენს, თუმცა სისტემას ხშირად არაპროგნოზირებადი და არასასურველი გავლენის მოხდენა შეუძლია არაპროპორციულობის თვალსაზრისით, რადგან რისკი იმისა, რომ ხმების აკუმულირება მოხდეს ერთი კანდიდატის გარშემო, საკმაოდ დიდია.

ამასთან, ბლოკური კენჭისყრა/კუმულატიური ვოტუმის სისტემას აქვს ნაკლოვანი მხარეებიც, იგი საკმაოდ რთული სისტემაა. ამ დროს ამომრჩეველს ეძლევა ხმებით მანიპულირების საშუალება, შედეგი ძნელად პროგნოზირებადია, ძნელია გამოვლინდეს ამომრჩევლის ნამდვილი ნება, არსებობს რისკი, რომ ხმები აკუმულირდეს ერთი კანდიდატის ირგვლივ და ხმების უმცირესი რაოდენობით არჩე-ული კანდიდატები ჯამში მიიღებენ უფრო მეტ მანდატს, ვიდრე ყველაზე პოპულარული პარტიის კანდიდატი.

პარტიული-ბლოკური კენჭისყრა მრავალმან-დატიან ოლქებში გვხვდება. თითოამომრჩეველს თითო ხმა აქვს და არჩევანს აკეთებს არა ცალკეულ პირებს შორის, არამედკანდიდატების პარტიული სიიდან. პარტია, რომელიც ხმათა უმრავლესობას დააგროვებს,ოლქზე გამოყოფილ ყველა მანდატს მიიღებს და მოხდება მისი კანდიდატებისარჩევა. სისტემის უპირატესობას მისი მექანიზმის სი-მარტივე და პარტიების მიერუმცირესობათა წარ-მომადგენლობის უზრუნველყოფის შესაძლებლო-ბა წარმოადგენს, ხოლო უარყოფით მხარეს - არჩევნებში არაპროპორციული შედეგების მაღალი რისკი.

ალტერნატიული კენჭისყრისას და ორტურიან სისტემაში არჩეულად ის კანდიდატი მიიჩნევა, რომელიც ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას, ანუ ხმების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს (50% + 1) მიიღებს (მაგ. 10-ის აბსოლუტური უმრავლესობაა 10/2+1=6; 11-ის აბსოლუტური უმრავლესობა ასევე არის 6 (11/2=5.5, მიღებული განაყოფი მრგვალდება მეტობით)). ორტურიან სისტემაში ამომრჩევლები ხმას მხოლოდ ერთ კანდიდატს აძლევენ.

ალტერნატიული კენჭისყრის დროს ამომრჩე-ველი ხმას ერთ კანდიდატს აძლევს, მაგრამ სხვებ-საც მიუთითებს (შეუძლია არც მიუთითოს), უპირა-ტესობის რიგითობის მინიჭებით (კანდიდატების მონაცემების გასწვრივ შესაბამისი ციფრების დაწე-რით. მაგალითად, ამომრჩეველი მისთვის ყველაზე სასურველი კანდიდატის გვარის გასწვრივ წერს ციფრს 1, შემდეგი სასურველი კანდიდატის (ანუ ვის ისურვებდა იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ პირვე-ლად შერჩეული კანდიდატი არჩევნების შედეგად ვერ გაიმარჯვებდა) გასწვრივ წერს ციფრს 2 და ა.შ.). ხმათა დათვლის დროს საარჩევნო ბიულეტენები ამა თუ იმ კანდიდატის პირველი ხმების მიხედ-ვით ლაგდება. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, გამარჯვებულის გამოსავლენად ორტურიან სის-ტემაში გამოიყენება მეორე ტური (კენჭი ეყრება საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს, რომელთაგან გამარჯვებული ფარდობითი უმ-რავლესობის პრინციპით განისაზღვრება), ხო-ლო ალტერნატიული კენჭისყრის დროს, თუ პირველი დათვლით ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, ის კანდიდატი, რომელმაც ყველაზე ნაკლები ხმა მიიღო, სიიდან ამოიღება. ამასთანავე, მისი მეორე ხმები დარჩენილ კანდიდატებზე გადანაწილდება. ეს პროცესი მანამდე გრძელდება, სანამ ხმათა ასეთი გადანაწილებით რომელიმე კანდიდატი მათ აბსოლუტურ უმრავლესობას არ მიიღებს.

მაჟორიტარული სისტემას გააჩნია როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. დადე-ბით მხარედ შეგვიძლია გამოვყოთ ის, რომ მაჟორიტარული სისტემით არჩევნების დროს ამომრჩეველი ხმას აძლევს როგორც პარტიას, ისე უშუალოდ იმ პირს, ვისაც უნდა გადასცეს მანდატი. რობერტ დალის აზრით, მაჟორიტარული სისტემის ძლიერი მხარე კონკრეტული საარჩევნო ოლქის მოსახლეობისათვის პირდაპირი წარმო-მადგენლობის უზრუნველყოფაა. მისი აზრით, დეპუტატი შედარებით მცირე საარჩევნო ოლქს წარმოადგენს. მას ამომრჩეველი კარგად იცნობს. ერთმანდატიან ოლქში ძალიან ძლიერია ამომ-რჩევლისა და დეპუტატის კავშირი, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, უფრო მარტივი სტრუქტურისაა, ვიდრე პროპორ-ციული და შერეული სისტემები.

ამავდროულად მაჟორიტარული სისტემას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია კერძოდ, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ფარდობითი უმრავლესობის სისტემის პირობებში, ხშირ შემთხვევაში, უმრავლესობის ხმები იკარგება და უმცირესობის წარმომადგენელი ხდება მანდატის მფლობელი. აბსოლუტური და კვალიფიციური სისტემების პირობებში კი ძალიან დიდია ალბათობა, მით უფრო კვალიფიციურის პირობებში, რომ პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინოს და დადგეს აუცილებლობა მეორე ტურის დანიშვნის, რაც, რა თქმა უნდა, ორმაგ ხარჯებთან და რესურსთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა სასათბურე პირობებს უქმნის დიდ და ძლიერ პარტიებს. ასეთი ტიპის არჩევნებში პატარა პარტიის კანდიდატის გამარჯვება თითქმის წამოუდგენელია. მაღალი დემოკრატიის ქვეყნებში

(დიდი ბრიტანეთი) აღნიშნული სისტემა უფრო კარგად შეიძლება მუშაობდეს, ვიდრე პროპორციული და შერეული, მაგრამ განვითარებადი და ახალი დემოკრატიის ქვეყნებში აუცილებელია პარტიული პლურალიზმის გაძლიერება. პატარა პარტიებს საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი წარმომადგენლების შეყვანის შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

**პროპორციული საარჩევნო სისტემა**

მაჟორიტარული სისტემის ნაკლოვანებებმა, უფრო სამართლიანი და დემოკრატიული საარჩევნო სისტემის გამონახვის მცდელობებმა, განაპირობა პროპორციული სისტემის შექმნა. პროპორციული საარჩევნო სისტემა პირველად გამოიყენეს 1888 წელს სერბეთში, 1889 წელს კი ბელგიაში. სტიუარტ მილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნამდვილი დემოკრატიის დროს ყველა და ყველაფერი წარმოდგენილი უნდა იყოს არა დისპროპორციულად, არამედ პროპორციულად, ბევრი პოლიტიკის თეორეტიკოსი იზიარებს. მათ შორისაა ა. ლეიპხარტი, რომელსაც მიაჩნიათ, რომ რეპრეზენტატული ანუ წარმომადგენლობითი დემოკრატიისას სოციუმის ყველა სეგმენტი თანაბრად უნდა იქნას ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. თავად პროპორციული რეპრეზენტაციაც იმისთვის შეიქმნა, რომ ქვეყნის „უმაღლეს საკრებულოში ყველა ამომრჩევლისთვის გამოინახოს ადგილი" .

პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოყენებისას საარჩევნო ოლქი ყოველთვის მრავალმანდატიანია და პარტიებს შორის მანდატები ამ ოლქში მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება. პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, თუ როგორ აძლევს ხმას ამომრჩეველი; როგორ ნაწილდება მანდატები პარტიებს შორის; როგორია საარჩევნო ზღურბლი; მთელი ქვეყანა ერთი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქია თუ რამდენიმე მრავალმანდატიან ოლქად არის დაყოფილი. პროპორციული საარჩევნო სისტემის ძირითადი სახეობებია:

- სიითი პროპორციული წარმომადგენლობა (List PR);
- ერთი გადაცემადი ხმის სისტემა (STV).

პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს საარჩევ-ნო ზღურბლის (ბარიერის) მნიშვნელობა. პროპორციული საარჩევნო სისტემის შეუზღუდავი გამოყენება ხშირად არჩევით ორგანოში მრავალი პატარა პარტიის ნაკლებად გავლენიანი, მაგრამ ამბიციური წარმომადგენლების მოხვედრას იწვევს. საარჩევნო ზღურბლი არის პარტიული სიის მიერ მიღებულ ხმათა მინიმალური პროცენტული რაოდენობა (არჩევნების ან კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობიდან), რომელიც პარტიას უფლებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს მანდატების განაწილებაში. მისი დაწესება ხელს უშლის წარმომადგენლობით ორგანოში ძალიან სუსტ პარტიათა წარმომადგენლების მოხვედრას, რომლებიც, ცხადია, ამ ორგანოში ამინდს ვერ შექმნიან, მაგრამ შეიძლება პრობლემები შეუქმნან არა მარტო უმრავლესობის ჩამოყალიბებას, მთავრობის შექმნას და შემდგომ საჭირო გადაწყვეტილებათა მიღებას, არამედ ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებასაც. თუმცა საარჩევნო ზღურბლის დაწესებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან მაღალი ზღურბლის შემთხვევაში შეიძლება ზღურბლგადალახულ პარტიათა მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა მათ მოწინააღმდეგეთა რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდეს და არჩეულ ორგანოში მხოლოდ უმცირესობის წარმომადგენლები მოხვდნენ; მით უმეტეს, რომ ზღურბლის მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ მიღებული ხმები გამარჯვებულ პარტიებზე ნაწილდება.

სიითი პროპორციული წარმომადგენლობის (List PR) დროს იქმნება ერთი მრავალმანდატიანი ოლქი (ქვეყნის მასშტაბით). ამომრჩეველი ხმას აძლევს ერთ პარტიულ სიას (პარტიას). გამარჯვებულად მიიჩნევა ის ერთი ან რამდენიმე პარტია, რომლებიც საარჩევნო ბარიერს გადალახავენ. ბარიერგადალახული პარტიები მანდატებს მიღებული ხმების პროპორციულად მოიპოვებენ.

ერთი გადაცემადი ხმის სისტემა (STV) მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება. ამომრჩეველს რამდენიმე ხმა აქვს, მაგრამ ფაქტობრივად მათ იყენებს, როგორც ერთ გადაცემად ხმას. ამომრჩევლები ახდენენ საარჩევნო ბიულეტენებში კანდიდატთა რანგირებას უპირატესობების მიხედვით. ეს სისტემა ითვალისწინებს არა მხოლოდ პირველ, არამედ მეორე და მესამე უპირატესობებსაც. ხმების დათვლის პირველ ეტაპზე შემოწმდება კანდიდატთა პირველი უპირატესობები და კანდიდატები განლაგდებიან მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით (პირველი უპირატესობების შესაბამისად). შემდეგ დადგინდება პირველი უპირატესობების საერთო რაოდენობა და გამოითვლება საარჩევნო კვოტა. აღნიშნული სისტემით კანდიდატი არჩეულად მიიჩნევა, თუ იგი საარჩევნო კვოტის საშუალებით მიღებულ ხმათა რაოდენობას დააგროვებს (კვოტის გამოსათვლელად ძირითადად დრუპის კვოტა გამოიყენება. არჩევისთვის საჭიროა კანდიდატმა მიიღოს იმ განაყოფზე თუნდაც ერთი მთელი ხმით მეტი, რომელიც ამომრჩეველთა საერთო ხმების რაოდენობის ერთი ერთეულით გაზრდილ მანდატების რაოდენობაზე გაყოფით მიიღება. მაგალითად, თუ საერთო ჯამში 105 (მოქმედი) ხმაა მიცემული და 20 დეპუტატის ადგილი უნდა შეივსოს, ცხადია, ერთი მანდატის მისაღებად კანდიდატმა არანაკლებ 5 (105/(20+1)+1=5) ხმა უნდა დააგროვოს). ჩვეულებრივ, პირველი დათვლის შემდეგ რამდენიმე გაუნაწილებელი მანდატი რჩება. ასეთ შემთხვევაში არჩეული კანდიდატის ზედმეტი/ჭარბი საარჩევნო ბიულეტენები/ხმები სხვებს გადაუნაწილდება. ამისთვის გადამწყვეტია ამ კანდიდატის საარჩევნო ბიულეტენებში არსებული მეორე უპირატესობები.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ როგორც მაჟორიტარულ ასევე პროპორციულ სისტემას გააჩნია როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. დადებით მხარედ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

- ♦ უზრუნველყოფს მიღებული ხმების ზუსტად გარდაქმნას მიღებულ მანდატებად და თავიდან იცილებს უსამართლო შედეგებს რომელსაც მაჯორიტარული სისტემა წარმოქმნის;
- ♦ მინიმუმამდეა დაყვანილი ე.წ. „ბონუს მანდატების შესაძლებლობა დიდი პარტიებისთვის;
- ♦ ხელს უწყობს პოლიტიკური პლურალიზმის გაძლიერებას და პატარა პარტიებს განვითარების საშუალებას აძლევს;
- ♦ პოლიტიკურ პარტიას აქვს შესაძლებლობა საარჩევნო სიის ისეთი ფორმირების რომლის შედეგადაც საკანონმდებლო ორგანოში შეიყვანოს პროფესიონალი მაგრამ საზოგადოებისთვის უცნობი პიროვნება;
- ♦ რაც ყველაზე მთავარია, უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი მართავს და ამასთან უმცირესობის მხარდაჭერილი პარტიებიც წარმოდგენილნი არიან საკანონმდებლო ორგანოში.

ამავდროულად პროპორციული სისტემის უარყოფითი მხარეებია კერძოდ ის რომ:

- ♦ ამომრჩცევლსითვის რთულია პარტულ სიაში გარკვევა და გადაწყვეტილებას იღებს პარტიის პოლიტიკური იდეოლოგიით და ლიდერების მიმართ თავის დამოკიდებულების შესაბამისად;
- ♦ კოალიციური მთავრობის შექმნა, რომელიც იწვევს საკანონმდებლო ჩაკეტილოაბას და თანმიმდევრული პოლიტიკის შექმნის შეუძლებლობას;
- ♦ ექსტრემისტულ პარტიებს მეტ შესაძლებლობას აძლევს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად;
- ♦ ქვეყანაში „პოლიტიკური სიჭრელის“ შედეგად წარმომადგენლობითი ორგანოც „პოლიტიკურად აჭრელდება“ რაც როგორც წესი პოლიტიკურ არასტაბილურობას იწვევს, მაგრამ ბოლო ორი ნაკლოვანების თავიდან აცილება საარჩევნო ზღურბლის საშუალებითაა შესაძლებელი.

**შერეული საარჩევნო სისტემა**

არაერთ ქვეყანაში სხვადასხვა საარჩევნო სისტემის დადებით მხარეთა გაერთიანების და ნაკლოვანებათა შემცირების მიზნით გამოიყენება შერეული საარჩევნო სისტემა, რომელიც მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების უბრალო გაერთიანებით ან ამ სისტემათა ცალკეული ელემენტების გაერთიანებით მიიღება. შერეულ საარჩევნო სისტემაში სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემის ელემენტები.

შერეული საარჩევნო სისტემის ყველაზე მარტივი ფორმაა პარალელური კენჭისყრა (Parallel). ამ სისტემით წარმომადგენლობითი ორგანო სანახევროდ მაჟორიტარული, სანახევროდ კი – პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული დეპუტატებით კომპლექტდება. პარალელური კენჭისყრის სისტემა ითავსებს პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების დადებით

ნიშნებს. ის იმ საარჩევნო სისტემების ვარიანტია, რომლებშიც წარმომადგენლები აირჩევიან როგორც გეოგრაფიული საარჩევნო ოლქებიდან, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით პროპორციული საარჩევნო სისტემით, პარტიული სიებით. ამომრჩეველს აქვს ორი ხმა – ერთი პარტიული სიისთვის და მეორე – საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატისთვის. საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი ძირითადად ფარდობითი უმრავლესობის პრინციპით აირჩევა. პარტიული სიით წარდგენილ კანდიდატებს პარტიის მიერ მიღებული ხმებიდან გამომდინარე ირჩევენ. ეს კანდიდატები მანდატებს იმ რიგითობის მიხედვით მიიღებენ, რომელიც პოლიტიკურმა პარტიამ არჩევნების დაწყებამდე წარადგინა.

შერეული წევრობის სისტემა (MMP). ეს სისტემა გამოიყენება გერმანიაში. იგი ცდილობს მაჟორიტარული და პროპორციული წარმომადგენლობების დადებითი ასპექტები გააერთიანოს. აღნიშნული სისტემა სტრუქტურით პარალელური 170 კენჭისყრის მსგავსია, თუმცა მისი გამორჩეული მახასიათებელი არის ის, რომ სიითი პროპორციულობით მიღებული მანდატები ერთმანდატიანი მაჟორიტარული არჩევნებით გამოწვეული ნებისმიერი დისპროპორციის კომპენსირებას ახდენს. რაც შეეხება საარჩევნო სისტემების გამოყენების გეოგრაფიას: მსოფლიოს 199 ქვეყნიდან და ტერიტორიიდან, სადაც არჩევნები ტარდება, 91–ში საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად გამოიყენება მაჟორიტარული ტიპის სისტემები, 72 ქვეყანაში პრორპორციული წარმომადგენლობის სისტემები, 30–ში კი შერეული სისტემები (დარჩენილი 6 ქვეყნის სააარჩევნო პროცედურა არცერთ ამ სისტემაში არ ჯდება). აღსანიშნავია, რომ დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებში მეტწილად პრორპორციული სისტემები გამოიყენება

**სხვა საარჩევნო სისტემები**

სხვა საარჩევნო სისტემები ამ სისტემების თავისებურება ისაა, რომ ისინი ერთი ნიშნით (მრავალმანდატიანი ოლქი) პროპორციული საარჩევნო სისტემის მსგავსია, მაგრამ, მეორე მხრივ, კენჭისყრის პროცესი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მსგავსად მიმდინარეობს. აღნიშნულ სისტემებს განეკუთვნება: ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა (SNTV), შეზღუდული კენჭისყრა (LV), ბორდას დათვლა (BC). ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა მრავალმანდატიან ოლქში გამოიყენება. ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს და, ამდენად, ხმას მხოლოდ ერთ კანდიდატს აძლევს. საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები მიიღებენ მანდატებს მოცემულ საარჩევნო ოლქში. შეზღუდულ კენჭისყრას მრავალმანდატიან ოლქში იყენებენ. ამომრჩეველს შეუძლია ხმა რამდენიმე კანდიდატს მისცეს. ხმების რაოდენობა შეზღუდულია – იგი გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე ნაკლები უნდა იყოს. გამარჯვებულია ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ბორდას დათვლა არის პრეფერენციული სისტემა, რომელიც გამოიყენება როგორც ერთმანდატიან, ისე მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში. ამომრჩეველი კანდიდატებს პრეფერენციებს (უპირატესობებს) (1, 2, 3, 4 და ა.შ.) ანიჭებს. დათვლის დროს კანდიდატებს ქულები ენიჭებათ, მაგალითად, ვინც პირველი პრეფერენცია მიიღო – 1 ქულა, ვინც მეორე პრეფერენცია მიიღო – 2 ქულა და ა.შ. ყველა ქულა ჯამდება და გამარჯვებულად ყველაზე ნაკლები ქულების მქონე კანდიდატები ცხადდებიან.

**დასკვნა**

საარჩევნო სისტემის იდეალური მოდელი არ არსებობს. თითოეულ მათგანს აქვს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. დიდწილად სწორედ ამით აიხსნება ის მრავალფეროვნება საარჩევნო სისტემებისა, რომელთაც თანამედროვე მსოფლიოში იყენებენ. რომელი მათგანი შეიძლება საუკეთესო ჩაითვალოს? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ორგანოს არჩევა ხდება: საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი, კოლეგიალური (წარმომადგენლობითი) თუ ერთპიროვნული, ფედერალური, რეგიონული თუ ადგილობრივი. საუბარი უნდა იყოს არა ერთ, არამედ რამდენიმე ასეთ მოდელზე. თუმცა, ქვეყნის მასშტაბით ან მის ნაწილში საარჩევნო სისტემის ამა თუ იმ ნაირსახეობის არჩევაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ყურადღებით უნდა გაანალიზდეს სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური ცხოვრების არსებული რეალიების სპეციფიკა, ხალხის ტრადიციები და კულტურა.

საარჩევნო სისტემა – თუნდაც მისი მთავარი მახასიათებლები - მაქსიმალურად გასაგები უნდა იყოს ამომრჩევლისათვის; ასევე არ უნდა ქმნიდეს სირთულეს ხმის მიცემის პროცედურა. საარჩევნო სისტემას, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, შეუძლია და რეალურადაც ახდენს გავლენას ქვეყნის ყველა პოლიტიკურ ინსტიტუტზე. ამდენად, მისი შერჩევა მუდმივ ძიებას ითხოვს და ამ ძიებაში წარმატების ერთ–ერთ ძირითად პირობას მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინება წარმოადგენს. თუმცა პოლიტიკური ცხოვრების შემდგომმა განვითარებამ შესაძლოა მოითხოვოს

ახალი საარჩევნო მოდელების გამოყენება.

ამასთან, საარჩევნო სისტემაში დაგეგმილი ცვლილებების შეტანის წინაპირობა და სამომავლო პოზიტიური ცვლილებების ანალიზი მნიშვნელოვანია პოლიტიკური პროცესების სწორად დაგეგმისთვის თუმცა, როგორც ბრიტანელი პოლიტოლოგი ენდრიუ ჰეივუდი ამბობს, „საარჩევნო რეფორმებზე კამათისას ამა თუ იმ სისტემის მნიშვნელობას მაინც გადამეტებულად აფასებენ ხოლმე. სინამდვიში არჩევნები მხოლოდ ერთი ფაქტორია იმ უამრავთა შორის, რაც პოლიტიკურ პროცესს განსაზღავრავს და შესაძლოა არც თუ გადამწყვეტს“ და იქვე დასძენს, რომ მიუხედავად ამისა ,,..სხვა თუ არაფერი, საზოგადოებას იმის განცდა მაინც უჩნდება, რომ პოლიტიკურ პროცესებზე ახდენს გავლენას და უშუალოდ თუ არაპირდაპირ განსაზღვრავს, ვინ იქნება ხელისუფლების სათავეში, ამ კუთხით კი, არჩვნებს გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. ადამიანისუფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული თბ. 1998 წ.
2. ადამიანის უფლებათა სამართალი თბ 2012 წ
3. დემეტრაშვილი .ა კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო თბ.2005წ.
4. მაცაბერიძე მ. არჩევნები და საზოგადოება ,,მეცნიერება“ თბ. 2003 წ
5. მაცაბერიძე მ. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფციათბ. 1996 წ.
6. მელქაძე ო. საარჩევნო სამართალი თბ, 2005წ
7. მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების ძირითადი გარანტიები თბ. 1997წ.
8. სადამკვირვებლო ორგანიზაციების პროფესიული განვითარების ტრენინგი. beidge
9. ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარქივო მასალები. 1995- 2015 წლები
10. ჰეივუდიე. ,,იდეოლოგიები“თ. 2009 XII თავი
11. 9 Leduc L., Niemi R. and Norris P., დასახელებული ნაშრომი, Chapter 2, pp. 29.
12. Лейпхарт А. Конституционные альтернативы для новых демократий //Полис. 1995.
13. http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf
14. https://emcrights.files.wordpress.com/2013/10/book_geo_web1.pdf
15. Бешлер Ж. Демократия. М., 1994. С
16. Дюверже М. Политические партии / Пер. с франц. – М.Академический Проект,
17. Даль Р. Возможности усовершенствования выборных законодательных органов
18. Российской Федерации. Сравнительный обзор избирательных систем..М. 1996См.: 16. Конституционное (государственное) право зарубежных стран. Учебник: В 4-х т. Т. 1-2 / Отв. Ред. Б.А. Страшун. – М.: Издательство БЕК, 1995. –
19. Уоллерстайн М. Избирательные системы, партии и политическая стабильность // Полис. – 1992.
20. Лейпхарт А. Конституционные альтернативы для новых демократий //Полис. 1995. №
21. Лейкман Э.Ламберт Дж. Исследование мажоритарной и пропорциональной избирательных систем М. 1958 წ
22. тагепера Р., Шугарт М.С. Описание избирательных систем // Полис. – 1997.
23. http://election-choice.blogspot.com/2011/12/blog-post.htmlhttp://
24. www.kas.de/wf/doc/kas_36475-1522-22-30.pdf?131223094855
25. https://emcrights.files.wordpress.com/2013/10/book_geo_web1.pdf
26. http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf2
27. http://www.aura.ge/menu/2-istoriebi/133-palitra/760-mazhoritaruli-saarchevno-sistema.html
28. https://emcrights.files.wordpress.com/2013/10/book_geo_web1.pdf
29. http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD
30. https://tbilisipost.ge/news/saarchevno-sistemebis-sakheebi-da-formebi - msoflioshi/2771
31. http://www.electionreforms.ge/res/docs/damx_saxel_2017.pdf

# Overview of Electoral Systems

***Nana Bgarashvili, PhD Student***
***Georgian Technical University***

## Summary

In a democratic system fair elections is of a great importance, which is mainly caused by electoral system. If the system is faulty, it questions the legitimacy of elected bodies and officials from the very beginning. This article analyzes a historical development of elections and electoral system, their formation and modern electoral systems. The absolute majority of researchers divide the electoral systems into two big groups: proportional and majoritarian electoral systems.

The electoral system is one of the main instruments of the state government legitimacy and democratic regime. In the fight for votes, the electoral system creates institutional basis for political elite competition, therefore, by defending democratic principles, it gives the opportunity for the formation of governing political class personnel and their recruiting. Therefore, manipulating with the electoral systems is a very frequent occasion, that is, political parties, which are somehow supported by people; enter the legislative body with different number of MPs than it is defined by received percentage, most commonly, more MPs from the government and less from the opposition side. The mentioned fact causes problems such as a lack of accountability from the government, a non-competitive political field and unstable multi-party system, which threatens the implementation of a representative democracy as a whole.

In the historical frame, the article analyses typology of electoral systems and their aspects, differences of majoritarian and proportional electoral systems based on modern world practice. Based on the opinion of the experienced international and leading scientists, we present their positive and negative aspects. The electoral system can influence and actually influences every political institution of the country. Accordingly, choosing the appropriate electoral system needs a constant searching and during this process, one of the main aspects of success lies in sharing the world experience.

Key words: Elections; Voter; Political parties; Majoritarian system; Proportional system; Mixed systems

# ძალადობის ფორმები და შესაძლო ნეგატიური შედეგები

*სოფიო მამესწარაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ ძალადობა განიმარტება, როგორც ძალაუფლებისა ან ფიზიკური ძალის განზრახ გამოყენება საკუთარი თავის ან სხვების წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც შესაძლებელია გამოვლინდეს სხეულის ნაკლებად მძიმე ან/და მძიმე დაზიანებები, ფსიქოლოგიური ტრავმა, სიკვდილი და სხვა.

ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმას შეიძლება შევხვდეთ. სამწუხაროდ ძალადობის ფაქტებს შეიძლება შევხვდეთ, როგორც განვითარებულ, ისე დაბალი განვითარების ქვეყნებში, სოფლებსა და ქალაქებში, დიდ და პატარა ოჯახებში. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაშიც გაიზარდა ინტერესი და აქტიურად დაიწყო საზოგადოებამ ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემის შესახებ საუბარი. სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა - დღეს ძალიან ბევრი ბავშვი და მოზარდი ძალადობის მსხვერპლია. არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს ნებისმიერ ქმედებასთან, რომელიც აკნინებს ან ემუქრება არასრულწლოვანის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას. არასრულწლოვნისადმი ცუდად მოპყრობა არ მოიცავს მხოლოდ შესამჩნევ დაზიანებებს, ის ასევე აერთიანებს ისეთ ქცევებს, რომელიც რეალური ან პოტენციური ზიანის მომტანია.

ძალადობა სერიოზულ ზიანს აყენებს ბავშვის ჯანმრთელობას!

ბავშვზე ძალადობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს, მაგრამ ზიანი ყოველთვის მოიცავს ჯანმრთელობის, განვითარების და ეფექტური სოციალიზაციის სფეროებს. ძალადობის მყისიერ შედეგებს განეკუთვნება ფიზიკური დაზიანებები – მოტეხილობა, ჭრილობა, დამწვრობა, სისხლჩაქცევები.

არსებობს მტკიცებულებები, რომ მყისიერად გამოვლენილი პრობლემების გარდა, თავს იჩენს შორეული შედეგებიც. უფროსებში გამოვლენილი მრავალი დაავადება, როგორიცაა: გულის დაავადებები, სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემების ქრონიკული დაავადებები, სიმსივნე და სხვა – ბავშვობაში გადატანილ ძალადობასთანაა დაკავშირებული.

ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობა შეიძლება იყოს ერთჯერადი აქტი, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვის ცემა დამორჩილების მიზნით; და ასევე ბავშვთან ურთიერთობის, ქცევის მუდმივი ფორმა, როგორიცაა, მაგალითად, სექსუალური ძალადობა, ზრუნვის და ყურადღების დეფიციტი და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ძალადობის ფორმები. ძალადობით პროვოცირებული პრობლემები. ძალადობისადმი მდგრადობა.

**შესავალი**

ბავშვის მიმართ ძალადობა სხვადასხვა ფორმით გამოიხატება და განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს ინდივიდზე. სტატიის ფარგლებში განვიხილავთ ძალადობის 4 ძირითად ფორმას:

1. ფიზიკური ძალადობა.
2. ემოციური/ფსიქოლოგიური ძალადობა.
3. სექსუალური ძალადობა.
4. უგულებელყოფა.

ბავშვი შეიძლება განიცდიდეს ძალადობის ამ ფორმათაგან ერთ-ერთს ან რამდენიმე მათგანს ერთდროულად. მაგალითად, ფიზიკური ძალადობის დროს შესაძლოა ბავშვს მიადგეს ფსიქოლოგიური ტრავმაც. სექსუალური ძალადობის დროს - ფიზიკურიც და ა.შ. ძალადობის შემთხვევები გვხვდება ყველა სოციალური ფენის ოჯახში. რამდენად სამწუხარო და გასაკვირიც უნდა იყოს, მოძალადეთა უმეტესობა ბავშვისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები არიან (მშობლები, ახლობლები, ნათესავები, ოჯახის მეგობრები).

**ძირითადი ნაწილი**

არასრულწლოვნების და ბავშვების მიმართ ხშირად გამოყენებულია ძალადობის სხვადასხვა ფორმა ან/და ფორმების კომბინაცია. ფიზიკური ძალადობა - ეს არის ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს არასრულწლოვანს და/ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას. ფიზიკური ძალადობაა "განსაკუთრებული" დასჯის გამოყენება-წამება, ბავშვის ჩაკეტვა ბნელ ადგილას, ისეთი სამუშაოს შესრულების მოთხოვნა, რომელსაც ბავშვი ვერ გაუმკლავდება. ემოციური/ფსიქოლოგიური ძალადობა - მოიცავს ქრონიკულ სიტყვიერ შეურაცხყოფას და

ბავშვის ჩაგვრას, სიტყვით ან/და ქცევით მოზარდში შიშის, დამცირების, მარტოობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის საზიანო სხვა მდგომარეობების გამოწვევას. სექსუალური ძალადობა - ძალადობის სპეციფიური ფორმაა, რომლის დროსაც ბავშვისადმი მიყენებული ფიზიკური და ასევე ფსიქოლოგიური ზიანი გამოწვეულია სქესობრივი კონტაქტით. სექსუალური ძალადობა მოიცავს როგორც სქესობრივ აქტს, ასევე გარყვნილ ქმედებას, სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნას, სექსუალურ გარყვნას, თვალთვალს, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღებას, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების უფლებას, გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას, სასქესო ორგანოების დემონსტრირებას, ღია საუბრებს სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევას (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულებას და სხვა. უგულებელყოფა - ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების რეგულარული დაუკმაყოფილებლობაა მშობლის თუ მეურვის მხრიდან, ობიექტური მიზეზების გამო (სიღარიბე, ფსიქიკური დაავადებები, გამოუცდელობა) ან ამგვარი მიზეზების გარეშე, რის შედეგადაც ბავშვის სრულფასოვან განვითარებასა და ფუნქციონირებას საფრთხე ექმნება.

ძალადობა ძლიერ კვალს ტოვებს ბავშვის ცხოვრებაზე. მიუხედავად ძალადობის ფორმისა, ეს ქმედება ხშირად იწვევს ფსიქოლოგიურ ტრავმას რომელიც, როგორც წესი: საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, დაუცველს ხდის ადამიანს საშინელი საფრთხის წინაშე, მის ძლიერ შფოთვასა და ინსტიქტურ დაძაბულობას იწვევს, არღვევს თვითგადარჩენასთან დაკავშირებულ ძირითად წარმოდგენებს, აჩვენებს, რომ სამყარო უმართავი და არაპროგნოზირებადია. ძალადობის მსხვერპლ ბავშვს ხშირად აქვს უმწეობის და სიტუაციასთან შეუსაბამობის განცდა. ბავშვი არ არის დარწმუნებული საკუთარ თავში და უჩნდება განცდა, რომ ნაკლებად წარმატებულია მისთვის მნიშვნელოვან სფეროებში.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვი მუდმივად სიფხიზლის მდგომარეობაშია და ცდილობს „დაიჭიროს“ სხვა ადამიანებში ისეთი ნიშნები, რომლებიც შეიძლება მოსალოდნელ საფრთხეზე მიუთითებდეს. ამ ბავშვისთვის სამყარო მოულოდნელობებით არის სავსე, სადაც წინასწარ ვერ განისაზღვრება მოვლენათა თანმიმდევრობა. შესაბამისად კეთილგანწყობილ გარემოშიც კი ვერ ახერხებს მოშვებას. ძალადობა განცდილი ბავშვი, როგორც უკვე აღვნიშნეთ განიცდის შფოთვას. ხშირია შიში იმისა, რომ მომხდარი კიდევ განმეორდება. ამის ფონზე კი ბავშვის გაღიზიანებადობა და აგრესიულობა მატულობს. ასეთი ბავშვისთვის აგრესიული ქცევა რიგ შემთხვევაში თვით დამკვიდრების საშუალებასაც წარმოადგენს. ძალადობის გამოცდილება ოჯახში, იწვევს ქცევის ამ მოდელის დასწავლას და ბავშვს ის გადააქვს გარშემომყოფებთან ურთიერთობაში.

სამწუხაროდ ძალადობა ფუნქციონირების ყველა დონეზე ახდენს გავლენას. გარდა თავდაპირველი ზემოქმედებისა, მისი შედეგი შესაძლოა გრძელვადიანი აღმოჩნდეს და ადამიანის მთელი ცხოვრება შეცვალოს. ამის მაგალითი, ოჯახური ურთიერთობების ჩამოყალიბებაც კი შეგვიძლია მოვიყვანოთ. არაერთი მოძალადე მშობელი თავად იყო ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ძალადობის შედეგები გავლენას ახდენენ ბავშვის ფუნქციონირების სხვადასხვა დონეზე. მაგრამ ხაზგასასმელია, რომ ძალადობის ყველა ეპიზოდი არ სრულდება ფსიქოლოგიური ტრავმით. ასეთ „გამძლეობას“ ახასიათებენ, როგორც სტრესულ და რისკის შემცველ სიტუაციებში სიცოცხლის ხალისის, წარმატების მიღწევის უნარის შენარჩუნებას და ის სამი ძირითადი ასპექტისგან შედგება: 1. რისკ-ფაქტორი, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის განვითარებას და გარემოსთან შეგუებას. რისკ-ფაქტორთა გავლენა ვარირებს და ცვალებადია. რაც უფრო ხანგრძლივია ეს გავლენა მით უფრო მძიმეა შედეგი და შესაბამისად მით უფრო მცირდება ძალადობისადმი მდგრადობის უნარი.

2. პოზიტიური დასასრული - როდესაც მიუხედავად არასახარბიელო სიტუაციისა ბავშვი მაინც ნორმალურად ვითარდება. აქ უპირველეს ყოვლისა ვაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ბავშვი ვითარდება; შინაგანად განიცდის, რომ კარგად არის; და სახეზე არ გვაქვს ფსიქოლოგიური ტრავმის სიმპტომატიკა. 3. რესურსი - ის ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ პოზიტიური დასასრულის დადგომას. რესურსების ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყოს იმ ზიანის აღმოფხვრა, რაც შესაძლოა ბავშვს მიადგეს ძალადობრივი გარემოდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ რისკ-ფაქტორების გავლენამ შესაძლოა თავი იჩინოს არა მაშინვე, არამედ გარკვეული დროის, შესაძლოა წლების გავლის შემდეგაც კი და მიუხედავად რესურსებისა, რომლებმაც შეიძლება შეამციროს

მათი გავლენა, სასურველია ბავშვი რაც შეიძლება მოკლე დროში მოვაშოროთ ძალადობრივ გარემოს.

## დასკვნა

ამგვარად, ძალადობა არის ქცევის ფორმა, რომელიც ძირითად შემთხვევაში ნეგატიურად აისახება ინდივიდის ფიზიკურ თუ მენტალურ ჯან-მრთელობაზე. აზიანებს მის ზრდა, განვითარების და ეფექტური სოციალიზაციის პროცესებს. ძალა-დობა გარკვეული ალბათობით ზრდის რისკებს, რომ მსხვერპლი შემდგომში თავადაც მოძალადე გახდეს, რაც ცხადია მანკიერ წრეს კრავს და უსასრულოს ხდის.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. გოგიჩაიშვილი, თ. (2005) განვითარების ფსიქოლოგია (სასკოლო ასაკი), უნივერსალი
2. თავართქილაძე ე., დავითიანი ქ., მარგალიტაძე ქ., შარაბიძე ი., გოგიჩიძე ნ., მელიქიშვილი მ. (2009) ბავშვთა მიმართ ძალადობა, თბილისი
3. Райс Ф., Долджин К. (2010) Психология подросткового и юношеского возраста, 12-е издание, Питер
4. Шеффер Д. (2003), Дети и Подростки, Психология Развития, Питер
5. Хьелл Л., Зиглер Д. (2011), Теории Личности, Питер
6. Berk L.E. (2006), Child Development, Pearson Education Inc.
7. Craig G.J. (2006), Human Development, Prentice Hall
8. Duncan S.C (2000), Risk and Protective Factors Influencing Problem Behavior, Annals of Behavior Medicine


## Determinative factors of juvenile delinquency


***Sopio Mamestsarashvili, PhD student***
***Georgian Techniqal University***



### Summary

Violence is defined by the World Health Organization (WHO) as the deliberate use of force or physical force against oneself or others, which can result in less severe and / or severe bodily injury, psychological trauma, death, and more.

We can encounter different forms of violence against children and adults. Unfortunately, the facts of violence can be found in both developed and low-income countries, villages and cities, large and small families. It is noteworthy that in recent years the interest in our country has increased and the society has actively started talking about the problem of violence against children. It's unfortunate, but it's a reality - too many children and teens are victims of violence today. In the case of violence against minors, we deal with any action that diminishes or threatens the mental and physical well-being of a minor, endangers his or her health and development. Ill-treatment of a minor does not only involve noticeable harm, it also incorporates behaviors that cause real or potential harm. Violence causes serious harm to a child's health! Child abuse can take many forms, but harm always includes areas of health, development, and effective socialization. Belongs to the immediate consequences of violence Physical injuries - fractures, wounds, burns, bruises. There is evidence that in addition to the problems identified immediately, There are distant consequences as well. Many diseases identified in adults, such as heart disease, chronic diseases of the respiratory and digestive systems, cancer, etc. - are associated with childhood violence.Unfortunately violence affects all levels of functioning. In addition to the initial impact, its consequences may turn out to be long-term and change a person’s entire life.

Violence against a child can be a one-time act, such as, for example, beating a child for obedience; And also a constant form of relationship, behavior with the child, such as, for example, sexual abuse, lack of care and attention, and so on.


key words: Forms of violence. Problems provoked by violence. Resistance to violence.

# „დისტანციური სწავლების“ გამოწვევები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

*ირინა მელქაძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზუმე

სტატიაში „დისტანციური სწავლების“ გამოწვევები ქართულ საგანმანათლებო სივრცეში საუბარია იმ სირთულეებზე, რომელიც დადგა სასწავლო დაწესებულებების დღის წესრიგში 2020 წლიდან დღევანდლამდე. COVID 19-ის პანდემიამ განაპირობა ქვეყანაში სრულიად ახალი სისტემის ჩამოყალიბება და მეტად სწრაფად მოითხოვა სასწავლო დაწესებულებებისგან მასზე მორგება (საქართველოს მთავრობის დადგენილება №205 2020 წლის 31 მარტი ქ. თბილისი „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“). აქამდე არ არსებული, გაუკვალავი გზით სიარული, რომელიც ქვეყნის მომავლი თაობების განათლების სადარაჯოზე მყოფთათვის რთული აღმოჩნდა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა უმრავლესობა არც და ვერც ფლობდა ყველა იმ უნარს, რომელიც დისტანციური სწავლებისას გამოსადეგი იქნებოდა. რომ აღარაფერი ვთქვათ თავად დისტანციურო სწავლების არსსა და მის თეორიულ საფუძვლებზე.

ერთის მხრივ პანდემიის პირობებში გამოწვეული სტრესი და მეორეს მხრივ ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესი სასკოლო საზოგადოებისათვის მრავალი, ახალი გამოწვევის საფუძველი გახდა. ყოველივე კი, როგორც ტექნიკურ, ისე მეთოდოლოგიურ მიმართულებებზეც აქტიურად გამოიკვეთა.

ამ საკითხების გააზრებას, დაგეგმვას, განხორციელებას და შეფასებას მრავალი თეორია ემსახურება, როგორებიცაა: განათლების ზოგადი თეორიები (შემუშავებული ტარდიციული სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე), დისტანციური განათლების თეორიები (შემუშავებული სპეციფიურიურად, განათლების ამ ფორმის გასააზრებლად), ფსიქოლოგიური და სოციალური თეორიები (შექმნილი არა განათლების სფეროს გასააზრებლად, თუმც გამოიყენება დისტანციური განათლების პროცესის შესაცნობად).

დისტანციური სწავლების პრინციპი თავის თავში გულისხმობს დაშორებას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, არაპირდაპირი ონლაინ მეთოდით საგანმანათლებლო საქმინობის განხორციელებას. მაიკლ ჯ. მური სწორედ ამ თეორიას შეისწავლის, რომელსაც ტრანსაქციული დისტანციის თეორია ეწოდება. იგი მოიცავს: დიალოგს, სტრუქტურას და მოსწავლის ავტონომიურობას. პირველში მოსწავლე-მასწავლებლის სასწავლო კომუნიკაცია იგულისხმება, საკომუნიკაციო არხი კი ამ შემთხვევაში დისტანციური, ონლაინ, ინტერნეტ პლატფორმების სახით გვევლინება. პროგრამის სტრუქტურა თავად სწავლების ორგანიზების ფორმებს მოიცავს. არსებული მასალები და მათი მოდიფიცირების შესაძლებლობების ქონა, აიოლებს ტრასაქციული სწავლების მოდელის განხორცილებას, ამცირებს დაშორებას მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. აღნიშნული თეორიის ძირიტადი ღირებულებაა ის, რომ ერთის მხრივ ეხმარება დისტანციური სწავლების დამგეგმავებს იმის აგცნობიერებაში რამდენად ინტენსიური იქნება მოსწავლეთა კავშირი მასწავლებლებთან. მეორეს მხრივ კი იმ ელემენტების კლასიფიკაციაში უწევს დახმარებას, რომელიც განსაზღვრავს კურსების წარმატებას.

სტატიაში „დისტანციური სწავლების“ გამოწვევები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში” საუბარია დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესის ძირითად გამოწვევებზე, მის მიმდინარე შედეგებზე და ამ ტიპის მომსახურეობით გამოწვეული პრობლემების გადაჭრის გზებზე.

საკვანძო სიტყვები: “დისტანციური სწავლება”, „ზოგადი განათლება“, „სწავლა-სწავლება“, „სკოლა“, “ონლაინ გაკვეთილები”, “გამოწვევები”, “შედეგები”

## შესავალი

მთელ მსოფლიოში და საქართველოში COVID 19-ის პანდემიის პირობებში სასწავლო დაწესებულებებს სწავლა-სწავლების პორცესის განხორციელება უწევთ დისტანციურად.

2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, მსოფლიოს დაახლოებით 1077 მილიარდი მოსწავლე გადავიდა დისტანციური სწავლების მოდელზე. ამ ჟამად, გაეროს ბავშვთა ფონდის მონიტორინგის თანახმად, 53 ქვეყანა სწავლობს დისტანციურ რეჟიმში. რაც შეეხება ჩვენს მიღწევებს ამ მიმათულებით აღნიშნული მეთოდოლოგიის

დანერგვა დაკავშირებულია ისტორიულ წარსულთან, კერძოდ კი პირველი ჩანაწერი კანონში, დისტანციურ სწავლებათან დაკავშირებით გაჩნდა 2016 წელს, სადაც დისტანციური სწავლების მხოლოდ სინქრონული მეთოდი მოიაზრებოდა.

მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს კვლევა, დისტანციული სასწავლო პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. შესაბამისად უცნობია, თუ რა ტიპის გამოწვევებს, როგორ უმკლავდებიან სასწავლო დაწესებულბები და რა მიღწევებს ასახელებენ პრიორიტეტულად. ამასთან საგულისხმოა დადგინდეს ამ მეთოდოლგიის საფუძველზე მოსწავლეთა მიმდინარე აკადემიური მიღწევები, გაკეთდეს ანალიზი გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებთან და გამოიკვეთოს ძირითადი **გამოწვევები.**

**ძირითადი ნაწილი**

ტერმინს "დისტანციური განათლება" არა ერთი განმარტება მოეძებნება. ამასთან ის არა ერთხელ შეიცვალა, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა განათლების მიზნები, პედაგოგიური მიდგომები, სწავლების შესახებ თეორიული საფუძვლები, ტექნოლოგიები და სხვა. მეტად გავრცეკებულიმაინციუნესკოსდეფინიციაა,კერძოდ კი "დისტანციური განათლება საგანმანათლებლო პროცესია, რომელშიც სწავლება სრულად ან ძირითადად წარიმართება მის მიერ, ვინც სივრცესა და/ან დროში დაცილებულია მოსწავლისაგან და როდესაც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კომუნიკაცია სრულად ან უმეტესად ხელოვნური გამაშუალებლების, ელექტრონულისა თუ ბეჭდურის, მეშვეობით მიმდინარეობს". აღნიშნული დეფინიის შემუშავებიდან დაახლოებიღ 20 წელი გავიდა. ამ დროის შემდგომ კი სპეციალისტები ისეთ გარემოებებს, როგორიცაა დაშორება, დრო და სივრცე, ამ პერსპექტივიდან არ განიხილავენ.

1728 წელს ამერიკაში, ქალაქ ბოსტონის გაზეთში, კლებ ფილიფსი აქვეყნებს განცადებას სტენოგრაფიულად ჩაწერის მეთოდის დისტანციური ფორმით სწვლების მსურველთა მიღებაზე. აღნიშნულის განსახორცილებლად კელნს ფოსტის მომსახურება აქვს გააქტიურებული, კვირაში ერთჯერ დავალებებისა და მასალების გაგზავნა/მიღების სახით. მეთოდი საბოლოოდ "კორესპონდენციით სწავლების" სახელწოდებით დამკვიდრდა. ცოტა უფრო მოგვიანებით ინერგება დაუსწრებელი სწავლების ფორმები, რომელიც სათავეს 1938 წლიდან იღებს და 2004 წალმდე საქართველშიც აქტიურად იყო დანერგილი. ამავე მე-20 საუკუნეში აქიურად ინერგება სატელევიზიო და რადიო საშულებების გამოყელებით დისტანციური სასწავლო პროვესის განხორციელება. მაგალიდათ 1960 წელს ავსტრალიაში, ქუისლენდის რეგიონში მოსწავლეები რადიო გადაცემების მეშვეობით სწავლობდნენ, რომელსაც ერქვა "სკოლა ეთერში". ჩვენს რეალობაში კი 1975-1990 წლებში არსებობდა თამაზ კვაჭანტირაძის საგანმანათლებლო გადაცემა "ქართული ენა და ლიტერატურა", რიმელიც საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერში გადიოდა.

თანამედროვეობაში, კი სამყარო მოცულია ინტერნეტ სივრცით, რაც სრულიად ცვლის დისტანციური განათლების არა მხოლოდ მასშტაბს, არამედ მის მიზნებს და შესაბამის მეთოდოლოგიებს. ამ შემთვევაში მივდივართ ორი ძირითადი კურსით: ვირტუალური სკოლები და ღია ონლაინ კურსები. პირველის შემთხვევაში შესანიშნავი მაგალიათია: ფლორიდის ვირტუალური სკოლა (1997 წელი), ვაშინგტონის ოლქის საგანმანათლებლო ტელევიზიის პროგრამა და რიგის დისტანციური სკოლა. მათი ძირითადი დანიშნულება სეგმენტირებული იყო შესაბამისი საჭიროების მქონე მოსწაველთა კონტიგენტზე. ღია ონლაინ კურსებს კი სათავე 2012 წლიდან აქვს აღებული, რომელიც ძირითადად MOOC-ის აბრევიატურით გვხვდება და იყენებს edX-ის პლატფორმას ძალზედ გავრცელებულია მთელს მსოფლიოში. 2020 წლის ზაფხულისათვის ამ კურსებს 30 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავდა.

**COVID 19-ის პანდემიის პირობებში რა ძირითადი გამოწვევის წინაშე დადგა ქართული საგანმანთლებლო სივრცე?**

მსოფლიოში შექმნილმა ამ უდიდესმა გამოწვევამ ქართული საგანმანათლებლო სივრცე დააყენე დილემის წინაშე. ერთის მხრივ დაიხურა სკოლები და შეწყდა პირისპირი სწავლების პროცესი და მეორეს მხრივ ყოველივემ გადმოინაცვლა ონლაინ ფორმატში. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს იმას, რომ 21-ე საუკუნის სკოლა, რომელშიც იგულისხმება უიპველესად მოსწავლე, შემდგომ მასწავლელი და მშობელი დადგა ისეთი რეალობის წინაშე, როდესაც კომპიუტერული ტექნოლოგიების თუ სმარტფონების, ტაბლეტების, ნებისმიერი გაჯეტის ფლობა აუცილებლად სავალდებულო გახდა. გარდა ამ ტექნიკური მხარისა, საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე ყველა პირი, აქტიურად უნდა გადამზადებულიყო დისტანციური სწავლების ტექნოლოგიურ უნარებში, რათა პროცესი (რომ აღარაფერი ვთქვათ შინაარსზე) წარმატებით გააქ-

ტიურებულიყო. ამის პარალეურად იუნესკომ გამოქვენა რეკომენდაციები დისტანციური სწავლების პროგრამების და სხვადასხვა საგანამანთლებლო პლატფორმების შესახებ.

**რა ძირითადი გამოწვევის წინაშე დადგა ქართული საგანმანათლებლო სისტემა?**

პანდემიამდე ქვეყნის მაშტაბით განათლების მიღების აღიარებულ ფორმად მხოლოდ პირისპირი სწავლება განისაზღვრებოდა. არსებობდა წარმოდგენა, რომ დისტანციური სწავლება ნაკლებ ეფექტურია. შესაბამისად ქართული სკოლები ცენტრალიზებულად იყო ჩამოშორებული ონლაინ სწავლებას. ამასთან მოსახლეობის დაბალი მობილობაც უწყობდა ხელს ამ პროცესის არ გააქტიურებას. ტექნიკური თვალსაზრისით აღსანიშნავია მოსახლეობის მხრიდან კომპიუტერზე, ინტერნეტზე დაბალი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით მწვავედ იდგა ეს საკითხი რეგიონებში. შესაბამისად მოხდა მათი არათანაბარ პირობებში ჩაყენება და დაყოფა: ქალაქად, დაბად და სოფლად. თავად საგანმანათლებლო პლატფორმა Teams წარმოადგენს დიდ ელექტრონულ/ვირტუალუ სკოლას, თავისი კლასებით, მოსწავლეებით, მასწავლებლებით, სადაც ყოველივეს რეგისტრაცია მასწავლებელთა დაბალი კომპიუტერული უნარების ხარჯზე მიმდინარეობდა. ხშირად მიმდინარე გაკვეთილის წყვეტა ტექნიკური ხარვეხების გამოც ხდებოდა, რომლის დროსაც პედაგოგები მიმართავდნენ დამატებითი ონლაინ არხების გამოყენებით მოსწავლეებთან კომუნიკაციის აღდგენას და შესაბამისი პროცესების გაგრძელებას. რიგ შემთხევევბში სიდუხჭირისა და ხელმიუწვდომობლობის ფონზე მოსწავლეები ჩამორჩნენ და საერთოდ გაეთიშნენ სასწავლო პროცესს. ასეთ დროს ერთადერთი შესაძლებლობა იყო “ტელესკოლის” სახით მირებული ინფორმაცია. . გარდა ზემოთ ნახსენები სირთულეებისა, დისტანციური სწავლების უარყოფით მხარეებად ჩასათვლელია; სოციალური ურთიერთობების დისტანცირება, მოსწავლის ადეკვატური და ობიექტური გამოკითხვის გართულება, კიბერ ბულინგი და მისთანები.

ის თუ როგორ გაუკლავდა საგანმანათლებლო სივრცე აღნიშნულ პრობლემებს სამსჯელოდ და სეშაფასებლად ადრეა. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტორებიც, რომელთა გათვალისწინებაც ხელს უწყობს დისტანციური სწავლების დანერგვის პროცესს. კერძოდ კი: სასწავლო გარემოს შექმნა, ტექნიკური უზრუნველყოფა, ადამიანური რესუსრსი, ადაპტი-რება, თანმიმდევრულობა, პროფესიული განვითარება

**დასკვნა**

2020 წლიდან დღევანლამდე დისტანციური სწავლების პროცესში მოსწავლეებთან კომუნიკაცია გვაძლევს მძიმე შედეგებს, რომელთა აღმოფხვრას საგანმანათლებლო დაწესებულებები პირისპირი სწავლების დროს ცდილობენ. თავისი მეტად დადებითი მხარეების გათვალისწინებით სრულიად რელევანტურია ითქვას, რომ ქართული საგანმანათლებლო სივრცე ჯერ კიდევ დისტანციური სწავლების დანერგვის პროცესშია.

უნდა ვიმედოვნოთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდება მოცემულ პროცესებზე დაკვირვება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება, განხორციელება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გორელაშვილი ნ. (2012) დაუსწრებელი განათლება. In ენციკლოპედია “საქართველო“: ტ.2
2. ლია მეტრეველი „დისტანციური სწავლება და პანდემია“ თბილისი, 2021 წელი
3. კანონი ზოგადი განათლების შესახებ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 16/03/2021 https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=88
4. ბეროშვილი შურთხია 2017 წელი. თამაზ კვაჭანტირაძე ივანე ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოვება. თბილისის უნივერსიტეტი. http://newspaper.tsu.ge/ge/news/view/XdXUSlMy
5. ფლორიდის ვირტუალური სკოლა https://www.flvs.net/
6. რიგის დისტანციური სკოლა #1 https://www.r1tv.lv/en
7. edX-ის პლატფორმა და კურსები http://esx.org
8. დისტანციური სწავლების პლატფორმა საქართველოში https://email.mes.gov.ge/

## Challenges of "distance learning" in the Georgian educational space

*Irina Melkadze, PhD student*
*Georgian Technical University*

### Summary

The article "Challenges of Distance Learning in the Georgian educational space' talks about the difficulties that have arisen in the agenda of educational institutions from 2020 until today. The COVID 19 pandemic led to the establishment of a completely new system in the country and very quickly required educational institutions to adapt to it (Resolution of the Government of Georgia №205 of March 31, 2020, Tbilisi "On the implementation of the educational process in educational institutions during the state of emergency"). A path that did not exist before, which has been difficult for those who are guarding the education of future generations of the country.

Most general education institutions did not have all the skills that would be useful in distance learning. Not to mention the very essence of distance learning and its theoretical foundations.

The stress caused by pandemic conditions, on the one hand, and the process of introducing new teaching methodologies, on the other, have become the basis for many new challenges for the school community. Everything was actively highlighted in both technical and methodological directions.

Numerous theories serve to understand, plan, implement and evaluate these issues, such as: General theories of education (developed based on the study of the traditional learning process), theories of distance education (developed specifically to understand this form of education), psychological and social theories (not created to understand the field of education, but used to understand the process of distance education).

The principle of distance learning in itself implies the distance between the teacher and the student, the implementation of educational activities through the indirect online method. Michael J. Moore will study this theory, which is called transactional distance theory. It includes: Dialogue, structure and student autonomy. The first refers to the student-teacher educational communication, and in this case the communication channel appears in the form of remote, online, internet platforms. The structure of the program includes the forms of organizing the teaching itself. Having existing materials and the ability to modify them facilitates the implementation of a transactional teaching model, reducing the distance between the student and the teacher. The main value of this theory is that on the one hand it helps distance learning planners to realize how intense the students' connection with teachers will be. On the other hand, it helps to classify the elements that determine the success of the courses.

The article "Challenges of Distance Learning in the Georgian Educational Space" talks about the main challenges of the distance learning process, its current results and ways to solve the problems caused by this type of service.

Keywords: "Distance Learning", "General Education", "Teaching", "School", "Online Lessons", "Achievements", "Results"

# ხარისხის მასტერკლასი

*ირინა ცერცვაძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია კომუნიკაციის მოდელის ყველა ის დონე თავისი ასპექტებითა და შინაარსით, რომელიც ხელს უწყობს ხარისხიან მომსახურებასა და ამ მიმართულებით მარკეტინგული ღონისძიებების ეფექტურ მართვას, პარტნიორის მიმართ დამოკიდებულების სიგნალების (პოზიტიური, ნეიტრალური, ნეგატიური) ტექნიკისა და მეთოდების განსაზღვრას.

ჩვენი მიზანია, საზოგადოებისათვის „მასტერკლასის„ ფორმატში, მომსახურების მაღალი ხარისხის ეტაპების ფორმულირების, პრეზენტაციისა და „კლიენტის„ დარწმუნების, მარკეტინგის, როგორც ბიზნეს დისციპლინის შესახებ, ინფორმაციის მიწოდება; ძირითადი წინააღმდეგობებისა და არასწორად მართული მომსახურების ეტაპების გამოვლენა.

თანამედროვე ბიზნესის წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობა მარკეტინგია. ბიზნესში მოღვაწე ადამიანებმა კარგად იციან, რომ ხარისხიანი საქონლის შექმნა არ არის მხოლოდ საკმარისი და მნიშვნელოვანია ეფექტიანი მარკეტინგული ღონისძიებების გახორციელება და ხარისხიანი მომსახურება.

ცნება „მარკეტინგი„ პირველად აშშ - ის ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენეს. XIX-XX საუკუნის მიჯნაზე. მისი გამოჩენა უკავშირდება საქონლის გასაღების სფეროში შექმნილ სიძნელეებს. ადრე მარკეტინგი მოიაზრებოდა, როგორც მხოლოდ გასაღების მეთოდი, რომლის მიზანიც ძირითადად უკვე წარმოებული საქონლის გაყიდვა იყო. ასეთ მარკეტინგს ამერიკელმა მეცნიერმა ფილიპ კოტლერმა ნეანდერტალური მარკეტინგი უწოდა და შეადარა თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპარს. დღეისთვის მარკეტინგი ესმით, როგორც მოთხოვნის შექმნისა და შენარჩუნები პროცესი... მარკეტინგი ბევრად უფრო დიდი და ფართო ცნებაა, ვიდრე პრომოუშენი, რეკლამირება ან გაყიდვა. მარკეტინგი ქოლგა ტერმინია, რომლის შინაარსშიც შედის პროდუქტის პოზიცია ბაზარზე თანასწორთა შორის, მისი კონკურენტული უპირატესობა და მის მიერ ბაზრის იმ სიცოცხლისუნარიანი სეგმენტების შერჩევა, რომელსაც თავად მოემსახურება. მარკეტინგი გულისხმობს მომხმარებელთან კომუნიკაციას შერჩეულ ბაზარზე. ეს კომუნიკაცია გახლავთ დიალოგი. იგი უნდა მოიცავდეს მომხმარებლის მოსმენას - ანუ ბაზრის კვლევას. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ზუსტი მესიჯის შედგენას, რომელიც მომხმარებელთა სხვადასხვა ტიპზე იქნება მორგებული. მნიშვნელოვანია კონკრეტული გზების მოძიება, რომელიც მოცემული გარემო-ებისთვის ყველაზე უფრო შესაფერისი საშუალებით უზრუნველყოფს მესიჯის ადრესატამდე მიტანას.

დევიდ პერიში - შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების ექსპერტი აღნიშნავდა, რომ მარკეტინგი მთელი საწარმოს მისიის, სტრატეგიის და წარმატების ცენტრალური ელემენტია. წარმატებული მარკეტინგული სტრატეგიის გამარჯვების მომტანი ფორმულაა: მისია, კონკურენტული უპირატესობა, შერჩეული ბაზრის კვლევა, სეგმენტი და ხარისხიანი მომსახურება.

საკვანძო სიტყვები: ხარისხი, მასტერკლასი, სეგმენტი, ბაზრის კვლევა, მარკეტინგი, კომუნიკაცია.

**შესავალი**

მომსახურება - ნებისმიერი სახის საქმიანობაა. თავისი არსით არანივთობრივი და არათვალსაჩინოა, რომლის დანახვა, მოსმენა, ხელით შეხება შეუძლებელია. „ხარისხის მატერკლასის„ - ეფექტური მომსახურების ეტაპების სწორად წარმართვა კომპანიის ფუნდამენტური საყრდენი და ორგანიზაციის რეპუტაციისა და წარმატების წინაპირობაა. ხარისხის მნიშვნელობა განსხვავებულია, რაც გამომდინარეობს მოლოდინებიდან, სურვილებიდან რომელიც გულისხმობს ჩვენი, როგორც მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას გარკვეული მომსახურებით და პროდუქტით. ედვარდ დემინგისეული ხარისხის დეფინიციის მიხედვით: „კარგი ხარისხი ნიშნავს პროდუქტის/სერვისის წარმოებას მომხმარებელზე მორგებული ხარისხის სტანდარტის შესაბამისად“.

საერთაშორისო სტანდარატების მიხედვით (JCI; ISO) ხარისხი არის იმ თვისებებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს უნარს თუ როგორ აკმაყოფილებს პროდუქტი თუ მომსახურება დადგენილ სტანდარტებს. ისტორიულად ხარისხის კონცეფციის დანერგვაში, დიდი წვლილი მიუძღვით მის დამფუძნებლებს: ვ. ედვარდ დემინგს, მ ჯოზეფ; მ. ჯურანს, დონ ბერვისკს. მათ შეიმუშავეს ის

მიდგომები და რეკომენდაციები, რასაც დღეს აქტიურად იყენებენ პროდუქციისა თუ მომსახურების ნიშან-თვისებათა წინ წამოსაწევად და გასაუმჯობესებლად.

„ხარისხის მასტერკლასის„ მართვის ძირითადი პრინციპი ნებისმიერ საქმიანობაში: მაღალის ხარისხი და სანდოობის განცდაა. ასევე პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა; აქტიური კომუნიკაცია ბიზნეს პარტნიორებთან; მომხმარებელთა აზრის გათვალისწინება და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

ეფექტურ მომსახურებას განაპირობებს ორგანიზაციაში, კლიენტების მომსახურების კულტურისა და გაყიდვების ტექნიკის ამაღლება, მომსახურე პერსონალისთვის შესაბამისი უნარჩვევების გამომუშავება და მუდმივი ზრუნვა მათი კვალიფიკაციისთვის. მომხმარებლების კმაყოფილება ბიზნესის ზრდის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ამისთვის მნიშვნელოვანია: შესაბამისი ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება სასარგებლო პირობებით, რასაც განაპირობებს: ორგანიზაციის რეიტინგი, ემოციური ღირებულებები: მოსახერხებელი ადგილმდებარეობა, გარემო, დიზაინი, ღიმილი, კომუნიკაცია...

**ძირითადი ნაწილი**

მომსახურების პროცესის წარმართვის დროს, მნიშვნელოვანია კომუნიკაციის მოდულის სწორად წარმართვა, რომელიც ორ დონეზე მიმდინარეობს: შინაარსისა და დამოკიდებულების დონეზე. შინაარსის დონეზე ხდება ცნობების გაცვლა, ხოლო გრძნობების გადაცემა-დამოკიდებულების დონეზე. პარტნიორის მიმართ დამოკიდებულების განსმსაზღვრელი სიგნალები შეიძლება იყოს: პოზიტიური, ნეიტრალური, ნეგატიური. პოზიტიური (ნეიტრალური) დამოკიდებულების დროს, შინაარსის გადაცემა ხდება შეუფერხებლად. ამ პროცესის წარმატებას განაპირობებს ასევე მოსმენა. აქტიური მოსმენის დროს, ინფორმაციის მიღება ხდება ყოველგვარი ზეწოლის გარეშე და გამოხატულია ნდობა, სიმშვიდე, გულღიაობა, თავდაჯერებულობა. არსებობს აქტიური მოსმენის 4 ძირითადი ხერხი: დათანხმება, გამეორება, დაზუსტება, იდეის განვითარება.

„ხარისხის მასტერკლასის„/ეფექტური მომსახურება მნიშვნელოვანი ელემენტი მომხმარებელში ნდობის გამოწვევაა. როგორ ავაწყოთ გრძელვადიანი ურთიერთობა პოტენციურ კლიენტთან? როგორ მივაღწიოთ ნდობით გამსჭვალულ ურთიერთობას მასთან და გავაძლიეროთ ის? მიღწეულია თუ არა სანდო ურთიერთობები?...

არაცნობიერი ნდობა (უცხო ადამიანთან) გვეხმარება მივიღოთ სწორად გადაწყვეტილება, რომელიც აღმოცენდება ემოციონალურ დონეზე საუბრის დასაწყისში. შემდეგ კი მოითხოვს მხოლოდ ლოგიკურ დადასტურებას. უნარი, მიაღწიო ინტერესების თანხვედრას, შეხედულებებისა და მოსაზრებების ერთიანობას, წარმოადგენს კლიენტის ხარისხიანი და გრძელვადიანი მომსახურების მთავარ შემადგენელს და საწინდარს.

ფსიქოლოგები გვთავაზობენ ტექნოლოგიას: როგორ განვაწყოთ დადებითად ჩვენს მიმართ მომხმარებელი. როდესაც ადამიანები ერთმანეთის მიმართ სიმპათიით არიან განწყობილი, საუბრისას იღებენ მსგავს პოზას, ხდება ვიზუალური კონტაქტი, ერთნაირი ხმის ტემბრით საუბარი - ფიზიოლოგიური პროცესების გამოყენება შესამჩნევია აღნიშნული ტექნოლოგიის დროს.

ჩვენი საკუთარი სამყარო ჩვენი აღქმებით იქმნება. აღქმის ჩვენი მანერა განსაზღვრავს ჩვენს რეალობას. ყველა ადამიანს თავისი სუბიექტური, უნიკალური ემოციური სამყარო აქვს. ერთი და იგივე ობიექტურად არსებულ მოვლენას სხვადასხვა ადამიანი თავისი სუბიექტური რეალობიდან გამომდინარე სხვადასხვანაირად აღიქვამს. ყველა ადამიანს საკუთარი შინაგანი სამყარო აქვს თავისი წესებით, რომელსაც ამ კონკრეტული ადამიანის უნიკალური გამოცდილება განაპირობებს.

პრობლემებისა და კონფლიქტური სიტუაციების დროს, პრობლემის მოგვარებას განაპირობებს: რეალობის დაყოფა პირველ და მეორე რიგის რეალობად. პირველი რიგის რელობას წარმოადგენს: გაზომვადი რეალობა (მაგ: ტემპერატურა გაზომვადია) ხოლო მეორე რიგის რეალობა, ეხება სუბიექტურ რეაქციებს პირველი რიგის რეალობაზე (მაგ: გაზმოვადი ტემპერტურა „თბილი„ „ცივი„, „ცხელი„...) რაზეც ხშირად შეიძლება კამათი. ძალზე ხშირად ხდება ამ ორი რიგის რეალობის ერთმანეთში არევა. განსაკუთრებით: საკუთარი თვალსაზრისის, სუბიექტური შეხედულებისა და ფაქტების.. რაც ხშირად კონფლიქტური სიტუაციის მიზეზი ხდება. ამიტომ მნიშვნელოვანია პირველი და მეორე რიგის რეალობას შორის განსხვავების შესწავლა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში უშუალოდ მომხმარებელზეა დამოკიდებული ბიზნესის ამა თუ იმ დარგში დასაქმებული ადამიანების საქმიანობის საბოლოო შედეგი. მომსახურების სფეროს საწარმოებში, მნიშვნელოვანია თანამშრომლებზე ორიენტირებული შიდა მარკეტინგისა და ურთიერთზემოქმედების მარკეტინგის გამოყენება. შიდა

მარკეტინგი უზრუნველყოფს საკუთარი თანამშრომლების მოტივაციას,რასაც შედეგად მოყვება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებლის მხრიდან ამა თუ იმ პროდუქტეზე/ მომსახურებაზე ინტერესი. მომსახურების ეტაპებია:

- ♦ კონტაქტის დამყარება
- ♦ ინფორმაციის გაცვლა
- ♦ ალტერნატივების მოძიება
- ♦ გადაწყვეტილების მიღება
- ♦ კომუნიკაციის დასრულება.

მომხმარებელთან ინფორმაციის გადაცემის დროს, მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: მოკლე ტექსტური, სტუქტურულად კარგად აგებული შეტყობინება; ტექსტის დასაწყისსა და ბოლო ნაწილზე ხაზგასმა, პარადოქსული, უჩვეულო მოვლენები, კონკრეტული სიტყვების გამოყენება, ნეგატიური ფორმულირების პოზიტიური ჩანაცვლება (მაგ: არ ვმუშაობთ 8 საათის შემდეგ ნაცვლად: ვმუშაობთ 8 საათამდე).

„ხარისხის მასტერკლასი„ /ეფექტური მომსახურება - „საკუთარი „პროდუქტის„ პრეზენტაცია, სანდოობისა და მომხმარებლის დარწმუნებაა. პრეზენტაციის მთავარი მესიჯია: „ნუ გაყიდით საქონელს - გაყიდეთ კომფორტი და პრესტიჟი, სასიამოვნო შეგრძნებები, პრობლემების გადაწყვეტა და სარგებელი შენაძენისაგან„.

წარმატებული პრეზენტაცია მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ♦ ყურადღება (მოკლე ინფორმაციის მიწოდება პროდუქტსა და ორგანიზაციის შესახებ);
- ♦ ინტერესი (ინფორმირება პროდუქტის ასორტიმენტის, შესაძლებლობების, ღირსებების შესახებ);
- ♦ სურვილი - (მნიშვნელოვან დეტალებზე ხაზგასმა).
- ♦ საინტერესოა მომხმარებლის ტიპების განსაზღვრა:
- ♦ ქედმაღალი კლიენტები (განსაკუთრებული ყურადღების გამოხატვა);
- ♦ ლოგიკური მომხმარებელი (კონკრეტულად საგნის მიმართ გამოხატული ინტერესი;
- ♦ ეგობრული მომხმარებელი (კომუნიკაციის ღიმილით დაწყება..)

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია მასობრივი კომუნიკაციის კვლევითი მეთოდების გამოყენება. მომსახურების ხარისხის შეაფასება ხდება შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

1. კონკრეტული საქმიანობის მომსახურების ხელმისაწვდომობა, პრესტიჟულობა, ცოდნა, საიმედოობა, უსაფრთხოება, კომპეტენტურობა, კომუნიკაბელურობა...
2. მომხმარებელთა დამოკიდებულების განსაზღვრა;
3. მომსახურებით სარგებლის მიღება/გამოცდილება;
4. მოთხოვნილებების გათვალისწინება;
5. რეკლამა- მომსახურების ხელმისაწვდომობა.

**დასკვნა**

მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები ინდივიდუალურია. „ხარისხის მასტერკლასის" მართვის მოდელი მნიშვნელოვანია შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს: უწყვეტი განათლების პროცესს, სამუშაოს რაოდენობრივი შეფასების ელემენტებს, საქმიანობის კონტროლს. მომსახურების ხარისხის შეფასების დროს, მომხმარებელზე დიდ გავლენას ახდენს: გარემო, ვიზუალური და ესთეტიკური მხარე, ინტერიერი. „მასტერკლასის„ განსაზღვრის მათავარ ასპექტს წარმოადგენს: რეპუტაცია, პრესტიჟულობა, კეთილგანწყობა და საიმედოობის განცდა.

**გემოყენებული ლიტერატურა:**


1. ნ. ჯიბლაძე ხარისხის მართვის თანამედროვე პარადიგმები; თბ; 2020 წ https://www.sertifikasyon.net/ka/detay/iso-9001-kalite-yonetim-sistemi-temel-prensipleri-nelerdir/
2. ბ. მღებრიშვილი, ნ.თოდუა „მარკეტინგის საფუძვლები„ გამომცემლობა უნივერსალი, 2009;
3. ლ.კაპანაძე, ე. ხახუტაშვილი, „საზოგადოებასთან ურთიერთობა„ ქ. თბილისი 2003 წ
4. https://www.culturepartnership.eu/ge/publishing/marketing/marketing

**Quality Masterclass**

*Irina Tsertsvadze, PhD student*
*Georgian Techniqal University*

**Summary**

The article discusses all the levels of the communication model with its aspects and content that contribute to high quality service and effective management of marketing activities in this direction, as well as to defining technique and methods of attitude signals (positive, neutral, negative) towards partner. Our objective is to provide information to the society within the frames of the "Masterclass" format about the formulation of high quality stages of service, presentation and assertion of the "client", also marketing as of a business discipline; disclosure of the stages of key obstacles and improperly directed services.

Marketing is a mandatory condition for successful management of modern business. The businessmen know well that development of only a quality product is not enough and it is important to carry out effective marketing measures and quality service.

The concept "marketing" was firstly used at the edge of the XIX-XX century, in the US economy-related literature. Its appearance was linked to the obstacles created in the sale of goods sphere. Marketing earlier was considered as only a method of sale, the objective of which was mainly to sell the already produced goods. American scientist Philip Kotler dubbed such marketing as Neanderthal marketing and compared it to the ancestor of modern human. Today, marketing is comprehended as a process of demand creation and maintenance. Marketing is way too big and wide concept compared to promotion, advertisement or sale. Marketing is an umbrella term, the content of which includes product's positioning among equal products on market, its particular advantage and selection of those vital segments of the market it will serve to. Marketing implies communication with consumers on the selected market. This communication is a dialogue. It should listen to consumers – i.e. market research. This is the only way to develop a proper message that will be adapted to different types of consumers. Important is to find particular ways to deliver the message to the addressees via the best possible means for the given situation.

David Parrish – expert in creative industries noted that marketing is a central element of the whole enterprise mission, strategy and success. The victory-bringing formula to the successful marketing strategy is mission, competitive advantage, selected market research, segment and quality service.

Key words: quality, masterclass, segment, market research, marketing, communication.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“

## ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: მარცხენა – 30 მმ, ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

აუცილებელია ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილ იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. უცხოურ ენაზე დაწერილი ნაშრომის ტექსტი იწყება რეზიუმეთი იმ ენაზე რა ენაზეც არის თვითონ ტექსტი.

ნაშრომის სტრუქტურა:

1. სტატიის სათაური;
2. ავტორის/ავტორების სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.
3. რეზიუმე ქართულ ენაზე ან იმ ენაზე, რა ენაზეც არის სტატია (მინიმუმ 230 სიტყვა);
4. საკვანძო სიტყვები (მინიმუმ 4-5 სიტყვა);
5. შესავალი
6. ძირითადი ნაწილი
7. დასკვნა
8. ლიტერატურა
9. რეზიუმე ინგლისურ ენაზე

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ნახაზებისა და ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი აუცილებლად უნდა იყოს TIF ფორმატში;
- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს;
- გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კორპუსი 6, სართული 8, ოთახი 805 ^ბ^.
ტელ.: 599-557-993; E-mail: ganatleba2018@gmail.com.

ჟურნალი „განათლების“ ყველა ნომრის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:
https://gtu.ge/Journals/newsletters/